ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 4

ქსირი

(რომანი)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

ნაწყვეტები რომანიდან „ესხირი“ („ამბავი არამხუტისა“) თავდაპირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (7, 1972) და ალმანახ „პირველ სხივში“ (IX, 1973). 1980 წელს ცალკე წიგნად გამოსცა გამომცემლობა „მერანმა“, 1988 წელს კი გამომცემლობა „საქართველომ“. ესხირი მეგრული სიტყვაა და აპრილის ნასესხებს ნიშნავს.

©ჯემალ ქირია - ესხირი
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

გამომცემლობა „**სარი**“
ISBN 99940-60-03-1

კოჩიქ მსვა ვარ ნიჩანაში
მუჭოფეთენ ფუთხასენ.
(კაცმა ფრთები თუ არ შეისხა,
როგორ უნდა იფრინოს)
ლაზის ნათქვამი

მოვიდა ესხირი და ააოხრა ხურჩას ნაპირები... ზღვისპირეთიდან გადმოიშალა კუპრი ღრუბლები, მიელეწა სვანეთისა და სამეგრელოს ქედებს. დაიფხრიწა, დაიფლითა ელ-ჭექი, ხმა ჩაუხრინწიანდა, ააგუგუნა კლდეები და მიწის პირზე ჩამოწოლილი ზეცა. წამოვიდა ღლოფო და ჩამოაბნელა ჯოჯოხეთურად; წამოვიდა წარღვნა და მერეხი, ჯგეთი, დელგმა და თქეში, ლელმა და ლესტერი... წყლით აპიპინდა სამყარო, წყალი აქაფდა ღრუბლებამდე, ღრუბლები გაითქვიფნენ ჭალებში...

წყალმა დატბორა, დაღრღნა მიწა, ჩამორეცხა გორაკთა კალთები, ჩამოიტანა ქვა და ღორღი...

ღვართქაფი შემოვარდა ქუჩებში, დატრიალდა ბაზრის მოედანზე...

აიპოპრა წყალუხვი ხურჩა, შეუდგა ქალაქს... მთებში მოგლეჯილი ფიჭვები და წაბლის ხეები მიანაფოტა ლოდებს, გაიტაცა ბორნები და ხაბოზე თამამად წამოყუნცული ჯვარყურიანი ოდები... არ დაინდო კაცი და ნადირი, დაახრჩო და ზღვას მიუგდო...

ზღვა გადმოვიდა ნაპირიდან, მღვრიე წამოსასხამი მოაფარა ფიჩორსა და ცვანეს, აღმა არეკა პერმოდებული ხურჩა და ტალღები კუხუნით მოადგა ქალაქს...

წყლით აჭანჭახდა ყოველი, წყალმა წალეკა საფუძარი... დამფრთხალი ნადირი დაიძრა ღურღუთი ტყეებიდან, სამზადში შეუვარდა შუაცეცხლს მიფიცხებულ ადამიანს.

მოვარდა მხიარული და ცელქი ჭალიკონი; სახურავები აჰხადა სახლებს, ტოტები აასხიპა გზის პირებზე ჩამორიგებულ ალვებს.

მოქურუშებულმა კოხშინშხალმა ჩამოიგუგუნა, ნეკერი ჩამოურეჯგვა ახლად გაღვიძებულ ხეებს.

ბორგავდა მიწა მშობიარე ქალივით, ჭაობი ნთქავდა საქონელს და ხაშმიანი ბავშვები სხრიალით ებღაუჭებოდნენ კალთებზე დედებს...

მეშვიდე დღეს წაბრძანდა ავი ტაროსი...

აკრუსუნდა დედიშობილა ჩვილი — ხურჩას ჭალა, ნაცემი ლეკვივით ჭრილობების ლოკვას შეუდგა.

ლეშხი შეაშრა კვირტდაყრილ ტოტებსა და ჟიჟო ბალახს, ხვიფლი დაესხა გაჟიჟინებულ ქვებზე; თვალი მილულა მზეს მიფიცხებულმა წყალუხვმა ხურჩამ.

ბაღებში უკვე აფეთქდა ტყემალი.

ვიღაცის დაუდევარმა ხელმა ანთებული კვარი მიიტანა ატმის ტოტებთან და ალი მოედო ნესტისა და სიცხისაგან სულშეგუბებულ ყვავილებს.

შიშნაჭამმა იამ ნაადრევად ამოყო სხლტეზე თავი, ძოწისფერი ჩიგლიგი განიბნა ბალახში.

ქალაქმა ოხაჩქუემ გაიზმორა, ძილ-ღვიძილი გადაიგდო და ქუჩაში გამოიშალა. არახუნდა დარაბები ხეივნის ორივე მხარეს გამწკრივებულ დუქნებსა და სახელოსნოებში. მჭედლებმა აამღერეს ურო და კვერი; ხარაზებმა მტრის თვალის დასავსებად რაფაზე გამოაფინეს ყაფაღიანი წაღები; ვაჭრებმა — ღაღანა ჩითისა და აბრეშუმის მაჭატა ნაჭრები; მეკუბოვემ — ჯორაფერი კუბოები...

სოდომის მრავალ ენაზე აქაქანდა ბაზარი, ჯოღეჯიანის ველებზე გაიმართა პირველი მარულა.

ჭადრების ხეივანში ზეფირი ხვეტდა შარშანდელ ფოთოლს და ჭადრები ისევ იკვირტებოდნენ.

წითელი აგურის სახლის აივანზე გამოვიდა წვივტაგანა ქალი, ვნებიანი მზერა მიმოავლო ხალხმრავალ ტროტუარებს. ყვითელთავიანმა, კბილჩოღერა მაზრის უფროსმა ჩამოიარა ეტლით, აღტაცებული თვალები მიაშტერა ქალს, სისხლი აუდუღდა ბებრულ ძარღვებში.

არვაშანგ ჩიჩუას სასახლეში ორომტრიალი დააყენა ძიძამ. მსახურები წმენდდნენ ფანჯრის მინას და აპრიალებდნენ იატაკს, ბერტყავდნენ მძიმე ნოხებს, კიდობნებსა და ზანდუკებში ინახავდნენ ზამთრის ტანსაცმელს; მდუღრავდნენ ავეჯს, რათა ბაღლინჯოს სინსილა გაეწყვიტათ.

მეწალკოტემ სასახლის უკან დიდი კოცონი გააჩაღა და შიგ ყრიდა ნეშომპალას, ფიჩხსა და მობელილ ტოტებს...

გაზაფხული იბადებოდა ოხაჩქუეში, ჩვილი გაზაფხული..

ნაწილი პირველი

განაჩენი

I

ეტლი შექანდა და ბადუ მიხვდა, რომ ჩასძინებოდა. მეეტლე გააფთრებით ლანძღავდა ჩალაცხენს. მერე მოისმა მათრახის ტყლაშუნი და შეძახილი:

— ჰო, შე სამგლეევ, ჰო!

ბეწვიან ქულაჯაში ჩაძირულ ბადუს დასცხა, მაგრამ განძრევა ეზარებოდა. წუხელ, მატარებელში ღამე თეთრად გაათენა. უსმენდა ბორბლების დაგადუგს, წვიმის უწყვეტ შხუილს, მეზობელ კუპეში შეყრილ მემთვრალეთა ყაყანს. ხანდახან იკივლებდა ორთქლმავალი, ჭაბუკს დაუფრთხობდა მოჯარებულ ფიქრს. უჩვეულო მღელვარებით ელოდა კარგა ხნის უნახავ ახლობლებთან შეხვედრას. ამ რამდენიმე თვის წინათ მოსწერა ბიძია არვაშანგმა, მთლად ნუ დაგვივიწყეო. მაშინ ველარ მოიცალა, ნიჟარაძის მშვენიერ ასულს იყო გადაკიდებული. გუშინ კი დეპეშა მიიღო, ხელმოწერაზე არც დაუხედავს, ისე მიხვდა, ქალის გამოგზავნილი რომ იყო. უმნიშვნელო და წვრილმან საქმედ მოეჩვენა ყოველივე, რითაც თბილისში იყო დაკავებული. დაჰკრა ფეხი და პირველსავე მატარებელს გამოჰყვა.

ტრიალ მინდორში ობლად აყუდებულმა, სადგურის ყვითელმა შენობამ ბავშვობა გაახსენა. ვინ იცოდა, მაინცდამაინც

დღეს რომ ჩამოვიდოდა, მაგრამ თეკოს თადარიგი დაეჭირა და ჭაბუკმა შორიდანვე იცნო ჩიჩუების ეტლი.

სალამზე მეეტლეს პასუხი არ გაუცია, რაღაც ჩაიდუდღუნა თავისთვის. ბადუმ ზედი ჩამოსწია და თვალი მილულა.

არც კი ახსოვდა, რამდენ ხანს ირწეოდა ნებიერად, მეეტლის ჯიჯღინმა გამოაფხიზლა. ფლოქვების თქარუნი, ცუდად გაპოხილი ღერძის ჭრიალი და გზაზე მძივებივით ასხმულ ლაყვაში წყლის ჩქაფუნი ძილს ჰგვრიდა.

ცნობისმოყვარეობამ სძლია, ქულაჯიდან თავი ამოყო, თვალწინ სველი ჯინჯილები ტოკავდნენ.

მიმოიხედა. ურმებით დაჭენჭეხებულ გზაზე ცხენები ძლივს მიათრევდნენ ეტლს. იელის ტოტზე ბეღურა საცოდავად მობუზულიყო და თვლემდა. ბუჩქებს ეფინებოდა წვიმის უხილავი ღვაფი და ბადუს გულში სევდა შეეპარა.

ისევ ქულაჯაში ჩაიმალა და ფიქრს მისცა თავი. აქ, ხურჩას სანახებში გაეტარებინა ბავშვობა. არც დედა ახსოვდა, არც მამა. ისინი სიზმარში დიდი ხნის წინათ ნანახი ლანდებივით ამოტივტივდებოდნენ მეხსიერებიდან. ცდილობდა გაეცოცხლებინა გარდასულ დროთა სურათები, ხურჩას პირა წალკოტი, ფიცხი მახუტი, მკაცრი, მოქუფრული არვაშანგ ბიძია, დალეული, ბებერი ძიძა... თვით ხურჩა, მღვრიე და წმინდა ერთდროულად... უსასრულო, ლურჯი ცა, როდესაც ის და მახუტი ოთხფოთოლა სამყურას ეძებდნენ მწვანე ხაბოზე... მერე არვაშანგ ბიძიამ წაიყვანა თბილისში სასწავლებლად, დატოვა მდიდრულ, მაგრამ მოსაწყენ პანსიონში, რომლის ვიწრო ფანჯრებიდან მარტო გაცრეცილი ცა მოჩანდა. პირველ დღეებში ტიროდა, შემდეგ მიეჩვია, ბოლოს მოეწონა კიდეც. ბავშვობის მოგონებები მეხსიერების სიღრმეში ჩაიმალა და ზედ მძიმე აგურებივით დააწვა კატეხიზისი და რიტორიკა, ლათინური და ძველბერძნული, გეომეტრია და ასტრონომია... ერთმანეთს წაეწყო სიყრმისა და სიჭაბუკის აუმღვრეველი წლები... გიმნაზია, ჩინოვნიკობა, თბილისელი ბანოვანები... ნიჟარაძის ასული მედეა, ვისი სახელიც კი ტკბილ ოცნებებს აღვიძებდა თბილისელი დარდიმანდების გულებში. „ძვირფასო მედეა!..“ — ბადუს წერილს ფრანგული ოდეკოლონის სუნი სდიოდა. პასუხად უნაზესი, ვარდისფერი ცხვირსახოცი მიიღო, რომელზეც ისრით გამსჭვალული გული და ინიციალები „მ. ნ.“ ამოექარგათ.

თანდათან კვლავ ჩათვლიმა. წვიმისაგან ატალახებული, უღიმღამო და სევდისმომგვრელი ქვეყანა უზარმაზარ ლურჯ სფეროდ გადაიქცა, სადაც, როგორც ხურჩას ტალღებში, ლაღად შესცურა ბადუ ჩიჩუამ. ბედნიერება იგრძნო ჭაბუკმა. წამით მობრუნდა შემოდგომის ის კამკამა, ცისფერი დღე, როდესაც აქედან პირველად წაიყვანეს.

ეტლი შეინჯღრა. ბადუმ ამოიხვნეშა. დაენანა ტკბილი სიზმარი. ჯიბე მოისინჯა. დეპეშა, თითქოს ვიღაცას უმალავსო, ქურდულად ამოაცოცა და წაიკითხა. თეკო იხმობდა. გუშინ, დეპეშა რომ მიიღო, პირველად მიხვდა, თუ როგორ შესჯავრებია თავისი სამსახური, გამოზომილი, ზუსტი მექანიზმივით აწყობილი ცხოვრება, როცა წინასწარ იცი, რომ არც დღეს, არც ხვალ, არც ზეგ არაფერი მოხდება.

თეკო! ეს სახელიც იმ ცისფრად გასხივოსნებული ქვეყნიერებიდან იყო, რომელსაც ჭაბუკი უნდა დაეხსნა ჩინოვნიკური ცხოვრების ყოველდღიური უფერულობისაგან. უნდოდა წარმოედგინა ქალი, მაგრამ ახსენდებოდა მხოლოდ კიკინებიანი, ლურჯთვალება, გამხდარი გოგონა, რაღაცნაირად მიბნედილი, როცა კარგ გუნებაზე იყო; ანჩხლი და ენამწარე, თუ გაჯავრდებოდა. თეკოს მამის დაკრძალვაზე ბადუ ვერ ჩამოვიდა. ამბობდნენ, გაკოტრდა და თავი მოიკლაო. თხუთმეტი წლის ობოლი გოგონა არვაშანგ ბიძიამ შეიფარა და სამადლოდ ზრდიდა. ხმა დაირხა, სარძლოდ უნდაო. ბადუმ მხოლოდ ერთხელ გაიფიქრა, ვინ არის ის ბედნიერი, მე თუ მახუტიო. თავისი საქმეებით იყო გართული და ჭორი მალე გადაავიწყდა. მერე კი მედეა ნიჟარაძეს დაუთმო გული და ხელი...

ცხენმა დაიფრუტუნა. ეტლი შეძაგძაგდა, გაჩერდა. ბადუს კვლავ დაეფანტა ფიქრები, მიაყურადა. მეეტლე ვიღაცას ელაპარაკებოდა. ქალის ღუღუნა ხმა პასუხობდა.

ჭაბუკმა ზედი გადასწია.

წვიმას გადაეღო. ცხენებს მბზინვარე ზურგზე ოხშივარი

ასდიოდათ.

ქალი გაჩუმდა. ცნობისმოყვარე, მონგოლური თვალები შეავლო ბადუს.

გზისპირას იდგა. მხრებზე უხვად დაყრილი ნიჟი უბრწყინავდა. ჯილღაოთი ქათიბმოვლებული ჯუბა ეცვა. თმა შავ ბერეტში დაემალა. გრძელი კაბის კალთები ერთიანად დასველებოდა და გათოშილ თითებს სახელოებში მალავდა.

— რა მოხდა?

— დამგზავრება უნდა! — დუდღუნით გაეპასუხა მეეტლე.

„არა უშავს რა, კაცი წუნს ვერ დაადებს“, — გაიფიქრა ბადუმ. მორიდებით მიესალმა. ქალმა თავის ოდნავი მოძრაობით უპასუხა. „სოფლის მასწავლებელია, — დაასკვნა საბოლოოდ. — ან მღვდლის შვილი...“

— წვიმას გადაუღია, — გაკვირვება იგრძნობოდა ბადუს ხმაში, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ უკაცურ ეწერში იმყოფებოდნენ და გზის გასწვრივ დაუსრულებელი ეკალბარდები აძონძილიყო.

— ფეხით მოვდიოდი, ბატონო! — მიუხვდა ქალი გაკვირვების მიზეზს. — აქ ეტლი იშვიათია, მე კი მეჩქარება... — და გაჩუმდა, ფრთხილმა ღიმილმა თეთრი კბილები გამოუჩინა.

ბადუ კუთხისაკენ მიჩოჩდა, გვერდით ადგილი გაათავისუფლა.

— ნუ წუხდებით, წინა სკამზე დავჯდები! — ქალი უკვე ეტლში ამოდიოდა.

ბადუ გაწითლდა, ყელში სიმშრალე იგრძნო, მოუქნელად გადაჯდა წინა მერხზე.

— როგორ გეკადრებათ? აქ შეგცივდებათ, მე კი ქულაჯა მაცვია, — წაილუღლუღა.

— ჰო, ჰო, შე სამგლევ, შენა! — ისევ ჩალაცხენს გადაუტყლაშუნა მეეტლემ და ეტლი დაიძრა.

ქალი სავარძლის კუთხეში მიიჭუჭკა, სახეზე ზედის ჩრდილი ეცემოდა. თვალებისა და სახის კანის ფერი ვერ იქნა და ვერ გაარჩია ჭაბუკმა. სამაგიეროდ ჯუბასაც არ შეეძლო მისი მაღალი მკერდის დამალვა. ალბათ ფეხებიც ლამაზი ჰქონდა, თუმცა კაბის კალთა კოჭებს უფარავდა და ამის გარკვევა ძნელი იყო. „როცა

ჩამოსვლას დააპირებს, უკეთ შევათვალიერებ!“ — გადაწყვიტა და უცებ გაწითლდა. მოეჩვენა, რომ ქალი ნაფიქრალს მიუხვდა.

— დიდი ხანია, რაც ასეთი ამინდები დაიჭირა? — იკითხა შეკრთომის დასაფარავად.

— დიახ, ბატონო! — ქალსაც ეუხერხულებოდა მამაკაცის პირისპირ ჯდომა და ეტლის სიღრმეში მიმალვას ცდილობდა.

— ბედი არა მაქვს! — შესჩივლა გათამამებულმა ბადუმ. — თბილისიდანვე წვიმა გამომყვა. ასეთი მოქუფრული ამინდი გუნებას მიფუჭებს...

ქალს ხმა არ ამოუღია.

— თქვენ აქაური ბრძანდებით? — ჩაეკითხა ჭაბუკი.

— დიახ, ბატონო! — ქალი უხალისოდ პასუხობდა და ბადუმ გაჩუმება არჩია.

საავდროდ გამზადებულ ცას ახედა. წეღანდელი ფიქრი მოუბრუნდა... რას ნიშნავდა ეს დეპეშა? ნეტავ რა გასჭირვებია თეკოს? იქნებ ბიძია არვაშანგი გახდა ცუდად? ანდა მახუტი? თბილისში მოსდიოდა ხმები, მახუტი გზას ასცდაო. ჯერ ამბობდნენ, გააბრაგდაო. მერე ვითომ ტერორისტებს გადაეყარა და საკუთარ ბიძას ბომბებით ემუქრებაო. ბადუ მტკივნეულად განიცდიდა ყოველივეს. თუმცა არ სჯეროდა ხმებისა, ბიძას მაინც სასოწარკვეთილ წერილებს სწერდა. ერთხელაც თეკომ შეატყობინა, მახუტი დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლესო. იმ დღიდან, თითქოს უსიტყვო შეთანხმება დაიდო, მახუტის პირად წერილებშიც კი არ იხსენიებდა.

დუმილი დიდხანს ვერ აიტანა. უსიამოვნო ფიქრთა განდევნას შეეცადა.

— სიმშვიდეა ოხაჩქუეში?

— კი, ბატონო.

— რა ვიცი, ქვეყანა აირია და... ერთი ჩემი მეგობარი გახლდათ მოსკოვში ამასწინაზე. თურმე მთელი პრესნა ზარბაზნებითაა მონგრეული... საშინელებაა, იმდენი ხალხი ამოუჟუჟავთ... იქ რომ ვყოფილიყავი... — ბოლო ფრაზა სატრაბახოდ დასცდა, არ გაუგრძელებია, მაგრამ ქალი ოდნავ გამოცოცხლდა, კითხვაც გაუბედა:

— რას გააკეთებდით?

— განზე არ გავდგებოდი.

— იბრძოლებდით?

ბადუმ ნაძალადევად გაიცინა. აქამდე ამ საკითხზე არ დაფიქრებულა. მისი წრის ახალგაზრდებში მოდად იქცა ხელისუფლების ლანძღვა, ხალხის ბედზე „გულშემატკივრობა“. ქალი პასუხს ელოდა და ჭაბუკმა არჩია პატიოსნად გამოტეხილიყო.

— წარმოიდგინეთ, არც კი ვიცი.

ქალს გაეღიმა.

მეეტლემ რაღაც ჩაიბურტყუნა და ერთხელაც შეუწყრა ჩალაცხენს.

„რაღა ამ ცხენს გადაეკიდა?“ — გაიფიქრა ბადუმ, ქალის ღიმილმა წაახალისა.

— სტუმრად ჩამოვედი, არვაშანგ ჩიჩუა გეცოდინებათ ალბათ, გენერალი, ბიძაჩემია.

— გამიგონია, — ცივად თქვა ქალმა.

ბადუს არ ესიამოვნა უცნობის პასუხი. მაინც განაგრძო საუბარი. წვრილად უყვებოდა თავის ბავშვობაზე, ოხაჩქუეში გატარებულ დღეებზე.

ცა კიდევ უფრო მოიქუფრა. ბადუმ უიმედოდ აიხედა და რატომღაც შიში იგრძნო. თითქოს მშობლიურ მხარეში კი არ ჩამოდიოდა, უცხოეთში გადასახვეწად მიდიოდა ამ გზაზე. მერე ქალს შეხედა, „ნეტავ რისთვის ვცდილობ ამის გულის მოგებას?“ — თვითონვე გააოცა ამ აზრმა, დადუმება არჩია.

— უკაცრავად, — ქალი გადმოიხარა და ხელი მკლავზე შეახო. მის სახეს ზედის ჩრდილმა გადაუარა, ოდნავ მოხორბლისფრო გადაჰკრავდა.

— უკაცრავად, ბატონო...

— ბადუ, ჩემი სახელია ბადუ!

— თხოვნა მაქვს თქვენთან. ნურავის ეტყვით ჩემს დამგზავრებაზე. ხომ იცით, პროვინციაა... — ქალს ცხვირის თხელი ნესტოები უთრთოდა.

— მაპატიეთ, მაგრამ...

— ძალიან გთხოვთ.

ბადუს მღელვარებისაგან შუბლი დაეცვარა, თითქოს უცხო რამ საიდუმლოს ეზიარა.

— აქ გამიჩერე! — გასძახა ქალმა მეეტლეს.

მეეტლემ რაღაც ჩაიბურტყუნა და სადავეებს მოჰქაჩა.

— რაო? — დაეკითხა ბადუ.

მეეტლე გაჩუმდა.

— ასეა, მთელ გზაზე ბუზღუნებს, — მოუბოდიშა ქალს ჭაბუკმა, მერე უცებ წამოიწია, — თქვენი სახელი მაინც მიბოძეთ!

— მე ხომ გთხოვეთ?

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენს თხოვნას შევასრულებ, მაგრამ თქვენი სახელი მიბოძეთ!

— ჯუნა!

ქალი მკვირცხლად ჩამოხტა ეტლის საფეხურიდან და ბარდებს შორის ჩაკარგულ ბილიკს დაადგა.

II

იდუმალი მუქარით მოდუდუნებდა წყალუხვი ხურჩა, ღარისთვალზე ცდილობდა მოლუკლუკე წყლის გატანას. კუმი აწყდებოდა ბორანს და დაჭიმული ბაგირი სიმივით თრთოდა.

ნაპირზე სხვებს აცალა გადასვლა. თვითონაც დინჯად გადმოვიდა, მუხლის გასამართავად გაიარ-გამოიარა.

ვიღაცა დაეჯახა, სახეში ღვინისა და ნივრის სუნი შეაორთქლა.

— ბადუ!.. ბადუ ხარ, წიე, შენ? მომკალით თუ ვცდებოდე, ნამდვილად ბადუ იქნები, შენ გენაცვალე, ბიჭო!..

ბადუ დაიბნა, უმწეოდ ჩამოყარა ხელები.

— ჰაიტ, რავა გავახარებ ბიძაშენს!.. ისეთს ვიქეიფებთ, სულ დამბაჩებით ჩამოვანგრევთ ჭერს!..

ბადუს წინ პოდპორუჩიკის ფორმაში გამოკვანჭული ახალგაზრდა იდგა, აპრეხილულვაშიანი, ცხვირმოკაუჭებული, ჭროღათვალება და წვრილკბილება.

— ვერა გცნობთ, ჩემო ბატონო! — ძლივს წაილულლულა ბადუმ.

— ვერა მცნობ?! — უფრო გამხიარულდა უცნობი. —

გესმით, ვერა მცნობს!..— მიმართა ირგვლივ თავმოყრილ, ქუდმოშვლეპილ გლეხებს. — სიყრმის მეგობარი რავა დაგავიწყდა, შე კაცო? როგორ არ გახსოვს, სემინარიაში პეტრე მღვდელს ცხვირზე ლაყე კვერცხი რომ მივაჭედე? — უცნობმა ბადუს თავი დაუკრა და საზეიმო კილოთი წარმოთქვა: — ნება მიბოძე, წარმოგიდგე, გვარდიის პოდპორუჩიკი კონსტანტინე კაკუჩავა, მისი აღმატებულება, გენერალ არვაშანგ ჩიჩუას პირადი ადიუტანტი!.. შენთვის კი მარადჟამს კოსტა, ბადუს ჭირიმე!

— სასიამოვნოა! თავდაპირველად ვერ გიცანით... — ენა აუბორძიკდა ბადუს, ხელი ჩამოართვა, სწრაფად შებრუნდა და წასასვლელად გამზადებულ ეტლში შეასწრო.

კოსტა მოურიდებლად მიჰყვა და წინა მერხზე მოკალათდა.

— ძალიან გამახარე, ბადუს ჭირიმე, გადავირიე სიხარულით...

— შინ როგორ არიან? — შეეკითხა ბადუ.

— ნახავ, ნახავ, ბადუს ჭირიმე, ყველაფერს ნახავ... ისე, რა ამბავია თბილისში? იქაური გოგოები ხომ არიან კარგად?

— არა უშავთ რა, ღვთის მადლით.

არ სიამოვნებდა საუბრის ფამილარული კილო, მაგრამ ძალაუნებურად აჰყვა. კოსტა წინ გადმოიხარა, ბადუს მუხლზე ხელი დაადო და ხმას დაუწია:

— რა ამბები იყო, რა ამბები, ბადუს ჭირიმე, ხალხი გაგვიაბრაგდა, ძმაო! ახლაც ტყე-ღრეში დაეხეტებიან, მაგათგან მოსვენება აღარა გვაქვს. ძალიან დაიღალა ჩემი პატრონი, ხორცი სულ ჩამოყარა, ცარიელი ძვალი და ტყავია, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრადაა... აუარებელი ხალხი დაიღუპა, ძმაო, აუარებელი...

ბადუს გული შეუტოკდა:

— ჩვენები ხომ კარგად არიან?

— აბა, რა, ჯიმა!.. გენერალს შენი ნახვა გაუხარდება, აგერ ნახე, რა წვეულება გაგიმართოს... ისეთი წვეულება იცის მერე, იფ!.. — თითები დაიკოცნა პოდპორუჩიკმა. — ყველაფერი იქნება, ტანციობა, ფლირტი და მისთანები... მერე გენერალმა როგორ იცის, იფ, იფ!.. მოკლედ, კულტურა, ძმაო, კულტურა!..

— თავისებური მოხუცია, — კვერი დაუკრა ბადუმ.

— ისე, თბილისური ამბებისა რა ვიცი და, აქ აირია მონასტერი. — აჩურჩულდა კოსტა. — ფრთხილად იყავი, რამე ცუდ საქმეში არ ჩაგითრიონ. ახლა აქ ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს, ათასი ოხერი და მუდრეგი დაგეხვევა, კალთებს ჩამოგახევს. ძმურად გირჩევ, თორემ, აბა, ამდენი სად ვიცი. ჩემი უნივერსიტეტი სემინარიით დამთავრდა, მეტზე მამაჩემს ფული არ ეყო. კმარაო, მითხრა და ცხოვრების ორომტრიალში მომისროლა. ეს სამხრეები სულ გენერლის წყალობაა. ბევრი ვიჯახირე, სანამ აქნობამდე ავაღწიე. ცხოვრების ინჩიბინჩი მეც გამეგება, ჭკვიანი კაცისათვის ჩემი რჩევაც რაღაცად ღირს, ასე არაა?

— დიახ, — ბადუს უნდოდა ეთქვა, რომ ის არავის რჩევას არ საჭიროებს, მაგრამ გაჩუმება არჩია.

ოხაჩქუეს ცენტრში ჯერ კიდევ სიზმრები დაძრწოდნენ. თითო-ოროლა დიასახლისიღა დალანდა ბადუმ, დილაადრიან მიიჩქაროდნენ ბაზრისაკენ.

ქალაქი ერთბაშად მოთავდა. გზა ძველი ჭადრების ხეივანში გადიოდა. ცხენების ფლოქვები რაკუნებდნენ ქვაფენილზე და ბადუს კინაღამ ისევ წასძლია ძილმა.

— მოვედით! — წამოიძახა კოსტამ.

ეტლი რკინის ალაყაფის კართან იდგა. გისოსშემოვლებული ბაღის სიღრმეში ჩიჩუების თეთრი სასახლე მოჩანდა.

ბადუს გულმა არ მოუთმინა; არ დაუცადა, სანამ კოსტა და მეეტლე ალაყაფის კარს გააღებდნენ, აჩქარებული ნაბიჯით პარმაღისაკენ გაეშურა.

სუსტმა შეკივლებამ გააჩერა. მისკენ ხელებგაშლილი დედაბერი მოფამფალებდა.

— ბადუ, ბადუია ნანა, სქანი გოლუაფირო, ნანა!.. — მორბოდა და მოთქვამდა მოხუცი ქალი.

სიბერისაგან დამჩაჩული მისი სახე ხელისგულში ჩაეტეოდა; ისეთი კაფანდარა იყო, ნიავს რომ დაებერა, ალბათ წაიღებდა.

— ბადუია, ჩქიმი ბადუ, — შეჩერდა დედაბერი ჭაბუკის წინ და ორივე მუშტი მკერდზე მიიკრა, თითქოს გული უპირებდა საგულედან ამოხტომას. ცრემლი სდიოდა და სულს ძლივს ითქვამდა.

— ძიძა, ჩემი ძიძა! — ბადუს მკლავებში ჩაიკარგა პატარა დედაბერი. — როგორ დამბერებიხარ, ძიძა, საყვარელო!

— ბადუია, ჩქიმი ბადუ, — ჩიფჩიფებდა მოხუცი ძიძა, — ქუგგალე სქუა, ქუგგალე... — მღელვარებისაგან ძალაწართმე-

ული მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა.

— დამშვიდდი, ძიძა, ბადუც მოასვენე, ნამგზავრია, დაიღლებოდა... — ყმაწვილი ქალი მშვიდი, აუღელვებელი ხმით ლაპარაკობდა და ბადუ მისკენ მიბრუნდა.

— გამარჯობა, თეკო!

თეკომ მისი ხელი აიღო და უბრალოდ თქვა:

— უსაზღვროდ მადლიერი ვარ, ბადუ, რომ არ დააყოვნე.

— ყოველთვის მეგობრად მიგულე, თეკო!

— ეჭვიც არ მეპარება.

„როგორ დამშვენებულა!“ — გაიფიქრა ბადუმ, როცა ხელზე საკოცნელად იხრებოდა.

ამ დროს მოუსწრო კოსტამ, თვალი ჩაუკრა.

— ხომ არ დაგვიწყებიათ ერთმანეთი?

— რა დამავიწყებდა? — სახეზე დაბნეულობა დაეტყო ბადუს.

— დიახაც! — ამრეზით წარმოთქვა თეკომ.

პოდპორუჩიკმა ყური არ ათხოვა ქალიშვილის გამომწვევ კილოს.

— წავალ, შევატყობინებ გენერალს!

— ცუდი კაცი არ უნდა იყოს, — ყოყმანით თქვა ბადუმ, კოსტა რომ გაშორდა.

თეკომ ზიზღით შეარხია მხრები.

ბადუ ძიძას მიუბრუნდა, დედაბერი ცრემლიან თვალებს არ აშორებდა.

— დამიბერდი ხომ, ძიძავ, სულ დამიბერდი? მე კი შენთვის ერთი ბებერი ნემეცი მყავს გამონახული.

— ქუგგალე, სქუა, ქუგგალე! — ძიძამ მკერდზე სასოებით აკოცა, მერე ლოყაზე იტკიცა ხელი. — სულ გადამავიწყდა მე გამოჩერჩეტებულს! შენთვის ჭვიშტარს ვაცხობდი, სქუა! — წაიჩიფჩიფა და სახლისაკენ წაცუხცუდა.

ახალგაზრდებს გაეცინათ.

— წავიდეთ, ბიძია არვაშანგიც გელის ალბათ! — თეკომ მკლავზე ხელი გამოსდო და აუჩქარებლად გაემართნენ პარმაღისაკენ, საიდანაც ცნობისმოყვარე მსახურები დამფრთხალი ცხვრებივით დაიფანტნენ.

III

— ბედნიერი ვარ, რომ კარგად ყოფილხარ. შენმა დეპეშამ ისე შემაშინა... — ბადუმ ხელი შეაშველა. ქვის ფართო კიბეზე აუჩქარებლად ადიოდნენ. — აქამდე ვერ მოვახერხე ჩამოსვლა, სამსახურის რუტინამ ჩამითრია, მაგრამ ჩვენი ბავშვობა არასოდეს დამვიწყებია...

თეკომ ბედნიერი ღიმილი შემოანათა, თუმცა ბადუმ ქალის თვალებში ადრევე შეამჩნია იდუმალი სევდა.

— ვნანობ კიდეც, რომ ავჩქარდი, — თეკომ ხელზე მეგობრულად მოუჭირა, — არც კი ვიცი, რითი დამეხმარები, მაგრამ ისე მარტო ვარ... ბიძია არვაშანგს სიტყვას ვერ შევბედავ... ვიცი, ჩემს გასაჭირს ყურადღების ღირსად არც კი მიიჩნევს... ჩემთვის კი...

თეკომ მკერდზე ხელი მიიდო, სიტყვა გაწყვიტა, რადგან კიბე აათავეს.

კიბის თავზე ლივრეიანი ლაქია იდგა და მათ უცდიდა.

— არვაშანგ ბიძია კაბინეტშია?

— Да-с! — თავი დაუკრა ლაქიამ. — Они просили подождать-с!

— ეს ძაკუევიჩია, — გააცნო ქალმა ბადუს, — გენერალს ორიოდე წელი ჰყავდა პეტერბურგში და იქ გაიწაფა რუსულსა და ლაქიობაში.

ლაქიამ მუხის მძიმე კარი გამოაღო, ქალ-ვაჟი წინ გაატარა. ვრცელ, მარმარილოს სვეტებიან დარბაზში არავინ დახვდათ.

— აქ მოვიცადოთ, — თეკომ სავარძლებისკენ წაიყვანა.

სპილოს ძვლით ინკრუსტირებულ დაბალ მაგიდას მიუსხდნენ.

ლაქია წელში ოდნავ მოხრილი იდგა შორიახლო და ბრძანებას ელოდა.

— მამაშენს რა ერქვა, ძმობილო? — შეეკითხა ბადუ, რადგანაც აზრი გაუწყდა და არ იცოდა, კვლავ როგორ წამოეწყო თეკოსთან საუბარი.

— Дзаку - с!

— მაგრამ მე გამიგონია, რომ ეს ქალის სახელია.

— Ошибка - с! — აუღელვებლად პასუხობდა ლაქია. გადა-

ტეტკილ სახეზე თეთრი წარბ-წამწამი და წყლისფერი თვალები ძლივს ეტყობოდა.

— კარგი, კარგი... ახლა არის ვინმე გენერალთან?

— Гвардии подпоручик-с находятся.

— კარგი, შეგიძლია, წახვიდე!

ლაქიამ თავი დაუკრა და გასასვლელისაკენ გაემართა.

— ორი ფინჯანი შოკოლადი მოგვიტანე! — მიაძახა თეკომ.

— Сию минуту-с!

ლაქია რომ გაუჩინარდა, ბადუმ მხოლოდ მაშინ გაიცინა.

— ოჰო, თქვენ ევროპულად დაგიწყიათ ცხოვრება.

— მოხუცის სურვილი ჩვენთვის კანონია.

— ძალიან ხომ არ დაბერდა?

— იოტისოდენაც არ შეცვლილა, ოღონდ უფრო მოქუფრულია, საავდრო ღრუბელსა ჰგავს. თავდაპირველად, აქ რომ გადავსახლდი, ისე მეშინოდა!.. მერე მივეჩვიე, მგონი ვუყვარვარ კიდეც, ის და მამაჩემი ხომ დიდი მეგობრები იყვნენ.

ბადუ უსმენდა, თან დარბაზს ათვალიერებდა. ჭადრაკულად დაგებული პარკეტი, მარმარილოს სვეტები ორრიგად და იმპერატორის დიდი პორტრეტი კედელზე; გენერალს არ უყვარდა ერთხელ დადგენილის შეცვლა, თუ, რასაკვირველია, ეს მის მიერ იყო დადგენილი.

— მასთან ფრთხილად იყავი, სუბორდინაციას ავადმყოფურად იცავს, ზედმეტად ახლოს არავის გაიკარებს... — ჩურჩულით დაარიგა თეკომ.

ბადუს გაეღიმა.

ქალი მშვენიერი იყო...

ცისფერი თვალები უწყლიანდებოდა; სუფთა, თეთრ სახეზე წამდაუწუმ აწყდებოდა სისხლი; ჩალისფერი თმა გვირგვინად ადგა თავზე.

„ამის მკერდს ჯერ მამაკაცის ხელი არ შეხებია“, — ბადუმ თითქოს მისი ტუჩების გემო იგრძნო. თეკოს გამომწვევ ღიმილს შეეფეთა და დაბნეულობის დასაფარავად იმპერატორის პორტრეტს დაუწყო თვალიერება.

— ეს ისაა, იმპერატორმა რომ აჩუქა?

— არა, ის კაბინეტში უკიდია.

ლაქია შემოვიდა და მაგიდაზე ორი ფინჯანი შოკოლადი დადგა. ბადუმ ერთი აიღო და მოსვა. უხვად დაეშაქრათ. „ესეც პროვინციალიზმი!“ — გაივლო გუნებაში. უნდოდა თეკოსთვის ესიამოვნებინა და შეუქო.

— ცუდ მზარეულს გენერალი არ გაიჩერებს, — თეკომ თავისი ფინჯანი აიღო და მოსვა. მას ტკბილი შოკოლადი უყვარდა.

ბადუმ ფინჯანი დადგა და ქალს მზერა გაუსწორა.

— თეკო, ჩვენ უცხონი არა ვართ. გთხოვ, პირდაპირ მითხრა, რა მოხდა!

თეკოს ლოყები აუღვივდა. მათკენ გვარდიის პოდპორუჩიკი მოდიოდა.

— არსად არ გვეჩქარება, დაისვენე... ნამგზავრი ხარ... — ესღა წასჩურჩულა.

— გენერალი ბოდიშს გიხდით, რომ ამდენი გალოდინათ! — პოდპორუჩიკი ბადუს ებოდიშებოდა, თეკოს კი უტიფარ მზერას არ აცილებდა.

ბადუს მისი თავხედობა არ ესიამოვნა, მაგრამ სიტყვის უთქმელად გავიდა დარბაზიდან.

კართან ძიძას შეეჩეხა. ფქვილში ამოგანგლული ხელები წინ გაეწვდინა და სამზარეულოსაკენ მიცუხცუხებდა.

— ქუგგალე, სქუა, ქუგგალე, — წაიჩიფჩიფა და გზა განაგრძო. ბადუს გული სითბოთი აევსო და პოდპორუჩიკის უტიფრობა გადაავიწყდა.

გრძელი დერეფნის ბოლოს კარზე დააკაკუნა.

— Да, да !— შემოესმა. კარი შეაღო. რატომღაც მუხლები უთრთოდა... აქაც არაფერი შეცვლილიყო. მძიმე საწერი მაგიდა, ბრინჯაოს მასიური სამელნე, წიგნის ჟოლოსფერი კარადა, იმპერატორის კიდევ ერთი პორტრეტი მაგიდის ზევით (ალბათ ის, ნაჩუქარი), კედელში ჩატანებული ფოლადის სეიფი და ძვირფასი ხალიჩა იატაკზე.

გენერალი არვაშანგი საწერი მაგიდის უკან იდგა და ერთგვარი გაკვირვებით შეჰყურებდა კაბინეტში შემოსულ პეწენიკა ჩინოვნიკს. გენერლის მეხსიერებაში ჯერაც ცოცხლობდა პირ-

მშვენიერი ჭაბუკი. ამ რამდენიმე წელიწადში, რაც ბადუმ სამსახური დაიწყო, მისგან ბრგე და ღონიერი ვაჟკაცი დამდგარიყო (მართალია, ჩუჩუბა აჩნდა ცოტათი უკვე...). თვალები შერჩენოდა წინანდელი ბადუს, რბილი და ხავერდოვანი, ღიმილის მანერაც, თითქოს ნახევარი ტუჩით იღიმებოდა.

— გამარჯობა, შვილო, — წარმოთქვა დიდმა თავადმა, — მომიახლოვდი!

ბადუმ რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა და გაჩერდა. ეგონა, როგორც კი შევიდოდა, თამამად მიეჭრებოდა, კისერზე შემოეჭდობოდა, მაგრამ გენერალი შეცვლილიყო. ის უფრო პატარა და უღონო მოეჩვენა ბადუს. სახეზე მეტი ნაოჭი აჩნდა. წინანდელი იყო მხოლოდ მისი განუმეორებელი, მკაცრი თვალები.

ჭაბუკს საკუთარი სისუსტისა შერცხვა, უნებური თრთოლვის დაოკებას შეეცადა. გენერალი ფეხზე იდგა. ბადუმ თავს ძალა დაატანა, მიუახლოვდა, ლოყაზე ტუჩებით ოდნავ შეეხო.

— როგორ ბრძანდებით, ბიძია არვაშანგ?

— ძველებურად, ძველებურად, ჩემო ბიჭო. დაჯექი, მიამბე, როგორ ცხოვრობ, რას აკეთებ?

გენერალი დაჯდა და ბადუსაც ანიშნა, დაბრძანდიო. ჭაბუკი ფრთხილად ჩამოჯდა სკამის ძგიდეზე და ხელები მუხლებზე დაიწყო.

— გმადლობთ, ბიძია არვაშანგ! თქვენი წყალობით არაფერი მომკლებია და არც მე დამიკარგავს უქმად დრო...

— თბილისში რა ამბებია?

— ბევრი სიახლეა. ახალგაზრდებში ხმა დადის, მოწინავე ინტელიგენცია უნივერსიტეტის დაარსებას ცდილობსო. თურმე იმპერატორს პეტიცია გაუგზავნეს...

— ჩვენ უნივერსიტეტი არ გვჭირდება, — მოიღუშა გენერალი, — ისედაც ვერ მოგვითოკია ახლანდელი ყმაწვილკაცობა.

ბადუს უნდოდა შეჰკამათებოდა, მაგრამ ვერ გაბედა.

— ცოლი ხომ არ შეგირთავს, ბიჭო? — გენერალი მარტო ტუჩებით იღიმებოდა, თვალები კი ისევ ცივად უბზინავდა.

— არა!

— მერედა, რატომ? დრო არ არის თუ?

— არავინ შემყვარებია, — იცრუა ბადუმ.

— ჰმ, დროა, დროა უკვე!

ჭაბუკი გაწითლდა და უხერხულად შეიშმუშნა.

— არა უშავს. თუ პროვინციელებს არ გვიწუნებ, ვინმე შეძლებული თავადის ქალი გამოინახება ოხაჩქუეში. — და მკაცრად დაუმატა: — წადი ახლა და დაისვენე, ნამგზავრი ხარ... ვახშამზე არ დააგვიანო, სტუმრები გვეყოლება!

ბადუ თოფნაკრავივით წამოხტა და კარამდე ძლივს მიაღწია. უცებ მახუტი გაახსენდა და შეჩერდა.

— ბიძია არვაშანგ!

გენერალმა მწყრალი თვალებით შეხედა.

— ბიძია არვაშანგ, მახუტიზე ახალს რას მეტყვი? — ენის ბორძიკით წაილუღლუღა და თვითონვე დაფრთხა. გენერალს სახეზე სიფითრემ გადაჰკრა.

— მიბრძანდი, მიბრძანდი, დაისვენე! — მოწყვეტით უპასუხა და თავი ქაღალდში ჩარგო.

IV

ჯუნა გორაკის თავზე შეჩერდა სულის მოსათქმელად. მოიხედა. ტალახიან გზაზე ეტლი მიყანყალებდა. თვალი მიადევნა, სანამ მოსახვევს მიეფარებოდა.

გზა განაგრძო. ბილიკი უცებ გაქრა. ქვითა და ღორღით მოფენილ ხრიატზე გავიდა. აქა-იქ დაღვლარჭნილი თხმელის ბუჩქებიღა ცოდვილობდნენ. ჯუნა ქვიდან ქვაზე მიხტოდა, ცდილობდა სველი ტოტები აეცდინა წყლით დამძიმებული კაბის კალთებისათვის.

დათქმულ ადგილას ჭიჭე დახვდა. ბიჭი მამაკაცის გაცვეთილ ტყაპუჭში გახვეულიყო და კლდის ძირას ჩასძინებოდა. ჯუნას შეებრალა, მაგრამ გაცივდებაო და ხმადაბლა დაუძახა:

— ჭიჭე, ჯიმაია, ჭიჭე!

ბიჭმა თვალი გაახილა და ქვემოდან ამოხედა.

— მოვიდა? — ჯუნას გული შეუტოკდა.

ბიჭმა თავი გააქნია.

ჯუნა დამშვიდდა.

— შიგნით რატომ არ შედიხარ?

ბიჭმა არ უპასუხა, ალბათ სიბნელისა შეეშინდა.

— აქ მოუცადე, მე შევალ და ცეცხლს გავაჩაღებ!

ბიჭმა თავი დაუქნია.

ჯუნამ მიდამოს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი. საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. გასამხნევებლად გაუღიმა ძმას, ფრთხილად იყავიო, ანიშნა და თხმელის ტოტები გადასწია. ალღოთი უნდა ევლო. ეკლიანი გლერძი უკაწრავდა სახეს, უფხაჭნიდა ტანსაცმელს; წყლით გაჟინთული ჟვერი წუწავდა... გამოქვაბულის შესასვლელი შორიდან არ ჩანდა, საკმაოდ დაბალი იყო და მისადგომიც ბარდებს დაეფარა. ერთხანს ყოყმანობდა, მერე დაიხარა და შეძვრა. ხელის ფათურით მოძებნა სიბნელეში გაჭიმული მავთული და გაჰყვა. მიდიოდა ნელა, ხელით სინჯავდა ვიწრო ტალანის კედლებსა და ჭერს, ფრთხილობდა, ყურს უგდებდა ყოველგვარ ჩქამს, ნიავის გაფაჩუნებას.

კარგახანს მიდიოდა. ფეხის ხმას ყრუდ იმეორებდა მთელი მიწისქვეშეთი. უკან მიხედვისა ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ გასასვლელი უკვე შორს იყო და ზურგსუკანაც წყვდიადი მეფობდა.

მერე მიხვდა, რომ წელში გასწორება შეიძლებოდა. ხელი აღმართა და ჭერს ვერ მიაწვდინა. კედლებიც სადღაც შორს გაწეულიყო და ჯუნამ თავი კრიამპოზე დაკიდებულად იგრძნო. მაინც არ შეჩერებულა, სანამ მის წინ, ათიოდე ნაბიჯზე ვიაკინთი სვეტი არ აფარფატდა. გული შეუქანდა. იცოდა, მორღვეული ჭერიდან ჩამოსული სინათლე იყო, მაგრამ ყოველ მისვლაზე ისევ და ისევ აშინებდა იმქვეყნიური შუქის ციმციმი.

გაეცინა. თამამად გაემართა სვეტისაკენ. ხელი გაიშვირა და ნებზე წვეთი დაეცა. მაღლა აიხედა. ჩამორღვეულ ჭერში ღრუბლის ნაფლეთი იბოლქვებოდა.

იქვე ქვებით გაწყობილი კერა იყო. კედელთან მიყრილი ფიჩხიდან წვრილი ჩხრიმალი შეარჩია, მერე მოზრდილი ტოტებიც მოაყოლა. ჯიბიდან კვესი და აბედი ამოიღო, გაჰკრა. ჯერ ხრჩოლავდა ნაცრისფერ, მძიმე, გრაგნილ ბოლქვებად, მერე წითელი ენა ამოვარდა, სინათლე და სითბო მოიტანა.

ჯუნამ მუხლებზე ხელები შემოიჭდო, ნიკაპით დაეყრდნო და ცეცხლს მიაცქერდა. აზრი ხან კვამლივით ზოზინებდა, ხან კი ალივით აპრიალდებოდა. იგი მახუტიზე ფიქრობდა, მთელი სიცოცხლე მხოლოდ მახუტიზე ფიქრობდა, მაგრამ შეხვედრის მოლოდინში მოსვენებას მაინც კარგავდა.

სითბო დევნიდა ნესტსა და სიცივეს. ჯუნას გააჟრჟოლა.

კოცონი გაძლიერდა. მსუბუქი, მოცისფრო კვამლი ხანდახან სახეზე ეფინებოდა, სუნთქვას უკრავდა, თვალებს ცრემლით უვსებდა. სველ ტანსაცმელზე ორთქლი ასდინდა. დასცხა და იძულებული გახდა, კოცონს მოშორებოდა.

სტვენა შემოიჭრა მიწისქვეშეთში.

გრძელ ტალანში ფრთხილი ნაბიჯის ხმა გაისმა.

სიბნელეში ვერაფერს არჩევდა და აღელვებულს სული კბილით ეჭირა.

ტალანის სიღრმეში ჯერ უფორმო ლანდი ამოძრავდა, მერე თანდათან გამოეყო სიშავეს და კოცონის სინათლეზე გამოიკვეთა ის, ვისაც ჯუნა ელოდა. ქალმა ნაბიჯი წარსდგა. უნდოდა წარმოეთქვა მისი სახელი, მაგრამ მხოლოდ ყელში გაჩხერილი ბურთი გადაყლაპა. მოსულმა ხელი გაუწოდა, მცირე ხანს გააჩერა თავის ხელში ქალის თბილი თითები. ქალს მოეჩვენა, რომ კაცი მისკენ იხრებოდა და თავი ასწია, რათა კოცნა შეეგებებინა. კაცს თითქოს შერცხვა უცოდველი ალერსისა, ამოიხვნეშა და ქალის თითებს ხელი უშვა. ნაბადი კუთხეში მიაგდო, სველი ყაბალახი მოიხსნა და ცეცხლის პირას გაფინა. თმა შეისწორა, ლოდზე ჩამოჯდა და მხოლოდ ახლა შეხედა პირისპირ ჯუნას, რომელიც კერიის მეორე მხარეს ჩაცუცქდა.

— ჭიჭეს შესცივდება, — დუმილი დაარღვია ჯუნამ.

— რა ამბავი მოიტანე? — თითქოს არც გაუგონიაო, პირქუშად შეეკითხა ჭაბუკი.

ჯუნამ ფიჩოჩხი მოტეხა და ნაცარზე სასაცილო ტიკინების ხატვას შეუდგა.

— ყველაფერი დადასტურდა, — თავაუღებლად წაიჩურჩულა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. ჯუნა ვერ ბედავდა ხმის ამოღებას, ჭაბუკს თავზე ხელები შემოეწყო და ცეცხლს მისშტერებო-

და... წვერი წამოზრდოდა, თვალის უპეები ჩაშავებოდა, ბაგეთა კუთხეებში ნაოჭი გასჩენოდა.

— ავავაი, სისხლის დღე მოგვადგა ისევ კარზე... — მწუხარებით ჩაიდუდუნა.

ჯუნას თვალებში ცრემლი აუბრწყინდა.

— მეშინია, — შეეპასუხა.

ჭაბუკი ადგა, გაიარ-გამოიარა. სიბნელეში უჩინარდებოდა, მერე კი ისევ სინათლეზე გამოდიოდა და ფეხის ხმის ექო მრავალგზის მეორდებოდა.

ბოლთის ცემა შეწყვიტა და ისევ ჩამოჯდა.

— ჯუნა მე ვიცი, რასაც ფიქრობ... — ხმაში სინაზე იგრძნობოდა და ჯუნას გულზე სითბო მოაწვა, — შენ, ალბათ, გგონია, რომ საგულეში ყინულის ნატეხი მიდევს... არაფერი მათბობს... ჩემი თვალები არასოდეს ტირიან...

— მახუტი... — ხმა ჩაუწყდა ჯუნას, ნელა შემოუარა კოცონს, თითქოს ეშინოდა, მუხლებს არ ემტყუნა. ჭაბუკის ზურგს უკან გაჩერდა და ორივე ხელით მის მხრებს დაეყრდნო, — მახუტი... — გაიმეორა და მეტი არაფერი თქვა.

— მე კი სევდა შემომეპარა, — გაუპარსავი ლოყით მიეხახუნა ქალის ხელის ზურგს.

— მახუტი, — ჩაიჩურჩულა ჯუნამ და თვალზე ისევ ცრემლი მოადგა.

— ისეთი წინათგრძნობა მაქვს, ჯუნა, თითქოს კლდეზე ვკიდივარ. საკმარისია ნაბიჯი გადავდგა, ქვა დაგორდება, ზვავს ჩაიყოლებს და მეც თან ჩამიტანს...

— ნუ, ნუ, მახუტი, ნუ მაშინებ, გეთაყვა, — გული შეეკუმშა ჯუნას, თითები თვალებზე ააფარა, თითქოს მის დაძინებას და სევდისაგან განკურნებას ცდილობდა.

— შენ რომ სხვა ამბავი მოგეტანა... — მის ხმაში მუდარა მოისმა და ჯუნამ ხელი უშვა.

— სამწუხაროდ, ყველაფერი დადასტურდა! — რატომღაც უკმაყოფილება იგრძნო, ჭაბუკს მოშორდა და წინანდელ ადგილას ჩაცუცქდა.

მახუტი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა. უკუნში უჩინარი ექო

აჰყვა ფეხის ხმას და დაირღვა მიწისქვეშეთის მყუდროება. ჯუნა თვალს ადევნებდა ჭაბუკს. ცდილობდა გამოეცნო, თუ რა ხდებოდა მის სულში...

მახუტი კვლავ ლოდზე დაეშვა, ცეცხლის პირას გაფენილი ყაბალახი გადააბრუნა.

— ბოლო დროს ეჭვიანობა დამჩემდა. რაზე არ ვფიქრობ, რა არ მაეჭვებს... ვაითუ, ვაითუ... — ყოყმანით გააგრძელა.

— ეს მხოლოდ წუთიერი სისუსტეა, მახუტი, — მოუთმენლად შეაწყვეტინა ჯუნამ.

— განა მე არა მაქვს უფლება, ხანდახან ვიყო სუსტი? — დარდიანად შეეპასუხა ჭაბუკი. — ფიქრმა დამტანჯა... ამდენი სისხლი დაიღვარა, ამდენი სიცოცხლე წაიღო... ცხოვრებაში კი ისედაც ყველაფერი სუსტი ძაფებითაა გადაბმული, წამდაუწუმ წყდება... ვაითუ სიმართლე მრავალნაირია, მაშინ ხომ ბრმა აღმოჩნდება ის, რასაც სიკეთეს ვეძახით...

— დამშვიდდი, მახუტი, დამშვიდდი, — აფორიაქებული ჯუნა ვერ ისვენებდა, — გულის ძარღვებს ნუ დაიწყვეტ, იმ კაცის სიბრალული გალაპარაკებს ამდენს...

— სიბრალული? მერე სად შემიძლია, ვინმე შევიბრალო?

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მახუტი მოქუფრული იჯდა, ალის ანარეკლი სახეზე ეფინებოდა და თავის ასაკზე ხნიერი ჩანდა...

— ეგებ შეცდომაა ყველაფერი, ეგებ არაა იგი დამნაშავე?

ქალმა მხრები აიჩეჩა და ცეცხლს შეუჩუჩხუნა.

სიჩუმე გაჭიანურდა.

მახუტიმ თავი აიღო, სახეზე ხელი ჩამოისვა, თითქოს ობობას ქსელს იშორებსო.

— მოხდეს, რაც მოსახდენია, — ჩაიდუდუნა.

შინაგანი ტკივილის კვალი თანდათან წაეშალა სახეზე. ბაგეები მკაცრად მოეკუმა, თვალებში სიცივე ჩაუდგა, შუბლი ნაოჭებით დაექსელა.

— ჭიჭეს მოუხმე!

— არ მინდა, ბიჭმა იცოდეს, — აჩქარებით შეეპასუხა ქალი.

— ჯუნა, — წაიჩურჩულა მახუტიმ და მის ხმაში ქალმა ისევ სითბო იგრძნო, თუმცა თვალებში კვლავ სიმკაცრე უკიაფებდა,

— განა შენ არ ჩამითრიე თავდაპირველად? შენმა სიყვარულმა გადამადგმევინა პირველი ნაბიჯი... გახსოვს, ის პირველი კრება? მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რა მოჰყვებოდა ჩემს ნაბიჯს... ახლაც აუღელვებლად ვერ ვიხსენებ იმ ბნელ ღამეს, ოხაჩქუეს განაპირას ჯარგვალში რომ შემაპარე. ჩვეულებრივ ამბებზე ვლაპარაკობდით, მე კი მეგონა, მეორე დღეს ქუჩაში გავიდოდი თუ არა, სტრაჟნიკი მტაცებდა ხელს... ჩვენც თხუთმეტისანი ვიყავით მაშინ!

— ახლა სხვა დროა!

— მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ჯუნა, ახლა მართლაც სხვა ჟამი დადგა... ლანდებივით ბნელ ღამეში დავფათურობდით ხელის ცეცებით, ხან გავაგნებდით, ხან ავცდებოდით სწორ გზას... ბრძოლისა და დამარცხების წლებმა სიფხიზლეს მიგვაჩვია. ახლა ბავშვობამაც ადრე უნდა გაიაროს. ასეა საჭირო. ჩვენ ცოტანი ვართ და ამიტომაა ასე საჭირო... მოუხმე ჭიჭეს!

— მე აქ ვარ! — მოისმა ბიჭის ხმა ბნელი ტალანიდან.

ნელა გამოეყო სიბნელეს, ცეცხლს მიუჯდა.

— გარეთ ძალიან ცივა, — მორიდებით თქვა, ცეცხლის ალს მიაჩერდა.

დუმილი ჩამოვარდა.

ჯუნა მოკუნტული იჯდა.

— ვიცი, რომ მამაცი ბიჭი ხარ, — დინჯად მიმართა მახუტიმ, — ხომ ხედავ, მარტო მე და ჯუმა შევრჩით საქმეს... სხვა გზა არაა, შენც უნდა აგვიბა მხარი.

— რაც გინდა, ის დამავალე, მახუტი ჯიჯი!.. სადაც გინდა, იქ წავალ!.. რასაც მეტყვი, იმას გავაკეთებ, თუ გინდა, ხურჩას გავცურავ...

— მჯერა, მჯერა, ჩემო ჭიჭე!

კოცონი შენელდა. დარბაზის კუთხეებში სიბნელე შემოიპარა და ცეცხლის გარშემო მყოფთ თხელი კალთა მოაფარა. ბნელი ტალანებიდან დაჰბერა სუსტმა ნიავმა, ხავსისა და ნესტის სუნი მოიტანა. უცნაური ბუყბუყი გაისმოდა ფეხქვეშ და ნინველის გულში უნებლიე შიში იპარებოდა.

— მიამბე, როგორ მოგიკლეს მამა!

— მახუტი! — აღმოხდა ჯუნას.

— საჭიროა! — მკაცრად გააწყვეტინა ჭაბუკმა.

სამივე თავდახრილი უჯდა კოცონს, სიბნელე ხან უახლოვდებოდა, ხან შორდებოდა მათ.

— იმ დღეს... — ხმა აუკანკალდა ბიჭს, — იმ დღეს ცხენებით მოთქრიალდნენ... — თვალი ცრემლით აევსო, ამოიოხრა და უფრო მტკიცე ხმით განაგრძო: — მამას ციებამ შეუტია და იწვა, აბოდებდა... პირდაპირ მის საწოლთან მიიჭრნენ. ორმა მკლავები გადამიგრიხა... მამა ლოგინიდან წამოაგდეს და საცვლების ამარა, მუშტის კვრით კარში გააგდეს. ფეხზე ვერ დგებოდა, მუხლები უძაგძაგებდა, — ბიჭს ხმა ჩაუწყდა, ძლივს წაიჩურჩულა, — მუხლები უძაგძაგებდა...

ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და სახეს სიბნელეში მალავდა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯუნა უხმოდ ტიროდა. მახუტი თავს ძლივს იკავებდა. ბოლოს ნაძალადევი ალერსით ბიჭს მხარზე ხელი წაჰკრა.

— მერე ხელები გაუკრეს და თოკის ბოლო ერთ მხედარს მისცეს, — განაგრძო ჭიჭემ ხმადაბლა, — ჯერ ნელა მიდიოდნენ და მამა ძუნძულით მისდევდა უკან... გამოვეკიდე... ჩამოვრჩი... სულ უფრო და უფრო უმატებდნენ სისწრაფეს... ვხედავდი, როგორ დაეცა მამა, როგორ გაათრიეს მონიჭყულ გზაზე... ვხედავდი...

ბიჭი უკვე არ ტიროდა. ცრემლის ბოლო წვეთი ღაწვზე უციმციმებდა.

დიდხანს ვერ ბედავდნენ სიჩუმის დარღვევას. ხანდახან გუმბათიდან ჩამოვარდნილი წვეთი თუ გაიწკაპუნებდა, ან ღამურას სუსტი წრიპინი მოაღწევდა საიდანღაც.

— მაპატიე, ჭიჭე, გული გატკინე! — დუმილი დაარღვია მახუტიმ. — დამიჯერე, სიბოროტით არ მომსვლია.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მდუმარება დიდხანს გაგრძელდა. კოცონი თანდათან ჩაიფერფლა. სიბნელე მოცოცდა ყოველი მხრიდან, გარს შემოერტყა მიშრეტილ კერიასთან მჯდარ სამეულს. ნიავის სუსტ ფაჩუნს ხანდახან ჭერიდან მოწყვეტილი წვეთის წკაპუნი თუ არღვევდა.

ჯუნას ბაგე ჩაეკვნიტა და თავის აწევის ეშინოდა. ჭიჭეს ლოყაზე ცრემლის წვეთი მიჰყინვოდა. ბიჭს უკუნისთვის მიეპყრო მზერა. ტუჩები ოდნავ უცახცახებდა, თითქოს რაღაცის თქმას ეპირებოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა.

მახუტიმ თავი ასწია. მოქუფრული მზერა შეავლო და-ძმას.

— უფალმა იცის, ცუდი არავისთვის მინატრია, მაგრამ დაღუპულთა სისხლი შურისძიებას მოითხოვს... ვფიცავ, მოღალატე ვერ იხილავს დილის ნათელს!

ყაბალახსა და ნაბადს წამოავლო ხელი, ბნელში გაუჩინარდა.

V

ბადუ დიდხანს ნებივრობდა აბაზანაში. კიდევ უფრო დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ. თეთრი, ქათქათა პერანგი ჩაიცვა. უნაბისფერი ჰალსტუხი შეირჩია და კოხტად გაინასკვა. სმოკინგიც კარგად მოერგო.

გენერლის გაწვრთნილი ლაქია სმოკინგის სახელოს მონდომებით აცლიდა არარსებულ ბეწვს და წელში აღტაცებით იკაკვებოდა.

დერეფანში ისევ ძიძას შეეჩეხა. ძიძამ შეშინებული თვალები მიაპყრო, უმალვე იცნო და დამშვიდდა.

— ჩემი ნაცხობი ჭვიშტარი თუ იგემე, გოლუაფირო?

ბადუმ ვერ გაიხსენა, იყო თუ არა სადილზე ჭვიშტარი, ძიძის წყენინება არ უნდოდა და მხარზე ხელი მოჰხვია.

— კინაღამ თითები ჩავიკვნიტე, ისეთი გემრიელი იყო.

ძიძის სახეზე ბედნიერმა ღიმილმა ნაოჭების ქსელი დაბლანდა.

— ქუგგალე, სქუა, ქუგგალე, — წაიჩიფჩიფა.

სამზარეულოში შემწვარი გოჭის სუნი ტრიალებდა და შიგ შეიხედა. პატარა გოგონა კუთხეში მიმჯდარიყო და ფართო გობში ხახვს ალყად ჭრიდა. შავტუხა მზარეული წამოხტა, კბილების ღობე გამოაჩინა.

— რა გქვია, ძმობილო? — შეეკითხა ბადუ, თან ქვაბს თავი მოჰხადა და ჩაიხედა. ქვაბიდან მოხარშული ხორცის სუნი ამოვარდა.

— ბიჭიკო, ბატონო!

— მერედა, ამოდენა კაცს ბიჭიკო გქვია?

— რა ვქნა, შევეჩვიე, სქანი ჭირი. ასე მომნათლეს მშობლებმა და...

— შენ რა გქვია, პატარა გოგო? — ბავშვს მიუბრუნდა ბადუ.

ბავშვი დაფრთხა და პირდაღებული უყურებდა ჭაბუკს.

— ყრუ-მუნჯია, არაფერი ესმის, — უთხრა მზარეულმა.

ბადუმ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და სამზარეულოდან გავიდა.

სტუმრების მოსვლამდე დიდი დრო არ რჩებოდა და ბიბლიოთეკას მიაშურა, მანამდე გავერთობიო.

მუხის მძიმე კარადებში სქელი ფოლიანტები ეწყო. წიგნები ჩაათვალიერა, თითიც კი შეახო ოქრონაბეჭდ ყდას. თითი გაუჭუჭყიანდა და ცხვირსახოცით შეიწმინდა.

საწერი მაგიდის ყუთები გამოსწია. ერთში რევოლვერი იპოვა, ყველასაგან მივიწყებული. ლულა გადაუწია. შიგ ერთადერთი ვაზნა იდო.

კარზე დააკაკუნეს. ბადუმ რევოლვერი უკანვე ჩააგდო. ჰალსტუხი გაისწორა. სმოკინგზე დაიხედა, მტვერში ხომ არ გავისვარეო.

კოსტამ შემოიხედა. გვარდიის პოდპორუჩიკს ორიოდე ჭიქა მიერთვა და კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. ბადუს მისი პირგაახეული ღიმილი არ ესიამოვნა.

— ძლივს გიპოვე, ბადუს ჭირიმე, — წაიმღერა კოსტამ, — ქვეყნის ხალხი მოვიდა, შენ კი აი თურმე სად იმალები...

— მოვდივარ, მოვდივარ! — უკმაყოფილოდ უპასუხა ბადუმ. ფანჯრიდან გაიხედა. გარეთ უკვე ჩამობნელებულიყო და გაძლიერებული ქარი ბაღში ტოტებს ლეწდა.

სადარბაზოსთან ჩამოკიდებული კოჭობი რამდენიმე ეტლს იტაცებდა სიბნელიდან. „არვაშანგ ბიძია ამ მხარის ნამდვილი მეფეა!“ — გაიფიქრა და ამ აზრმა სიამოვნება აგრძნობინა.

სვეტებიან დარბაზს რომ მიუახლოვდა, ხალხის ზუზუნი შემოესმა. ბადუ კართან წამით შეყოვნდა. რატომღაც ეუხერხულებოდა, თითქოს თეატრის სცენაზე უნდა გამოსულიყო.

კოსტას სახეზე გამქირდავმა ღიმილმა გაირბინა და ბადუს სიბრაზე მოაწვა: „თავს იგდებს! ერთხელ იქნება, ვუჩვენებ სეირს!“ დარბაზში შესვლისთანავე კარი გაიხურა. გაუხარდა, რომ კოსტაც თან არ შეჰყვა. მძიმე კანდელაბრების სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა და ერთბაშად ვერაფერი გაარჩია.

მართლაცდა საკმაოდ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. სტუმრები ჯგუფებად დანაწილებულიყვნენ და ვის როგორ შეეძლო, ისე ირთობდა თავს.

ერთ კუთხეში ხანში შესული მამაკაცები ისხდნენ, მამაპაპურ ყალიონებს აბოლებდნენ და დინჯად მასლაათობდნენ. უმრავლესობას ქართული ჩოხა-ახალუხი ეცვა და წელზე ვერცხლით მოსავადებული ქამარ-ხანჯალი ერტყა. საპარადო ფორმაში გამოწყობილი ორიოდე ოფიცერი და ამდენივე ჩინოვნიკიც ერია.

იქვე ახლოს პატივცემულ ოჯახთა დიაცები ჭორებით ერთობოდნენ.

ახალგაზრდა თავადიშვილები, ოფიცრები და მოხელეები ფანჯარასთან შეყრილიყვნენ, სადაც თავს აწონებდნენ გასათხოვარ ქალებს. ბადუს გამოცდილმა თვალმა უმალვე დალანდა ორი ლამაზი გოგო. ერთი შავგვრემანი იყო, სვილისფერი და საუცხოო შავ თვალებს მორცხვად ხრიდა; მეორე, სახის თეთრი, ფაქიზი ნაკვთებით ზღაპრის ფერიას ჰგავდა და აშოლტილ ტანს ანარნარებდა. „ნაღდი, სუფთა სისხლის არისტოკრატია!“ — გაიფიქრა ჭაბუკმა.

— ხო, ხო, ხო, რა ვაჟკაცი გაზრდილა, რა ვაჟკაცი!.. აბა, მე თუ მიცანი, ბიჭო, ბიძია კირილე! — ბადუსაკენ როხროხით გამოემართა ხროგი ბერიკაცი; თითო ადლი ულვაში გაეწკვარტა და წვერიც ბღუჯა-ბღუჯა ეკიდა ოთხკუთხა ნიკაპზე.

ბადუმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ბიძია კირილემ დათვივით ჩაბღუჯა და კინაღამ წელი გადაუმსხვრია.

— ვერ მიცანი ხომ? — ბუხუნებდა ბუმბერაზი კაცი.

— კი გიცანით, მაგრამ... — თავს იმართლებდა დაბნეული ბადუ. მთელი დარბაზი მისკენ შემობრუნდა და წუთში ირგვლივ ყველაფერი აირია.

ბიძია კირილეს თავი რომ დააღწია, მეორე ჩოხოსანის ხელში ჩავარდა; მერე ვიღაც მოხელემ გადაკოცნა; პოლიციის ოფიცერი აუცრემლდა მკერდზე და ჰალსტუხი დაუსველა; ოქროს პენსნეიანმა ჩინოვნიკმა კინაღამ დაახრჩო... დანარჩენები კი ბადუს მეხსიერებიდან წარიშალნენ. ის მაინც არ დავიწყებია, როგორ ავიშვიშდნენ გასათხოვარი ქალიშვილების პატრონი მანდილოსნები.

ოფლში გაწუწული ბადუ თეკომ გადაარჩინა; მკლავზე ხელი გაუყარა და ახალგაზრდებისაკენ წაიყვანა. ქალაქის რჩეული ყმაწვილკაცობა რიდითა და პატივისცემით ართმევდა ხელს ბადუს. მის გულს ესალბუნებოდა ყოველი მორიდებული სიტყვა, საერთო ყურადღება, რჩეულის ხვედრ-წილობა. თვითონ, ცხადია, ფიანდაზად ფეხქვეშ არავის ეგებოდა. ყველას ერთნაირი გულგრილობით უწვდიდა ხელს, ისმენდა ახალგაცნობილის სახელს და იქვე ავიწყდებოდა. მხოლოდ ორი ქალწული დაიმახსოვრა; მხოლოდ მათი ხელები ეჭირა ცოტათი უფრო დიდხანს, ვიდრე ამას ზრდილობა მოითხოვდა.

— ძაბული! — უთხრა სვილისფერმა და მაყვალი თვალები შეანათა.

— ბედნიერი ვარ თქვენი გაცნობით! — ბადუს გული გაუკენწლა ქალწულის თვალთა ვნებიანმა სიშავემ.

მაყვლისთვალებამ ჩაიფხუკუნა და თავი დახარა.

— ეკა! — წამქეზებლური ღიმილი შეაგება მეორე გოგონამ.

— ამ სახელთან ერთად მუდამ ეკლიანი ვარდები მახსენდება! — ღიმილითვე უპასუხა ბადუმ.

ყმაწვილკაცებში გიმნაზიის ორი თანაკლასელი აღმოაჩინა და ორივე გადაკოცნა.

— საიდან სადაო? — ხმმაღლა გამოხატავდა სიხარულს გათამამებული ბადუ. — რას შვრებით, როგორა ხართ?

— არა გვიშავს რა, ბედთან საჩივლელი არაფერი გვაქვს! — ცალყბად უპასუხეს ამხანაგებმა.

— სულ არ შეცვლილხართ, თავადო! — უთხრა თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოკვანჭულმა ახალგაზრდამ.

— აბა, რა ვიცი, ჩემო გივი, დროს მაინც თავისი მიაქვს და...

— არა, ნამდვილი თბილისელი გამხდარხართ, — მიესიყ-

ვარულა მეორე. სასამართლოს მოხელის შავი ქურთუკი ეცვა და სათვალე ეკეთა. ბადუმ ძლივს გაიხსენე, რომ ხუტა ერქვა.

— ჩვენი გოგონები მთლად გადაირევიან თქვენზე, თავადო! — შეთქმულივით თვალი ჩაუკრა ხუტამ.

— სხვა რა ამბებია ქვეყნად? — იკითხა გივიმ. — ვცხოვრობთ ამ მიყრუებულ მხარეში და სხვათა ამბები ჩვენამდე არ მოდის.

— მართალია, ჭირიმე, რომ ლისაბონში მეფე მოუკლავთ?! — მოაწვდინა ხმა დარბაზის შორეული კუთხიდან ბიძია კირილემ.

— მართალია, ბიძია კირილე! — გასძახა ბადუმ. — ეტლით მიდიოდა თურმე და თოფები დაახალეს. ისიც და მისი მემკვიდრეც წუთისოფელს გამოასალმეს!

— ტა, ტა, ტა, წახდა ქვეყანა, წახდა, — გაიკვირვა ჟღალწვერიანმა თავადმა, — გაგიგონია, კაცო, დღისით-მზისით მეფე მოკლან? ტა, ტა, ტა...

— ლისაბონა სადღაა, შვილო? — იკითხა ერთმა ჩასუქებულმა ქალმა. იგი არცთუ ისე ხნიერი იყო და ჯერ კიდევ შეეძლო ბადუს მოხიბლვა. — შორსაა აქედან?

— შორსაა, მადამ, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, პორტუგალიაში.

— დიდუ ნანა, მერე შენ იქ იყავი, შვილო?

— არა, მადამ, თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ ამხანაგი ჩამომივიდა საფრანგეთიდან და...

— ჰო, საფრანგეთი ვიცი, ფრანცუცების ქვეყანაა! — დაასკვნა ქალმა.

— ის კი არა და, დიდი მთავრის მოკვლა რომ ნდომებიათ ანარქისტებსა და ბუნტოვშჩიკებს, ის თუ იცით. ერთი სასახლეში შეპარულა... — კვლავ წამოიწყო ბიძია კირილემ.

— ტა, ტა, ტა, წახდა ქვეყანა, წახდა! — შეწუხდა ჟღალწვერება.

— ტყვია და სახრჩობელა, სხვანაირად არ შეიძლება! — კვერი დაუკრა ოფიცერმა, ამას წინათ ბადუს მკერდზე გულჩვილად რომ იცრემლებოდა. ოფიცერს ცხვირზე უშველებელი მეჭეჭი აჯდა.

ბადუმ მათ ზურგი შეაქცია და ისევ ახალგაზრდებს მიაშურა.

— ბიჭებო, ის თუ გახსოვთ, ჩვენი ბაღიდან ატმებს რომ ვიპარავდით?

ამის გახსენებაზე სამივემ სიცილი ატეხა, რითაც შორიახლო სავარძლებში ჩასკუპებული გოგონების ცნობისმოყვარეობა გააცხოველეს.

— და ღობეზე გივის შარვალმა ფხრეწა გაადინა! — ჩაბჟირდა ხუტა.

გივი გაწითლდა და გოგონებისაკენ მიიხედა.

— მოიგონებ რა? — თქვა უხერხულად და მიამიტურად დაუმატა: — ის კი დაგავიწყდა, მახუტიმ რომ გთეთქვა...

უცებ დარბაზს ჩურჩულის ნიავმა გადაუარა და სიჩუმე ჩამოვარდა. ზღურბლზე გენერლის ადიუტანტი იდგა.

— ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ სუფრასთან!.. მობრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო, მობრძანდით!

დარბაზი ისევ ახმაურდა. მამაკაცებმა ჯერ მანდილოსნები გაატარეს, მერე, ერთმანეთთან დიდი ხვეწნისა და თავპატიჟის შემდეგ, სათითაოდ გაიკრიფნენ სასადილოში, სადაც მუხის დიდი მაგიდა ხორაგისაგან იზნიქებოდა. მხიარული ჟრიამულით მიუსხდნენ სუფრას. აქა-იქ პირფერული ხოტბა გაისმა მასპინძლის მისამართით. გენერალს უკმეხი შუბლი გაეხსნა და თუმცა თვალები, როგორც ყოველთვის, მკაცრად უბზინავდა, ტუჩებით მაინც იღიმებოდა.

— კირილე! — დაუძახა სუფრის თავიდან. — აბა, შენ იცი, როგორ უთამადებ ამ ხალხს. პატივისცემა არ დააკლო, იცოდე!

— არვაშანგის მაგიერ მოვკვდე, გუშინ მთელი დღე ვსვამდი და დღეს ბევრს ვერ დავლევ! — თავი დაიფასა დევკაცმა.

— შენი ამბავი რომ ვიცი, ჩვენ კი დაგვათრობ და...

— კირილეს გაუმარჯოს, კირილეს!.. — მიესივნენ თანამეინახენი და ხმა არ ამოაღებინეს.

— რა გაეწყობა, როგორც თქვენ გესიამოვნებათ! — ფეხზე წამოიწია კირილე. — აბა, შევავსოთ სასმისები!

ბადუმ სუფრას გადახედა. სულ ბოლოს პოდპორუჩიკი მიმჯდარიყო და ვიღაც ლამაზ გოგოს ეჭუკჭუკებოდა.

ბადუს პირდაპირ თეკო იჯდა, მაგრამ ჭაბუკი თვალის შევლებასაც ვერ ბედავდა, რადგან ქალის გვერდით ძაბული და ეკა

მოკალათებულიყვნენ და ბადუს ყოველ გამოხედვას იჭერ-
დნენ... „ეგენი თეკოზე უმცროსებია, — ფიქრობდა ბადუ, —
უფრო ნორჩები, მამაკაცის მკლავებში გული წაუვათ ალბათ...
თეკო კი სხვანაირია... რაღაც არის მასში...“

ქალებზე ფიქრმა სუფრა გადაავიწყა. მეზობელმა იდაყვი
გაჰკრა და ანიშნა, თამადას ყური მიუგდეო. მის სადღეგრძელოს
ამბობდა ბიძია კირილე. ყმაწვილი კაცი წამოდგა, უცოდველი
ბატკანივით შეჰყურებდა თამადას, ფიქრით კი სხვაგან იყო.

— ასი წელი თავი არ წამოგტკიებოდეს, ჩემო ბადუ... —
ბოლო სიტყვებიღა გაიგონა და მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

შექეიფიანებული სტუმრები ხმამაღლა ალიგლიგდნენ.
გენერალი თვითონ არ სვამდა და გულგრილად უსმენდა ყველას.

— ასეც არ შეიძლება, გენერალო! — ჯიჯღინებდა ერთი
ლოყებღაჟღაჟა თავადი. — ასეც არ შეიძლება!.. ნამეტანი
ვიჩაგრებით ქართველი თავადაზნაურობა; განა ჩვენ სხვაზე
ნაკლებად გვიყვარს ხელმწიფე-იმპერატორი?

— შენ რაზე იჩაგრები, ჩემო ჯვებე? — ხმა გადააწვდინა
კირილემ.

— ჩემს თავზე არ მოგახსენებთ, თავადო! — იწყინა ჯვებემ.
— მე ქართველ თავადობაზე შემტკივა გული. ჭავჭავაძოვი
რომ მოგვიკლეს, იმის ადგილას რუსი რატომ აირჩიეს? ერთი
წესიერი თავადი ვერ მოიძებნა?

— აბა, კაცო, აბა, — აჭყივლდა თავისი ადგილიდან ოქროს-
პენსნეიანი და გაცვეთილფრაკიანი ჩინოვნიკი, — ბატონებო,
თქვენ წაიკითხეთ, რას წერდა „ზაკავკაზიე“ ჩვენს თავადო-
ბაზე? ეს ნამდვილი თავხედობაა ამ გაზეთის მხრივ და ჩვენ ეს
ამბავი ასე არ უნდა დავტოვოთ! აი, ჯიბეში მაქვს შენახული და
გახაზული. მომისმინეთ, ბატონებო! — თავისი ხმის იმედი არ
ჰქონდა და წამოდგა, თან ჯიბეებში იქექებოდა და ათასნაირი
ქაღალდის ნაგლეჯი გადაჰქონდა ერთი ჯიბიდან მეორეში.

— დიდი უზრდელი და ბინძური ვინმეა, — გადაუჩურჩუ-
ლა მეზობელმა ბადუს.

ბოლოს ჩინოვნიკმა მოძებნა საჭირო გაზეთი და გულგაწვ-
რილებულ საზოგადოებას წაუკითხა:

— აი, აქ წერია: „ქართველმა თავად-აზნაურობამ არც ერთი
თავისი მოქმედებით არ დაგვიმტკიცა, რომ ის წინააღმდეგია
დღევანდელი ანტი-სახელმწიფოებრივი მოძრაობისა; მან
არავითარი ღონე არ მიიღო რევოლუციის დროს შებრძოლებო-
და სამშობლოს მტერთ და არ დაეხმარა რუსეთის თავად-აზნა-
ურობას სახელმწიფოს ისტორიული საფუძვლების დაცვაში...“
აი, ბატონებო, ისტორიული საფუძვლებისაო, გაგიგონიათ?

— იმას გეუბნებოდით, რომა, — ჯვებემ ზიზღით გადახედა
ხმამყივან ჩინოვნიკს, — თავადი ჭავჭავაძის მაგიერ ისევ
ქართველი უნდა აერჩიათ... ბოლოს და ბოლოს ამას უბრალო
სამართლიანობა მოითხოვს...

— მერე შენ ვისღა შემოგვთავაზებდი, ჩემო ჯვებე? —
საერთო ხმაური დაფარა კირილემ.

— თავადი ერისთავი არ არის ღირსი თუ? — უპასუხა ჯვე-
ბემ და თან ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს ამბობდა, აბა, ვაჟკა-
ცები ხართ და საწინააღმდეგოს იტყვითო.

— როგორ გეკადრებათ, ძვირფასო თავადო! — წამოხტა
მოუსვენარი ჩინოვნიკი. — ჩვენს დროს ერისთავი... ანაქრო-
ნიზმია, — ამ უცხო სიტყვით მოწინააღმდეგე უცებ დაჯაბნა,
— ცხადია, მას მიქელაძე ჯობია!

— ფიე, ის ლიბერალი? — დაიმანჭა ჯვებე.

— ბატონებო, გთხოვთ, მომისმინოთ! — თამადამ დანა
დააკაკუნა თეფშზე.

— თამადას მოვუსმინოთ!.. გაჩუმდით!.. კირილეს აცა-
ლეთ!.. — გაისმა ყოველი მხრიდან.

გენერალმა ბოდიში მოიხადა და წამოდგა. სუფრა დატოვეს
ქალებმა, მერე ყმაწვილკაცებმაც არჩიეს სვეტებიან დარბაზში
გადასვლა. მალე სუფრის ირგვლივ ჭელტი მსმელებიღა დარ-
ჩნენ. ბიძია კირილემაც კი, თავის წონა ღვინოს რომ სვამდა,
უგუნებობა მოიმიზეზა და ფრიად პატივსაცემი თანამდებობა
ცხვირმეჭეჭა ოფიცერს გადააბარა.

სვეტებიან დარბაზში ალიაქოთი იდგა, ოჯახის უფრო-
სები და მათი ჩასუქებული, ფაშფაშა მეუღლეები წინ და უკან
დასეირნობდნენ, ან ჯგუფებად თავშეყრილნი მოურიდებლად

ყაყანებდნენ, ანდა კედლების გასწვრივ დადგმულ სავარძლებს იკავებდნენ.

ახალგაზრდები როიალს შემოეხვივნენ. ყველას უნდოდა ახლახან მოდაში შემოსული არგენტინული ტანგო ეცეკვა, მაგრამ მორცხვობდნენ და ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, მე კი არა, შენ დაუკარიო. თეკო პირველი დათანხმდა და თითები კლავიშებს შეახო. უწყვილოდ დარჩენილმა ბადუმ ეკა გაიწვია. გოგონა ლაღად და მსუბუქად ცეკვავდა. ლოყები შეფაკლოდა და ისეთი მშვენიერი იყო, ამდენი მაყურებელი რომ არა, ბადუ გათავხედდებოდა და საკოცნელად დაიხრებოდა.

— ძალიან მიკვირს, პირდაპირ გაოცებული ვარ... — ალერსით ჩასჩურჩულებდა ბადუ პარტნიორს. გოგონა თვალებს ეშმაკურად ნაბავდა.

— ამ მიყრუებულ პროვინციაში ასეთი ლამაზი ყვავილის არსებობას ვერ წარმოვიდგენდი...

— ეს ყვავილი უეკლო არ არის, თავადო.

— დაე, სისხლი დამდინდეს თითებზე, ეკლებმა დამკაწროს, ოღონდ ერთი ყვავილი მომაწყვეტინა.

— ბევრი გდომებიათ, თავადო, — გაეცინა ეკას, — ვარდი მხოლოდ ერთია, სხვა ყვავილს ეს ბუჩქი არ გამოისხამს.

— თქვენ ისე კარგად ცეკვავთ, რომ სხვასთან ჩემს სიცოცხლეში არ მოვისურვებდი ცეკვას, — ბადუ აგებდა სიტყვიერ ბრძოლას.

— და, მიუხედავად ამისა, ჩემთან ამ საღამოს მეტს არ იცეკვებთ.

— რატომ?

— ჩემს მეგობარს სული მისდის, სანამ თქვენთან იცეკვებს, დიდი ხანია თვალს არ გვაშორებს.

ბადუმ მოიხედა და ძაბული შეამჩნია. მეორე ცეკვას მართლაც იმასთან ცეკვავდა.

„ეს გოგონა ეკაზე სანდომიანია და მგონი დამყოლიც“, — გაიფიქრა ნიშნის მოგებით და ქათინაურების ბადე გაშალა.

ძაბული გალურსული უსმენდა, ბადუ კი ლაპარაკით დაიღალა.

„ალბათ უჭკუოა, ხმასაც იმიტომ არ იღებს“, — ჭაბუკი თავს

იმტვრევდა მორიგ ქათინაურზე და ვერაფერი მოეგონებინა.

— ხმა გამაგონე, ძაბული, რამ დაგამუნჯა?.. შენი ხმის გარეშე ეს მუსიკა ტკბილად არ ჟღერს ჩემთვის.

— ორი კვირის შემდეგ გივის უნდა მივთხოვდე, — მოულოდნელად უთხრა შავთვალწარბამ.

— მომილოცავს! — შეცბუნდა ბადუ...

VI

— აქეთაც მოგვაქციე ყურადღება, ჩემო ბადუ! — არ ისვენებდა ბიძია კირილე.

მამაკაცებმა ისევ კუთხეში მოიყარეს თავი. ზოგი ნარდს თამაშობდა, ზოგი კი ჯვებესა და ჩინოვნიკის კამათს უსმენდა, რაც ერისთავისა და მიქელაძის სიავკარგის ირგვლივ გაიმართა.

სასადილოში ბახუსის მოყვარულებმა „ვოისარაიდა“ წამოიწყეს და მათი ომახიანი ხმა დარბაზშიც ფარავდა უთავბოლო რუზრუზს.

— შენ უკეთ გეცოდინება, ძმობილო, — მიმართა კირილემ ბადუს, — რას ამბობენ პეტერბურგში ფონ-კაუფმანისა და გერასიმოვის დათხოვნაზე?

— ფარული რევოლუციონერები იყვნენო! — გაიხუმრა ბადუმ.

— ტა, ტა, ტა, გაგიგონია? — შეიცხადა ჟღალწვერამ.

— ეს შვარცი ვინღაა? — იკითხა მოხელემ, ვისაც არც პენსნე ეკეთა და ფრაკიც საკმარისი პეწით ეცვა.

— მაგარი კაცი უნდა იყოს! — შენიშნა მთვრალმა ოფიცერმა. იგი აქამდე კუთხეში გაბუტულივით იჯდა და ხმას არ იღებდა. — მაგი არ დაიწყებს ბევრ ლაპარაკს ამ ლაწირაკ სტუდენტებთან...

ბადუმ ახლა ქალებს მიუგდო ყური. მანდილოსნები ჩასუქებული ქალის ირგვლივ შეყრილიყვნენ და გაფაციცებით უსმენდნენ.

— ჩემი თვალით წავიკითხე, გაზეთში ეწერა. ნანაია, რა იყო, რა იყო... — ჟინჟღალ ლოყებს იხოკდა ჩასუქებული. — დაჭრი-

ლი ყოფილა ის უბედური და ვერ აუტანია. ხელში დანა ჩავარდნია და სამჯერ მუცელში ჩაირტყა თურმე...

— დედა, დედა, რაფერ დატანჯულა უბედური! — თანაგრძნობის გამოხატვით ტკბებოდნენ ქალები.

— საშინელ ტანჯვაში მომკვდარა. — არარსებული ცრემლი მოიწმინდა ჩასუქებულმა. — დიდუბის ეკლესიაში ესვენა თურმე, ოცდაერთი გვირგვინი მიუტანიათ...

ბადუმ მეტი ვერ გაუძლო და ისევ ახალგაზრდებთან გადავიდა. ხუტამ სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, ბადუს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა და მიახედა. მოლუშული გივი მარმარილოს სვეტის უკან ძაბულისთან განმარტოებულიყო და გაწითლებულ გოგონას რაღაცას ცხარედ უმტკიცებდა. ბადუმ რატომღაც კმაყოფილება იგრძნო და ხუტას მხარზე მეგობრულად მოუთათუნა.

როიალთან თეკო ეკამ შეცვალა. ქალს უმალ ყმაწვილკაცები დაეხვივნენ, მაგრამ დაღლას იმიზეზებდა და ცეკვაზე უარს ამბობდა. „ვნახოთ, მეც თუ გამაწბილებს“, — ბადუმ ახალგაზრდების წრე გაარღვია და თეკოს თავი დაუკრა.

— დღეს ჩამოვიდა და უარი როგორ ვკადრო? — ტოლებს მოუბოდიშა თეკომ.

მარტონი ცეკვავდნენ დარბაზის შუაგულში და ეკა მხოლოდ მათთვის უკრავდა. „რა კარგად უკრავს? — ფიქრობდა ბადუ. — მართლაც ეღირება ასეთ ქალიშვილზე დაქორწინება, ოღონდ...“

— რაზე ფიქრობ? — შეეკითხა ქალი.

— ამ წუთას? შენზე! მთელი საღამო მხოლოდ შენზე ვფიქრობდი.

— მატყუებ, — ესიამოვნა თეკოს, — ვხედავდი, რომ გოგონები მოგეწონა, ოღონდ ვერ მივხვდი, რომელი უფრო...

— ჯერ ერთი, ესენი მთლად ბავშვები არიან...

— არცთუ ისე...

— მეორეც, ასეთი გოგონები გულზე არ მეხატება.

— როგორი ასეთი? — ვითომდა ვერ მიუხვდა თეკო.

— მე სხვანაირი ბუნების ქალები მომწონს, — ორჭოფულად პასუხობდა ბადუ და თვალებში ჩასცქეროდა, რათა თეკოს მის

მზერაში ამოეკითხა ის, რისი თქმაც აქ არ შეიძლებოდა.

ცეკვასა და საუბარში გართულებმა ვერ შეამჩნიეს, დარბაზში თანდათან როგორ შემოიპარა სიჩუმე. შეწყვიტეს სიმღერა სასადილოში შეყრილმა მემთვრალეებმა. ნარდის მოთამაშეებს გაუშეშდათ ხელები. ქალებს ჭორი შეაშრათ პირზე.

ბადუმ მიმოიხედა. ყველა მათ შეჰყურებდა. მზერით არვაშანგის თვალებს შეეფეთა. ეუცხოვა გენერლის გაფითრებული სახე. რამე ხომ არ დავაშავეო, — გაიფიქრა.

— კაი წყვილია, ჩემმა მზემ! — ორივემ გაიგონა ბიძია კირილეს როყიო ხმა და ორივე აირია.

ბადუმ სავარძლისაკენ წაიყვანა თეკო, თვითონაც იქვე ჩამოჯდა და ნაძალადევი საუბარი გაუბა.

დარბაზი თითქოს განიმუხტა, კვლავ აჩურჩულდა, გათამამდა, ჭორს მისცა სათავე. გააგორეს კამათელი კუთხეში მიმჯდარმა მენარდეებმა. აჭყიპინდა, ცოფი ჰყარა პენსნეიანმა ჩინოვნიკმა. გაუგებარი გახდა, რისი თქმა ეწადა ბოლოს და ბოლოს.

ბადუმ ქურდულად მოიხედა. გივის პირზე ღიმი დასთამაშებდა და ძაბულის რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა. გოგონა მაჭატა ცხვირსახოცში მალავდა სიცილს. ეკა ისევ როიალთან იჯდა, ტუჩაბზუებული მსუბუქ ნოტებს უგულოდ იღებდა.

დარბაზში გენერლის ადიუტანტი შემოვიდა და პირდაპირ არვაშანგისაკენ გაემართა. დიდხანს ჩასჩურჩულებდა რაღაცას ყურთან. გენერალი უსმენდა, თან მკაცრ მზერას არ აშორებდა ბადუსა და თეკოს. ბადუს უხერხულობისაგან დასცხა.

პოდპორუჩიკმა ჩურჩული დაამთავრა და წელში გასწორდა. გენერალი წამოდგა, ორიოდე სიტყვა დაუგდო ბიძია კირილეს, ალბათ მოუბოდიშა და გავიდა.

— მოდი, წავიდეთ აქედან! — სთხოვა ბადუმ თეკოს.

— სტუმრები როგორღა მივატოვო?

— დამღალა ამ ევროპულნარევმა მეგრულმა სპექტაკლმა. — შესჩივლა ჭაბუკმა. — ორიოდე წუთით ჩემთან წავიდეთ. ძალიან გთხოვ, რაღაცა უნდა გითხრა.

ჩუმად გაიარეს დერეფანი. ბადუმ კარი შეაღო და ქალი გაატარა. ქარს ფანჯარა გაეღო და ოთახში ციოდა. „რისი მაქ-

ნისია ლაქია, ამასაც თუ ვერ მიხედავს!“ — ჯავრი მოაწვა ბადუს. ფანჯარა ჩაკეტა. ნელა მობრუნდა, როგორც მსახიობი სცენაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი მონოლოგი აქვს წასაკითხი. შუა ოთახში დადგა თეკოს წინ და ხელები გულზე გადაიჯვარედინა.

— აი, ამ ოთახში მე და მახუტი ვცხოვრობდით! — მის ხმაში ეჭვი იკითხებოდა.

თეკო დუმდა.

ბადუ ფანჯარასთან მივიდა. გვარდიის პოდპორუჩიკი სტუმრებს მიაცილებდა. „უხერხულია, ჩვენ რომ ისინი მივატოვეთ!“ — გაიფიქრა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და ისევ ქალს მიუბრუნდა.

— დეპეშა რომ გამომიგზავნე, ბიძია არვაშანგმა იცოდა?

თეკო შეცბა, ასეთ კითხვას არ მოელოდა. სიცრუეს არ იყო ჩვეული და თავი დაუქნია.

— ჩვენ ორთავეს გვჭირდებოდი, ბადუ, მე და ბიძია არვაშანგს.

— რატომ არ მეუბნებით, სად არის მახუტი?

— ნუ წყრები, ბადუია, — თხოვნით თქვა თეკომ, — თავიდანვე ვერ აგიხსენი... ამ სახლში კარგა ხანია, მასზე არავინ ლაპარაკობს... ან რა გითხრა? არც მე, არც გენერალმა არ ვიცით მისი ადგილსამყოფელი...

— ხუთი წელია, მახუტის ამბავი არ ვიცი. მეგონა, ბიძია არვაშანგი მაინც ეძებდა. რამდენჯერმე მოგწერეთ, გამაგებინეთ, რა ხდება-თქო. თქვენ კი თითქოს პირი შეიკარით...

— ხუთი წელია, ერთხელაც ვერ ჩამოხვედი, თბილისი რა ისე შორსაა, — საყვედური შეაპარა თეკომ.

— ბიძია არვაშანგმა თვითონ მიბრძანა, სანამ სწავლას არ მორჩები და კაცი არ გახდები, ჩვენსკენ ნურც მოიხედავო...

— მახუტის ამბავსაც იმიტომ არ გატყობინებდით, ბიძაშენმა თქვა, იდარდებს და სწავლაზე გულს აიცრუებსო.

— ასე უფრო არ ვიდარდებდი? ვიცი, ღამით გავიდა შინიდან და არ მობრუნებულა... მეტი არაფერი... იქნებ დაიღუპა, ან უჭირს რამე, ამას გარკვევა არ უნდოდა?

— ორი წლის წინათ კვალს მივაგენით. თურმე მრავალი ციხე

გამოუცვლია, ციმბირშიც ყოფილა. შარშან სიზრაანიდან მოგვივიდა ცნობა. გენერალი უმალ გაემგზავრა. სანამ ჩავიდოდა, იმან გაქცევა მოახერხა და ისევ გაქრა. უთხრეს, ეს მერამდენედ გაგვექცაო...

— მადლობა ღმერთს, თუ ცოცხალია. მისი საქმიანობისა რომ ვიცოდეთ, კვალის დადგენაც არ გაჭირდებოდა.

— მეამბოხეა, ოღონდ არ ვიცი, რომელ პარტიას მიეკედლა, ხომ იცი რამდენია... ბოლო ცნობა ორენბურგიდან მოვიდა. სამი თვის წინ იყო ეს ამბავი. ჟანდარმებს დასხლტომია. იქნებ ოხაჩქუეში ჩამოვიდა კიდეც. ბიძია არვაშანგი ისეა განაწყენებული, მისი სახელიც არ გამაგონოთო. მე კი ქალი ვარ, სად ვეძებო?

— ამისთვის მიხმე? — ბადუს გულში ეჭვის ჭია აფუთფუთდა.

— ისე მარტო ვარ! — საწყლად თქვა ქალმა.

— შენ ის გიყვარს! — ყელში ბურთი გაეჩხირა ჭაბუკს.

— არ ვიცი, იქნებ მიყვარს კიდეც. ოღონდ გამოჩნდებოდეს...

ბადუ წამოდგა. თავს ძალა დაატანა, მკლავზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი.

— ნუ გეშინია!

პირში სიმშრალე იგრძნო. დალევა მოუნდა. რა სისულელეა, ვახშამზე უნდა დაელია და გამომთვრალიყო. ახლა დიდი ხნის დაძინებული იქმნებოდა უკვე...

VII

კაცს მთელი ღამე ცუდი სიზმრები აწუხებდა. რისხვითა და შურისძიებით სავსე თვალები დევნიდნენ. გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. საითაც მიბრუნდებოდა, უმალვე მრისხანე თვალებს შეეჩეხებოდა და ისევ გარბოდა.

ათასი ფორმისა და ფერის თვალი რიალებდა ირგვლივ, ირიბი და ბუდეშური, კილოიანი და დაგუდლებული, ჭუტალა და ბუკულა, ჭვრიტი და თვალმაისა, შავი და ცისფერი, ჟღალი და ჭროღა... ათასი ფერისა და ფორმის თვალი რიალებდა ირგვლივ და ზარცემულ კაცს მიწაში ჩაძვრომა ენატრებოდა, ოღონდ კი

თავი დაეღწია მათგან.

ოფლში გაწურულს გამოეღვიძა. მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა, თორემ უთუოდ გაგიჟდებოდა. ნერვებიო, — გაიფიქრა. მართლაცდა, კარგა ხანია, ნერვები არ უვარგა.

ლოგინში ხელი მოაფათურა, სიცარიელე მოსინჯა. მარტო იწვა. ცოლი დილაადრიან წასულიყო. ალბათ ბავშვიც წაიყვანა. სიდედრთან გადავიდოდნენ.

ეს ერთი თვეა, ცოლს ცვლილება შეატყო, ჩამოხმა, ღაწვი ბაიასფერი გაუხდა. თვალებში დარდი ჩასდგომია. ქმართან მარტოდმარტო დარჩენას ერიდება, ხან რას მოიმიზეზებს, ხან რას და მთელ დღეს მშობლების სახლში ატარებს. სადილობის ჟამს გამოივლის ხოლმე; რაიმე შეჭამანდს გააკეთებს, ქმარი შიმშილით რომ არ მოკვდეს. ღამით კი... კაცი გრძნობს, რომ ღამით მის ცოლს არ სძინავს; წევს თვალგახელილი და უხმოდ ტირის.

ეჭვი არ არის, ყველაფერი გაიგო, ვერ შერიგებია მომხდარს. რას იზამ, ოდესმე შეურიგდება, ოღონდ კაცისთვის ახლა აუტანელია მისი დუმილი. ბარემ პირდაპირ უთხრას, რასაც ფიქრობს, პირში მიახალოს. თავს ვერ გაიმართლებს, მაგრამ მათ ურთიერთობას ნათელი მოეფინება და ამან იქნებ შეუმსუბუქოს ტკივილი, იქნებ მშვიდი ძილის საშუალება მიეცეს ბოლოს და ბოლოს.

დიდხანს არ დგებოდა. არ იცოდა, დილიდანვე რა ეკეთებინა. თავს ძალა დაატანა. ადგა, ჩაიცვა, მეორე ოთახში გავიდა. ბავშვი მართლაც დედამისს წაეყვანა. მომცრო ლოგინი აშლილი დახვდა. იქ, სადაც პაწია იწვა, ლეიბი ჩატკეპნილი და სიყვითლეშეპარული იყო. სითბო იგრძნო; თითით შეეხო ჩატკეპნილ ადგილს, უნდოდა, ბავშვის ხავერდოვანი კანი ეგრძნო, მაგრამ ლოგინის სიცივეღა დახვდა. თავი უფრო ეულად იგრძნო, დარდი გაუმძაფრდა.

მამა გაახსენდა, ჭაღარა წვერმოშვებული, მუდამ გაოფლიანებული და მზეზე გადახრუკული, ფართო თოხით მხარზე. სულ რამდენჯერმე ჩამდგარა მამასთან ერთად სიმინდის გასამარგლავად, მაგრამ სიცხისაგან გასავათებულმა ვერც ერთხელ ვერ მიიყვანა სვრელი ბოლომდე. დიდხანს არ შეეძლო მზეზე დგომა და თოხის ქნევა. მამა დამცინავად შეხედავდა, წადი,

ჩრდილში წამოწექიო, — ეტყოდა და თვითონ თავაუღებლივ ატრიალებდა თოხს. წელზე ფეხს იდგამდა, მისი შვილი ტოლებს რომ არ გამოსხლეტოდა.

კაცმა თბილად ჩაიცვა. ამინდს კარგი პირი არ უჩანდა. ლანჩამორღვეული ფეხსაცმელები ძველ გაზეთში შეახვია და სახლის კარი გაიკეტა.

ქუჩა ცარიელი იყო. მარტის უავდრობას ხალხი სახლებში გამოეკეტა.

ცრიდა.

თავჩაღუნული მიდიოდა. ქუდზე ზრიმლი უგროვდებოდა, მერე თითო-თითოდ ეწვეთებოდა საყელოში და კაცს აჟრჟოლებდა.

საყელო შეისწორა და ქურდულად მიმოიხედა. გზაზე აქაიქ ბაზრიდან მომავალი ხალხი გამოჩნდა. ზოგჯერ ვინმე ნაცნობთაგანი ჩაივლიდა. შორიდან შენიშნავდნენ თუ არა, ცხვირს განზე იბრუნებდნენ. თვითონაც თავს არ იღებდა. ცდილობდა, არ შეფეთებოდა დამცინავ, ზიზღნარევ მზერას. ჩაუვლიდნენ, შეჩერდებოდნენ და ზურგიდან შეათვალიერებდნენ. ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა ყველაფერს და ნაბიჯი ერეოდა. ერჩივნა, სადმე გადამალულიყო. მიწაში ხომ ვერ ჩაძვრებოდა, სხვა დასამალი ადგილი კი არ ჩანდა. ნანობდა, სახლიდან რატომ გამოვედიო, ოღონდ როდემდის უნდა გაგრძელებულიყო ყოველივე ეს.

„ყველამ იცის, — ფიქრობდა და გული ეკუმშებოდა, — საიდან, საიდან?“

ჯობდა, საერთოდ მიეტოვებინა ქალაქი და სადმე რუსეთში გადაკარგულიყო... ვინ გაუშვებდა, ან რითი იცხოვრებდა უცხო მხარეში, რას აჭმევდა ცოლ-შვილს?

— ხომ არ დაგეძინა, კაცო? — ვიღაცამ მხარზე ქიმუნჯი ჰკრა. გული გადაუქანდა. შეეცადა, შიში არ დაემჩნია.

— ჰო, ფიქრმა წამიღო... — დამნაშავესავით უპასუხა კაცმა.

მის წინ პოლიციის პრისტავი იდგა.

— ბატონო პეტრე... — დაუმატა და ნაძალადევად გაიღიმა, თან ფიქრობდა, ღმერთო რა გვარია ეს კაციო: ჩიჩუა თუ ჩაჩავა...

— ისე, რავაა საქმეები, ხომ ხარ ცოცხალი? — თანაგრძნობით დაეკითხა პრისტავი.

კაცი გაფითრდა. „რავა ყვავივით დამჩხავის“, — გაუელვა შეწუხებულს. პრისტავთან მთელი ქალაქის თვალწინ საუბარი არ სიამოვნებდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეშორებინა თავიდან.

— ჩემისთანა ახალგაზრდისათვის ნაადრევია სიკვდილზე ფიქრი, ბატონო პეტრე! — შეეცადა ხუმრობის კილოთი ეთქვა.

— გაზეთებს თუ კითხულობ?

— რამე მოხდა თუ?

— რავა არ მოხდებოდა ამ არეულ ქვეყანაში! თბილისში დღისით-მზისით ერთი ქალი იდგა თურმე თავის აივანზე. რაღაც რუსული სახელი ერქვა, დამავიწყდა. მოვიდა სამი უცნობი და ტრა-ტა-ტა, შენი ჭირი წააღებინა. ამბობენ, ის ქალიც აი „ის“ იყოო... — და პრისტავმა მრავალმნიშვნელოვნად ასწია თითი.

კაცი მიხვდა, რომ აი „ის“ გამცემს ნიშნავდა.

გული გაუწვრილდა, სანამ პრისტავი სათქმელს იტყოდა. გამოემშვიდობა და გზა განაგრძო. ბაზრისაკენ უკვე არ სურდა წასვლა, შუა გზიდან დაბრუნებისა კი რცხვენოდა, — თითქოს მთელი ქალაქი მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ მას უთვალთვალოს და ყოველი მისი ნაბიჯი აღნუსხოს.

ბაზრის ოთონთოდ ქცეულ მოედანზე აუარებელი ხალხი ირეოდა და კაცი ვერ ბედავდა ადამიანთა ზღვაში შთანთქმას. ერთხანს ყოყმანობდა, მიწას ტკეპნიდა. ირგვლივ ყურისწამღები დგანდგარი იდგა. ქალამნების გამყიდველი ურია წვრილი ხმით გაჰკიოდა, თან ეჭვით ათვალიერებდა შორიახლო გაჩერებულ კაცს. სიცივისაგან ბელურასავით მობუზული წყლის გამყიდველი ბიჭი გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებოდა, — ერთი ჭიქა დალიეთო. სქელი დედაკაცი ხონჩას დაატრიალებდა თავს ზევით, რათა ყველას ენახა შეუდარებელი შაქარყინულის მამლები.

ნაცნობი ხარაზის სახელოსნოს მიადგა. ხარაზი მუშტრის მოლოდინში ყველსა და მჭადს შეექცეოდა. კაცი რომ დაინახა, თვალი აარიდა. კაცს ჯავრი მოაწვა. ეს ტეტია გუშინ მადლობელი იქნებოდა, გამარჯობის ღირსად თუ ჩათვლიდნენ, დღეს კი

თვალსაც არიდებს. გათამამდა, თითქოს სუსტ მოწინააღმდეგესთან აპირებდა შებმას.

— როგორაა საქმე, ესტატე?

ხარაზი აირია და კინაღამ ლუკმა გადასცდა.

— ცუდადაა, ბატონო, ცუდად! ლამის შიმშილით გავწყდეთ! — ხარაზმა მჭადის ფიორა ნამცეცები ჩამოიბერტყა და ხელში ჯევიჩი შეათამაშა.

— რატომ, შე კაცო, ამ შუა ბაზარში მუშტარი როგორ დაილევა?

— მუშტარს გააჩნია, ჩემო ბატონო. გლეხს სიმინდი და ლობიო შემოაკლდა, თვითონ მშიერია და ცოლ-შვილიც შიმშილით უწყდება. რა ჩირად დაგიდევს ფეხსაცმელს, მის ფეხს ისედაც ქალამანზე სქელი ლანჩები აქვს...

— აბა, ერთი ეს ფეხსაცმელი საჩქაროდ შემიკეთე და მე ვიცი და შენი სიკეთე!

ხარაზმა თავი მოიფხანა, თვალი აარიდა, საიდანღაც ატორღიალებულ კატას ფეხი ჰკრა, ცხ-ცხ, შე შეჩვენებულოო, და ფიცხ გუნებაზე დამდგარმა მიახალა: — ვერა, ბატონო, უკაცრავად ვარ, მაგრამ ვერა!

კაცი გაშრა, ერთბაშად პასუხი ვერ მოისაზრა, მერე ძლივს წაილუღლუღა:

— კი, მარა, რატომ შე კაცო, ჩემი ფული არ ფულობს თუ?

— უკაცრავად ვარ, ბატონო, მაგრამ ყელამდე მაქვს საქმე და... — ხარაზმა მკლავები გაშალა.

კაცმა აცახცახებული ხელებით ფეხსაცმელები შეახვია და გაშორდა. სიბრაზე ახრჩობდა, სურდა დაბრუნებულიყო და თავხედი როგორმე დაესაჯა, ოღონდ არ იცოდა, როგორ.

დიდხანს ვერ დამშვიდდა. გზას ვერ არჩევდა, პირდაპირ გუბეებსა და ტლაპოში მიაბიჯებდა. არც შემხვედრ ხალხს უქცევდა მხარს და თუ ვინმეს დაეჯახებოდა, უბოდიშოდ განაგრძობდა გზას.

პირველსავე ღვინის სარდაფში ჩავიდა. ცარიელ მაგიდას მიუჯდა, ღვინო და მწნილი მოითხოვა. დაისხა და მიმტანსაც დაუსხა.

— აშენდი, შეგერგოს! — მიმტანი საკმაოდ შეჭოროკებულიყო.

კაცმა არაფერი უპასუხა, ისე დალია.

მეზობელ მაგიდასთან რამდენიმე მოხელე გახვეულიყო თამბაქოს ბოლში. კაცს არ ესმოდა მათი ყაყანი. გამოეთიშა მთელ ქვეყანას, ფიქრის უნარიც აღარ შერჩა. იჯდა თავისთვის, არაფერზე ფიქრობდა, ისხამდა და სვამდა, მაგრამ ღვინო არ ეკიდებოდა. მერე უცებ მოითენთა, თავი მაგიდაზე მიდო და ჩაეძინა.

თითქოს სულ რამდენიმე წუთი გავიდა.

ვიღაცამ მხარზე ხელი მოჰკიდა და შეანჯღრია. თავზე მიმტანი დაჰბარბაცებდა და თვალებს კუსავდა.

კაცს მხარ-კისერი გაშეშებოდა და სტკიოდა. ვერ მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა, რა ხდებოდა მის თავს. უცებ გაახსენდა ბავშვის პაწია, ჩაყვითლებული ლოგინი. სითბო მოაწვა.

ფული მაგიდაზე დააგდო. სირბილით ამოვიდა ღვინის სარდაფიდან. უკვე შეღამებულიყო. წვიმას გადაეღო. მომძლავრებული ქარი ტოტებიდან ჟინჟღლს სწყვეტდა და ჰაერში აბურთავებდა. ციოდა, ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. კაცი ჩქარობდა. უნდა მიესწრო, თორემ სამუდამოდ დაკარგავდა რაღაც ძვირფასსა და აუნაზღაურებელს.

კარი რომ შეაღო, სულს ძლივს ითქვამდა.

ცოლს ვახშამი გაეხაზირებინა მისთვის, თვითონ კი კუთხეში მიმჯდარი ხელსაქმობდა. შეშფოთებული თვალები მიაპყრო შემოსულს.

— არაფერია, შემცივდა და ვიჩქარე.

ცოლი წამოდგა, ვახშამზე მიუთითა და მანდილი მოიხვია.

— შენ საით? — ყრუდ შეეკითხა კაცი.

— წამით დედასთან გადავალ, ბავშვს მიხედე! — თვალებში არ შეუხედავს, ისე წაიჩურჩულა.

კაცს უნდოდა ეყვირა, გაჩერდი, ნახევარი საათით მაინც გაჩერდი ჩემ გვერდით, მითხარი რას ფიქრობ, რას გაწუხებს, შეუძლებელია ასე ცხოვრება...

სიტყვა არ დასცდენია, შეეშინდა სიმართლისა.

ცოლის წასვლის შემდეგ დიდხანს იჯდა ჩუმად და საჭმელს პირს არ აკარებდა.

მის პირდაპირ კარი გაიღო, ღიობში არავინ ჩანდა. წამოიწია. პერანგისამარა ბავშვი იჭყიტებოდა.

— ჭიტა, ბაბაია! — შესცინა გოგონამ.

გული დაემდუღრა, ცრემლი მოადგა თვალზე; ბავშვს მივარდა, აიტაცა და მკერდში ჩაიკრა...

VIII

დასჭყივლა ცხენს და გააფრინა თვალუწვდენელ ეწერში დაკლაკნილ ბილიკზე. ერთგული ცხვანტი მიიკვლევდა გზას ნისლსა და წვიმაში. ფლოქვები კვესავდნენ ოროხმოროხზე. მახუტი მიიჩქაროდა ხურჩასაკენ...

ოფლში გახვეული საღარა ოხაჩქუეს განაპირას, ხურჩას ხაბოზე წამოყუნცულ ქოხთან მიაგდო. მასპინძელი ონოფრე ძველი ნაცნობი იყო. ახლაც გამოეგება, პირმცინარე გადაეხვია და ცხენი ჩამოართვა.

— ჰაიტ, რავა მოგიკლავს, ბიჭო! — შეუძახა.

— არა უშავს რა, ბიძია ონოფრე, თვითონაც არ უყვარს ნელი ჩინდრიკი, — შეეპასუხა მახუტი. — ბიჭი სადღაა? ძუკუ, ძუკუია! — ძახილზე ქოხიდან ათიოდე წლის ბიჭი გამოვარდა. — შენს გაზრდას, ეგ ცხენი ცოტა გაატარე, მერე თავლაში დააბი და სამყოფი თივა დაუყარე!

— მიდი, ბიჭო, და ყველაფერი აასრულე, რაც გითხრეს! — დაუმატა ონოფრემაც.

ბიჭმა უხმოდ გამოართვა აღვირი და ოხშივარავარდნილი ცხენი წაიყვანა.

— საღამომდე შენთან უნდა მოვიცადო, ბიძია ონოფრე, უნდა შეგაწუხო!

— პა, პა, პა, ნუ მეტყვი მაგას. რა შეწუხება, რის შეწუხება, შე კაცო! მობრძანდი, ჭირიმე, მობრძანდი!

— ბიძია ონოფრე! — გააჩერა მახუტიმ. — არც ჩემი ცხვანტი და არც მე ძე-ხორციელმა არ უნდა გვნახოს შენთან.

— კი, ჭირიმე, კი!

მახუტი ქოხში შეჰყვა.

— შენს ამაგს ვერასოდეს დავივიწყებ, ბიძია ონოფრე!

— კარგი აწი, შე კაცო! — გული აუჩუყდა ბერიკაცს.

მახუტის ფაფის სუნი ეცა. შუაცეცხლზე კარდალა ეკიდა და შიგ შესაზელი ღომი პუტუნებდა. ჭერი, კედლები, ოჯინჯალზე ჩამოკიდებული ლარჭა ჭვარტლისაგან შავად ბზინავდა. ერთი კედლის გასწვრივ გრძელი სკამლოგინი იდგა, მეორის გასწვრივ კი კიდობნები, ჯამ-ჭურჭელი და სხვა ათასი რამ ელაგა.

მახუტი აქ წინათაც არაერთხელ ყოფილა და ყველა კუნჭული კარგად იცოდა. შეუცდომლად მიაგნო წყლით სავსე სათლს და ხაპით დალია. შემდეგ სკამლოგინზე ჩამოჯდა.

— ახლავე ღომს შევზელ, სქანი ჭირი!

ონოფრე ქვრივი იყო და ძუკუიას გარდა არავინ გააჩნდა. ბავშვის დედაც და მამაც თვითონ იყო. ღარიბი კაცის კვალობაზე არაფერს აკლებდა. ოღონდ შვილის განათლებაზე ოცნებობდა და ვერ იქნა, სასწავლებლად ვერ მიაბარა.

კარდლის ჩამოუღებლად ჩაყარა ფაფაში ფქვილი და სუთით ღონივრად მოზილა. მამაკაცურად ზელდა, ერთი ხელის მოსმით მთელ ღომს ამოაბრუნებდა. ამ საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა და ქორწილსა და ქელეხში უმისოდ ღომი ვერ შეიზილებოდა.

— ხომ სიმშვიდეა, ოხაჩქუეში, ბიძია ონოფრე?

— სიმშვიდეა, ჭირიმა, სასაფლაო გეგონება!

ერთხელ კიდევ გასინჯა, კურკუშელებიანი ხომ არ გამომივიდაო, სუთი ღომში ჩატოვა, სტუმარს მოუბოდიშა, ვნახავ, იმ ბიჭმა ცხენს როგორ მოუარაო.

უკან მობრუნებულს სტუმარი იმავე ადგილას დახვდა. ფიქრში წასული მახუტი ცეცხლს მიშტერებოდა და ონოფრეს შემოსვლა არ შეუმჩნევია. „რაღაც აწუხებს!“ — გაიფიქრა ბიძია ონოფრემ და სტუმრის დარდის გასაქარვებლად ტყუილების გუდას მოხსნა თავი.

— ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამას წინათ სენაკში გახლდით ბაზრობაზე...

ბიძია ონოფრეს მთელ ოხაჩქუეში სახელი ჰქონდა გავარდნილი თავისი უწყინარი ტყუილებით.

მახუტი მიხვდა, რომ ახლაც ალალი ტყუილი უნდა მოესმინა და გაეღიმა.

— სულ თორმეტი მხედარი შევიყარენით, — განაგრძობდა

ბერიკაცი და თან ცეცხლს ანელებდა, რათა ღომი უკეთ მოშუშულიყო, — შენ ჩემზე უკეთ იცი, რამსიგრძე გზაა ის ოხერი. თანაც კაცი მშვიდად ვერ ჩაივლი, რამდენი ხეცაა, იმდენი აბრაგი უზის უკან. ჰოდა, იმას ვყვებოდი, ხან ეს გადაგხვდა, ხან ის და შემოგვაღამდა. ესხირი იწყებოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ისეთი მერეხი ჩამოვიდა, ცასა და მიწას ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდი. ისე გავიწუწეთ, თევზი ვერ დასველდებოდა წყალში... წკვარამში გზაც აგვებნა... უცბად მოვიხედე და...

ძუკუია ჩუმად შემოძვრა ქოხში და უფროსებისათვის ხელი რომ არ შეეშალა, კუთხეში მოიკუნტა სამფეხა სკამზე.

— უცბად მოვიხედე, შენ ხარ ჩემი ბატონი, და რაღაც გადახურულსა ვხედავ. მოგეცა ლხენა, ჩვენ რომ იმის ქვეშ მშრალში შევიძურწენით... ღმერთს მადლობა შევწირეთ და ღამის გასათევად მოვეწყეთ... თავს არ შეგაწყენ ამდენი ლაპარაკით. ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს და გათენდა კიდეც. ავიხედე და თვალს არ დავუჯერე. შენც არ დაუჯერებდი, იქ რომ ყოფილიყავი... ამას როგორ ვიფიქრებდი და ზევიდან კეჟერა ფხალის ფოთლები გვფარავდა თურმე...

მახუტის გაეცინა.

— იცინე, ჭირიმა, იცინე! მე კი ნამცეცი ტყუილი არ მითქვამს. — მახუტის სიცილმა გაახარა მასპინძელი.

— მჯერა, ბიძია ონოფრე, მჯერა, — გაეპასუხა ჭაბუკი, — მით უფრო, რომ ამასწინათ მეც შემემთხვა ასეთი ამბავი...

— რავა, შე კაცო? — ნაპერწკლები აცეკვდნენ ბერიკაცის თვალებში.

— სწორედ იმ დროს, როცა შენ კეჟერა ფხალის ფოთლებქვეშ მეგობრებთან ერთად გეძინა, მე და ჩემი ოცდაოთხი ამხანაგი ცხენებიანად ორმოში ჩავცვივდით. სხვა გამოსავალი არ გვქონდა, ღამე იქ უნდა გაგვეთია... დილით გამოგვეღვიძა, ავიხედეთ და რას ვხედავთ, — მახუტიმ მასპინძლის ხმას მიბაძა, — თურმე ჩვენ იმ ჭურში ვისხედით, რომელშიც ის კეჟერა ფხალი უნდა ჩაემწნილებინათ...

ონოფრემ თვალები დააფახულა და ხალისიანად ახითხითდა.

— მაჯობე, ნამდვილად მაჯობე, ჭირიმე! — სიცილისაგან

მოდენილი ცრემლები მოიწმინდა.

ამასობაში ღომი მოშუშდა და ლობიომაც აიდგა ენა. მასპინძელმა კედელზე პირქვე ჩამოკიდებული ტაბაკი ჩამოიღო და კერიის პირას დადგა. კარდალა ჩამოხსნა. ერთხელაც გულდაგულ მოზილა. ენას არ აჩერებდა, თან ჩოგანს სათლში ასვეღებდა, ღომი ამოჰქონდა, ფრთხილად დაატყაპუნებდა ტაბაკზე და სველი ჩოგანითვე ალამაზებდა.

უხაროდა, მახუტის გუნება გამოუკეთდაო და ქალაქის ჭორები ჩამოუკაკლა. ბორნიდან დაბაში მიმავალი გზა ონოფრეს ჭიშკართან გადიოდა და ცნობისმოყვარე ბერიკაცის თვალებს არაფერი გამოეპარებოდა.

სტუმრისათვის ორი ჩოგანი ღომი ერთად დაახვავა, შიგ სულუგუნის მოზრდილი ნაჭრები ჩაფლო. თითები წაიბანეს და ტაბაკს მიუსხდნენ. ძუკუიამ ღომი ლობიოს ქოთანში ჩაიგდო და მოურია... ბიძია ონოფრემ პატარა ყანწები ღვინით შეავსო, ერთი მახუტის გადააწოდა.

— ამით შენს საქმეს გაუმარჯოს, შვილო! — დალოცა და დინჯად გამოწრუპა.

მახუტის კრიჭა შეეკრა. მომარჯვებული ლუკმა უკან დადო. ხელი უკანკალებდა და ღვინო ყანწიდან ეღვრებოდა. ვაი თუ შემამჩნიოსო, — წუხდა.

გზაზე ფლოქვების თქარუნი ატყდა. მგზავრებმა ჩამოიარეს.

ონოფრემ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, მოიბოდიშა და გავიდა. მახუტიმ ყანწი ისევ დოქში ჩაცალა, წელი ძლივს აითრია, სკამლოგინთან ბარბაცით მივიდა. თავს ზრიალი გაუდიოდა, მუხლებში სისუსტეს გრძნობდა. ზურგზე გაწვა და თვალი დახუჭა. ტაბაკის კუთხეში მიმჯდარმა ბიჭმა ჭამა შეწყვიტა და პირდაღებული უყურებდა სტუმარს. მერე ქოთანი გადადო და თავზე წამოადგა.

— გტკივა?

— არა! — მახუტის ბავშვი დავიწყებოდა.

— თუ სიცხე გაქვს, ხელსახოცს დაგისველებ და შუბლზე დაიდე.

— არ მინდა. მეძინება და იმიტომ წამოვწექი. — თვალი ისევ დახუჭა. გრძნობდა, რომ ბიჭი კვლავ თავს ადგა და წასვლას არ

აპირებდა. — ახლა მე დავიძინებ და შეღამებულზე გამაღვიძე.

ბიჭი ქოთანს უხმოდ მიუბრუნდა.

თვალდახუჭული იწვა და ძილი არ ეკარებოდა. ესმოდა მდინარის შხუილი, ძუკუიას პირის წკლაპუნი, ჩავლილ მგზავრთა ბუბუნი... ერჩივნა, ჯუნაზე ეფიქრა, ან ბადუზე, ან თეკოზე, თუნდაც გამოუსწორებელ მოხუც არვაშანგზე, მაგრამ არ შეეძლო, რადგან ქუთუთოებქვეშ მხოლოდ და მხოლოდ სისხლი უტრიალებდა. ჯერ სისხლის წანწკარა ნაკადული ეხატებოდა; თანდათან იზრდებოდა ნაკადული, შადრევნებად სცემდა ათასი ჭრილობიდან, დგაფუნი გაჰქონდა მიწაზე და ბოლოს სისხლის გიგანტური ჩანჩქერი ელანდებოდა, ზათქითა და ღრიალით რომ ეცემოდა დაფლეთილი ხორციდან და წითელი წინწკლები მირიადობით ყაყაჩოებს ახარებდა.

ერთხელ მოსკოვში, პრესნაზე მოუხდა ბრძოლა. სახლის სახურავზე იწვა და მიზანში იღებდა ჯარისკაცებს. თუთიის სათამაშო კაცუნები ხან აქ, ხან იქ ამოყოფდნენ თავს და ისიც სასხლეტზე გულგრილად გამოკრავდა თითს. იქვე ახლოს ტყვიამფრქვევი კორიანტელს აყენებდა. ორიოდე კვარტალს მიღმა ქვემეხები ბუხუნებდნენ და როდესაც ჩახმახს გამოჰკრავდა, გასროლის ხმა არც ესმოდა. მიზანში აღებული ჯარისკაცი კი მავედრებელივით ხელებს აღაპყრობდა და ნელა ეშვებოდა. ეს თამაშს ჰგავდა, სისხლს ვერ ხედავდა და სიკვდილზე ფიქრისათვის დრო არ ჰყოფნიდა.

ახლა ახსენდებოდა ის დღე და იცოდა, რომ თუთიის ჯარისკაცი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მოცინარე და მოტირალი, მოძულე და მოსიყვარულე.

ასე ფიქრობდა მახუტი და მის გონებაში რიალებდა შაშხანის სამიზნე, უმწეოდ ხელებაგდებული ჯარისკაცი, ჭურვებით მონგრეული სახლები...

კარმა დაიჭრიალა. ონოფრე შემოვიდა. ბიჭმა ანიშნა, სტუმარს სძინავსო. ბერიკაცი ცერზე შემდგარი მივიდა კერასთან და ფრთხილად ჩამოჯდა. არ უნდოდა სტუმრის გაღვიძება, მაგრამ მახუტის არ ეძინა. მისი სხეული მსუბუქ ტალღებში მიცურავდა, გონება კი, რომელიც სხეულს მოსწყდა, აღნუსხავდა

ყოველგვარ წვრილმანს, რაც ქოხში ხდებოდა...

ადგა ონოფრე ბიძია, წამოვიდა, თავზე დაადგა, ერთხანს დაჰყურებდა, მერე დაიხარა და ყელში წაუჭირა. მახუტის სული შეუგუბდა, უნდოდა მოეშორებინა ზემოდან დაცემული მაჯლაჯუნა, მაგრამ ღონე არ ჰყოფნიდა. „გამიშვი, სტუმარს რაზე მღალატობ, ონოფრე ჯიჯი!“ — იძახდა, მაგრამ მასპინძელი უცნაურად იკლაკნებოდა და უფრო მაგრად უჭერდა ყელში ხელს.

თვალი გაახილა. ბიძია ონოფრე მხარზე უთათუნებდა.

— რაღაც გაწუხებს, ჭირიმე, ადექი და ჩვენთან ჩამოჯექი კერიასთან!

— რა დროა?

— ბნელა!

მახუტი წამოხტა, მუხლების გასამართავად გაიარ-გამოიარა.

— შენს გაზრდას, წყალი დამისხი! — სთხოვა ბიჭს. ცივმა წყალმა გამოაცოცხლა. ცეცხლის პირას ჩამოჯდა და მასპინძელს ბიჭზე ანიშნა.

— წადი, ბიჭო, ცხენს მიხედე, ხომ არაფერი უჭირს! — მიუხვდა ბერიკაცი..

ბიჭმა უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბუზღუნა და კარი გაიხურა.

— ბიძია ონოფრე, შენგან დიდად დავალებული ვარ. ახლა მე ქალაქში გავალ, პატარა საქმე მაქვს... ცხვანტი შენთან დარჩება. ნაშუაღამევს ეგებ მოვბრუნდე. — მასპინძელს შეხედა. მის წინ ჩაცუცქულიყო და ფიჩხის კეწეწს ღრღნიდა. — თუ ვერ მოვედი, რამდენიმე დღე შეიცადე და ცხენი, როგორც გსურს, ისე მოიხმარე.

— რას მეუბნები, ჭირიმა, შენ მყავდე კარგად, ცხენს რა თავში ვიხლი.

— კარგი ცხენია, ოღონდ თუ გაყიდვას მოინდომებ, აფხაზეთს გადაიყვანე, აქ ცნობენ...

— რატომ მეუბნები, ჭირიმა, ასეთ რამეს?! — აღშფოთდა ონოფრე.

— ასეა საჭირო, ბიძია ონოფრე, — დაუყვავა მახუტიმ, — ასეა საჭირო!

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო! — გული აუჩუყდა ბერიკაცს. — ამაღამ რა დამაძინებს, დაგელოდები... თუ გჭირდება, ძუკუიას გაგაყოლებ, ან მე წამოგყვები.

— არა, ბიძია ონოფრე, ისედაც დიდი მადლობელი ვარ.

კარის ღრიჭოში ძუკუიამ შემოყო თავი.

— ცხენი კარგადაა, — წყენით ჩაიდუდუნა.

— შენ იცი, როგორ მიხედავ! — ხუმრობით კეფაზე წამოუთაქა მახუტიმ.

გარეთ ციოდა. ხურჩა მოაგორებდა კუპრივით შავ ტალღებს. ერთი ვარსკვლავიც არ კრთოდა ცაზე...

IX

მომძლავრებული ქარი ნაბადს მხრებიდან გლეჯდა. წელში მოხრილი მიდიოდა. უკუნეთი მორეოდა ქვეყანას და ძე-ხორციელი არსად ჩანდა. ქარის ზუზუნში არაფერი ისმოდა, მაგრამ მოეჩვენა, რომ ვიღაცა კუდში აედევნა.

ბაზრამდე მოაღწია. ფარდულის კედელს აეკრა. ქარის ზუზუნის გარდა ვერაფერი გაიგონა. გზა განაგრძო თუ არა, ისევ ნაბიჯის ხმა ჩაესმა. შეეჭვდა, ნაბდის კალთა ეხახუნებოდა ალბათ წაღებზე.

ფიქრი მოაწვა. არასოდეს უნატრია ვინმეს სიკვდილი, ახლა კი ნატრობდა, ნეტა ჩემს მისვლამდე ის კაცი გაქრებოდესო.

ისევ ფაჩუნი მოესმა. ნერვებმა შეაწუხეს. კიდევ კარგი, რომ ბნელა და ვერავინ დაინახავს. აბა, ვინ თავგამეტებული ივლიდა ამ ღამეში. მაინც ვერ მოითმინა, ჯიქურ შემობრუნდა, ოციოდე ნაბიჯზე ლანდმა გაიელვა და ღობის ჩრდილში გაუჩინარდა. „აჰა, ამეკიდე ხომ? — ბრაზით გაიფიქრა. — მე შენ გიჩვენებ სეირს!“ და თან დაძაბული ფიქრობდა, თუ როდის აიღო ლანდმა მისი კვალი. ჯიბეში დანა მოსინჯა, გახსნილი ედო... დამბაჩა ზურგს უკან, ქამარში ჰქონდა გარჭობილი. თუმცა არ ღირდა სროლის ატეხა, მაინც მოიმარჯვა.

გზა მშვიდად განაგრძო, მერე მოულოდნელად მოსახვევში გაუხვია და ღორღზე ათიოდე მეტრი გაირბინა. უკან კი კატასავით ფრთხილი ნაბიჯებით დაბრუნდა. ცდილობდა კენჭზე

ფეხი არ დაედგა, თუმცა მისი ფეხის სუსტ ხმას ქარი სულ სხვა მხრისაკენ იტაცებდა.

მოსახვევს რომ მიაღწია, აჩქარებული სუნთქვა მოესმა. მდევარი ფეხდაფეხ მოსდევდა. ის მარტო იყო და დევნილი ადვილად მოერეოდა. პირდაპირ შეეჩეხა და ლულა ატაკა:

— მომდევ ხომ? ახლა რა გიყო? — მუქარით შეეკითხა.

— ვაიმე! — შეჰყვირა გულგახეთქილმა მდევარმა.

— ჭიჭე, შენა ხარ?

პასუხად სლუკუნი მოისმა.

— აქ რა გინდა? — მკაცრად შეეკითხა.

— მახუტი ჯიჯი, წამიყვანე, რა! — ხმა აუთრთოლდა ბიჭს. ეტყობოდა, რომ სციოდა და თან ტირილს აპირებდა. მახუტის შეებრალა, ქარის მხრიდან აეფარა.

— ხომ იცი, თავნებობა არ მიყვარს. ყველამ თავის ნებაზე თუ იარა, ამით საქმე გაფუჭდება. წადი შინ, ჯიმაია, წადი!

შეიცადა, სანამ ბიჭი გაშორდებოდა. გულის სითბომ წამით ჯავრი გაუნელა.

გზაზე არავინ შეხვედრია. ცივ ქარსა და ნესტს მცხოვრებნი სახლებში შეეყარა და ოხაჩქუეს ადრე ჩასძინებოდა. მიხურული დარაბებიდან აქა-იქ თუ გამოკრთებოდა სინათლის სუსტი ზოლი.

წინ, რამდენიმე ეზოს იქით აბრდღვიალდა ნათურა. რომელიღაც ფანჯრიდან კაშკაშა ლამპარი იყურებოდა და ქარისაგან შეშფოთებულ ბაღში აფათურებდა ხელს. მერე ჩაქრა, ისევ აენთო, თითქოს უხმობდა მავანს.

„ის ხომ არ არის? — შეეკითხა თავს. — იქნებ წინათგრძნობა არ აძინებს და გულის ფანცქალით მელის!.. სხვას ვის უნდა ელოდეს ასეთ ამინდში?“

აჩქარდა. მალე უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, თორემ მერე ძალა გამოელეოდა.

სხლტეს მიადგა. დიდხანს უარა. არ უნდოდა ჭიშკარი აეჭრიალებინა. იქ, სადაც სხლტე თავდებოდა, მესერი მორღვეულიყო, გაძრომა შეიძლებოდა. ნაბადი ზემოდან გადაისროლა, თვითონ მესერში გაძვრა და ყრუ ღრენა გაიგონა.

— ბოქულ, ბოქულ, აქ მო, აქ მო... — ალერსით შეეპასუხა.

ძაღლი ეჭვიანად იღრინებოდა.

— ბოქულ, გაჩუმდი, შე უპატრონო!

ძაღლმა საშიშროება იგრძნო, ღრენაში წკმუტუნიც გაურია. სიბნელეში მახუტი ვერ ხედავდა ცხოველს და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. დანის ტარს ხელი მოუჭირა...

ასე იდგნენ მცირე ხანს. პირველად ძაღლმა დათმო. გაგულისდა, შეჰყეფა, ეზოს შორეული კუთხისაკენ გაქუსლა.

გზაზე ვიღაცა მოდიოდა.

მახუტიმ ნაბადს დასტაცა ხელი, ღობეს აეკრა. არავის გაუვლია, ძაღლი კი ეზოს კუთხეში ღობეს აწყდებოდა ბრაზიანი ღაფღაფით.

ქარი გაძლიერდა. მოგლეჯილი ყავარი აბათქუნდა სახურავზე. ბაღში ხეები საცოდავად აჭრაჭუნდა და მათი შხვართი ტოტები ფანჯარას ეხლებოდა.

სამალავი დატოვა და უხმოდ გასრიალდა ეზოში, ბაღში მიიმალა. ეშინოდა ძაღლის დაბრუნებისა და ეს აჩქარებდა. ფრთხილად მიუახლოვდა განათებულ ფანჯარას, აიწია და შეიხედა. დიდხანს ვერ მოსწყვიტა თვალი მის წინ გაშლილ სურათს.

კუთხის ბუხარში ცეცხლი ენთო და სითბოთი ავსებდა პატარა ოთახს. ბუხრის თავზე ლამპარი ბრდღვიალებდა. მისი სინათლე ბაღს ეფინებოდა. ფანჯრის პირდაპირ, კედელთან მდგარ პატარა საწოლში მამა ბავშვს აძინებდა. აცელქებულ გოგონას ძილი გაკრთომოდა და მამას დამალობანას ეთამაშებოდა. თავზე საბანს წამოიფარებდა, გაიტრუნებოდა, შემდეგ ისევ გადაიგდებდა და კისკისით წამოიძახებდა:

— ჭიტა, მამიკო!

ბავშვის ზარივით წკრიალა ხმა ავსებდა მთელ ოთახს.

კარგა ხანს იდგა მახუტი ფანჯარას აკრული, დაავიწყდა თუ რისთვის მოვიდა.

უცებ კაცმა ფანჯრისკენ მოიხედა. მახუტის სუნთქვა შეეკრა. ბავშვიც ფანჯრისკენ იყურებოდა და აღარ კისკისებდა. კაცი წამოდგა, ფანჯარასთან მოვიდა, შუბლი ცივ მინას მოადო და ბაღში გადმოიხედა. მახუტი ფანჯრის ქვეშ სიბნელეში ჩაცუცქდა და ასე უყურებდა კაცის გიგანტურ ჩრდილს, რომელიც ბაღ-

ში ქანაობდა და ტოტებზე იხეოდა. კაცი, ეტყობა, დამშვიდდა, რადგანაც ფანჯარას მოშორდა და ბავშვს მიუბრუნდა.

ფეხაკრეფით შემოუარა სახლს. კიბესთან წყლით სავსე თუნგს წამოედო. გახევდა, თუმცა ქარის ზუზუნში ვერავინ გაიგონებდა სუსტ ჭახანს. მიაყურადა, თუნგიდან ლიკლიკით იღვრებოდა წყალი. კიბეზე რომ ავიდა, აივნის ფიცარი აჭრაჭუნდა. კარს ნელა უბიძგა, შიგნიდან ჩაურაზავი აღმოჩნდა და ხელს უხმოდ დაემორჩილა. ოთახში ვერაფერი გაარჩია. მცირე ხნით კედელს აეკრა, თვალს სიბნელეს აჩვევდა. მეზობელ ოთახში თამაშით გატაცებული ბავშვი კისკისებდა. კარის ღრიჭოში სინათლის ძაფი შემოდიოდა და შუა ოთახში მდგარ მაგიდას ორად ჭრიდა. „ვაითუ ბავშვი დავაშინო!“ — ყოყმანობდა.

სწრაფად შეაღო კარი და შეაბიჯა.

ბავშვმა და კაცმა ერთდროულად მოიხედეს. ბავშვს სახე უცინოდა. კაცის თვალებში შიშმა გაიელვა, ოღონდ მხოლოდ წამიერ.

— ეშმაკმა დალახვროს, დედაკაცს კარის ჩაკეტვა დავიწყნია, — ჩაიდუდუნა კაცმა. მის ხმაში ბრაზი არ იგრძნობოდა.

მახუტი დუმდა.

— კარზე მაინც დაგეკაკუნებინა. კიდევ კარგი, ბავშვი არ შემიშინდა... დაბრძანდი! — კედელთან მდგარ სკამზე მიუთითა. — თუმცა დაუპატიჟებელი, მაინც სტუმარი გქვია... — კაცი გრძნობდა, უადგილო სიტყვებს რომ ამბობდა, მაგრამ დუმილს უფრთხოდა და ეს ალაპარაკებდა.

— ბავშვი გაიყვანე! — ცივად უბრძანა მახუტიმ.

— პატარაა, მაინც ვერაფერს გაიგებს...

— ბავშვი გაიყვანე!

კაცი უცებ ყველაფერს მიხვდა. გაფითრდა, მაგრამ შიში არ დაიმჩნია.

— ეს ორგანიზაციის გადაწყვეტილებაა? — ყრუდ იკითხა.

— ორგანიზაციისა!

— მაგრამ რა უფლებით?..

— დაღუპულებს ჰკითხე!

კაცმა თავზე ხელი გადაუსვა ლოგინზე წამომჯდარ ბავშვს.

გოგონა გაკვირვებული უსმენდა უფროსების აუღელვებელ, მშვიდ საუბარს და ვერ გაეგო, თამაშის გაგრძელება იყო ყოველივე, თუ არა.

— ბავშვი გაიყვანე! გირჩევ, თავი დაიცვა!

— არ მინდა, არაფერი მინდა... შენ კი გააკეთე, რაც შეგიძლია, რასაც შენი სინდისი გკარნახობს... — კაცი ანგარიშმიუცემლად დაიხარა და ბავშვი აიყვანა. გულში იხუტებდა და გულმდუღრად ამბობდა სიტყვებს, რომელთა აზრს ბოლომდე ვერც წვდებოდა. — გამიმწარდა სიცოცხლე, ყველამ ზურგი მაქცია, შემიზიზღა... დიახ, სიძულვილის არ მეშინია, ზიზღმა კი შემაშინა... განა მე კაცი არა ვარ? განა მე ცოტა სიკეთე ვთესე? შენ მაინც იცი, რამდენი გამიკეთებია, მაგრამ სიკეთეს ვინ დაგიფასებს, ან ვინ გაპატიებს რამეს?.. ახლა ყველაფერი წყალში ჩამიცვივდა. მერედა რატომ?.. მე რა ვიცი? ალბათ ჭკუაზე შევიშალე... მგონი, ახლაც ვერა ვარ ჭკუაზე!.. — კაცს ხმა უთრთოდა, ნერწყვი ყელში ეჩხირებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლპარაკობდა, უფრო და უფრო მწარდებოდა, ხმასაც უმატებდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა სიფრთხილედქცეულ მახუტის. — ბარემ გააკეთე, რისთვისაც მოხვედი და გამათავისუფლე!..

მახუტიმ ზურგს უკან ხელში დამალული დანა მოსინჯა. შინაგანი ხმა უწეწავდა სულს.

— ერთი რამ მინდა გთხოვო, — განადგურებული ადამიანის ხმით განაგრძო კაცმა, — ნურავის ეტყვი სიმართლეს... ბოლო თხოვნაა!

— ვერ გავიგე?

— უთხარი იქ, სადაც შეგეკითხებიან... ყველას უთხარი, რომ მე სტრაჟნიკებმა მომკლეს... — კაცის თვალებში მახუტიმ სიგიჟე შენიშნა.

„უნდა გავათავო, ძალიან გამიგრძელდა... — გაიფიქრა და უმალ მეორე ხმა ჩაესმა. — იქნებ ამ ბავშვს აპატიო?..“

კაცი მის წინ იდგა. მათ ერთმანეთისაგან მამის მკერდს მიხუტებული ბავშვი ჰყოფდა.

— ახლა ჩემი ცოლი მოვა! — თქვა უცებ კაცმა. მის ხმაში იმედი გაჟღერდა და სიმწარე წამით დამალა ღიმილმა.

„ტყუილია, სულ ტყუილია!“ — თითქოს ბურუსი გადაიგდო თვალიდან მახუტიმ და მარჯვენა ხელი მოწყვეტით აიქნია. მერე თვითონაც არ ახსოვდა, როგორ მოხდა ყველაფერი, როგორ ეყო ძალა, როგორ გაბედა... ტკაცუნი გაისმა, ალბათ ტანსაცმელი გაიხა, და იგრძნო როგორ უძალიანდებოდა მკვრივი სხეული მახვილს და როგორ უბანდა თბილი სისხლი ხელს...

კაცის სახეზე გაოცება გამოიხატა. თვალში კიდევ არ გაქრობოდა წეღანდელი ღიმილის კვალი.

— ბავშვი, ბავშვი... — წაიჩურჩულა და ხელები ჩამოყარა, შებარბაცდა. გოგონა მახუტის ჩაუვარდა მკლავებში, უნებლიეთ მკერდში ჩაიკრა.

კაცი კი იდგა და ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოდიოდა აუტანელი ტკივილი... თითებით ნაზად მოეფერა დანის ტარს, გახეული ტანსაცმლიდან რომ უჩანდა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია უკან, ზურგით კედელს მიეყრდნო და იატაკზე ჩაცურდა.

— ძია! — ბავშვს თვალი გაუფართოვდა.

— რა? — ანგარიშმიუცემლად გამოეხმაურა მახუტი.

— გათავდა... — წაიჩურჩულა კაცმა კედელთან.

მახუტის უნდოდა ხმა ამოეღო, მაგრამ ვერაფერი თქვა. საშინელი დაღლილობა იგრძნო. ახლავე უნდა გაქცეულიყო ამ ოთახიდან, თორემ თვითონაც მუხლები მოეჭრებოდა.

სმენას ძაღლის წკმუტუნი მოსწვდა. მეზობელ ოთახში ფეხის ხმა გაისმა.

მახუტი შეტრიალდა და კარში ქალს შეეჩეხა. ერთმანეთს ჩააშტერდნენ წამიერ. ქალის თვალებში შიში და გაკვირვება გაკრთა.

მახუტიმ ბავშვი შეაჩეჩა და წინა ოთახით ეზოში გავარდა.

X

ღობეს თავს გადაევლო და ბნელ ორღობეში ჩაიძირა.

ძაღლის უსასოო ყმუილი აედევნა.

იკივლა ქალმა; კიოდა გაბმით, მწარედ, დაჭრილი ნადირივით. ზუზუნა ქარი ხან ახშობდა, ხან ქუჩებსა და ორღობეებში ატრიალებდა ხმას და აჩქარებულ მახუტის ეწეოდა, ზურგზე უტყლაშუნებდა.

აქა-იქ სინათლე აინთო, არახუნდა კარები და ფანჯრის დარაბები. ლოგინებში და ცეცხლის პირას ჩათბუნებული ოხაჩქუელები ერიდებოდნენ ქარს, მაგრამ ქალის კივილი ბნელ ქუჩაში აგდებდა მათ.

რამდენიმე კაცმა ჩაურბინა, საშველად მიეშურებოდნენ.

მახუტიმ ფეხს აუჩქარა. ქარს შეეძლო ღრუბელთა გადაყრა და მაშინ მთვარე გაანათებდა ქალაქს. „ოხაჩქუე უნდა დავტოვო, — გაიფიქრა, — მალე გვიანი იქნება, გზებს შეკრავენ!“

ინტუიციით იგრძნო, რომ ვიღაცა ფეხდაფეხ მოსდევდა. რამდენიმეჯერ შეჩერდა და ყური მიუგდო, მაგრამ ქარის მოტანილი წიოკობის მეტი არაფერი ისმოდა.

აიხედა, ცის გუმბათზე ობოლი ვარსკვლავი ციმციმებდა. ქარს გაეხლიჩა ღრუბლის ფარდა და უძირო ჭა ამოეხვრიტა.

მოსახვევთან მდევარს ჩაუსაფრდა. არავინ გამოჩენილა... ნერვები ღალატობდა... ქალის თვალები ახსენდებოდა, ქალი ებრალებოდა, თორემ მოკლულზე არც ფიქრობდა, თითქოს ამ კაცის სიკვდილში წილი არ ედო.

ბაზრის მოედანთან დუქნის ჩრდილს ლანდი გამოეყო.

მახუტი შეჩერდა.

— ცეცხლი არა გაქვს? — შეეკითხა ლანდი.

— ცეცხლს მოგიკიდებ თუ გინდა! — მუქარით უპასუხა მახუტიმ და ობოლი ვარსკვლავის სუსტ შუქზე მაუზერის ლულა აალაპლაპა.

ლანდმა დაიხია, სიბნელეში გაუჩინარდა. მახუტი განზე გახტა და გაიქცა. უმალ სტვენა გაისმა. მახუტიმ ფეხს ძალა დაატანა.

ზურგიდან ფლოქვები ათქარუნდა. ჯერ გასწრება უნდო-

და, მაგრამ მოსახვევამდე კარგა მანძილი იყო, სიბნელეც უკვე შესუსტდა და გაქცეულს ადვილად შეამჩნევდნენ.

უახლოეს ჭიშკარს ეძგერა. ჩაკეტილი დახვდა. ცოტა იქით მესერი მოარღვია და შეძვრა. შორიახლო ჩაცუცქდა, გაირინდა.

გზაზე ცხენოსანი სტრაჟნიკების დიდი ჯგუფი გამოთქარუნდა. წინ ლანდი მორბოდა და ხელებს იქნევდა.

— აქეთ, აქეთ, კინაღამ ტყვია დამახალა მაგ პირძაღლმა... ჰა, აქეთ!

მახუტი გარშემო ვერაფერს არჩევდა და განძრევის ეშინოდა.

— ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის, ალბათ მოგეჩვენებოდა! — ეჭვით თქვა ერთმა მხედარმა.

— მომეჩვენებოდა კი არა, კინაღამ ტყვია მტკიცა შუბლში! — არ ისვენებდა მსტოვარი. ბრაზით გადააფურთხა და მომიჯნავე ქუჩების გაჩხრეკა ბრძანა.

სტრაჟნიკებმა გაქუსლეს. მსტოვარი კი ერთ ადგილას იდგა და ფიქრობდა. „უნდა მოვკლა, მაშინ უფრო ადვილად დავაღწევ თავს!“ — გულგრილად გაიფიქრა მახუტიმ. თვითონაც შეჰზარა, იგი უკვე მკვლელი იყო...

მსტოვარი შეტოკდა, ბოლთის ცემას მოჰყვა გზისპირას, მესრის მეორე მხარეს. ჩექმებს ატყაპუნებდა მონიჭყულ მიწაზე და ტალახს ვერ ამჩნევდა.

„გავალ სამალავიდან და ეშმაკებს დავუფრთხობ!“ — მახუტიმ ვერ მოასწრო ჩანაფიქრის აწონ-დაწონვა, მსტოვარმა ბილწად შეიგინა და იმ მხარეს გაიქცა, საითკენაც სტრაჟნიკები გაქრნენ.

მახუტი წამოდგა, მუხლები გამართა, ეზო-ეზო ამჯობინა გასვლა.

სიბნელეში ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ფეხებზე ხან ფიჩხი წამოედებოდა, ხან მიწაყრილს აწყდებოდა. უკვირდა, ეს სად მოვხვდიო. წინ უცნაური ფორმის საგანი აციმციმდა თეთრად. იკარგებოდა და ისევ გამოჩნდებოდა ხოლმე თეთრი ციაგი. შიში იგრძნო, მაგრამ საკუთარ თავს არ უმხელდა და ამიტომაც მოციმციმე საგნისაკენ გასწია. ქვის ჯვარი აღმოჩნდა, საფლავზე დადგმული.

სიფრთხილეს უმატა.

სიბნელემ თანდათან იკლო. ცის ნარღვევი ფართოვდებოდა და ირმის ნახტომის ვარსკვლავები წინწკლავდნენ ზეცას. მერე უცებ მთვარე გამოგორდა, უხვად მიმოაფრქვია ვერცხლისფერი სხივები და ისევ ღრუბლის ჩაჟანგულ ნაფლეთში ჩაიძირა. მთვარის სხივთა ციმციმა ფენა თითქოს შერჩა მიწას. საფლავებს შორის თირის გარჩევა უკვე არ ჭირდა. ქარმაც იკლო და ფეხის ხმას შეეძლო გაეცა დევნილი.

ჩხაკუნი მოესმა. საფლავის ლოდს ამოეფარა. მთვარემაც ამ დროს გამოიხედა და ჭაბუკმა მის წინ გაშლილი არე მოათვალიერა.

საფლავებს შორის მიწა ცვიოდა ბათქუნით. ისმოდა ჩხაკუნი, ხვნეშა და ამოყრილი მიწა მთვარის სხივებზე იპნეოდა ბრჭყვიალა კენჭებივით. ერთხანს გაოგნებული უყურებდა უცნაურ სურათს და ელოდა, როდის ამოვარდებოდა კუბოს სახურავი და ჩონჩხი აღიმართებოდა მთვარის შუქზე.

დაავიწყდა კიდეც, როგორ მოხვდა ამ ადგილას და რას გაურბოდა ფეხაკრეფით. შერცხვა უნებლიე შიშისა, წამოდგა და გულმაგრად გაემართა იქითკენ, საიდანაც ჩხაკუნი მოისმოდა. შავი, ჩაბნელებული სამარე აღმოაჩინა. ბანჯგვლიანი თავი დაინახა. კაცი მიწას თხრიდა და ზევით ყრიდა.

მესაფლავემ ფეხის ხმა გაიგონა. ბარს ორივე ხელით დაეყრდნო და უსიტყვოდ შემოაჩერდა. ბინდში თვალები ავსულივით უკიაფებდა. მახუტიმ კრთომა არ დაიმჩნია და სამარის პირას ჩაიმუხლა.

— რას აკეთებ, ძია-კაცო?

— სამარეს ვთხრი! — უკმეხად უპასუხა მესაფლავემ.

— კი მარა, ამ შუაღამეს რა გესამარება?

— არაა მაგი შენი საქმე!

მოსული უკეთ შეათვალიერა და მოლბა.

— თუთუნი არა გაქვს?

მახუტიმ ქისა გაუწოდა. მესაფლავემ ქაღალდის ნაგლეჯზე დაიყარა, კიდე დაუნერწყვა და აუჩქარებლად შეახვია.

— სამარეს ვთხრი, აბა რას ვშვრები, — მეგობრულ კილოზე მოუქცია, — ხალხი იხოცება, მე კი ვჩიჩქნი მიწას.

— ეს ვისთვისაა?

— მე რა ვიცი... ამაღამ ვინმეს მოკლავენ, ან თვითონ მოკვდება და იმისათვის იქნება.

მახუტი ფეხზე წამოდგა.

— შენ რა იცი, რომ ვინმეს მოკლავენ?

— გული მიგრძნობს! — მესაფლავის ხმაში რაღაც გამოწვევა იგრძნობოდა.

— ფუი, ავსული ყოფილხარ! — მიაძახა მახუტიმ და გაშორდა.

მესაფლავემ კმაყოფილებით ჩაიხითხითა და ბარის ჩხაკუნი განაახლა. უცებ, თითქოს ახლაღა მოაგონდაო, მიმავალს უყვირა:

— შენ, ჰეი, ძმაო, მკვდარი სულებისა არ გეშინია?!

მახუტიმ ჩუმად შეუკურთხა.

თავი ძლივს დააღწია საფლავების ლაბირინთებს და ისევ ორღობეში გავიდა.

ატალახებულ გზას ორივე მხარეს ღობეწნული გასდევდა ღობის იქით კი მეგრულ ოდებს ეძინათ. ხანდახან ძაღლი თუ მოვარდებოდა ჭიშკარს და ყეფით აცილებდა ეზოს ერთი კუთხიდან მეორემდე. მახუტი ჯავრობდა, მაგრამ რა უნდა გაეწყო, მარტო ფეხის სისწრაფე თუ ააცილებდა ძაღლების ალიაქოთს.

მთელ გზაზე ეჩვენებოდა, რომ ვიღაც მოსდევდა ფეხდაფეხ. საკუთარ თავს დასცინოდა, სიბნელემ და ძაღლების ღნავილმა დაგაფრთხოო. ხშირად ჩერდებოდა, რათა ყური მიეგდო. შესუსტებული ქარის ფაჩუნი და ბაღებში ტოტების შრიალის მეტი არა ესმოდა რა.

კიდევ ცოტა და გაიჭრებოდა ეწერის უკიდეგანო სივრცეში, სადაც ტურების ბილიკებზე ვერავითარი მდევარი ვერ მოიხელთებდა.

მთვარემ საბოლოოდ დააღწია თავი ღრუბლებს, დღესავით გაანათა ოხაჩქუეს ქუჩები და ორღობეები...

ნაწილი მეორე

ყეტსალი

XI

გენერალმა ის ღამე თეთრად გაათენა. იჯდა სავარძელში, მიშტერებოდა ფანჯრის ჩაშავებულ მინას და ფიქრობდა. თუმცა დღეს ისეთი არაფერი მომხდარა, რის გამოც ღირდა ღამის გატეხვა, მაგრამ არვაშანგს ხშირად აწუხებდა უძილობა და ლოგინში მოუსვენარ ტრიალს ისევ სავარძელში ერჩივნა საკუთარ თავთან მასლაათი, სანამ რული არ წამოეპარებოდა. ორიოდე საათით წაძინება ნამდვილი ბედნიერება იყო მისთვის და მეორე დღეს თავს საღად გრძნობდა.

წუხელ სტუმრები მისმა ადიუტანტმა გააცილა. თვითონ გენერალი უქეიფოდ იყო. თანაც კაბინეტში სამი კაცი ელოდებოდა: ციხის უფროსი, ოხაჩქუეს პოლიცმეისტერი და გამომძიებელი. ამ უკანასკნელის მამას ფოთხო ერქვა და დიდ-პატარა ფოთხოევიჩს ეძახდა. წვრილად მოახსენეს ახლახან მომხდარი უჩვეულო ამბავი: უცნობმა ცოლ-შვილის თვალწინ დანით სიცოცხლეს გამოასალმა პატიოსანი მეშჩანი, ვინაც პოლიციასა და პირადად არვაშანგს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. ქალაქის პოლიცია სწრაფად მოქმედებდა. შეკრეს გზები და დააკავეს საეჭვო სუბიექტი. დაპატიმრებული და მკვლელი ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდა. იგი მოკლულის ცოლმა

იცნო. ქალს თურმე მისი ვინაობა არ სცოდნია, მაგრამ წინათაც უნახავს და ქმრისგან არაერთხელ გაუგონია მისი სახელი. ძალიან უცნაური სახელია — კეტსალი. არავინ უწყის, რას ნიშნავს ეს სიტყვა, ალბათ ფსევდონიმია.

— თვითონ რას ამბობს?

— არაფერს! — უპასუხა ფოთხოევიჩმა. ოფიცრები ჩუმად ისხდნენ და კვლავ გამომძიებელმა განმარტა: — მუნჯივითაა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჯერჯერობით ხმას არ იღებს.

— ჰმ! — გენერალი წამოდგა, კარადის შუშიანი კარი გამოაღო და ენციკლოპედიის ტომი გადაფურცლა. — კა... კეტ... — თავისთვის ბუტბუტებდა. — აქ არაფერი წერია. — უცებ გაახსენდა, წამიერმა ღიმილმა სახე დაუბრიცა. — კეტსალი, ბატონებო, ფრინველია, ცხოვრობს ცენტრალური ამერიკის ჯუნგლებში, ვერ იტანს ტყვეობას. ესაა და ეს... ფრინველია, რომელიც იღუპება ტყვეობაში!

ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს. გამომძიებელმა კეფა მოიფხანა, გაიღიმა...

— ბატონებო, ძალიან კარგ დროს მოხდა ყველაფერი! — გენერალი ხელებს იფშვნეტდა და კაბინეტში ბოლთას სცემდა. მას მცირე ხნით გუნება გამოუკეთდა. — ჩვენ ეს ამბავი მოხერხებულად უნდა გამოვიყენოთ. ასეთ ხელსაყრელ შემთხვევას მეორეს ვერ ვიპოვით... — ფანჯრისაკენ მიიხედა, ბნელ შუშაში საკუთარ გამოსახულებას შეავლო თვალი. — ცხადზე ცხადია, დაპატიმრებული რომელიმე ტერორისტული ორგანიზაციის წევრია. თუ ეს ასეა, ხვალვე ყველა გაზეთმა დაწვრილებით უნდა აღწეროს მკვლელობის ამბავი... მკითხველში მსხვერპლმა გულისტკივილი და სიბრალული უნდა გამოიწვიეს, ტერორისტმა კი რისხვა...

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, თვითონ მკვლელობის ფაქტი ჯერჯერობით ფორმალურ დაზუსტებას მოითხოვს. — ჭოჭმანით თქვა გამომძიებელმა.

— ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს! — კვლავ მოიღუშა გენერალი და მაგიდაზე მუშტი მსუბუქად დაჰკრა. — ამ

საქმეში ყველაფერი ისედაც ნათელია. მკვლელი თქვენს ხელშია და მეტი რაღა გინდათ? რასაკვირველია, ზუსტად უნდა დაიცვათ ყველა ფორმალობა, კანონიერებას კი ნუ გადაუხვევთ, მაგრამ... — აქ იგი მრავლისმეტყველად გაჩუმდა, შემდეგ იმპერატორის პორტრეტისაკენ დაიხია და პათეტიკური კილოთი დაუმატა: — ბრძოლაა, ბატონებო, იმპერიაში, სასტიკი ბრძოლა კანონიერებასა და ანარქიას შორის და ამ ბრძოლაში ჩვენა ვართ იმპერატორის ერთგული მებაირახტრენი!

ოფიცრებმა შეხედეს პორტრეტს, მერე არვაშანგს და თავი მართლაც იდეისთვის მებრძოლებად წარმოიდგინეს. მხოლოდ ფოთხოევიჩზე არ მოუხდენია ამ სიტყვებს გავლენა. ის წინანდებურად იღიმებოდა.

— ყველა სხვა საქმე გადადეთ, ან სხვას გადააბარეთ! — ბრძანა გენერალმა. — დღეში ორჯერ მაინც გამაცანით ძიების მსვლელობა. ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც საჭიროა! ეს იქნება ისტორიული მნიშვნელობის პროცესი და თქვენი კარიერაც ბევრადაა ამაზე დამოკიდებული.

ფოთხოევიჩი წამოიწია, გენერალს თავი დაბლა დაუკრა.

— თქვენ უდიდესი სიფხიზლე გმართებთ! — მიუბრუნდა გენერალი ციხის უფროსს. — ჩიტიც ვერ უნდა შეფრინდეს პატიმართან. არავითარი კონტაქტი გარე სამყაროსთან, თუ ეს საქმის საჭიროებით არ იქნება გამოწვეული. როცა დამჭირდებით, ჩემს ადიუტანტს გამოგიგზავნით. მე მას ვენდობი... თქვენ კი, — მიუბრუნდა სახეგაბრწყინებულ პოლიცმეისტერს, — მადლობა უნდა მოგახსენოთ ოპერატიული მუშაობისათვის! ხვალვე გადმომეცით რამდენიმე კაცის სია, შიგ თქვენი გვარიც მოიხსენიეთ. იმპერატორი უყურადღებოდ არ ტოვებს მისთვის თავდადებულთ...

კაბინეტში მარტოდ დარჩენილი არვაშანგი კიდევ დიდხანს სცემდა ბოლთას; წონიდა საქმის ავ-კარგს, აწყობდა გეგმებს. არც წინათ გაუშვია მოხერხებული შემთხვევა, რათა ხელისუფლებისათვის ერთგულება დაემტკიცებინა, არც ახლა აპირებდა ამას.

დღევანდელი საღამო გაახსენდა და ისევ გაუფუჭდა გუნება. თითქოსდა ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც საჭირო

იყო. ბადუს ჩამოსვლამ გულწრფელად გაახარა, თუმცა გარეგნულად ეს არ გაუმჟღავნებია... დავაჟკაცებულა, გალამაზებულა, ქალების მუსუსი გამხდარა. სწორედ ამიტომ ვერ შეირთო ალბათ აქამდე ცოლი. ჭაბუკი ზუსტად მამის ალიკვალი იყო. თავის დროზე ერთი ქალი შეუყვარდათ არვაშანგსა და ღუტას. ღუტამ აჯობა, თუმცა არვაშანგს საზოგადოებაში მეტი წონა ჰქონდა და მთელ მაზრაში უმდიდრეს კაცად ითვლებოდა. ღუტამ ის ქალი ერთი თვის შემდეგ მიატოვა, არვაშანგს კი ცოლად უნდოდა, მაგრამ ძმის გაბახებულს ხომ ვერ შეირთავდა. ოღონდაც, იმ მექალთანეს დიდხანს არ უცოცხლია. გაბახებული ქალის მრისხანე ძმამ ხელსაყრელი დრო იხელთა და ტყვია დაახალა კბილებში. არვაშანგს ყოველივე კარგად ახსოვდა და ახლა არაფრად ეპიტნავა ძმის ორეულის გამოჩენა. „მამაილაა, ნამდვილად მამაილაა“, — ფიქრობდა უსიამოვნოდ... სულ თეკოს დასტრიალებდა... როგორ ცეკვავდნენ!.. იმ როყიო ბერიკაცმა ისიც კი წამოროშა, აფსუს, რა კარგი წყვილიაო...

ფანჯარა გამოაღო და გადაიხედა. ქარს ღრუბლები გაეფანტა, ბაღნარებს კაკაჩა მთვარის სხივები გადაჰფენოდა. ხეთა კენწეროებს იქით აღმართული სამრეკლო ვერცხლისფერ აჩრდილს მიაგავდა და მთელი ქვეყანა სასაფლაოს დამსგავსებოდა.

შეაჟრჟოლა და ფანჯარა მიხურა.

სავარძელში ჩაჯდა, შავ შუშას მიაშტერდა, შეეცადა სხვა რამეზე ეფიქრა...

XII

ტერორისტებმა რომ ალექსანდრე II მოკლეს, ახალგაზრდა ოფიცერი არვაშანგ ჩიჩუა თავის გულის სწორთან ნევის პროსპექტზე დასეირნობდა. საკმაოდ მკაცრი ზამთარი იდგა. ქუჩები, პროსპექტები და მოედნები ხვავრიელ თოვლს დაეფარა და მოოქროვილი კარეტები წინ და უკან დააქროლებდნენ მდიდარ მამაკაცებსა და მათს მშვენიერ ბანოვანებს. ტროტუარებზე ძვირფას ქულაჯებში და ბეწვეულში გახვეული ხალხი დასეირნობდა და ახალგაზრდა ოფიცერი ამ საზოგადოებაში თავს

ბრწყინვალედ გრძნობდა. მან სულ ორიოდე დღის წინათ გაიცნო პოლკის უფროსის საეჭვოდ თვალებმოციმციმე ქალიშვილი. ამხანაგებში ნაძლევი ჰქონდა დადებული, ერთ კვირაში მის გულს მოვინადირებო. პირველსავე საღამოს გადამეტებული თავაზიანობით ჰკოცნიდა ხელზე, მეორე დღეს კი ტუჩებსაც მისწვდა. ქალი სიცილით იგერიებდა, ასე სწრაფად და უბრალოდ როგორ შეიძლებაო. ახალგაზრდა ოფიცერი ჩქარობდა. დღეს ჯერ კიდევ არ გამქრალიყო მორიგი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული, ხვალისათვის კი... ხვალემ იცოდეს ხვალისაო... ხვალე ჯერ არ დამდგარიყო და არვაშანგი სიამოვნებით ივსებდა ფილტვებს სუსხიანი, სუფთა ჰაერით...

— ბატონებო, იმპერატორი მოკლეს! — გაუბედავად წამოიძახა უცებ ვიღაცამ.

ახალგაზრდა ჩიჩუას გული გადაუქანდა, ჯიქურ მიტრიალდა და რისხვით მიაჩერდა ვაჭრების ჯგუფში მოსეირნე პენსნეიან ბატონს, ასეთი მკრეხელობა რომ გაბედა. ტროტუარზე ხალხი რაღაც უცნაურად აწრიალდა და პენსნეიანი ბრბოში ჩაიკარგა.

პროსპექტზე ცხენოსან კაზაკთა მთელმა პოლკმა ჩაიარა.

— სასახლის ირგვლივ გზები ჯარებმა გადაკეტეს! — მოისმა შეშინებული ხმა.

აღელვებულ არვაშანგს თავისი ბანოვანი დაავიწყდა, არც კი მოუბოდიშებია, ისე გაიქცა სასახლისაკენ.

გზები მართლაც შეკრული აღმოჩნდა. დიდხანს იბორიალა მეზობელ კვარტალებში და ბოლოს სანაპიროზე გავიდა.

წინიდან კარეტა მოჰქროდა. ირგვლივ ხმალგაშიშვლებული მხედრები მოაჭენებდნენ ცხენებს.

— გზა! — იჭექა მეწინავე მხედარმა. არვაშანგმა ძლივს მოასწრო განზე გახტომა. კარეტამ და ცხენთა ფლოქვებმა თოვლის კორიანტელი დააყენეს.

— კინაღამ გადამთელეს მაგ ოჯახქორებმა! — შეუკურთხა ცხენოსნებს და უმალ სიტყვა პირზე შეაშრა.

თოვლში ჩიგლიგივით ბრჭყვიალებდა სისხლის წვეთები. „იმპერატორი წაასვენეს!“ — ქუდი მოიშვლიპა არვაშანგმა.

სანაპირო უკაცრიელი იყო. ყინვაც უჭერდა, არვაშანგი კი იდგა და ვერაფერს გრძნობდა. იდგა გაოგნებული და თვალები თანდათან ცრემლით ევსებოდა.

არ ახსოვდა, რამდენი ხანი დარჩა აქ. ნევაზე ქარი წვრილ თოვლს ხვეტდა და საყელოში აყრიდა. გამვლელმა ჩაიარა, დაბრუნდა, მხარზე ხელი მოუთათუნა.

— ეი, ბატონო!

— იმპერატორი მოკლეს! — წაიჩურჩულა არვაშანგმა.

გამვლელმა მხრები აიჩეჩა, თითი შუბლზე მიიკაკუნა და თავის გზას დაადგა.

რამდენიმე თვის შემდეგ ტერორისტთა სიკვდილით დასჯას ესწრებოდა. მაშინ პირველად ნახა ეშაფოტი. მისჯილებს შორის ერთი ლამაზი ქალი ერია, სოფიო პეროვსკაია. სიბრალული იგრძნო, ოღონდ ისეთი, კაცი რომ უნებურად იგრძნობს განწირული მტრის მიმართ. მაგრამ ქალს თავი ამაყად ეჭირა. ამან გააოცა ახალგაზრდა კაცი და სისასტიკეში ჩაახრჩო სიბრალულის ის სუსტი გრძნობაც.

აქედან დაიწყო ჩიჩუას დიდი კარიერის გზა. ის იყო დიდგვაროვანი, ჭკვიანი, ლამაზი, სასტიკი, მდიდარი... ყოველივე ეს კმაროდა, რათა ელვის უსწრაფესად აფრენილიყო იერარქიის ძნელად ასასვლელ კიბეზე. ეს აღმავალი გზა მწვერვალისაკენ კულისებს მიღმა მიდიოდა. არავინ იცოდა ჩიჩუას სახელი. მისი დაჯილდოების ან დაწინაურების ამბავს გაზეთები არ აცხადებდნენ. სამაგიეროდ მას იცნობდა იმპერატორი, მთავრობის ორიოდე მაღალი თანამდებობის მოხელე და საიდუმლო განყოფილება. მკაცრი გენერალი აბსოლუტურად სანდო აღმოჩნდა. ის მუდამ იქ ჩნდებოდა, სადაც საჭიროება მოითხოვდა. მის კისერზე იყო სისხლი მალოროსიისა და ვოლგისპირეთის გლეხებისა; მისი სასტიკი ნება უგრძვნიათ იმპერიის სხვადასხვა კუთხეში გაფიცულ მუშებსა და დემონსტრაციაზე გამოსულ სტუდენტებს. ეს ხელი არასოდეს ათრთოლებულა... წლები გადიოდა, მდგომარეობა ფრონტზე არ იცვლებოდა და განუწყვეტელ, დაუნდობელ ომს შეაბერდა არვაშანგ ჩიჩუა.

იმ დროს წელიწადში ერთხელ თუ გამოაღწევდა თავის საგვარეულო მამულში. აქ დაასაფლავა მოხუცი მშობლები, ძმები — ღუტა და ჯოგო, მახუტისა და ბადუს მამები, ორი ცოლი, რომელთაგან შვილი არ შერჩენია.

მაგიდის საათი აჩქარებით წიკწიკებდა. ეძინა სახლს, ეძინა ძველ კედლებსა და დერეფნებს, ირგვლივ გაშლილ ბაღებს. ქარმაც მიიძინა ხურჩას ჭალებში. სიმშვიდე არ იყო მხოლოდ არვაშანგის გულში. გენერალი იჯდა სავარძელში, თვალები ჩაშავებული შუშისათვის მიეპყრო.

ასთავიანი დევი აღმოჩნდა მისი მოწინააღმდეგე. ერთ თავს მოაჭრი და მის ადგილას ათი ამოდის. ამაოდ დაშვრა არვაშანგ ჩიჩუა, სიცოცხლე შემოეხარჯა უნაყოფო ჭიდილში. მტრის ზღვა სისხლი და ცრემლი დაღვარა ისედაც ცოდვით დამძიმებულ მიწაზე, მაგრამ დღეს ის უფრო სუსტია, ვიდრე ოდესღაც. მისი გვემული და ტანჯული მოწინააღმდეგე კი სულ უფრო სისხლსავსე და ღონიერი ჩანს.

მერე მოვიდა საშინელი ცხრაას ხუთი. რევოლუციამ მორეჯგვა იმპერია, შეარყია, შეაზანზარა. მიწა იძრა, დაიფშვნა საუკუნეობით ნაშენი ხუხულა. დაესივნენ არვაშანგები და დააოკეს... ვითომ დიდხანს ეყოფათ ღონე? ვინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს?

ძილი არ ეკარებოდა არვაშანგს. აუჩქარებლად ფურცლავდა თავისი ცხოვრების მატიანეს, რომელიც სავსე იყო აღლუმებითა და ჯილდოებით, მაგრამ ასევე სავსე იყო ტკივილითა და ცრემლით. მოჩვენებითი აღმოჩნდა ყოველივე. ბედნიერი არასოდეს ყოფილა არვაშანგ ჩიჩუა, პირადი ცხოვრება არც ჰქონია ოდესმე... პირველი ცოლი უყვარდა და ელოლიავებოდა, მაგრამ ქალი მშობიარობას გადაჰყვა. მეორე არ ჰყვარებია, გარიგებით შეირთო. ისიც მშობიარობას გადაჰყვა... იქნებ ილორის ხატს გადასცა ვინმემ, მტერს რა დაულევდა დაუნდობელ გენერალს... არც ის იცოდა, ბედის წიგნში რა ეწერა და ამდენი უბედურების შემდეგ ქვრივად დარჩენა არჩია. ოჯახი დაცარიელდა. მერე ძმებიც დაიღუპნენ ერთმანეთის მიყოლებით. მამობრივი სიყვარული ძმისწულებზე გადაიტანა. განსაკუთრებით მახუტი უყვარდა, თავნება ბიჭი... ბავშვები დაიზარდნენ,

დაიწყეს გზების ძებნა და სწორედ მახუტიმ უღალატა, სწორედ მან შეაქცია ზურგი იმ დიდებას, სიმდიდრეს, სიყვარულს, რასაც ასე უანგაროდ სთავაზობდა ბიძა-ლალა... „უმადური!“

სიბერის კარიბჭესთან არვაშანგის ცხოვრებაში შემოიჭრა თეკო. გოგონა მამას გლოვობდა და თალხი ეცვა. დღედაღამ დასტიროდა თავის ობლობას. არვაშანგმა ყველაფერი გააკეთა, რათა ის სიცოცხლისაკენ მოებრუნებინა. თეკოსგან სანაქებო ქალიშვილი დადგა და, რაც მთავარია, მას არ ღალატობდა მადლიერების გრძნობა...

სავარძელში მოკალათებულმა გენერალმა ვერ შეამჩნია, როდის ჩაქრა შანდალი. რიჟრაჟი ჩუმად შემოიპარა და ფანჯრის შუშაზე უცნობი სახე გამოისახა. შეკრთა არვაშანგ ჩიჩუა. უნდოდა წამოხტომა, მსახურთა ხმობა, მაგრამ ხელ-ფეხი ვერ დაიმორჩილა. დააკვირდა მოჩვენებას. იცნო, მახუტი იყო, დარდითა და ნაღველით სავსე...

ოფლში გახვითქულს გამოეღვიძა. ცისპირი უკვე დაძრულიყო. არვაშანგმა შვებით ამოისუნთქა. ფანჯარა გამოაღო და სახე გრილ ჰაერს მიუშვირა. სამრეკლოზე მნათეს პაწია ფიგურა მოჩანდა. ხელი ასწია, რათა ჯვარი გამოესახა, მაგრამ შეჩერდა. ახალგაზრდობიდანვე ურწმუნო იყო და მხოლოდ სხვათა მოსაჩვენებლად თუ ემთხვეოდა წმინდა ჯვარს.

XIII

დღისით არ უწვიმია, მაგრამ ჰაერი ჯერ კიდევ ნესტით იყო გაჟღენთილი და საღამოს ისევ აგრილდა. მდინარის გასწვრივ გამჭოლმა ნიავმა დაჰბერა. დაგვიანებული მგზავრები სიცივისაგან ააძაგძაგა.

ხაბოზე სამი ბიჭი იჯდა. ამათაც შესცივნოდათ და უნებურად ერთმანეთს ეტმასნებოდნენ. აქედან კარგად ჩანდა ვრცელი ხურჩა, მებორნის ქოხი გაღმა ნაპირზე, ტაატით მოცურავე ბორანი, საფოსტო გზა.

სამეულიდან ყველაზე უფროსი ჭიჭე იყო და მეტადაც ფრთხილობდა, თუმცა საეჭვოს ვერაფერს ხედავდნენ.

ეს ორი დღე შავი სიზმარივით დაამახსოვრდა. საუბარი მიწისქვეშეთში, განაჩენი, ხეტიალი მახუტის კვალზე, შურისძიება... ყველაფერზე საშინელი იატაკზე დაღვრილი სისხლის ნაკადი იყო, მერე ბავშვის ღნავილი, ქალის სასოწარკვეთილი კივილი... ამას ჭიჭე ფანჯრიდან უთვალთვალებდა... ძლივს მოწყვიტა მზერა, სახლს განერიდა, ისევ მახუტის კვალს დაადგა... მთვარემ გაანათა ოხაჩქუე. ბიჭმა აქ ყველა ორღობე და მოსახვევი იცოდა, მაგრამ შიში შეეპარა. მთვარით განათებული დაბა სასაფლაოს უფრო აგონებდა... ღრიანცელი შემოესმა. იქითკენ გაიქცა და ავი სულების ზედახორა დაინახა...

— რა მექნა, იქ მთელი ჯარი იყო და... — მერამდენედ ეუბნებოდა გვერდით მჯდომ ბიჭს — ვასკას.

ვასკა ცამეტიოდე წლისა თუ იქნებოდა, თუმცა თვითონაც არ უწყოდა, სად და როდის დაიბადა ან რა გვარისა იყო. სიზმარივით ახსოვდა სულ სხვა მხარე, ცასავით აპირქვავებული ვრცელი მინდვრები, განუწყვეტელი ზუზუნა ქარი. ხანდახან ფიქრობდა, მინდვრებიც და პატარა, თეთრი ქოხიც, რომლის ახლოს ორიოდე მზესუმზირა იზრდებოდა, სხვისი ნაამბობიდან შემორჩა მეხსიერებას. დედის სახე არ აგონდებოდა, მაგრამ ახსოვდა მისი ხეშეში, ქოთნების წმენდით გაშავებული ხელები. ზოგჯერ მოდიოდა ვიღაც ელამი ძია, მიასკდებოდა არაყს და კეტით ცემდა ქალს. ვეებერთელა ღუმელის უკან მიმალული დედა ნაწყენი ბავშვივით სლუკუნებდა... შემდეგ ის წაასვენეს აპირქვავებული მინდვრის კიდეზე, ხრამის პირას, სადაც არაფერი ითესებოდა, და დამარხეს... მეხსიერების ძაფი აქ წყდებოდა, ცხოვრების დანარჩენი მოგონებანი ოხაჩქუეს ხალხმრავალ ბაზარს უკავშირდებოდა. აქ ბიჭს ეკუთვნოდა ღართის ნაგლეჯი საბნად და ფარღალალა, უკარფანჯრო ფარდული ღამის სათევად. ბაზრის მიერ სამადლოდ გაზრდილს მთელი დაბა იცნობდა. თავისი დღე და მოსწრება ტოლებთან ჩხუბსა და კინკლაობას უნდებოდა. მუდამდღე კარგ გუნებაზე იყო, მაგრამ თუ გააჯავრებდნენ, თავცეცხლასავით ჩხუბობდა, მოწინა-

აღმდეგეს სიქის გაცლამდე არ შეეშვებოდა. თავდაპირველად ჭიჭე ერიდებოდა, ან რა საქმე ჰქონდა ბაზრის ბიჭებთან. ერთხელ კი ვასკას ჩხუბს შეესწრო. სამი მოზრდილი ბიჭი ერთად უტევდა, კუთხეში მიემწყვდიათ. ჭიჭეს უსამართლობა არ მოეწონა და ჩხუბში ჩაერია... მას შემდეგ ბიჭი კუდში აედევნა ჭიჭეს, თვალს რომ მოჰკრავდა, სახე უმალ გაუსხივოსნდებოდა, შუქიანი თვალები უცინოდა, ნოღა ცხვირიც, ნიკაპიც უთრთოდა, მხიარულად ააელვარებდა თეთრად ჩაწიკწიკებულ კბილებს...

— როგორც დამავალე, ისე გავაკეთე. დილამდე ციხის კართან ვიდექი! — თქვა ვასკამ. — აბა, რას გაიგებ, შიგ რა ხდება... არც შემსვლელი მინახავს ვინმე, არც გამომსვლელი... მერე, აგერ, ძუკუიაც მოვიდა...

ხურჩას თანდათან ბინდი წამოეფინა. მებორნესთან ჭრაქი ბჟუტავდა. წყალში პირველი ვარსკვლავები ასხმარტალდნენ.

ჭიშკრიდან ონოფრემ გამოიხედა.

— ხომ სიწყნარეა?

— სიწყნარეა, ონოფრე ჯიჯი! — გასძახა ჭიჭემ.

— აბა, თქვენ იცით, არაფერი გამოგეპაროთ!

— მოდით, დამბაჩები და ყუმბარები ვიშოვოთ, — აჩურჩულდა ძუკუია, — გალავანს ავაფეთქებთ...

— შენს ვაჟკაცობაში ეჭვი არ მეპარება, — გაეღიმა ჭიჭეს, — ასეც შეიძლება, თუ კაზაკებმა პასუხად მარტო თაფლის კვერები დაგვიშინეს.

ძუკუიამ მოიწყინა.

— Да, плохи дела! — თავისთვის ჩაილაპარაკა ვასკამ...

* * *

ბიძია ონოფრეს ქოხში ტაბაკს ხუთნი უსხდნენ. მასპინძელს ხელში ჭვიტლურით სავსე დოქი ეჭირა, მაგრამ ჭიქების დაცლას არავინ ჩქარობდა. ღომი, ყველი, პრასის მწნილი სტუმრებს ოდნავ მოეციცქნათ.

დუმდნენ.

ჯუნამ ამოიოხრა, ტაბაკს მოშორდა, სკამლოგინზე ჩამოჯდა. ჭრაქის შუქი იქამდე ძლივს აღწევდა და კაცები ქალის თვალების ბრწყინვას თუ ამჩნევდნენ.

— სწორედ რომ გოლიათთან დავითის ბრძოლასა ჰგავს ჩვენი ამბავი, — სიჩუმე დაარღვია ესტატემ.

პასუხი არავინ გასცა.

ხარაზს კიდეც ეშინოდა და კიდეც უხაროდა, რომ მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობდა. ის იმ უკმაყოფილოთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც აწმყოსი არაფერი სწამს, თუნდაც ოქროს ხანა იდგეს. მუდამ ბუზღუნებდა და ჩიოდა, თუმცა, რომ გეკითხათ, მაშ რანაირი ცხოვრება გინდაო, ვერაფერს გიპასუხებდათ. მისი პოლიტიკური სიმპათიები გაზაფხულის ამინდივით ცვალებადი იყო. რიგრიგობით თანაუგრძნობდა ყველა პარტიას უკიდურესი მემარჯვენეებიდან უკიდურეს მემარცხენეებამდე, ოღონდ ეს თანაგრძნობა მხოლოდ სიტყვიერ მხარდაჭერაში გამოიხატებოდა. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, იგი მუდამ სხვა პარტიის მოტრფიალე აღმოჩნდებოდა.

— ეჰე-ჰე, — გააგრძელა და იქ მყოფთ გადახედა, — სხვანაირად არ მიიღოთ, ძმებო, და ქვითკირის კედელი თავით არავის გაუნგრევია.

— ჭკუით უნდა გავანგრიოთ, ბიძია! — შეეპასუხა ახალგაზრდა მუშა, ვისაც ყველა ტუტულის ეძახდა. რევოლუციის წლებში ის ჯერაც ყრმა იყო, მჭედლის შეგირდად იდგა. ვაჟკაცური საქმე ენატრებოდა, მაგრამ პატარა ოხაჩქუეში ყველაზე მღელვარე წელსაც კი არაფერი მომხდარა.

— თუ შენ მაგდენი ჭკუა გაქვს, ჰა, ბურთი და მოედანი! — მწარედ გამოეპასუხა ხანში შესული მუშა ბეგლარი. სიყმაწვილეში ის ხალხოსანი იყო. მერე ცოლ-შვილს მოეკიდა, ბავშვები დაესია დ პოლიტიკიდან ფეხი ამოიკვეთა. ჯუნას ყურის მეზობლად ცხოვრობდა, ხათრი ვერ გაუტეხა და სიტყვის შესაწევნად მოვიდა.

— ციხეში ხვრელი გავიყვანოთ, ან კედელი ავაფეთქოთ დინამიტით!

— შენ რა გენაღვლება, შვილოსა, თუ ტყვიას შუბლში გახ-

ლიან, დამტირებელი არავინა გყავს... მე კი შვიდი ოთორთქლი მომჩერებია პირდაფჩენილი. მაგათ შენ აჭმევ ღომს?

— თქვენი ნება თუ იქნება... — თვალი ეშმაკურად მოჭუტა ტუტულიმ.

ბეგლარი უხერხულად შეიშმუშნა. დანარჩენებს გაეღიმათ. უფროსი გოგო ციცი უკვე მოწიფული ჰყავდა და ტუტულის თვალი ზედ რჩებოდა.

ჯუნას პირში წყალი დაეგუბებინა, საუბარში არ ერეოდა. ანდა რა უნდა ეთქვა? ეს ხალხი მისი თხოვნით შეიყარა, იქნებ მახუტის დახსნაში მიშველოთო. თვითონაც არ უწყოდა, რითი უნდა დახმარებოდნენ მახუტის... განა პირველად იგდებდა თავს საფრთხეში ჩიტი-კეტსალი? ოღონდ ახლა გული უგრძნობდა, წინანდელივით არ დამთავრდებოდა ეს ამბავი...

...ათი წლის გოგონა ბაზრობაზე წაიყვანეს და პირველად იქ ნახა ჩიჩუას გაზრდილი. ბიჭს სადავეთი ცხენი ეჭირა და ვიღაცას ელოდებოდა. სანამ დედ-მამა საყიდლებით იყვნენ გართულნი, გოგოსა და ბიჭს ერთმანეთისათვის თვალი არ მოუშორებიათ. დედამ შეამჩნია, მკლავზე უბწკინა, სირცხვილია, შვილო, ბიჭს ეგრე არ უნდა მიაშტერდე. იმ დღიდან მასზე ფიქრი ვერ მოიშალა. რამდენიმეჯერ შეხვდა, ხან დუქანში, ხან ქუჩაში, ხან მარულაზე... უკვე იცოდა ბიჭის სახელი, ისიც იცოდა, რომ მისი წრის გოგონას არც უნდა ეფიქრა მასზე. შეეცადა დაევიწყებინა და ვერ შეძლო.

თხუთმეტი წლისა ცხენს ბიჭივით დააჯირითებდა. ხანდახან მარულაშიც კი იღებდა მონაწილეობას და ამ დროს ვაჟურად იცვამდა. ცხენი ჰყავდა ერთი, სქვამა, ფეხმარდი ჭაკი, ტანმორჩილი და მამაცი. ერთხელ სასეირნოდ წავიდა ჯოღეჯიანის ველებისაკენ. იშვიათად თუ გადაეყრებოდა აქ ვინმეს და უყვარდა მარტოდმარტოს სქვამას ჭენება. ახლაც მარტოობა სურდა, მაგრამ ცხენოსანი წამოეწია.

უმალვე იცნო მახუტი ჩიჩუა.

შიშმა თავბრუ დაახვია, აათრთოლა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

„ღმერთო დიდებულო, მომეც ძალა... მომეც ძალა!..“ — ჩუმად ლოცულობდა, თან უკან მოხედვას ვერ ბედავდა.

ფლოქვების ხმა კი თანდათან ახლოვდებოდა და ჯუნა უფრო და უფრო კარგავდა გამბედაობას.

„გვერდით ჩამივლის, სალამს მეტყვის და მიცნობს... — ფიქრობდა გოგონა. — ან იქნებ უკვე მიცნო... იქნებ გათავხედდეს, მომეპაროს და ცხენიდან გადამიტაცოს?.. როგორ გამიბედავს?.. თავხედი!“

ცხენები შორიდანვე ბრაზიანი ჭიხვინით მიესალმნენ ერთმანეთს. სქვამა კისერს იგრეხდა, ცდილობდა, თვალი შეევლო მოწინააღმდეგისათვის. გოგონამ სადავე დაამოკლა, მაგრად დაიჭირა. ითვლიდა ყოველ ნაბიჯს, წამიდან წამზე ელოდა ყმაწვილის სალამს და საპასუხოდ ენა წართმეოდა.

— თქვენი გამარჯვება! — მოესმა ცივი, საოცრად გულგრილი ხმა და მხედარმა გვერდით ჩაუარა.

თვალთ დაუბნელდა, სისხლი თავში აუვარდა. „როგორ ვერ მიცნო, როგორ გაბედა და ვერ მიცნო?!“ — სირცხვილმა გააფიცხა. დეზი ჰკრა, ცხენი წინ მიმავალს მიაგდო. „ჰა-ჰაიტ!“ — მიაკივლა და მათრახი უშხუვლა ბეჭებში... ჯიქურ მოატრიალა ფეხმარდი სქვამა, გიჟივით გამოაჭენა.

ჯოღეჯიანის ვრცელ მინდვრებზე გაფრინდა მხედარი. მწვანე მდელო მორჩილად იკეცებოდა ფლოქვებქვეშ, ქარი ზუზუნებდა ყურებში, თმას უწეწავდა... იძალა ცხენმა, სადავე წაართვა, ორივე ხელით ფაფარს ჩააფრინდა მხედარი, გაეკრა ცხენის ზურგს... მინდვრები კი ზღვასავით გაშლილიყო და აღარ ილეოდა.

სიბრაზისაგან სახეანთებულ ყმაწვილს ტუჩი ჩაეკვნიტა და ფეხდაფეხ მოსდევდა. წამიდან წამზე მცირდებოდა მანძილი.

დიდხანს არ გაგრძელებულა სრბოლა. წაიბორძიკა სქვამამ. ცხენი ცხენზე მოაგდო მდევარმა, ჩოხის კალთაში ჩაავლო ხელი და თვალის დახამხამებაში ცხენიდან გადაიტაცა, ოღონდ ვერც თვითონ შეიკავა თავი და თან გადაჰყვა.

გოგონამ ვერ მოასწრო წამოხტომა. ყრმა პირველი წამოიჭრა, ხანჯლის ტარზე დაიდო ხელი და თვალი დაუბრიალა.

— შენ, ჰეი!

უმალვე სახე შეეცვალა, გაწითლდა, ჩაიმუხლა.

დიდხანს ისხდნენ ჩუმად. ხმის ამოღების ეშინოდათ. მერე მახუტიმ გაბედა. შუბლზე ჩამოცვენილი თმა ფრთხილად შეუსწორა და ისე ჩასჩურჩულა, თითქოს ვინმე გაიგონებდა ქვეყნიერების ამ დასალიერში:

— რამე ხომ არ იტკინე?

გოგონამ თავი გააქნია. ოხაჩქუეში ფეხით ბრუნდებოდნენ. ცხენები სადავეებით მოჰყავდათ.

ჩუმად მოდიოდნენ, ხანდახან მზერას თუ შეავლებდნენ ერთურთს და უმალვე სახეს აარიდებდნენ.

ყრმა ორღობესთან გამოემშვიდობა. გზისპირას ტოტებმოსხეპილი ჭადარი იდგა და აქ დაუთქვა პირველი პაემანი...

ჯუნა შეირხა, ფიქრი გაუწყდა. ყური მიუგდო კაცთა მუსაიფს. რიგიანი ვერაფერი მოეფიქრებინათ, ისევ ესტატე ლაპარაკობდა.

— ჩემი აზრით, რაიმე გეგმაზე ლაპარაკი ახლა ნაადრევია. — ხარაზს ენა სხვაზე უკეთ უჭრიდა. — ჯერჯერობით კაცი უნდა მოვძებნოთ ციხეში. ხომ უნდა ვიცოდეთ, სად არის და რას უპირებენ?.. კარგი იქნებოდა, მეტი ვყოფილიყავით, მაგრამ რას ვიზამთ, რაცა ვართ, ესა ვართ...

— ჯერაც, ეტყობა, არ იციან, ვინ ჩაიგდეს ხელში. — ონოფრემ წვერზე თითები ჩამოისვა. — უნდა ვიჩქაროთ, თორემ დიდი ხანიც არ უნდა, ოხაჩქუეში გაზრდილ კაცს ვინმე მაინც შეიცნობს...

— სულ ერთი არ არის? — ტუტულიმ მხრები აიჩეჩა.

— არ არის სულ ერთი! თვითონ მახუტის არ სურს ვინმემ იცნოს, ესე იგი არ არის სულ ერთი.

ჯუნა ზურგით კედელს მიეყრდნო და კვლავ ფიქრებს დაუბრუნდა...

XIV

იმ დღეს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი (ასე უწოდებდა ის საკუთარ თავს) კარლო ფოთხოს ძე გაბისონია, ანუ მდაბიურად ბატონი კარლო, მეგობრებისათვის უბრალოდ კარლუშა და ზურგს უკან ფოთხოევიჩი, დილის ცხრა საათზე

გამოვიდა მაზრის უფროსის კაბინეტიდან. მაზრის უფროსი გაფითრებული იყო და ენის ბორძიკით ლაპარაკობდა. ქუთაისიდან გენერალ-გუბერნატორს დაერეკა. თუმცა მაზრის უფროსი არაფერს ამბობდა, ეტყობა, მაინცდამაინც არ გაუხარებია გუბერნატორთან მასლაათს. თვითონ ბატონ კარლოსაც გასახარელი არა ჭირდა რა. ისიც ხომ პასუხს აგებდა მაზრის სიმშვიდეზე, მაგრამ მეტოქის ყოველი მარცხი, თუნდაც მასში თვითონაც ჰქონოდა წილი, საკუთარი ტრიუმფის საწინდრად მიაჩნდა; მით უმეტეს, რომ თავს ყოვლადძლიერი გენერლის ფრთებქვეშ გრძნობდა. ამიტომ ახარებდა მაზრის უფროსის დღევანდელი უგუნებობა. ბატონი გამომძიებელი საზოგადოებაში მაღალფარდოვან სიტყვებს ამბობდა მისი, ბატონი კარლო ფოთხოევიჩისა და მაზრის უფროსის ღვაწლზე ოხაჩქუეს აყვავების საქმეში; სინამდვილეში იმ ბედნიერ წამს ელოდა, როდის მოიტეხდა მაზრის უფროსი კისერს. დიდხანს მოუწია ლოდინმა. რატომღაც ქუთაისთან ყოველი დალაპარაკება მშვიდობიანად თავდებოდა მაზრის უფროსისათვის, ოღონდ ყვითელი, პირამიდის წვერივით წინ წაკუხული სახე კიდევ უფრო უყვითლდებოდა და ღრმად იჭუჭკებოდა მისთვის ვეებერთელა შეზლონგში, თავის დროზე პარიზიდან რომ ჩამოეტანა ერთ გუდამშიერ აზნაურს და უსახსრობის გამო ჩირის ფასად დაეთმო მისთვის. ბატონ კარლოს გულში წვეთ-წვეთობით გროვდებოდა ბოღმა ამ „ქრონიკული სიფილიტიკის“ წინააღმდეგ და ყოველგვარ მარცხს თავის საქმიანობაში აბრალებდა „უნიჭო თევზის თავს, რომელიც დიდი ხანია აყროლდა“. ერთხელ წამოსცდა, ქუთაისში თვითონაც არ იციან, ვის ნიშნავენ მაზრაშიო, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. კიდევ კარგი, ნათქვამი ჰაერში დაეკიდა და მაზრის უფროსის ყურამდე არ მიუღწევია, თორემ ბებერი ტურას ჯერაც მაგარი კბილები ჰქონდა. ამის შემდეგ ჭკუადამჯდარი გამომძიებელი ან სრულიად დუმდა, ან ყველაფერზე კვერს უკრავდა მაზრის უფროსს; ცდილობდა ესიამოვნებინა მისთვის და იცდიდა... იცდიდა ისე, როგორც ბუჩქს ამოფარებული ტურა უცდის თავის მსხვერპლს...

ზუსტად ათის ნახევარზე განსაკუთრებულ საქმეთა გა-

მომძიებელმა და იუსტიციის მრჩეველმა (ასედაც ეძახდა ის თავის თავს) ისაუზმა ქალბატონ მინადორას სამიკიტნოში. ქალბატონ მინადორას მთელი მაზრა ისევე იცნობდა, როგორც თვით კარლო ფოთხოევიჩს. არავინ იცოდა, რა ქონების მფლობელი იყო სამიკიტნოს პატრონი, მაგრამ მისი საიგავარაკო სიძუნწის ამბავი დიდ-პატარას ენის წვერზე ეკერა. შინაბერა, სალამურა ცხვირისა და წვრილი კისრის გარდა, მისი გარეგნობისათვის ფრიად შეუფერებელ, მაგრამ თავისთავად აღტაცების მომგვრელ ძუძუებს ამზეურებდა. როდესაც ქალბატონი მინადორა ხელებს ძუძუებს ქვეშ გადაწნავდა და მათ ოსტატურად ამობურცავდა, ბატონ გამომძიებელს ავიწყდებოდა ქალის ცხვირი და კისერი, სიამოვნებისაგან ატრუხუნდებოდა, თეძოზე ნაზად წაუტყლაშუნებდა „ძვირფას დაიკოს“ და ყველას არწმუნებდა, — ბიძაშვილები ვართო. ქალიც კეკლუცად უღიმოდა გავლენიან ნათესავს, გამოაფენდა ოქროს კბილებს და მინადორა ათი წლით ჯეელდებოდა. ამიტომაც მის სამიკიტნოში დანის ტრიალიც რომ ატეხილიყო, ერთი პოლიციელიც ვერ შეყოფდა ცხვირს და აქ ათასი ჯურის საეჭვო პირი იყრიდა თავს. პროვინციული ქალაქის უსაქმურები ბევრს ჭორაობდნენ ბატონ კარლოსა და ქალბატონ მინადორას ნათესაურ ურთიერთობაზე. ზურგს უკან დაჰქონდათ მაზრის უფროსის სიტყვები: „ისლამი იწამა ალბათ ჩვენმა პატივცემულმა იუსტიციის მრჩეველმა, თორემ ჩვენში მრავალცოლიანობა ვის გაუგონიაო“. ასეთი ხუმრობის უფლებას მაზრის უფროსი თუ მისცემდა თავს. ბატონმა კარლომ დიდხანს არაფერი იცოდა. მერე ციხის უფროსმა მეგობრულად მოურბენინა ნათქვამის ერთობ გაბერილი ვარიანტი. მაზრის უფროსმა იმის კითხვაც იკადრა, თუ როდის დაგვპატიჟებს იუსტიციის ამომავალი მზე მეორე ქორწილშიო. ფოთხოევიჩი ჯერ აღშფოთდა, მერე გაეცინა. წელმოთრეული ბერიკაცი თვითონაც არ იქნებოდა წინააღმდეგი ერთხელ მაინც ეჩქმიტა მინადორას ძუძუებისათვის.

„შური თუ ალაპარაკებს მის აღმატებულებას, — სიცილით უთხრა ციხის უფროსს, — ლიხთიმერეთში, საიდანაც ის მოეთრა, ვინ მიაშავებდა ასეთ მადის მომგვრელ ქალებს“. გულში კი

გაიფიქრა: „ქალს როგორ უნდა მეცილებოდეს ეგ ბებერი ცვედანი“.

ათ საათზე ბატონი იუსტიციის მრჩეველი თავის კაბინეტში ლომებით შემკულ მაგიდას მიუჯდა.

ფარდა ჩამოშვებული იყო, ოთახში მკრთალი სინათლე იდგა. ბატონი გამომძიებელი მზის სხივებს ვერ იტანდა, იმთავითვე ბნელში მუშაობას მიეჩვია.

სუფთა ქაღალდი წინ დაიდო და ზარი დააწკარუნა.

კარი უხმოდ გაიღო.

ზღურბლზე ზედამხედველი გამოჩნდა...

* * *

ბატონი იუსტიციის მრჩეველი წამოხტა, გულკეთილი მასპინძელივით ხელები ფართოდ გაშალა. მის გაბადრულ სახეზე უზომო სიყვარული და სინაზე იხატებოდა. საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ფრიად თვალსაჩინო გარეგნობისა გახლდათ. ცოტა ზომაზე მეტი ღიპი და გავა უფუჭებდა საქმეს, თორემ მსხვილი, უხვქოჩრიანი თავი, მუდამ წამოჭეხებული ლოყები, თეთრი კბილები და პაწია, ჭუტალა თვალები, დაგუდლებულ ქუთუთოებში ძლივს რომ მოჩანდა, ყველაფერს გამოისყიდიდა. მთავარი მაინც ღიმილი იყო. თავად გამომძიებელმაც კარგად უწყოდა, ღიმილით შემკული მისი პირბუტაღი სახე ყველაზე უნდოსა და მიუკარებლის გულს მოიგებდა. ამ დროს გამომძიებლის გამოხედვაში იმდენი ბავშვური გულუბრყვილობა და სიკეთე იყო ჩაქსოვილი, გეგონებოდათ, ეს კაცი ჭიანჭველასაც ფეხს არ დაადგამსო.

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ბატონო... ჰმ, მაპატიეთ, თქვენი სახელი არ ვიცი... — ასეთი სიტყვებით შეხვდა ბატონი იუსტიციის მრჩეველი ორი ზედამხედველის მიერ შემოყვანილ უცნობს.

უცნობი დუმდა.

„რა ვქნა, სადღაც მეცნობა ეს კაცი“, — გაიფიქრა გამომძიებელმა.

— კეტსალი, ბატონო გამომძიებელო! — უპასუხა ერთმა ზედამხედველმა. ბატონ კარლოს არ მოეწონა მისი ჩარევა, ხელი კარისაკენ გაიქნია. ზედამხედველებმა კაბინეტი დატოვეს.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, ბატონო კეტსალ! — კარლომ მაგიდას შემოუარა, სავარძელი გამოუჩოჩა, მოუცადა უცნობის დაჯდომას და თვითონ დაჯდა.

უცნობი ოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა, საშუალო ტანისა. ეს ჯერ კიდევ მის დაჯდომამდე ჩაიბეჭდა ტვინში ბატონმა კარლომ. ლამაზი, მაგრამ ქურუხი სახე პირდაპირ გამომძიებლისაკენ მოემართა. ცხვირის თხელი, ნერვული ნესტოები პატრონის არისტოკრატულობას მოწმობდნენ. თვალები კი... თვალების ფერი ვერ გაიგო იუსტიციის მრჩეველმა, მაგრამ შიგ რომ სატანა იჯდა, ამას მიხვდა...

„ლამაზი ყმაწვილი კია, მაგრამ მძიმე ბუნებისაა!“ — დაასკვნა საბოლოოდ.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას წუხანდელი ცემის კვალი ოდნავ აფუჭებდა. ბატონ კარლოს თანაშემწეებს სამსახურისადმი გადამეტებული ტრფიალი გამოეჩინათ. ამას ცხადად მოწმობდა ლურჯი ლაქები უცნობის სახეზე.

„ცუდად მუშაობენ, უხეშად“, — უკმაყოფილოდ გაიფიქრა კარლომ.

— ბოდიში უნდა მოვიხადო თქვენს წინაშე, ბატონო ჩემო. გუშინ ქალაქში არ გახლდით, თორემ, რასაკვირველია, უფლებას არ მივცემდი ჩვენს ბიჭებს... ისინი, ჰმ, ცოტა არ იყოს, ცუდად მოგექცნენ. ზედამხედველთა უმრავლესობა სოფლელია, უწიგნური და გაუთლელი ხალხი. ერთხელაც თავმდაბლად გთხოვთ, გვაპატიოთ, ბატონო... ჰმ, თქვენი სახელი?.. ნამდვილ სახელს გეკითხებით...

უცნობი დუმდა.

— თქვენ გსურთ, რომ მეც კეტსალი დაგიძახოთ? კეთილი, კეთილი... კეტსალი, ჰმ, კეტსალი... ნამდვილად რომანტიკულია, ფრინველი, რომელიც ტყვეობაში იღუპება... იღუპება, ხომ გესმით? კეტსალს ჯუნგლები ჭირდება, მთები და ველები, გალიაში ის დიდხანს ვერ ძლებს. ხომ ასეა, არა?

კეტსალი დუმდა.

— კარგი, მე მაინცდამაინც არ მაინტერესებს თქვენი სახელი. ყოველ ადამიანს უფლება აქვს რაც უნდა ის დაირქვას. ყველა ცდილობს ლამაზი სახელი მოიძებნოს თავისთვის. აბა, მელა-მყრალას ან მოხრაკულ კუს არავინ დაირქმევს... — სიყმაწვილეში უამრავ სათავგადასავლო რომანს კითხულობდა და უყვარდა ძველი არსენალიდან უცნაური შედარებების გამოჩხრეკა. — კეთილი... თქვენ ეწევით?.. თუ გნებავთ, ინებეთ!.. თურქულია, ანაკლიაში წავართვით კონტრაბანდისტებს. მთელი წლის სამყოფი გვაქვს... არ ეწევით?

კეტსალი დუმდა.

— გასაგებია, თქვენ ალბათ არ ეწევით... კეთილი... ეგებ გშიათ, ა? ასეთი კითხვა ზედმეტია, რადგან მე ხომ ვიცი, რას აჭმევენ აქ. რა ვუყოთ, ჩვენი ქვეყანა ღარიბია. მას არ შეუძლია ყველა ტუსაღი ჰერცოგივით კვებოს. თუ გსურთ ზედამხედველს დავუძახებ, ცხელ ჩაის მოგვიტანს... არა?

კეტსალი დუმდა.

— სხვას ვერაფერს შემოგთავაზებთ. ეს ციხეა, ბატონო, როგორ თქვით?.. კეტსალი?! თქვენ რომ ოჯახში მესტუმრებოდეთ, რასაკვირველია, უკეთესად გაგიმასპინძლდებოდით. კაი მარანი მაქვს, ჩემმა მზემ, სანაქებო. რა ჯობია ქვევრის თავზე გაშლილ ტაბლას... კეთილი, გადავიდეთ საქმეზე...

უცნობს რომ კეტსალი ჰქვია, ამას ბალღიც ვერ დაიჯერებს. ბატონი კარლო ცხოვრებაში გამობრძმედილი კაცია, ზღაპრებისა არა სჯერა. ის ათასგვარ ხალხს იცნობს და, წარმოიდგინეთ, ერთგვარ ფსიქოლოგიურ დაკვირვებასაც აწარმოებს. ბოლოს და ბოლოს იუსტიცია არაა მოღვაწეობის ის ასპარეზი, საითკენაც ბატონი კარლო ილტვის. მას მეცნიერული კარიერა უფრო მოსწონს, კერძოდ ფსიქოლოგია. შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს შექმნას კიდეც საკუთარი ფსიქოლოგიური სკოლა. ამრიგად, პიროვნება ბატონ კარლოს აინტერესებს, როგორც ფსიქოლოგიური დაკვირვების ობიექტი. მხოლოდ ამ თვალსაზრისით წარმართავს ის თავის ძიებას. პირდაპირ უნდა ითქვას, სხვა თუ არა, ცნობისმოყვარეობა შეაწუხებს ადამიანს:

სად ქართველი კაცი და სად ამერიკული ჩიტის სახელი. საინტერესოა, რა ფსიქოლოგიური სარჩული აქვს ამ სახელის შერჩევას. დღეს კეტსალის წინ გამომძიებელი კი არა, პოტენციური მეცნიერი და კაცური კაცია, ცნობის წადილი გულში ჭუჭკად რომ უზის. კეტსალს ნუ ჰგონია, რომ ყველა, ვინც ცხოვრებამ პოლიციასა და ჟანდარმერიაში გადაისროლა, გულით ჟანდარმი და მედილეგე გახდა. ჰმ, გამომძიებელს საჭიროდ არ მიაჩნია საუბრის დონე მეცნიერული სიმაღლიდან ობივატელურ წარმოდგენებამდე დაიყვანოს.

ჩვენ შორის დარჩეს და, პირდაპირ უნდა თქვას ამაზე ბატონმა კარლომ, პოლიტიკაში ის ლიბერალია. შესაძლებელია, კეტსალის შეხედულებები ზოგ რამეში ემთხვევა კიდეც ბატონი კარლოს შეხედულებებს. ყველამ იცის, რომ სახელმწიფოში მანიფესტის გამოცემით არსებითად არაფერი შეცვლილა. რუსეთს არ გააჩნია დემოკრატიის ტრადიციები და მანიფესტები აქ საქმეს ვერ უშველიან. ეს სხვაზე მეტად იურიდიული განათლების მქონე და ფსიქოლოგიური მეცნიერების ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს ესმის. უფრო მეტიც, ბატონ კარლოსა და ბატონ კეტსალს შორის დარჩეს, იმპერია რეაქციული მონარქიისა და ხალხის ჯალათების ხელშია. „დედოფლის საყვარლებმა დიდი ხანია ქვეყანა პრუსიელ ბარონებს მიჰყიდეს...“ ამას ბატონი კარლო სხვათა შორის ამბობს. მასაც და ბატონ კეტსალსაც ყოველივე ისედაც კარგად ესმით.

თუ გსურთ, ბატონი კარლო პირდაპირ და დაუფარავად მოგახსენებთ, მას არავისი და არაფრის ეშინია. მკერდით დაიცავს თავის სიმართლეს, ტყვიასაც არ შეეპუება. ჰმ, იმას ამბობდა, რომ „ეს ქვეყანა ისეა ჯაშუშებითა და იუდებით გატენილი, ვითარცა ბროწეული მარცვლით...“ ადამიანს სული გეხუთება, ბატონ კარლოს მხედველობაში ჰყავს თავისუფალი სულის ადამიანი და არა ისეთი ყვითელი ტკიპა, მაზრის უფროსი რომაა. ჰმ, ამ დილას აქ ბევრი ითქვა, მაგრამ იმედია, ნათქვამი მათ შორის დარჩება. ასეთ სიტყვებს ქუჩაში ხმამაღლა ვერ იტყვი, ყოველ გამვლელს ვერ ანდობთ გულში ჩამარხულ აზრებს. ასე რომ იყოს, ბატონ კარლოს აქამდე თავი არ შერჩებოდა მხრეზზე... ჰო, იმას მოგახსენებდათ, იუსტიციის მრჩეველი თვითონაც დემოკრატია. დიახ, ნამდვილად ასეა. მას ხუთი წლის ამბებმა თვალი აუხილა და ქვეყნის ხსნის გზა დაუსახა. იურისტის ქურთუკის ქვეშ ხალხის უანგარო მეგობრის ალალი გული სცემს... ასეა, მეგობარო, საქმე...

* * *

წამი წამს მისდევდა და განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს დროის სათვალავი აერია.

„ნამდვილად სადღაც შემხვედრია და არ მახსენდება“, — თავს იმტვრევდა და პროვინციელი ჩინოვნიკის გულდაჯერებით ცდილობდა ისეთ საკენკზე მიეტყუებინა კეტსალი, რომლითაც ბავშვსაც ვერ შეაცდენდა.

მაზრის უფროსმა დიდი ხანია ისადილა. „კუტაისკია გუბერნსკია ვედომოსტი“-ში დაჯილდოებულთა სია ჩაათვალიერა, ეგებ ჩემს გვარსაც წავაწყდეო; მერე თვალი მოატყუა და ახლა ალბათ ჩაის მიირთმევს. ქალბატონი მინადორა თავის დაცარიელებულ სამიკიტნოში ფაციფუცობს. საღამოობით სტუმარი ბლომადა ჰყავს ხოლმე და იმისთვის ემზადება, ანდა სარკის წინ ტრიალებს. ყველაფერში ქვაწვია, გულუხვია საკუთარი ტუალეტის მიმართ. ალბათ ახალ კაბას ირჩევს, ან მკერავს ესაუბრება პარიზის უკანასკნელ მოდებზე, თუმცა ყველაზე მოდური კაბაც ჭუჭყისაგან გაზინთული აცვია. სამიკიტნოს ორკესტრის წევრები — კოჭლი, ბებერი მეზურნე და თეთრყირმიზა მედოლე ბიჭი აჩქარებით ხვრეპენ უფასო წვნიანს ქალბატონ მინადორას დაწესებულების საჩეხში, შეშის გროვაზე... ბატონი კარლოს თანაშემწეებიც გაიკრიფნენ თითო-თითოდ...

კეტსალი კი დუმს... დუმს... დუმს...

გენერალი არვაშანგი მოუთმენლად ელის ძიების შედეგს, ეს კი ზის თავისთვის და ხმას არ იღებს, გაქვავებულა, თუჯისაგან ჩამოსხმულსა ჰგავს. სახე-ნიღაბმა და უსიცოცხლო ხელებმა ლამის მოთმინებიდან გამოიყვანოს კარლო.

თვალები ცოცხლობენ მხოლოდ, ეშმაკისეული თვალები. ზოგჯერ მინისა ჰგონია კეტსალის თვალები კარლოს, შავი დარაბებითაა მიგმანული ცნობისმოყვარე მზერისაგან. ანაზდად გაიხსნება მიხურული დარაბა, უსაზღვრო სიძულვილი იელვებს და უმალ ჩაქრება.

ხედავს ბატონი კარლო, რომ ფუჭად ეხარჯება დრო და შრომა. ნერვიულობა დაეტყო, ალღომ უმტყუნა. ხან რუსულად ლაპარაკობდა, ხან აფხაზურად უქცევდა, ხან კიდევ ქართულად. ასეთ დროს მეგრულად სიტყვას ვერ აბამდა და ცდილობდა ამის დაფარვას... ადლიანი ცხვირსახოცით იმშრალებდა დაწინწკლულ შუბლს. საგრძნობლად ჩამქრალი ხალისით განაგრძობდა ბჟუტურს.

— აჰა!.. მიგიხვდით!.. თქვენ გსურთ, წონასწორობიდან გამომიყვანოთ!.. მინდა მოგახსენოთ, რომ შემცდარხართ, ჩემთან ეგეთი ფანდები არ გამოგივათ... მე, ბატონო ჩემო, კარლო ფოთხოს ძე გაბისონია გახლავართ და ჩემს სახელს, ალბათ მოგეხსენებათ, იცნობს არა მარტო ეს საცოდავი ოხაჩქუე.

და სულსწრაფად ალაპარაკდა თავის რკინისებურად მტკიცე და ჯანსაღ ნერვებზე. წვრილად უხსნიდა, თითქოს მის წინ ვინმე ფსიქიატრი ყოფილიყოს, ანდა თითქოს ნაცნობ მლიქვნელთა წრე ეხვია სადმე რესტორან „თუ სმა არის, სმა იყოსში“...

მოულოდნლად სიტყვა გაუწყდა.

კეტსალის თვალებმა შეაწყვეტინა უსაზომო ტრაბახი.

აშკარა ზიზღი და სიძულვილი ამოგორგლდა ჭის სარკისებური ფსკერიდან და იგრძნო ფოთხოევიჩმა, რომ ნებიერი მასლაათი ვერ უშველიდა საქმეს... მსხვერპლი უძვრებოდა ხელიდან... იფეთქა მაშინ ამ უსაზღვროდ მოსაწყენი ლაყბობის დროს გულში წვეთებად დაგროვილმა გესლმა და ზეზე წამოჭრილმა ისტერიულად შეუძახა:

— თვალები!.. ახლავე დახარე ეგ საზიზღარი თვალები!

კეტსალი არ განძრეულა, ის დუმდა.

ჰოდა, არ ღირდა მეტი ლაციცი... გამომძიებელმა ღოჯები გამოაჩინა, მსწრაფლ მივარდა... ხელის მოკლე და სხარტი დარტყმით სავარძლიანად გადააყირავა.

კარლო გაბისონია ფეხით შედგა წაქცეულს...

XV

ნაშუადღევს გივი და ხუტა მოვიდნენ და ბადუ სასეირნოდ წაიყვანეს.

— პროვინციაა, თავადო, პროვინცია, — ჩიოდა გივი, — რაც თქვენ თბილისში გადაბარგდით, აქ არაფერი შეცვლილა... მოწყენილობაა, თავადო, როგორღაც დამყაყდა ცხოვრება...

— გრცხვენოდეს, გივი ჩემო! — ბადუს მაგიერ პასუხობდა ახალგაზრდა მოხელე. — რა გაქვს საწუწუნო, მამაშენს მამულები არ აკლია და ფული... ახლა ლამაზ ცოლსაც ჩაიგდებ ხელში და...

გივი გაწითლდა, ხუტას ბოლო სიტყვებს წაუყრუა.

— დედაქალაქის შემდეგ ერთი წვნიკი ოხაჩქუე, აბა, რა მოსაწონია?

— რატომ? — სიტყვა ჩამოართვა ბადუმ. — პატარაა ოხაჩქუე თუ დიდი, ჩვენ აქ დავიბადეთ და აღვიზარდეთ... ესაა ჩვენი სამშობლო, მის ამაგს ვერ დავივიწყებთ. უნდა ვეცადოთ, ცოდნა და გამოცდილება მის წინსვლას მოვახმაროთ...

— თქვენს პირს შაქარი, თქვენს პირს შაქარი! — ნაღვლიანად თქვა გივიმ.

— ახალგაზრდებს პროვინციაში ერთგვარი მისიონერის როლი გვაკისრია! — საკუთარმა აზრმა გაიტაცა ბადუ. — ჩვენ იმ რელიგიის წარმომადგენლები უნდა ვიყოთ, რომელსაც ევროპიული კულტურა და ცივილიზაცია ჰქვია...

— გივის ყურს ნუ უგდებთ, თავადო! — მოხელემ მკლავზე ხელი გამოსდო ბადუს. — მაგას რა გამოასწორებს, სულ აგრე წუწუნებს. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ოხაჩქუე არ არის სხვაზე უარესი, თუმცა იმპერიაში ასეთი ქალაქი ათი ათასი მაინც იქნება.

ოხაჩქუეს ცენტრამდე მიაღწიეს და ერთადერთ ხეივანს

გაუყვნენ. ფეხქვეშ სველი ნეშო ჭრაჭუნობდა. ჭადრებს შორის პატარა ჭუჭყიანი რუ ლუგლუგით მიიკვლევდა გზას... ხეივანს ორივე მხარეს მოკირწყლული ქუჩები გასდევდა. ბულვარის პირას უმთავრესად ერთი და ორსართულიანი სახლები, დარაბებიანი სახელოსნოები, სავაჭროები, სამიკიტნოები და ათასი სხვა წვრილი დაწესებულება ჩამორიგებულიყო.

ესხირის შემდეგ მზემ პირველად გამოიხედა და ხალხიც ხეივანში გამოეფინა, ზოგი სავაჭროდ, ზოგი კი თვალისათვის წყლის დასალევინებლად. სამჭედლოებში ისმოდა გრდემლზე ურების დაგადუგი და ჩაქუჩების რაკუნი. დუქნების კართან ხალათჩამოკონკილი ბიჭები მუშტარს კალთას ახევდნენ. სამიკიტნოებიდან ღრიანცელი გამოდიოდა. მთვრალი ოფიცრები ქვაფენილზე დააჭენებდნენ ეტლებს და ყიჟინით ესალმებოდნენ ნაცნობებს. სადურგლო „პატივისცემით დაგმარხოში“ სასულე ორკესტრი სამგლოვიარო ჰანგს უკრავდა. აქა-იქ ხმლებჩამოკონწიალებული პოლიციელები დაბრახუნობდნენ ქირზის ჩექმებით და დამპყრობლებივით იბღვირებოდნენ. ქალაქის ღარიბ-ღატაკობა გამორჩენის მოლოდინში ტროტუარს მოსდებოდა. არც ნაღები საზოგადოება დარჩენილიყო შინ, კოხტად გამოპრანჭული თავადიშვილები და გამდიდრებული მედროვენი მედიდურად დასეირნობდნენ, კოპწიაობდნენ და თავს აწონებდნენ მდიდარი მშობლების გასათხოვარ ქალიშვილებს.

მეგობრები ბადუს გზადაგზა აცნობდნენ ოხაჩქუეს უძრავ და მოძრავ ღირსშესანიშნაობებს, თუმცა ჭაბუკს ისედაც ახსოვდა ყოველივე.

— „პატივისცემით დაგმარხოში“ კუბოების მთელი გამოფენაა. — იცინოდა ხუტა. — კუბოს ყიდვისთანავე აქ შეგიძლიათ იქირაოთ სასულე ორკესტრი, რომლის ჭყვირილი დღენიადაგ სულსა გვხდის.

— აგერ, ჩვენ წინ ჩოხა-ახალუხში გამოკვანჭული კაცი, ოსმალოს ფაშასავით გაფხორილი რომ მოაბიჯებს, მაგას მთელი ქონება დაგირავებული აქვს, ჯიბეში კი გახვრეტილი გროშიც არ გააჩნია, — ამბობდა გივი, — თანაც მთელმა ქალაქმა იცის, რომ ცოლი გიმნაზიელებთან ღალატობს, მაგრამ, შეხედეთ, მამლაყინწასავით არ აჟღარუნებს დეზებს?

— აქეთ უყურეთ, თავადო, ეს ქალი ოხაჩქუეს ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. — ხუტამ ანიშნა წითელი აგურის უშნო, ორსართულიანი სახლისაკენ, რომლის აივნიდან ფერუმარილში გათხვრილი ქალი წვივებს ურცხვად ამზეურებდა. — ამ პატიოსან ადამიანს დღისით ზედაც არ უყურებენ, შეღამებულზე კი ქურდბაცაცებივით ფეხაკრეფილი ქალაქის მამები რიგრიგობით გამორბიან აქეთკენ...

— ეს კი, ზურნისა და დოლის ხმა რომ გამოდის, ჩვენი საუკეთესო სამიკიტნოა. იგი ქალბატონ მინადორას ეკუთვნის. ვინა თქვა ჩვენთან ქალთა ემანსიპაციაა საჭირო. ქალბატონი მინადორა ვისაც გინდათ, ჯიბეში ჩაისვამს...

ბადუ ყურადღებით უსმენდა ამ ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად წამოსროლილ რეპლიკებს, ასევე ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს, რაზეც მიუთითებდნენ, თუმცა ბევრი ვერაფერი სიახლე იხილა, ეცნობოდა ან იხსენებდა ყველას, ვისაც აცნობდნენ ან ახსენებდნენ, თავდაჭერილად პასუხობდა სალამზე და ფიქრობდა, ფიქრობდა... ეს რა სასაცილო, საცოდავი, აბუჩად აგდებული მხარეაო; აქ საკუთარ სიგლახეს ცრემლიანი თვალებით დასცინიანო; აქ მზეც უფერულია და ყველაფერი, რასაც მზის სხივი ეფინება, ისიც უფერულიაო; სადღაა ბადუს ცისფერი სამშობლო, ასე ხშირად რომ ესიზმრებოდა თბილისში. კიდევ კარგი, მედეა ნიჟარაძეც თან არ ჩამოიყვანა. ქალიშვილი ხომ ერთ დღესაც ვერ გაძლებდა ამ გასაწყლებულ დაბაში, სადაც არისტოკრატთა უმრავლესობა გლეხობისაგან მხოლოდ ყოყოჩობით განსხვავდებოდა.

ეტლიდან ყვითელთავიანმა კაცმა გადმოიხედა, ბადუს ქუდი მოუხადა. მზის სხივი ასხლტა კაცის მელოტზე. ბადუმ სალამზე ზრდილობიანად უპასუხა.

— მაზრის უფროსია. — აუხსნა ხუტამ. — ეს და ფოთხოევიჩი ვერ იტანენ ერთმანეთს და დროს ურთიერთგესლვაში ატარებენ... უკაცრავად, ერთ წამს, თავადო!

ბადუმ მოიხედა. მათკენ მანდილოსნები მოდიოდნენ.

— ქალბატონ ფაქიზოს ვახლავარ, ქალბატონ ფაქიზოს

ჩვენი უმდაბლესი სალამი! — შორიდანვე შესძახა ხუტამ და მათკენ სწრაფად გაემართა.

გივის ფერი ეცვალა, ფეხათრევით მიჰყვა მეგობარს.

ბადუმ იცნო წუხანდელი სტუმრები. მიხვდა, რომ ქალბატონი ფაქიზო ძაბულის დედა იყო და რატომღაც ეუხერხულა.

— ჩემი გვრიტი გამოვიყვანე ჰაერზე, საბრალოს გამოკეტილში ჩაუღამდა თვალები. — თქვა ნაზად ქალბატონმა ფაქიზომ, სანამ ბადუ ხელზე საკოცნელად იხრებოდა.

ძაბულის ვნებიანმა თვალებმა ყმაწვილკაცები დაატყვევა. მარტო ხუტამ არ დაიმჩნია მღელვარება. თამამად მიეჭრა, ხელზე ეამბორა და სანამ გრძელი ქათინაური არ მოათავა, ხელი არ გაუშვია მისი ფაფუკი თითებისათვის. ბადუმაც ხელზე აკოცა გოგონას. წუხანდელი ცეკვა შეახსენა. შემდგომ მეჯლისზეც ერთი ცეკვა დამითმეო, სთხოვა. გივის არ უკოცნია, არც ხელი ჩამოურთმევია. შორიდან თავი დაუკრა დედა-შვილს და თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა. გაუგებარი იყო, სალამს ამბობდა თუ წყრებოდა. ბადუ მიხვდა, მეჯლისის გახსენებამ სამუდამოდ გადაამტერა გიმნაზიის ამხანაგი, მაგრამ მისი წყენა აინუნშიაც არ ჩაუგდია. ხუთივემ ერთად განაგრძო გზა.

— აქ მოწყენისაგან სული ამოხდება ადამიანს. — ინაზებოდა ღვარღვაშა კაბაში გამოპრანჭული ფაქიზო და კოპწია ქუდს წამდაუწუმ ისწორებდა. — არც თეატრი, არც მეჯლისები. იშვიათად უცხოელები თუ მოგვიტანენ რამე სიახლეს... ისღა დაგვრჩენია, წინ და უკან ვიაროთ ამ ხეივანში...

— მეც მანდ არა ვარ? — მხარი აუბა გივიმ.

— თქვენ, ძვირფასო ბადუ, ალბათ დიდხანს ვერ დარჩებით ჩვენთან. უკვე მოგინდებოდათ უკან დაბრუნება. თქვენსავით განათლებული კაცი აქ ვერ გაძლებს...

— მე, ქალბატონო, გარკვეული მისია დამაკისრა ცხოვრებამ. ესაა ჩემი უბედური ხალხის სამსახური. ახლა მეჩვენება, რომ ამას აქ, ოხაჩქუეში უკეთ შევასრულებ, იქნებ სამუდამოდ დავრჩე კიდეც...

— ნუ ამბობთ მაგას! — შეიცხადა ქალბატონმა ფაქიზომ. — ნუ ამბობთ!.. თქვენ ჯერ ყმაწვილი ბრძანდებით, ცხოვრებისეული გამოცდილება გაკლიათ და ეს გალაპარაკებთ... ცხოვრება ისედაც ძნელია, ასეთი ფუჭი ოცნებები კი მას უფრო გაგირთულებთ...

— თქვენი რჩევა ფრიად ყურადსაღებია! — თავი დაუკრა ბადუმ, რათა კამათი შეეწყვიტა.

ყვავილების გამყიდველთან შეჩერდნენ. ენძელების თითო კონა მიართვეს დედა-შვილს. მოხელე გაიქაჩა, მაგრამ მცირე კინკლაობის შემდეგ ბადუს დაუთმო ფულის გადახდის პატივი.

გივი და ქალბატონი ფაქიზო წინ წავიდნენ; ქალბატონის სათავადაზნაურო ბანკში დაგირავებულ მამულზე საუბრობდნენ. თავადის ქალს ფული შემოლეოდა, გადახდის ვადა კი მოახლოებულიყო.

— იმდენი ხარჯი მაქვს, ჩემი გვრიტის ტუალეტს ვერ ავუდივარ, თუ არა და ტოლებს ხომ ვერ ჩამოვარჩენ...

ძაბული ბადუსა და ხუტას შორის მოექცა. გაწითლებული და ბედნიერი, ხან ერთის ქათინაურს უსმენდა, ხან მეორისას. ბადუ ხედავდა, თუ რა მტრობით შეავლებდა გივი თვალს, მაგრამ ვითომც ვერაფერს ხვდებოდა. ქალბატონი ფაქიზოც მოხედავდა ზოგჯერ არვაშანგის გაზრდილს, მუშტრის თვალით შეათვალიერებდა. ჩიჩუას ნაშიერი ალბათ გივიზე მდიდარი იქნებოდა, მაგრამ არც ქალბატონმა, არც არავინ ზუსტად არ იცოდა, რამდენი ჰქონდა გენერალს და რამდენს გამოუყოფდა ძმისწულებს. ცხადია, თავის გაზრდილს შიმშილით არ მოკლავდა, მაგრამ, რამე რომ მომხდარიყო, თავნება მოხუცს შეეძლო კაპიკიც არ მიეცა.

ხეივანი რომ ჩაათავეს, ღიმილით გაუწოდა ხელი ყმაწვილკაცებს.

— სამივეს გთხოვთ, ხვალ ვახშამზე გვეწვიოთ! სხვა სტუმრებიც მეყოლება, უმთავრესად ახალგაზრდობა. იქნება რომანსები, ფრანგული კონიაკი და ბანქო.

სამივემ უღრმესი მადლობა გადაუხადა.

— ოჰო! — ხუტამ მრავალმნიშვნელოვნად მხარი გაჰკრა გივის.

— მეც უნდა დაგემშვიდობოთ. — ბოდიშით ჩაილუღლუღა ჭაბუკმა. — თავს შეუძლოდა ვგრძნობ, დამხაშმა ამ ნესტმა...

— თავადო, თავადო, როგორც გატყობთ, ქალების მუსუსი ბრძანდებით! — გაიცინა ხუტამ, როცა გივი თვალს მიეფარა. — გამიგონია, მამათქვენიც ლამაზ ქალს გულგრილად ვერ ჩაუვლიდაო.

ბადუ გაწითლდა და არა უპასუხა რა.

— ასეც არ შეიძლება, თავადო! — არ ეშვებოდა ხუტა. — გივისათვის გუნება არ უნდა წაგეხდინათ, რა დაგიშავათ საბრალო ბიჭმა?

— ცუდად მგონი არ მოვქცეულვარ? — შეწუხდა ბადუ. — თქვენც აკოცეთ ხელზე და მეც...

— მე ანგარიშში ჩასაგდები არა ვარ. — თავი მოისაწყლა ხუტამ. — ოტელოებს ჩემი არ ეშინიათ. თქვენ კი... — მან ენა გააწკლაპუნა უთქმელი სიტყვის ხაზგასასმელად. — საბრალო გივიმ კარგად შეამჩნია, როგორი თვალებით გიყურებდათ ძაბული.

— მართლაც გასაოცრად ვნებიანი თვალები აქვს! — ესიამოვნა ბადუს.

— მე არაფერი გამომეპარება! — იცინოდა ხუტა, თან მეგობრულად მკლავზე ექაჩებოდა. არვაშანგის გაზრდილმა მიმოიხედა, ხომ არავინ გვისმენსო.

ისევ ჩაუარეს წითელი აგურის სახლს. ბადუმ თვალი აივნისაკენ გააპარა. ფერუმარილით მოთხუპნულ ქალს უსირცხვილოდ გამოეფინა ტაგანა წვივები და ხეივანში მოსეირნე ჭაბუკებს გამომწვევად უმზერდა.

— შენ კი დაგაყარე მიწა მაგ უნამუსო ფეხებზე! — ჩაიბუზღუნა გამვლელმა ქალბატონმა.

ახალგაზრდებს გაეცინათ.

— ოხაჩქუეს ამ ღირსშესანიშნაობის გაცნობას ხომ არ ინებებთ? — დაეკითხა ქლესა მოხელე და თვალი ჩაუკრა.

— ახლა? — შეშინდა ბადუ.

— არა, ახლა არ შეიძლება. მაშინ, როცა თქვენებს უკვე ეძინებათ... ამაღამ მთვარიანი ღამე იქნება.

ბადუმ პასუხი არ გასცა.

გამომშვიდობებისაც ხუტამ მისი ხელი ერთხანს ხელში გაიჩერა.

— მაშ, ასე, თავადო, თორმეტის ნახევარზე თქვენს ჭიშკართან დაგელოდებით.

— არა, არა, ჩემო ხუტა! რა ჩემი საქმეა ასეთი ქალები? — თავი გააქნია ბადუმ.

ეზო სწრაფად გაიარა. ვარდის ბუჩქთან მუნჯი გოგონა ცერებზე შემდგარიყო და კოკრის მოწყვეტას ცდილობდა. ბადუმ ჩაუარა და თავზე ხელი გადაუსვა. გოგონამ შეშინებული მზერა გააყოლა. მუნჯი გოგონა ჯაჭო თვალებს აფახულებდა.

XVI

ძილის წინ თეკო მახუტიზე ფიქრობდა, მაგრამ რატომღაც ბადუ დაესიზმრა. ვითომდა ქალაქის ბაღში საქანელაზე ქანაობდნენ. ასწლოვანი ცაცხვები დაფრინავდნენ აღმა-დაღმა. ირწეოდა ხოხბისფერი ზეცა, მიწა კი მწვანე ლაქებად იშლებოდა და ცაცხვის ნეკერი უტყლაშუნებდა ამ ლაქებს. გამჭვირვალე ჰაერში ლურჯი და მწვანე ჭავლები ირეოდა. ბადუს თვალის ფერი ამ ცინცხალ ფერებში ითქვიფებოდა. გამოღვიძებისთანავე სიზმარი დაავიწყდა, მაგრამ ახსოვდა, რომ ბადუ ესიზმრა და გულში სიამე ჩარჩა... შერცხვა ამ სიამისა.

წუხელ დერეფანში კოსტა გადაუდგა. თავი ისე მოაჩვენა, ვითომ შემთხვევით შემოგეყარეო. თეკოს ეშინოდა ამ კაცისა, თუმცა პოდპორუჩიკს თავიდან საამისო საბაბი არ მიუცია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბეც თვალებს არ აშორებდა... ერთხელაც იყო და, გენერლის ადიუტანტმა ფლირტი გაუბედა. გზა გადაუჭრა, ქათინაურები ჰკადრა. ქალმა მრისხანედ დაუბრიალა თვალები. პოდპორუჩიკი ნაქეიფარი გახლდათ და აინუნშიაც არ ჩაუგდია მისი გაცხარება, უტიფრად სტაცა მკლავზე ხელი, მიიზიდა და ზედ სახეში შეაორთქლა: „ლამაზო, ჩემს იქით გზა რომ არა გაქვს, ეს იცოდე!“ რეტდასხმულმა ქალიშვილმა თავის ოთახამდე ძლივს მიაღწია... ეს იყო და ეს! ქალსა და კაცს შორის მას შემდეგ სიტყვაც არ თქმულა.

— თავადის ქალო, გენერალს წყენა შევატყვე! — კოსტა შეშფოთებული ჩანდა.

თეკო აიმრიზა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ წინათ როდის მოგიხსენებიათ ბიძია არვაშანგის გუნება-განწყობილების ამბავი?

— თქვენ რომ უფრო თავაზიანად მექცეოდეთ, წინათაც მოგახსენებდით.

— იმედია, მე არა ვარ გენერლის უგუნებობის მიზეზი?

— დიახაც!

— ეს როგორ გავიგო, მოწყალეო ხელმწიფევ?

— როგორც საჭირო! — თავხედურად პასუხობდა გენერლის ადიუტანტი. — თქვენ დაგავიწყდათ, რომ ბადუ თქვენი ძმაა! — მან სიტყვა „ძმას“ ხაზი გაუსვა.

თეკო აილეწა, ზურგი შეაქცია პოდპორუჩიკს, ოთახში ჩაიკეტა, საწოლზე დაეცა და ატირდა. თავს ობლად და შეურაცხყოფილად გრძნობდა... მერე დამშვიდდა, ცრემლი შეიმშრალა, სარკეში ჩაიხედა, უპეები ხომ არ ჩამიშავდაო. უკვე ლოგინში ფიქრობდა, არვაშანგთან უნდა ვუჩივლოო, მაგრამ რატომღაც დაფრთხა.

ადგომა დაეზარა. თვალდახუჭული იწვა, წუხანდელი წყენის საბაბს წონიდა. ფიქრში მახუტი გაუცოცხლდა, თანდათან დაავიწყდა პოდპორუჩუკიც, გენერალიც, ბადუც...

თხუთმეტი წლის წინათ, თეკო მაშინ პატარა, თეთრბაბთებიანი გოგონა იყო, მახუტიმ თხმელის ტოტებისაგან ფაცხა აიშენა. თვითონ ვითომ ქმარი იყო, თეკო კი მისი ცოლი. გოგონას ლოყაზე აკოცა და უთხრა, ამიერიდან ეს ჩვენი სახლია და სულ ერთად ვიცხოვროთო. მეორე დღეს თეკო შინ წაიყვანეს. ამის შემდეგ ბარე ათი წელი ვერ ნახა მახუტი, მაგრამ ის უწყინარი, ბავშვური ამბორი მეხსიერებიდან ვერ ამოიშალა. უკვე წამოჩიტულმა, არვაშანგ ჩიჩუას ოჯახს თავი რომ შეაფარა, ორჯერ თუ სამჯერ იხილა იგი. უკარება, ცივ ყმაწვილს დიდი ხანია დავიწყებოდა ბავშვობის ამბები, მაგრამ თეკო თავს ირწმუნებდა, ამ სიცივის უკან ჩემდამი სიყვარული იმალებაო. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უცხოველდებოდა ლტოლვა მისადმი. ახლა უკვე სხვანაირად იხსენებდა იმ პირველ და ერთადერთ ამბორს, თითქოს გრძნობდა ვაჟის ძლიერი მკლავების ხვევნას, ვნებიან კოცნას...

თვალი გაახილა. წუხანდელი ცეკვა გაახსენდა. რა მსუბუქად მოძრაობდა ბადუ, რა ნაზად და მოხდენილად დაჰყავდა ქალი. ბუნებრივია, იმ ჭროღა პოდპორუჩიკს ეჭვის საღერღელი აეშალა.

თეკოს გაეცინა. გუნებაში შეურაცხყოფა აპატია პოდპორუჩიკს...

* * *

მთელი დღე ცხელოდა. საღამოს ოდნავ აგრილდა. დასავლეთი ლეგალუგა ღრუბლებით შეიბურა, მაგრამ არ გაავდრებულა. ადრინდელი გაზაფხულის მშვიდი დაისი დადგა. მზის ჩასვლამდე ორიოდე საათით ადრე თეკო და ბადუ ფანჩატურში განმარტოვდნენ.

უსურვაზით შემოსილი ფანჩატური კბოდეზე იდგა, ბაღის სიღრმეში, და ხურჩას გადაჰყურებდა.

მოაჯირს გადაყრდნობილი ქალ-ვაჟი მღვრიე წყალში იყურებოდნენ. თეკოს აკაციის ტოტი მოეტეხა და ფოთლებს თითოთითოდ აგდებდა წყალში. ბადუ მახუტიზე ყვებოდა. თურმე მთელი ღამე იმაზე ფიქრში გაათენა, თუ როგორ ეპოვა ბიძაშვილი. კერძო დეტექტივივით აპირებდა სხვადასხვა არალეგალური პარტიების დაძებნას, იატაკქვეშეთთან კონტაქტების დამყარებას, თუ საჭირო იქნებოდა, თავს მოაჩვენებდა, თქვენი იდეები მიტაცებს და პარტიაში მიმიღეთო. ცხადია, ეს დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ბადუ სხვა გზას ვერ პოულობდა... ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, მალე თვითონაც დაიჯერა, ამ საქმეზე ადვილი რა იქნებაო.

თეკო უგულისყუროდ უსმენდა, თუმცა თავს ძალას ატანდა, რათა ინტერესი გამოეჩინა. პოლიტიკაში ჩახედული არ იყო, ამ მრავალრიცხოვანი პარტიებისა არა ესმოდა რა. ჭაბუკის ხმა კი მუსიკასავით ჩაესმოდა. რამდენჯერაც მახუტის სახელს ახსენებდა, იმდენჯერ თბილი ტალღა აწყდებოდა ქალის გულს და თანდათან მეტი და მეტი სიმპათიით იმსჭვალებოდა ბადუს მიმართაც.

— არმომწყვიტო! — წამოიძახა უცებ ქალმა.

— რა? — სიტყვა გაუწყდა ბადუს.

— არმომწყვიტო!

შორიახლო, მდინარეს გადაყუდებული ეკლიანი გლერძის სიღრმეში პატარა ცისფერი სადაფის ღილი კიაფობდა. ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებს ეპოვათ იგი ბუჩქის ხლართებში და ემშვიდობებოდნენ.

— უყურე, სად ამოსულა? — გაუკვირდა ბადუს.

ფანჩატურის მოაჯირზე გადაბობღდა გზის შესამოკლებლად. ბუძგურა ტოტები რომ გადასწია, წკავწკავი და ბრაზიანი ფხუკუნი გაისმა. ელდანაცემმა უკან დაიხია. გლერძის მეორე მხრიდან გაავებული მელა გამოძვრა, ერთი კიდევ შეჰხავლა ბადუს და გაიძურწა.

— რა ველურობაა, მელა ჩვენს ბაღში... — თავის გასამართლებლად ჩაიდუდუნა.

ახლა უფრო თამამად შეჰყო ბუჩქში ხელი. ეკალმა გოგი დაუსერა, მაგრამ ყვავილს მისწვდა.

აუჩქარებლად დაბრუნდა ფანჩატურში, თავი მოხდენილად დაუკრა ქალს, მიართვა.

— ვაიმე, სისხლი! — თეკომ კეკლუცად გაიცინა.

ბადუს სუნთქვა შეეკრა. „ამას მახუტი არც კი ახსოვს, — გაიფიქრა, — იქნებ მე უფრო მოვწონვარ?“

— თეკო, — წყნარად ჩასჩურჩულა, თუმცა ახლომახლო არავინ იყო, — შენ ალბათ უკვე ხვდები...

— რა? — თეკომ ცხვირსახოცი ამოუღო პიჯაკის გულისჯიბიდან, გოგზე სისხლის წვეთი შეუწმინდა.

— მე რომ მიყვარხარ...

— რატომ უნდა გძულდე? — ნაძალადევი უდარდელობით შეეპასუხა ქალი.

ბადუს სახეზე სისხლი მოაწვა.

— არა, მე სხვანაირად მიყვარხარ, ყველაზე მეტად...

თეკომ დაბნეულად შეხედა, პასუხი უცებ ვერ მოისაზრა.

— აჰ, ბადუია, ბადუია, — სინანულით თავი გააქნია.

— რა ვქნა, ჩემო თეკო, მეტი გზა აღარა მქონდა, უნდა მეთქვა...

— მაგრამ მახუტი რად დაგავიწყდა, შენი ძმადშეზრდილი... განა მასზე არ ვსაუბრობდით ამ წუთას? ის კი ალბათ დარწმუნებულია, რომ შენი სახით ჩემს პატიოსნებას დამცველი და მეთვალყურე ჰყავს.

— მე კი მახუტიზე მეტადაც მიყვარხარ! — უნებლიე ბრაზი ვერ მოთოკა ქაბუკმა.

— აჰ, ბადუია, ბადუია...

ბადუ უხმოდ შებრუნდა და ფანჩატურიდან გავიდა. თეკო ერთხანს შეყოვნდა, მერე გაეკიდა, დაეწია, ვითომ არაფერიო, მკლავში ხელი გაუყარა, უხერხულობის დასაფარავად ატიკტიკდა.

ბუჩქებში ვიღაცამ გაიფაჩუნა. ძაკუსძის გამხდარმა ზურგმა გაიელვა ხის უკან. „გვითვალთვალებდა ის ნაბიჭვარი!“ — გუნებაში შეაგინა ბადუმ.

უფრო მოიქუფრა.

თეკომ ბავშვური სიანცით მკლავზე მოჰქაჩა.

— კაი რა, ბადუია, რა შავ ღრუბელს დაემსგავსე.

— არაფერია, არაფერი...

— ძალიან ნუ გამიჯავრდები, თუ ძმა ხარ!

— შენ ცამდე მართალი ხარ, ჩემო თეკო, მაპატიე! ამიერიდან ასეთი სიტყვა არ წამომცდება.

— მე მინდა კარგ მეგობრებად დავრჩეთ! — თეკომ რატომღაც წყენა იგრძნო.

— რასაკვირველია, რასაკვირველია... — აჩქარებით შეეპასუხა ბადუ.

გზა უხმოდ განაგრძეს. სახლის პარმაღს მიახლოებულებს არვაშანგის ხმა შემოესმათ.

— აწამეთ! — ყრუდ წარმოთქვა გენერალმა. ის პარმაღიდან ელაპარაკებოდა თავქუდმოშვლეპილ გამომძიებელ ფოთხოევიჩს, რომელიც კიბის პირველ საფეხურზე იდგა.

გამომძიებელმა თავი დაუკრა გენერალსაც და ახალგაზრდებსაც.

არვაშანგი სახლში უხმოდ შებრუნდა.

„აწამეთ!“ — ამ სიტყვამ თეკო შეაშფოთა.

„აწამეთ!“ — ბადუ გაურკვეველმა შიშმა გაჰკენწლა...

XVII

ბადუ ადრე გამოემშვიდობა ბიძია არვაშანგს და თეკოს. დაღლილობას გრძნობდა და ლაქიას სანთელი არ შემოატანინა. სიბნელეში გაიხადა, ლოგინში ჩაწვა. ერთხანს ბურანში იყო, მერე უცებ ჩაინთქა მრუმე უფსკრულში. სულ ორიოდე წამი იყო გასული, როდესაც ვიღაცამ ზედ ყურში ჩასძახა. თვალი გაახილა. ფანჯრის ფარდა გადაწეულიყო. მთვარის სხივი იატაკს ეცემოდა. უაზროდ ათვალიერებდა გაცრეცილი სინათლით სავსე ოთახს. ყველაფერი დავიწყებოდა და იხსენებდა. თეკო წამოტივტივდა მეხსიერებაში. იმდენად ხორციელი იყო ზმანება, ჭაბუკი ვნებიანმა ჟრჟოლამ შეიპყრო. არ უნდოდა დაჯერება, რომ მისი წრფელი აღსარება უპასუხოდ დარჩა. უბრალოდ, მეკეკლუცებაო, თავდაჯერებით ფიქრობდა.

ალბათ დრომ შუაღამეს გადააბიჯა. დიდხანს იწვა პირაღმა და ზურგი დაუბუჟდა. მარჯვენა მხარეზე გადაბრუნდა, ასეც არ მოეწონა. გვერდი იცვალა. მიხვდა, რომ ამაღამ ძილი საბოლოოდ გაკრთომოდა და დილამდე ლოგინში უნდა ეწრიალა. ოთახში ჰაერი შეგუბდა. სული შეეხუთა. გარეთ კი კაკაჩა, მთვარიანი ღამე იყო...

წამოდგა, ფანჯარა გამოაღო. შემოჭრილმა სიგრილემ შიშველი კანი აუხორკლა. ბაკმმოვლებულ მთვარეს ცინცხალი სხივებით ბაღი აებრჭყვიალებინა. ხმა არსაიდან ისმოდა. ეძინა ქალაქს, ხეებს, მიწას; ნიავიც კი არ იძროდა.

„ხომ არ გავისეირნო?“ — კითხვაზე პასუხი არ გაუცია, ისე დაიწყო ჩაცმა. დერეფანი და კიბე ფეხის წვერებზე გაიარა.

ჭიშკართან ლანდი ატმასნულიყო. „ქურდია!“ — გაიფიქრა ბადუმ და ვარდის ბუჩქს ამოეფარა.

— საათზე მეტია, აქ გიცდით, თავადო! — თავაზიანად მიმართა ლანდმა.

— ხუტა?.. გული გამიხეთქე, შე კაცო! — სამალავიდან გამოვიდა ბადუ.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით?

— შენ რა, სერიოზულად მეუბნები მაგას? — გაიოცა ბადუმ, აღელდა.

— არ დამიჯერებთ და ისეთი ქალია, ისეთი ქალი... კმაყოფილი დამრჩებით.

— რას ამბობ, ჩემო ხუტა? — უხერხულად შეიშმუშნა ბადუ.

— ნურაფრის გერიდებათ, თავადო! — მკლავზე ხელი გამოსდო ხუტამ. — ამ თუთარჩელა ღამის გარდა, ახლა ვერავინ დაგვინახავს.

— ვერა, ვერა, ჩემო ხუტა, იმ ქალთან წამომსვლელი მე არა ვარ. — გადაჭრით უპასუხა ბადუმ და რომ არ ეწყენინებინა, შემრიგებლურად დაუმატა: — ისე კი, თუ გსიამოვნებს, გავისეირნოთ... ძილი გამიტყდა რაღაც...

ნელა გაუყვნენ ქვაფენილს. მძინარე ოხაჩქუე დღესავით იყო განათებული და აქა-იქ აღნავლებული ბომბორა ძაღლები თუ არღვევდნენ ღამის მყუდროებას.

— ახალი ამბავი თუ იცით? — ეკითხებოდა ხუტა. — გუშინღამ ვიღაც ტერორისტს პოლიციის შპიკისათვის ყელი გამოუღადრავს.

— ახია მაგაზე! — ბადუს პოლიცია არ უყვარდა.

— თანაც ყველაფერი ცოლ-შვილის თვალწინ მომხდარა.

— მკვლელი მიიმალა?

— არა, შეუპყრიათ. საინტერესოა, ვინ არის? ცხადია, ან ანარქისტი იქნება, ან სოციალისტი. სულ ერთია, დღეს ერთმანეთს ყველა ბომბით ესაუბრება...

გენერალ არვაშანგის სიტყვა გაახსენდა ბადუს, პარმაღთან რომ უთხრა გამომძიებელს, და მოხელის ნაამბობი ენიშნა.

— ნამდვილი ჟამიანობაა, — აწუწუნდა ხუტა, — არ არის საშველი და ესაა. დღე არ გავა, ვინმეს სიკვდილი არ შეიტყო. ქელეხში სიარულს ვერ აუვა კაცი. „პატივისცემით დაგმარხოში“ საქმე დუღს და გადმოდუღს. მის პატრონს იაფფასიანი კუბოების წარმოება დაუწყია.

— ჯვარი აქაურობას, რაღა სულ კუბოებზე ვლაპარაკობთ! — არ ესიამოვნა ბადუს.

— კაცს რაც აწუხებს, ენაზეც ის ადგას! — გაეცინა ხუტას.

ჭადრების ხეივანში მისეირნობდნენ. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა.

— ამ უამრავ პარტიასა და მიმდინარეობაში თუ ერკვევი, ჩემო ხუტა? — ჰკითხა ბადუმ. — ჩვენთან მგონი იმდენივე პარტიაა, რამდენი გიმნაზიელიცაა, ანგარიში მთლად ამერია.

— ეჰ, მაგეთ ამბებს თავი დავანებე, თავადო! ამ ორომტრიალში ეშმაკიც ფეხს იღრძობს. პოლიტიკაში ჩარევა ახლა საშიშია. მთავრობას რომ დაეხმარო, გუშინდელ მსხვერპლსავით ტერორისტები არ დაგაყენებენ. მთავრობის წინააღმდეგ რომ გაილაშქრო, მონარქისტები მოგიღებენ ბოლოს. აბა, რა გზას უნდა დაადგეს ჩემისთანა ღარიბი მოხელე? მეც ავიღე და პოლიტიკაში ფეხი ამოვიკვეთე. ფუყე წარმატება არ მაინტერესებს, მე მინდა მაგრად ვიდგე საკუთარ ფეხზე. სცენაზე ყოფნას და ოვაციებს პარტერის თბილი კუნჭული მირჩევნია...

ხუტას ხმაში ნაღველი ისმოდა და ბადუმაც მოიწყინა. სიბრალული იგრძნო გიმნაზიის ამხანაგის მიმართ. „მადლია, კაცი რომ დაეხმაროს!“ — გაიფიქრა. აზრი ბოლომდე ვერ აწონა, ისინი წითელი აგურის სახლის წინ იდგნენ.

— შევიდეთ? — დაეკითხა ხუტა.

ბადუ ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, მაგრამ რცხვენოდა და ამიტომ ყოყმანობდა.

— მოდით, ვნახოთ ვინ გამოვა სახლიდან! — იეშმაკა მოხელემ.

ბადუს გულზე მოეშვა.

შენობას შემოუარეს. ცდილობდნენ, ჩრდილში ევლოთ. ბადუ ხუტას ზურგს ეფარებოდა, გული ქურდობაზე წასწრებულივით უფართქალებდა.

ბნელ კიბეს აჰყვნენ. კარმა გაიჭრიალა, სინათლის ფართო ზოლი აივანზე განერთხო. ბადუ და ხუტა კედელს აეკრნენ. ოთახიდან იუსტიციის მრჩეველი ფოთხოევიჩი გამოძვრა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და კიბეზე ჩაცუნცულდა.

„ჰმ, ესეც კაი ვინმე ყოფილა!“ — გაიფიქრა უსიამოვნოდ ბადუმ. ინანა, რომ აჰყვა ხუტას და აქ მოვიდა. უნდოდა უკან გაბრუნებულიყო, მაგრამ ხუტამ კარისკენ უბიძგა და ისიც დაემორჩილა.

ნავთის კოჭობით განათებულ პატარა ოთახში აღმოჩნდ-

ნენ. ხუტამ კარი გაიკეტა. ერთადერთ დივანზე მოკალათდა და ბადუს მეორე კარისკენ მიუთითა. ბადუ ერთხანს უმწეოდ ტკეპნიდა ადგილს. მერე მხრები აიჩეჩა, გაუბედავად დააკაკუნა.

— შემოდი! — მოისმა ქალის ღუღუნა ხმა.

ბადუმ კარი შეაღო. სუსტად განათებულ ოთახში ერთბაშად ვერა გაარჩია რა. მერე თვალი შეაჩვია. ბუხარში ცეცხლი ღუდღუდებდა. კედლებზე წითელი ლანდები ხტოდნენ. ფართო სარეცელზე ქალი წამოწოლილიყო. ღიმილით ათვალიერებდა დაუპატიჟებელ სტუმარს, კარს რომ ვერ გამოსცილებოდა და ადგილზე ფეხებს უხერხულად ინაცვლებდა.

ოთახში იაფფასიანი სუნამოს სუნი იდგა და ბადუმ თავბრუსხვევა იგრძნო. „ამ სარეცელზე ის გოგრა გორაობდა ახლახან!“ — ზიზღით გაიფიქრა, ბოდიშის ლუღლუღით ნაბიჯი უკან გადადგა, მაგრამ სარეცლიდან წამოვარდნილი ქალი მიეახლა, კისერზე ხელი შემოჰხვია, აესნატა, ავხორცი თვალებით სული ამოუბრუნა.

— მოდი, ჩემო ბიჭუნა, ნუ გეშინია, ნუ გეშინია... — ღუღუნებდა და მის ხმაში იყო რაღაც გიჟური, შემაძრწუნებელი. თრთოდა ვნებასაყოლილი, თითქოსდა სიყმაწვილის პირველი გატაცება ყოფილიყოს ეს ჭაბუკი მისთვის, სარეცლისაკენ მიათრევდა, პერანგს ახევდა ტანზე. გადავარდა შლეგი და მსხვერპლიც თან გადაიყოლა.

დაეცა ბადუ, ჩაეშვა აბობოქრებულ მორევში, დაიწვა, დაიდაგა, სიგიჟემ მოუარა, ამქვეყნად ყველაფერი გადაავიწყა...

— როგორია? — ცოტა არ იყოს დაცინვით შეაგება ხუტამ ოთახიდან გამოსულს.

— წავიდეთ, წავიდეთ! — მზერა აარიდა დარცხვენილმა ბადუმ.

შინ ჩუმად ბრუნდებოდნენ.

ჭიშკარს რომ მიაღწიეს, ხუტამ შეაჩერა.

— სათხოვარი მაქვს შენთან, თავადო, და ნუ დამამადლი... — ერთხანს შეიცადა, იქნებ შემომეპასუხოსო, მაგრამ ბადუ დუმდა. მთვარე უკვე ჩავიდა, სიბნელეში ხუტა ვერ ხედავდა მის სახეს და ამიტომ უფრო გაუბედავად განაგრძო: — ხომ იცით,

მოხელის ცხოვრება, ყველა ჩვენი უფროსია, ყველას შეუძლია ტყავი გაგვაძროს. კაცს თუ მფარველი არა ჰყავს და სამსახურში ცოტა არ წაიწია...

— მე რა შემიძლია, ჩემო ხუტა? — ამოღერღა ბადუმ.

— საკმარისია ბიძათქვენმა წყალობის თვალით გადმომხედოს და... ერთი სიტყვა, ბადუს ჭირიმე, ერთი სიტყვა და გემონები სამუდამოდ...

— ჰო, ჰო! — მიუხვდა ბადუ.

— ხვალაც თუ წამოხვალთ იმ ქალთან? — შეეკითხა დაიმედებული მოხელე.

— არ ვიცი, არ ვიცი! — შეეშინდა ბადუს და სწრაფად გაშორდა.

XVIII

— გაჰხადეთ! — კივის ფოთხოევიჩი. — ჩქარა გაჰხადეთ!..

შიშველი სხეული იატაკზე გდია და ნალაჭედილი ჩექმები თელავენ.

— ხმა ამოიღე, ხმა ამოიღე, თორემ შენს გვამზე ვიცეკვებ! — ჩასძახის მძვინვარედ გამომძიებელი და უცნაური ჯმაჯურით ცეკვავს. ცეკვავენ საიდანღაც გამობობღებული კუნთებდაბერილი გიგანტები. სისხლის წინწკლები იპნევა იატაკზე.

— აგრე გინდა, ხომ?! — ყურში დაჟინებით ჩასძახის ხმა. — აგრე გინდა, ხომ?!

როკავენ ტოტოჩინა ლანდები იატაკზე დაგდებული შიშველი სხეულის ირგვლივ და სისხლით იღებება ქირზის ნალაჭედილი ჩექმები. „ჯანსულოს“ ცეკვავენ ტოტოჩინა ლანდები. მუხლებს მაღლა ყრიან და ნალს ხორცზე ურტყამენ, ისევ და ისევ: „ჯანსულო, ჯანსულო, ათაქ მურე გეტყობუნი?..“

— რა გქვია, რა გქვია? — დაჟინებით იმეორებს ხმა.

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი!..“ — ფიქრში პასუხობს მახუტი, მაგრამ მოცეკვავეებს არაფერი ესმით.

— მგონი, გრძნობას კარგავს!

— მიდი, წყალი შეასხი!

წყალი, წყალი!

ნეტა რატომ დაცხა ასე უცბად. მზე უყურებს თვალებში, ტუჩები უსკდება წყურვილისაგან გასავათებულს.

ერთი წვეთი წყალი, ერთი წვეთი წყალი...

მაშინ კი რა ძლიერი წარღვნა მოვიდა, რა მშვენიერი იყო დგაფუნა წვიმა...

...გაზაფხული განახევრდა უკვე. ახლახან ესხირი ბობოქრობდა ხურჩას ჭალებში. მძიმე ღრუბლები ჩამოწოლილიყო ცაზე. ელვა იგრაგნებოდა ცის კიდიდან კიდემდე. რახრახებდა, გუგუნებდა ზეცა; შუშა წკრიალებდა ფანჯრებში; წვიმა შხუილით ეშვებოდა სახურავებზე, მდელოზე, ტოტნარში, ორღობეებში; ყველაფერი მოქუფრულიყო, ირეოდა, ხმიანებდა.

ღლოფო მოვარდა და ჯოჯოხეთური ქიმერებით აავსო ქვეყანა.

თმის ძირებამდე გალუმპული ჯუნა და მახუტი მორბოდნენ გვერდიგვერდ. წყალი წურწურით ჩამოუდიოდათ თმაზე, სახეზე, კისერზე; კაბა ტანზე ეტმასნებოდა და ჯუნა თითქოს ღრუბელთა ნაფლეთებზე მოფრინავდა.

„გავიქცეთ, ჯუნა, გავიქცეთ!“ — იძახდა აღტყინებული მახუტი და მისი ხმა წყლის დგანდგარში იკარგებოდა.

ჯუნა იცინოდა; კაბის კალთა მუხლებს ზემოთ აეგდო და ისე გამორბოდა. ხანდახან ყრმას გადაასწრებდა და მაშინ მახუტი ხედავდა მის დამწვარ კანჭებს, მღვრიე წყალში კალმახებივით რომ მიდგაფუნებდნენ.

მოძალებული ღლოფო კი ღრიალებდა, ქვეყნის წყალი ქოჩქოჩინებდა ირგვლივ...

ერთი წვეთი წყალი, მხოლოდ ერთი წვეთი...

— გრძნობა დაკარგა! — დაიძახა ვიღაცამ.

— დაასხი!

ვერ მოისაზრა, რა უნდა დაესხათ. იქნებ წყალს აწოდებდნენ. საჭიროა თვალის გახელა, ჭიქის გამორთმევა და აუჩქარებლად ამოწრუპვა, რათა ბედნიერი წამი გაიხანგრძლივოს.

სახეზე ცივი სითხე გადმოეღვარა. ენით მოილოკა სველი ტუჩები, წყურვილი ვერ მოიკლა.

გამოფხიზლდა.

შიშველი ეგდო იატაკზე, თავზე პაღვიანი გამომძიებელი და მისი ტოტოჩინა თანაშემწეები ადგნენ. „ჯალათები!“ — მიხვდა მახუტი... როგორ შეიძლება მათ მიერ მოწოდებული წყალი დალიო. ჯალათის ხელიდან უკვდავების წყალსაც არ მიიღებს.

— არ გინდა ხმის ამოღება, ხომ? — ჩაესმა საძულველი ხმა. — გირჩევნია, ხელებში ჩაგვაკვდე?!

კბილები შეკრა. კვნესა არ უნდა დასცდეს, სხვა რამეზე უნდა იფიქროს. სხვა რაღა დარჩენია მკვლელთა ხელში ჩავარდნილს.

„შენც ხომ მკვლელი ხარ?“ — ჩაიხითხითა იდუმალმა ხმამ.

„არა, არა! მე მხოლოდ შურისძიება ვარ! — პასუხობს კრიჭაშეკრული. — მე მხოლოდ შურისძიება ვარ, მკვლელები ჩემს ირგვლივ როკავენ...“

„ბავშვს რატომ არ აპატიე, ბავშვს!“ — საშველს არ აძლევს ხმა.

„მე ხომ შურისძიება ვარ!“ — ეჭვიანად იმეორებს ჭაბუკი.

იატაკი სისხლის წვეთებით დაიწინწკლა და ქირზის ჩექმები სრესენ სისხლის წვეთებს.

— თქვი, თქვი, თქვი! — შორიდან მოისმის კივილი და ვერ მიმხვდარა, თუ ვისი ხმაა იგი. — რა გქვია, რა გქვია, რა გქვია?!

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი...“ — ჩაქუჩის ცემასავით იმეორებს მისი გონება.

ჯერ კიდევ პატარამ წაიკითხა წიგნი ინდიელებსა და კონკისტადორებზე, უსაზღვრო სელვებსა და დიდ მდინარე ამაზონზე, განადგურებულ ცივილიზაციებსა და მშვენიერ ფრინველზე, კეტსალს რომ ეძახდნენ.

კითხულობდა პატარა მახუტი და გული ათასნაირი წადილით ევსებოდა.

მეზობელ ოთახში კი ძიძა ატირებდა ჩონგურის სიმებს: „დიდოვ ნანა, ვითოჟირი წანერ ვორდი...“ — მღეროდა ძიძა.

„თავისუფლება კეტსალისათვის უმაღლესი იდეალია, — წერდა წიგნის ავტორი, — გალიაში იგი ვერ ძლებს. მშვენიერი ფრინველი უმალ იღუპება...“

„მოკოდუ ტორონჯი ბჭოფიკონი...“ — ძიძა ატირებდა ჩონგურის სიმებს მეზობელ ოთახში.

„მე ვარ კეტსალი, რომელსაც ოთხ კედელს შუა სული ეხუთება!“ — ფიქრობდა მახუტი.

ირხეოდნენ, ჰაერს ტკბილი ბგერებით ავსებდნენ ჩონგურის დაჭიმული სიმები...

— რა გქვია, რა გქვია, რა გქვია! — ჩასჩურჩულებს უცნაური ხმა და სიბნელე შემოდის თვალებში, თანდათან ქრება სუსტი აზრი.

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი...“

* * *

გასაღებმა გაიჩხაკუნა, ჟღარუნით გაიღო რკინის კარი და საკანში ლანდი შემოვიდა. ერთხანს იბორიალა კარსა და ერთადერთ სამფეხა სკამს შორის. სუნზე მიხვდა, რომ საუზმე მოუტანეს.

— მაგრად კი დაუჟეჟიხართ, შე უბედურო. — ჩაიდუდუნა ლანდმა და რკინის კარი გაიხურა.

შიმშილისაგან გულის ყუნცული დაეწყო. ხელი მოაფათურა, საჭმელს ვერ მიაგნო და თავი მიანება.

უცბად ჩაეძინა. ბიძია ონოფრე წამოადგა თავზე, მხარზე ხელი შეახო.

— რა? — გამოეღვიძა მახუტის.

მეზობელ ოთახში კვნესოდა ჩონგური. „ვითოჟირი წანერ ვორდი...“ — ჩიოდა ხმა.

საკანში არავინ იყო, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა.

„რამ შემაშინა?“ — გაუკვირდა და ისევ ძილში ჩაიძირა.

ჯუნა ესიზმრა. უნდოდა, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს სიზმარი, მაგრამ ბიძია ონოფრე ისევ წამოადგა თავზე და ხარზე ხელი წაჰკრა.

— რა? — იკითხა მახუტიმ და თვალი გაახილა.

„მოკოდუ ტორონჯი ბჭოფიკონი...“ — დაჰკანკალებდა ჩონგურის სიმს ძიძის ხმა.

სარკმლიდან ჩონგურის სიმივით წვრილი სხივი შემოდიო-

და და თრთოდა მძიმე და დახუთული ჰაერში.

მაგრად იყო ნაგვემი და ყოველი ასო ტკიოდა. კბილები შეჰკრა, რათა კვნესა არ დასცდენოდა.

„მე კეტსალი მქვია!“ — გაიფიქრა, თითქოს აქაც ეკითხებოდნენ ვინაობას.

ძილი გაექცა და მოგონებებს მისცა თავი...

...სოფელში სტუმრობდნენ ჯუნას ბიძასთან. თხმელის განაკაფში მასპინძელს სიმინდი ეთესა. ლორთქო ფოთლები გაეშალა სიმინდს, ტანი აეყარა, მაგრამ სარეველა შესეოდა, მიწის სისხლს უნახევრებდა...

და აი, საკანში შემოვიდა ზაფხულის ხვატის, ნათოხნი მიწისა და მოჭრილი სიმინდის სურნელება...

...ლორთქო სიმინდი შრიალებდა ირგვლივ. სადღაც წინ ბიძა აჩხაკუნებდა თოხს. მახუტი ჯუნას მიჰყვებოდა გვერდით. გოგონას თმა ჩამოშლოდა, შუბლზე ოფლის წინწკლები ეყარა, თოხს სწრაფად ატრიალებდა. ხანდახან გადმოხედავდა ყრმას, თვალებზე ჩამოშლილ თმას თავის აქნევით გადაიყრიდა, ბაგეს ღიმილი უხსნიდა...

შეღამებულზე ბოლო სვრელი გაიტანეს ოფშქერონის პირამდე. სახლი შორს, სიმინდის რაყას იქით მოიტოვეს. მისუსტდა ძაღლების ყეფა. აჩურჩულდა, ახითხითდა თხმელნარი... მუქარით შემოუღრინა ოფშქერონმა, გრაგნილმა ძეძვმა გადაუღობა გზა, მდუმარება ჩამოწვა ირგვლივ... ამ დუმილში ხანდახან თუ შემოიჭრებოდა აძონძილი ლაქაშების სიღრმეებიდან:

„ცირა, ცირა!“

„მურე-ე!..“

„სქანი ღურა, გოლუაფირო, სქანი კუბო!“

ბინდი მოიპარებოდა უჩუმრად. გიგანტურმა თხმელამ უშნო ჯღრდა გადმოისროლა ყმაწვილების თავზე, მქრქალი ცა დაფარა.

„მახუტი!“ — შეჰკივლა ჯუნამ, თვალებში ელდა გაუკრთა.

გაიელვა გაბანჯგულმა სახემ, რაღაც გაშლიგინდა თხმელის ტოტებში... მახუტის ფეხებთან უხსენებელი დაგორგლილიყო, ორკაპიან ენას ასარსალებდა...

ყველაფერი სიბნელემ წაიღო, სიბნელეში ჩაიხრჩო მახუტიც; მას არც არაფერი ესმის, ვერც ვერაფერს ხედავს. სად არის, სად იმყოფება? გააღეთ ფანჯარა, იქნებ მზემ შემოიხედოს!..

ისევ ადუდუნდა ჩონგურის სიმი მეზობელ ოთახში, სევდიანმა ხმამ დაამღერა ისევ: „დიდოვ ნანა, ვითოჟირი წანერ ვორდი...“

„მე კეტსალი ვარ!“ — ფიქრობს მახუტი და თვალებს ფართოდ ახელს, რათა სიბნელეში გაარჩიოს მზე და ჯუნა.

„მოკოდუ ტორონჯი ბჭოფიკონი, ნა...“ — თრთის ჩონგურის სიმი.

საიდანღაც მზის სხივები ეცემა. მახუტი ხედავს გასხივოსნებულ ჯუნას. იგი გადმოვიდა კედლიდან, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა, მოეალერსა.

„გამაგრდი, ძვირფასო, გამაგრდი, — ჩურჩულებს ჯუნა, — გტკივა, ძვირფასო, მაგრამ გამაგრდი...“

„ჯუნა, ჩემო თვალშავშავა გოგონა...“ — სასოებით ჩურჩულებს მახუტი.

XIX

მზე საკმაოდ მაღლა იდგა, როდესაც ვასკა თავისი ბუნაგიდან გამოვიდა, ერთი გემრიელად დაამთქნარა და ბაზრის მოედანი მოათვალიერა. ორიოდე მათხოვარი ნაგავში იქექებოდა. მოწოდებით ვაჭრები ჯიუტად უდგნენ დახლს შემოხეტებული მუშტრის მოლოდინში.

ვასკამ ჯერ კიდევ ძილის წინ გადაწყვიტა, კუჩხობონის ღელეში ებანავა და ცოტათი ადამიანს დამსგავსებოდა. უკანვე ფარდულში შეძვრა, ბარგი გადაქექა, საუკეთესო ტანსაცმელი შეარჩია. ეს იყო ჭიჭეს ნაჩუქარი ძიქვა და პერანგი. დანარჩენი გასარეცხადაც არ ღირდა და კუთხეში მიჰყარა; ერთხანს ღართის ნაფლეთი ატრიალა ხელში, მაგრამ გულდაწყვეტილმა ისიც მოისროლა, აწი მაინც დათბა და აღარ დამჭირდებაო.

ძიქვა და პერანგი დაახვია, ურიასაგან აწაპნული საპნის კვერი შიგ ჩამალა. კაცმა რომ თქვას, ვასკას ქურდობისაკენ იშვიათად გაექცეოდა ხელი. ასეთ შემთხვევას ის სესხებას ეძახდა,

რადგან ყოველი ნასესხები ნივთის ფასი იცოდა; როგორც კი გავმდიდრდები, იმ წამსვე ვალებს გავისტუმრებო, გუნებაში იფიცებოდა. ჯერჯერობით ის ვერ მდიდრდებოდა და ვალიც მისხალ-მისხალ მატულობდა.

ვასკამ სინანულით შეათვალიერა ფარდული, რომლის დამპალ და ფარღალალა ჭერქვეშ კარგა დიდხანს იცხოვრა. გადაწყდა, დღეის იქით ბიძია ონოფრეს ქოხში უნდა გადაბარგებულიყო, რაზეც ჭიჭემ და ძუკუიამ ძლივს დაითანხმეს.

— თუ გამლახე, იცოდე, გავიქცევი! — წინდაწინვე აცნობა ჯიჯის.

ბერიკაცს გაეცინა.

— ისეთ რამეს თუ ჩაიდენ, რის გამოც ძუკუიას ავუჭრელებ მათრახით უკანალს, იგივე მათრახი არც შენ აგცდება! — დაექადნა.

ვასკამ ხელი ხელზე დაუკრა და ამაზე შეთანხმდნენ.

„დღეს კარგად დაცხება!“ — გაიფიქრა სიამოვნებით.

თხმელნარში შევიდა. კუჩხობონი აქვე იყო. თხელი წყალი მიჟღურტულებდა მწვანე, სლიპი ხავსით დაფარულ ქვებზე. ქვევით დაჰყვა, ათი წუთის სავალზე ადგილი იცოდა, სადაც წელამდე წყალი დგებოდა. თუ კამეჩებმა და ღორებმა არ მიუსწრეს, ის გუბე მისთვის ზედ გამოჭრილი იყო.

საგუბრის ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ვასკამ გაიხადა და გუბეში ტყაპანი მოადინა. წყალი ჯერ კიდევ ცივი იყო. ბიჭი ძალუმად ადგაფუნდა, რათა ცოტათი მაინც გამთბარიყო. თავი რომ გაისაპნა, თვალი აეწვა. რამდენიმეჯერ სწრაფად ჩაიყურყუმელავა. უკანასკნელად თავი რომ ამოსწია, თვალი გაახილა და ნაპირზე გოგონა დაინახა. მეჩვენებაო, ისევ დახუჭა, მაგრამ გოგონა მართლაც იდგა ნაპირზე და დიდრონი, ჯაჭო თვალები შიშით მიეპყრო ბიჭისათვის.

ვასკას შერცხვა, წყალში ნიკაპამდე ჩაჯდა.

— ვინა ხარ? აბა, გაუტიე აქედან! — მუქარით ამოიღრინა.

გოგონამ არაფერი უპასუხა, შებრუნდა და ბუჩქებში შევარდა.

ბიჭმა ერთხანს გუბეში იყურყუტა. უცებ რაღაც მოაგონდა, წყლიდან გველნაკბენივით ამოვარდა, ძიქვაში ფეხი ძლივს ჩაიტანა, ცალ ფეხზე ხტოდა და ილანძღებოდა. როგორც იქნა, ჩაცმა მოახერხა და იმ მხარეს გაექანა, საითკენაც გოგონა მიიმალა.

ჭინჭარმოდებულ ღობეს წააწყდა. გაუკვირდა, ადგილი ვერ იცნო. იქვე ახლოს მოდუდუნებდა წყალუხვი ხურჩა. ღობის იქით ტყემალი ჰყვაოდა და ბაღს ბოლო არ უჩანდა. „ჩიჩუებისა უნდა იყოს!“ — ყოყმანით გაიფიქრა. ჭინჭარი გადასწია და ღობეზე აძვრა. ხმელმა ნაღობმა ტკაცატკუცი ატეხა. ბიჭი ბაღში ჩახტა და იქვე ახლოს გოგონა დაინახა.

ზურგშექცევით იდგა. ცდილობდა, ტყემლის ყვავილიანი ტოტი მოეტეხა, ოღონდ ვერ წვდებოდა. ბიჭის ფეხის ხმაზე არც მობრუნებულა. ორი წაბლისფერი ნაწნავი წელამდე სწვდებოდა. შიშველ წვივებზე ტალახი შეხმობოდა.

„შევაშინებ!“ — სიანცემ შეიპყრო ვასკა. ფეხაკრეფით მიეპარა, „ბა-ო!“ — შეუძახა.

გოგონას არ მოუხედავს. განცვიფრებულმა ბიჭმა შემოუარა, წინ გადაუდგა. ჯაჭო თვალებში კვლავ შიში აღებეჭდა, გოგონამ ხელები ჩამოუშვა.

— ვინა ხარ?! — მკაცრად დაეკითხა ბიჭი.

გოგონა ხმას არ იღებდა და წამწამებს ახამხამებდა.

— გინდა, გითავაზო? — მუშტი მოკუმა ბიჭმა.

გოგონამ არც ახლა უპასუხა.

— თმით რომ დაგითრევ, მერე ნახავ... — ყოყმანით დაემუქრა და მართლაც მოჰქაჩა.

გოგონას სახე დაემანჭა, ტირილი დააპირა.

— რა მტირალა ყოფილხარ! — ზიზღით თქვა ვასკამ, ხელი უშვა. — მუნჯი ხომ არა ხარ?

გოგონა უხმოდ შეჰყურებდა. ვასკა სახტად დარჩა.

— მართლა მუნჯი ხარ?

გოგონა ისევ დუმდა.

— რატომ თავიდან არ მითხარი? — შერცხვა ბიჭს. ფეხის ცერით მიწა უხერხულად მოჩიჩქნა. — რა გქვია მაინც? — უიმედოდ შეეკითხა.

გოგონამ თავი შეარხია.

— მაშინ მუნჯიას დაგიძახებ! — მოისაზრა ვასკამ. გაახსენ-

და, როგორ ეპოტინებოდა გოგონა ტოტს და ხეს ეცა.

— გინდა ტოტი მოგიტეხო? ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებ.

ვასკამ ყვავილებით დაპენტილი ტოტი მოტეხა და ხელში ძალით შეაჩეჩა, მერე მეორეს წაეპოტინა, მაგრამ გოგონა მოულოდნელად ადგილს მოსწყდა და გაიქცა.

ვასკამ კეფა მოიფხანა, შევაშინეო, — სინანულით გაიფიქრა.

XX

მახუტის დაპატიმრების მესამე დღეს ჯუნა საგუბერნიო გაზეთის მეორე გვერდის სარდაფში ვრცელ წერილს წააწყდა, რომლის სათაური ცერისტოლა ასოებით აეწყოთ: „სოციალისტმა ცოლ-შვილის თვალწინ პატიოსანი მოქალაქე დაკლა!“ სათაურს კითხვისა და ძახილის ნიშნებით დამშვენებული ორი წინადადება მოსდევდა: „როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!“ და „როდის მოვისვენებთ?!“

ჯუნამ თვალი სწრაფად ჩააყოლა: „...მოთმინების ფიალა აივსო! რას აკეთებს მთავრობა და პოლიცია? ხმას რისთვის ვაძლევთ სათათბიროს არჩევნებში?.. მხოლოდ იმიტომ, რომ ყაჩაღებმა და სოციალისტებმა, რომელნიც კანონს ებრძვიან და ყოველ ნაბიჯზე უკანონობასა და საზარელ ბოროტმოქმედებას სჩადიან, ბოლოს და ბოლოს ყელები გვღადრონ? არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე. მთავრობამ უმკაცრეს ზომებს უნდა მიმართოს საზოგადოების მტრების წინააღმდეგ. ხელმწიფეიმპერატორმა ჩვენ თავისუფლება გვიბოძა, მაგრამ როდესაც ასეთ საზარელ ამბავს გაიგონებ, ძალაუნებურად იფიქრებ, თავისუფლება ჩვენთვის ნაადრევი ხილია...“

ჯუნამ ამოიოხრა. უკვე იცოდა, რომ ვერც ესტატეს ენა დაიხსნიდა მახუტის, ვერც ონოფრეს თავგამოდება, ვერც ბეგლარი და ტუტული. საჭირო იყო უფრო ძლიერი მოკავშირის ძებნა. ოხაჩქუეში ვინ იქნებოდა არვაშანგ ჩიჩუაზე ძლიერი. მხოლოდ მას შეეძლო ან დაეხსნა ან გაეწირა მახუტი. აქამდე ჯუნა თავს იკავებდა, რადგან თვით მახუტი აღუდგებოდა წინ

ასეთ განზრახვას. ახლა კი სხვა გზა არსაიდან ესახებოდა.

წინასწარ მოეთათბირა ბიძია ონოფრეს, ესტატესა და ბეგლარს. ონოფრემ და ბეგლარმა განზრახვა მოუწონეს, ესტატემ კი იჭვიანად აიჩეჩა მხრები: „ეჰ, რა ვიცი, სასტიკია არვაშანგ ჩიჩუა, ვაითუ საკუთარი გაზრდილიც არ დაინდოს!?“ მაგრამ ჯუნამ საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და ჭოჭმანი განაგდო. ვასკას დაავალა, იქნება მახუტის დადშეზრდილი გამომიხმო პაემანზეო...

* * *

— რა დაგემართა? დღეს რაღაც ძალიან შეცვლილი მეჩვენები! — ჩააცივდა თეკო ბადუს.

ქალიშვილმა ხურჩას ნაპირისაკენ გაისეირნა, ბადუ კი იქიდან ბრუნდებოდა და ვიწრო ბილიკზე შეეჩეხნენ ერთმანეთს. თეკო წუხდა, რადგან გუშინ ბადუს აწყენინა. თუმცა თავს დამნაშავედ არ გრძნობდა, მაგრამ, ეტყობა, ბადუზე ჩემმა სიტყვებმა იმოქმედა და წუხანდელი ღამე ჯოჯოხეთად უქციაო, — ფიქრობდა. ჭაბუკი მართლაც არ ჰგავდა წინანდელ ბადუს, თვალები უხურდა, უპეები ჩაშავებოდა, მზერას ვერავის უსწორებდა. საუზმეზე გულგაღეღილი პერანგით გამოვიდა, რაც თეკომ კი არა, თავის საქმეებით გადატვირთულმა გენერალმაც შეამჩნია.

— რა უნდა დამმართნოდა? ცოტათი უქეიფოდა ვარ.

— სიცხე ხომ არა გაქვს? — შეშფოთდა ქალი.

— არა, — და ქალი რომ არ ჩასციებოდა, დაუმატა: — უძილობა მაწუხებს რაღაც.

თეკომ მკლავებზე ხელი შეახო.

— ბადუ, ბადუია, აბა შემომხედე თვალებში. — მის ხმაში იმედი გამოსჭვიოდა. — მითხარი, ბადუია, მე ხომ არ გაწყენინე?

— არა. სინდისს გეფიცები, თეკო, შენ არაფერ შუაში ხარ! — თვალი აარიდა ბადუმ.

„მით უკეთესი!“ — წყენით გაიფიქრა ქალმა.

ჩუმად იდგნენ. თეკოს გაუჭირდა გზის გაგრძელება. ბადუ ფიქრობდა წითელი აგურის სახლში მცხოვრებ ქალზე და ვერ

მიმხვდარიყო, რა იყო ის წამალი თუ საწამლავი, რითაც იმ ქალმა მოაჯადოვა.

„მახუტის სახელი აჩერებს, თორემ ნამდვილად ვუყვარვარ!“ — თავს ირწმუნებდა თეკო.

— რაზე ფიქრობ? — შეეკითხა მდუმარე ყმაწვილკაცს.

— რაზე უნდა ვიფიქრო? — უნიათოდ შეუბრუნა კითხვა ბადუმ. „რასაკვირველია, ჩემზე ფიქრობს!“ — გაუხარდა თეკოსა და თვალებში სხივი ჩაუდგა, რაც ჭაბუკს არ გამოპარვია, მაგრამ მიზეზი ვერ ახსნა.

„შენ მხოლოდ სიყმაწვილე გამშვენიერებს, ჩემო კარგო, — გაიფიქრა, — ის ქალი კი ორი შენი ხნისაა და ახლაც...“ — ფიქრი ბოლომდე ვერ მიიყვანა. თვითონვე შერცხვა ამ ცინიკური აზრისა.

გუნებაგამოკეთებული თეკო ბილიკს დაუყვა. ხურჩისპირა ხაბოზე უსურვაზით შემოსილ ფანჩატურში უყვარდა განმარტოება და მახუტიზე ფიქრი.

ჭრელ ჩრდილში დაჯდა, უმალვე დაავიწყდა ბადუ და მისი გასაჭირი.

სწორედ აქ წააწყდა ქალს ვასკა, მოულოდნელი გამოჩენით შეაკრთო და ცნობისწადილიც გაუღვივა...

XXI

თეკომ შაკიკი მოიმიზეზა და გენერალი და ბადუ ნასადილევს ერთმანეთს შეატოვა. ჭაბუკს ბიძასთან მარტო დარჩენა არ ეხალისებოდა. სინანულით გახედა ქალის ზურგს უკან მიხურულ კარს. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. არვაშანგი აუჩქარებლად აცლიდა ფორთოხალს ქერქს და ხანდახან ბადუს გადახედავდა.

— დღეს ამინდს კარგი პირი უჩანს. — ძლივს ამოღერღა ბადუმ, რადგან აუტანელი მდუმარება შეგუბდა, ლამის აფეთქებას აპირებდა.

გენერალი ზიზღით შეიჭმუხნა. სულაც არ აინტერესებდა როგორი ამინდი იყო დღეს, ან როგორი იქნებოდა ხვალ, ზეგ.

ისედაც ყელამდე ჰქონდა საზრუნავი.

— უკაცრავად კი ვარ შენთან, ვერ გაქცევ ყურადღებას, — მოუბოდიშა ჭაბუკს, — უნდა გითხრა, რომ ბოლო დროს ძალიან დაკავებული ვარ... სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, გეთაყვა, სახელმწიფო, და მერე ოჯახური საქმეები!

„რა იცი ჩემზე? — ფიქრობდა ბადუ. — შენ გგონია, რომ ყოველ ჩემს აზრსა და სურვილს წინასწარ ხვდები, გგონია, რომ შეგიძლია გალიის შოშიასავით დამიმორჩილო...“

— ისედაც მადლობელი ვარ, ბიძაჩემო, თქვენს ზრუნვას დღენიადაგ ვგრძნობ.

გენერალმა გამომცდელად შეხედა, ბადუმ მზერა შეახვედრა, მაგრამ ვერ გაუძლო და ფანჯრისაკენ გაიხედა, ფანჯრის შუშას პირუტყვის ბუზი ზუზუნით ეხლებოდა.

— Пустяки! აი, განვთავისუფლდები და მაშინ ვიზრუნებ შენზე. — სიტყვას ფორთოხლის ნაჭერი შეაყოლა გენერალმა. — სამსახური კაი გაქვს. მაგრამ დროა წაიწიო!

— ძალიან გთხოვთ, ნუ შეწუხდებით. მე თვითონ მოგმართავთ, როცა თქვენი დახმარება დამჭირდება.

უცებ ხუტა გაახსენდა. გადაწყვიტა, ახლავე ეთხოვა გენერლისთვის, რომ ყურადღება არ მოეკლო მისი თანაკლასელისათვის.

— ეს კიდევ ვინღაა? — ისევ შეიჭმუხნა გენერალი.

— ხუტაზე ვლაპარაკობ. — სწრაფად უპასუხა ბადუმ. — ვფიქრობ, იგი მეტის ღირსია. გიმნაზიაშიც გამოირჩეოდა ჭკუით...

— უფრო სწორად, ეშმაკობით! შენი ამხანაგი, გეთაყვა, მელაა. მე ვერაფერს გამომაპარებ! — არვაშანგმა ფორთოხლის ბოლო ნაჭერი ჩაიდო პირში და წამოდგა. — თუმცა, ვნახოთ! რაიმეს მოვიფიქრებ... შემდეგში შემახსენე, ახლა კი ძალიან დაკავებული ვარ.

ბადუც წამოდგა და კარამდე მიაცილა. გენერალმა კარის სახელურს ხელი მოჰკიდა, მაგრამ შეყოვნდა.

— ჰო, მინდოდა მეთქვა... — ბადუს მზერა გაუსწორა. — მე საკუთარი შვილი არა მყავს, მე თქვენ გზრდიდით საკუთარი შვილებივით... თქვენ, სამივეს!..

გაფითრებული ბადუ ხმას ვერ იღებდა და თვალს ვერ უს-

წორებდა გენერალს.

— როგორც კი ამ საქმეს მოვრჩები, უნდა დაგაქორწინო! — ეს სიტყვები ბრძანებად გაისმა.

— მე არავინ მიყვარს! — სუსტად გაიბრძოლა ბადუმ.

— ჩემო კარგო, სიყვარულს ისევე სჭირდება ნიჭი, ვითარცა, მაგალითად, პოეზიას, მუსიკას, მეცნიერებას... ხომ არ ფიქრობ, რომ მთელი კაცობრიობა რომეოებისა და ჯულიეტებისაგან შედგება. სიყვარული რჩეულთა ხვედრია, იშვიათი ბედნიერებაა. — ბადუს უნდოდა შეპასუხებოდა, მაგრამ არვაშანგმა ხელის აქნევით გააჩუმა და განაგრძო: — შენ კი, ისევე როგორც მამაშენს, სწორედ ეს ნიჭი გაკლია. ჩემი რჩევაა, შეირთო რომელიმე მდიდარი და ლამაზი ქალი. დაირწმუნე თავი, რომ იგი გიყვარს. ეს ჩვეულებად გექცევა და, რადგან შენ ნამდვილი სიყვარული არ გინახავს, ამ ჩვეულებას მიიჩნევ სიყვარულად და ბედნიერიც იქნები... თავიდან ამოიგდე რომანებში წაკითხული მონაჩმახი. მე დამიჯერე და მერე მადლობასაც მეტყვი.

გენერალმა კარი გაიხურა. რეტდასხმული ბადუ დიდხანს იდგა კარის წინ. უნდოდა შუბლი ერტყა ამ კარისათვის, მაგრამ უცნაური სისუსტით შეპყრობილი, ადგილიდან ვერ დაძრულიყო.

— Чего прикажете-с? — მის წინ წელში გადატეხილი ძაკუსძე იდგა.

— წადი, შენი!.. — ბრაზმა აავსო ბადუ და დერეფანში გავარდა.

ადიუტანტს იღლიაში ქაღალდის დასტა ამოეჩარა და საქმიანი იერით გენერლის კაბინეტისაკენ მიდიოდა. ფეხაჩქარებულ ბადუს თავი დაუკრა, ეშმაკური ღიმილი მიაყოლა. ბადუ გონს მოეგო და დაგვიანებული სალამით გაეპასუხა.

თეკოს კარს გაუარა. ყური მიუგდო. ოთახიდან ხმა არ გამოდიოდა, ალბათ ჩაეძინაო და ეზოში ჩავიდა.

ჭადრის ქვეშ დადგმულ მწვანე სკამზე ძიძა ჩამომჯდარიყო და თვლემდა. მოხუცს ხელში საქსოვი ეჭირა. ძაფის დიდი გორგალი მუხლებიდან ჩამოვარდნოდა, სკამს ქვეშ შეგორებულიყო. წინდებს ქსოვდა ბადუსათვის, თუმცა ზამთარი სულ ახლახან გათავდა. ჭაბუკს თვალზე ცრემლი მოადგა, გულში სითბო ჩაეღვარა. მთელ დუნიაზე ერთადერთი ადამიანი, ვისაც ყოველ-

გვარი ანგარების გარეშე უყვარდა, იყო ეს პატარა, დამჭკნარი, საფლავში ნახევრად ფეხჩადგმული ქალი.

ხურჩასკენ გასწია. მდინარის ალერსიანი დუდუნი ავსებდა დაჩრდილულ ბაღს. მისი სიახლოვე ანელებდა გაზაფხულის მზის სიცხარეს. ატმის ყვავილს ფუტკარი დაჰზუზუნებდა შრომის სიმღერას. იქვე ახლოს კი გულწითელა გადადიოდა ყირაზე.

ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, უკან მობრუნდა. მოუნდა თეკოს ნახვა. ავიღებ და პირდაპირ ჩავუკაკლავ გენერლის ნათქვამსო. სჯობს თავი ანებოს კეკლუცობას, თორემ გენერალი მართლაც დააქორწინებს რომელიმე ეკაზე და მერე გვიანი იქნება თითზე კბენანი.

ის იყო, სახლს შემოუარა, საჩეხიდან თეთრხალათიანი მზარეული გამოვიდა. თავზე ჩაჩი გაისწორა და ჩაახველა, რათა ბადუს ყურადღება მიეპყრო. ჭაბუკი უკვე მესამედ ამჩნევდა, რომ ბიჭიკოს მასთან სალაპარაკო ჰქონდა. უნდოდა ეკითხა კიდეც, მაგრამ იფიქრა, სათხოვნელი ექნება რამე და როგორმე თვითონვე მოახერხებსო. ახლა სულაც არ ეპიტნავებოდა მასთან საუბარი, ფეხსაც აუჩქარა, მაგრამ ბიჭიკომ უყელა და მის წინ დაერჭო.

— ბატონო, პატარა სათქმელი მაქვს რაცხა! — უთხრა ჩურჩულით, თან შეშინებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— რაღაც ეშმაკობას აპირებ, ბიჭიკო! — ცხვირწინ თითი გაუქნია ბადუმ.

— ბიჭიკო დასამარდეს ბატონის მაგიერ, ცუდი რამე თუ მედოს გულში. — მკერდზე მუშტი დაიბრაგუნა მზარეულმა. — უბრალოდ, არ მინდა იმ მუნიანმა თქვენთან მოსაუბრე მნახოს.

— ვის ლანძღავ ასე მაგრად? — გაეღიმა ბადუს. — ან რატომაა ასე საშიში ჩემთან საუბარი?

— ვისა და ძაკუსძეს.

— კი მაგრამ, რა დაგიშავა იმ შენმა ძაკუსძემ?

— ჩემი კი არა, ეშმაკისა და ჯოჯოხეთის კერძია ის ძუკნას ნაშიერი, ისა.

სამზარეულოდან მუნჯი გოგონა გამოვიდა ცარიელი დოქით ხელში, პირდაღებული მიაჩერდა ბადუს.

„რა უცნაური თვალები აქვს?“ — ყელზე რაღაცა დაადგა ბადუს.

მზარეულმა დაუცაცხანა და ბავშვმა მოკურცხლა; შიშველ ფეხებს მიატყაპუნებდა ქისკენ მიმავალ ბილიკზე.

— აკი ყრუ-მუნჯიაო, შენს ნათქვამს როგორღა იგებს?

— სახეზე მატყობს, თქვენი ჭირიმე, როცა ვუწყრები... ერთი საწყალი კაცის შვილია, მეცოდება...

— შენ, მგონი, რაღაც საქმე გქონდა, ჩემო ბიჭიკო!

— იმას გეუბნებოდით, ბატონო, ის ძაკუსძეა თუ რაღაც ეშმაკის ფეხი, დიდი გაიძვერა და ჭუჭყიანი კაცია და უფრთხილდით.

— ვერაფერი გავიგე. იმას უნდა ვუფრთხილდე, იმ წრიპასა და არარაობას? — გაიოცა ბადუმ.

— არარაობის უკან მუდამ სხვა ვინმე იმალება. ჭიანჭველა რომ ჭიანჭველაა, იმის უკან მისი შემოქმედი ღმერთი იმალება, ძაკუსძის უკან კი მისი შემოქმედი ჭინკა და ოჩოკოჩი.

— მაინც ვერაფერი გავიგე! — გაეცინა ბადუს.

— აქეთ მოიწით, ბატონო! — მზარეულმა ერთხელაც მიმოიხედა, ყურში ჩააორთქლა. — შევამჩნიე, ჭირიმე, რომ თქვენს ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებს. ჯაშუშობაშია ნაჩვევი...

— როგორ ფიქრობ, ვისი ჯაშუში უნდა იყოს? — ბადუს უნდოდა ხუმრობად მიეჩნია მზარეულის სიტყვები. — იქნებ ბიძაჩემის?..

— პა, პა, პა... არ თქვათ მაგი, არ წამოგცდეთ! — შეიცხადა ბიჭიკომ. — დიდი ბატონი არასოდეს იკადრებს ასეთ რამეს.

— მაშ, ვილასია? — უკვე სერიოზულად იკითხა ბადუმ.

— ვფიქრობ, იმ გამოკვანჭული სამხედროსია, კოსტაია თუ რაღაც ჩირი რომ ჰქვია.

ბადუს უკვე არ ეცინებოდა. თვითონაც შიშნარევი ცნობისმოყვარეობით მიმოიხედა და მზარეულს ჰკითხა:

— შენ დარწმუნებული ხარ?

— ერთხელ წავასწარი, კოსტაიამ ხელში ვერცხლის მანეთი ჩაუდო. უბრალოდ ის არავის ასაჩუქრებს.

— აი, შენც ისეთივე მანეთიანი! თუ რამე საეჭვო ნახო, უმალ გამაგებინე!

მზარეულს სახე გაებადრა, მანეთიანი ჩაბღუჯა, მკერდზე ბანჯგვლიანი თათი დაიკრა.

— სიკვდილამდე თქვენი მსახური ვიქნები, ჭირიმე, ფული რა საკითხავია, მე ისე...

— ჰო, ჰო! — შეაწყვეტინა თავგაბეზრებულმა ბადუმ, ზურგი აქცია.

გუნება ისევ მოეშხამა. თეკოსთან საუბარი გადაიფიქრა. ფანჩატურისკენ გაემართა. თავში აზრი აერია, ხან რას ფიქრობდა, ხან რას. მართლაც საფიქრალი არ არის, საკუთარ სახლში ვიღაც ტაკიმასხარამ მსტოვარი მოგიჩინოს? თეკოს გამო ხომ არ ხდება ყველაფერი? თუ ასეა, ბადუმ უკვე დათმო თეკოს სიყვარული. არავის ეცილება და თავი დაანებონ.

ღუღუნი მოესმა. მდინარის ჩივილს არ ჰგავდა. ფანჩატურისაკენ გაიხედა და თვალებს არ დაუჯერა. აქედან კარგად მოჩანდა თეკოს მხრები. ქალი ვიღაც შაოსან დიაცს ესაუბრებოდა. შაოსანს სახე არ უჩანდა, მაგრამ ბადუს რატომღაც ემცნაურა.

ყურის მიგდება და თვალთვალი ვერ იკადრა, შინისაკენ შებრუნდა.

სანამ ფანჩატური ტყემლის დაპენტილ ტოტს მიეფარებოდა, ერთხელაც მოიხედა. შაოსანის პროფილს ჰკიდა თვალი და მის ცნობიერებაში ელვასავით აენთო სახელი.

— ჯუნა! — აღმოხდა უზომოდ გაკვირვებულს.

XXII

ჩუმად უსმენდა უცხო ქალიშვილს და თანდათან, ტვინის რომელიღაც კუნჭულში იბადებოდა ეჭვი. თეკოს შესცივდა, კანზე ბუსუსმა დააყარა. თვალის გუგები დაუვიწროვდა, ბაგე ჩაიკვნიტა და მცირე დუმილის შემდეგ ხმადაბლა ჰკითხა:

— თქვენ მახუტი გიყვართ?

ჯუნა გაწითლდა, მაგრამ სიმორცხვეს სძლია:

— მე? მე მისი გადარჩენა მინდა!

— თქვენ მახუტი გიყვართ! — დაბეჯითებით გაიმეორა თეკომ.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? — თითქოს მხარდაჭერას

ეძებსო, ჯუნამ უმწეოდ მიმოიხედა. თავადის ქალის მზერაში მოულოდნელი სიძულვილი ამოიკითხა, გაუკვირდა. „ჩემი რძლობა არ უნდა, დიდგვაროვანი ფარშევანგია!“ — გაივლო გუნებაში. ქალურმა ალღომ სულ სხვა უკარნახა. წინათაც არაერთხელ სმენოდა, თეკო ჩიჩუების სისხლით ნათესავი არააო. „მაინც და-ძმანი არ უნდა იყვნენ ერთ ოჯახში, ერთ ჭერქვეშ დაზრდილნი?“ — შეეკითხა თავს და თვითონაც აფორიაქდა.

თეკოს ლოყები დაეტეტკა.

„ამასაც ყვარებია!“ — დაასკვნა ჯუნამ. შეებრალა კიდეც, ოღონდ ფიქრშიც არ შეეძლო მახუტის დათმობა და ახლაც მის სახელს ჩაებღაუჭა. არა, არა, მახუტის ჯუნა უყვარს, ჯუნათი სულდგმულობს, სხვანაირად სიცოცხლე წარმოუდგენელია. ვინც სიყვარულში შეეცილება, მან ჯერ ჯუნა უნდა მოკლას... არა, თავადის ამ ლამაზ ქალს იმედიც არ უნდა ჰქონდეს.

— მთავარია, იგი გადავარჩინოთ! — მტკიცედ გაიმეორა. — ეს კი მხოლოდ გენერალს ძალუძს.

„მახუტისაც თუ უყვარხარ?“ — თეკოს კითხვა ენის წვერზე უტრიალებდა, მაგრამ თავის დამცირება არ ინება და ხმა ვერ ამოიღო.

ეყვარება, რატომაც არა? ასეთი ქალი რატომაც არ ეყვარება. რამდენი წელია თეკო არ უნახავს, მისთვის ერთი პატარა ცნობა არ მოუწვდენია. მოკითხვას რა დიდი ამბავი სჭირდებოდა. ეს ქალი კი ალბათ გვერდიდან არ სცილდება და თავი შეაყვარა. დიახაც, მახუტი არასოდეს შეაქცევდა თეკოს ზურგს, მაგრამ ამ ქალმა გაუმრუდა გზა.

მოთმინება დაელია, გული ყელს ებჯინებოდა და თვალთ უბნელდებოდა. უცხოს არ გამომშვიდობებია, ისე გავიდა ფანჩატურიდან...

* * *

მორჩა, თეკოსთვის სიხარული გათავდა! სულ რაღაც ერთი საათის წინ იგი იმედებით ცოცხლობდა; ახარებდა გაზაფხულის მცხუნვარე მზე, ყვავილების სურნელებით სავსე ბაღი, მოდუდუნე ხურჩა; ახარებდა ჩიტის ფრთხიალი, მწერთა საქმიანი ფუსფუსი; ახარებდა ფანჩატურში შემოჭრილი ათინათის ციალი, დასიცხული ნიავის სუსტი ჩურჩული ფოთლებში. ახლა კი ყველაფერი წარსულა ჩაბარდა...

ხურჩას ნაპირზე იდგა, ხელი ხორკლიანი ტირიფისათვის ჩაეჭიდა. თავში აზრი ერეოდა. ხან ასე წონიდა, ხან ისე. ყოყმანში საკმაო დრო გავიდა. საფეთქელში სისხლი უცემდა და ტირიფის ხეშეშა ქერქით იგრილებდა შუბლს. უნდოდა ეტირა, მაგრამ თითქოს ცრემლი დაშრობოდა... ბოლოს გონს მოეგო, ამოიოხრა, ზურგი შეაქცია მაცდურ ხურჩას, სასახლისაკენ მძიმე ნაბიჯებით გამოემართა. ისე მოდიოდა, თითქოს ქვეყნიერების ჯაფა და ვაება მხრებზე ედო. ყურადღებას არ აქცევდა მზის მცხუნვარებას, შხვართ ტოტებს, სახეზე რომ სცემდა, ენაჭარტალა ჩიტებს, სადღაც რომ მოუსვენრად ჭახჭახებდნენ.

მერე საფრთხე გაახსენდა, მის რჩეულს რომ მოელოდა. გამოცოცხლდა, კიბეზე სულმოუთქმელად აირბინა. გენერლის კაბინეტს მიაშურა. დერეფანში ძაკუსძე შემოეყარა. ლაქიამ უფერული თვალები შეავლო და როდესაც თეკომ ჯიქურ შეხედა, მზერა აარიდა. ცუდად ენიშნა ქალს, მაგრამ ფიქრის დრო აღარ ჰქონდა. უნდა ეჩქარა, ყოველ წამს მნიშვნელობა ჰქონდა.

გენერალი კაბინეტში მარტო იჯდა და წერდა. თეკოს შემოსვლისას თავი არ აუღია, ისედაც მიხვდა, ვინც იყო.

— რაზე შეწუხდი, გეთაყვა? — ცივად გაისმა მისი ხმა.

— მე... — თეკო აღელდა, ენა დაება.

— ბევრი სამუშაო მაქვს და დროს ნუ მაკარგვინებ! — მშრალად წარმოთქვა გენერალმა.

— არაფერი, მე ისე... — გაწითლებული თეკო კაბინეტიდან გამოვარდა. მუხლებში სისუსტე იგრძნო, კარს ზურგით მიეყრდნო და სული ძლივს მოითქვა. რატომ უნდა გადაარჩინოს თეკომ იგი, რატომ უნდა გაუწოდოს მაშველი ხელი? განა მან არ შეაქცია ზურგი მშვენიერ ქალწულს, განა მან არ უარყო მისი უანგარო სიყვარული?

— ნება მიბოძეთ, კარი შევაღო! — პოდპორუჩიკის ჭრელა თვალები დამცინავად შემოჰყურებდნენ. ქალმა მხრები

ზიზღით შეარხია, კარს უხმოდ გაშორდა..

გულგამეხებულმა არ იცოდა საით წასულიყო. ერთხანს სასტუმრო დარბაზში იბორიალა. როიალს მიუჯდა, ხელებს ნიკაპით დაეყრდნო. ამდენმა ფიქრმა დაღალა და საოცარ სიცარიელეს გრძნობდა... როიალს სახურავი ახადა. თეთრი კლავიშები მისი მეტოქის სწორად ჩაწყობილ კბილებს აგონებდა. საჩვენებელი თითით სევდიანი აკორდი აკრიფა. „ასეთ ღამაზ კბილებს მიკრეჭდა!“ — შურით გაიფიქრა და სახურავი ხმაურით დახურა.

თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ თავი შეიკავა, გულში ქვა და კირი ჩაიდუღა...

* * *

ბადუს ცნობისწადილი კლავდა. დიდხანს ისეირნა სასახლის ირგვლივ. უცდიდა თეკოს დაბრუნებას. ცხელოდა და მოთმინება დაეკარგა.

ფანჩატურთან ვერავინ შენიშნა. უკან დაბრუნდა. სასტუმროში შეიხედა, შემდეგ სასადილოსა და ბიბლიოთეკაში. ქალის კვალს ვერსად მიაგნო. თეკოს კართან შეჩერდა. ოთახიდან ჩქამი არ ისმოდა. ფრთხილად დააკაკუნა, ხმადაბლა დაუძახა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. კარს სუსტად მიაწვა. შეაღო და ღრიჭოში თავი შეყო. ამ დროს, დერეფნის ბოლოს, ფეხის ხმა გაისმა. ბადუს ეუხერხულა, ვინმე თეკოს კართან შემამჩნევსო, ოთახში შევარდა და კარი მიხურა. გული აუფანცქალდა. აქ პირველად იყო. მიმოიხედა. ფანჯრებზე მძიმე ფარდები იყო ჩამოშვებული, სიფრიფანა შუქი იდგა. თავდაპირველად ვერავინ გაარჩია. მერე იპოვა ის, ვისაც ეძებდა. თეკო საწოლზე იჯდა და მშრალი თვალებით იყურებოდა ბადუსაკენ, მაგრამ ჭაბუკს ვერ ამჩნევდა.

ბადუ შეშფოთდა.

— თეკო, თეკოია, სასწაული რამეა შენს თავს! — ხმადაბლა, ალერსით დაუძახა.

თეკოს პასუხი არ გაუცია.

ბადუ გვერდით მიუჯდა, მხარზე ხელი მოჰხვია და ოდნავ შეანჯღრია.

— თეკო, ხმა გამეცი, გოგო, რა დაგემართა?

ქალი შეკრთა, თავი ნელა მოაბრუნა, ბადუს გაკვირვებით შეხედა.

თანდათან გამოდიოდა ზმანებიდან, თვალებში აზრი ჩაუდგა.

— რა იყო, თეკო, რა დაგემართა, მითხარი რამე.

თეკოს თვალები აუწყლიანდა, კურცხალი დაუგორდა, პირისახე ბავშვივით დაემანჭა, ბადუს მკერდში ცხვირი ჩარგო და გულამოსკვნით აქვითინდა.

— მახუტიმ მიღალატა, ბადუია, — ალუღლუღდა, — რამდენი წელია ველოდები, მეგონა ჩემს იქით გზა არ ჰქონდა, მას კი თურმე სხვა ჰყვარებია...

— ჩუ, ჩუ, დამშვიდდი, გენაცვალე, დამშვიდდი... — ეჩურჩულებოდა ბადუ და ხელისგულით ცრემლიან ლოყებს უმშრალებდა.

— როგორღა დავმშვიდდე, ბადუია, რაღა ვქნა არ ვიცი. არ მეცოცხლება აწი. ხურჩაში უნდა გადავვარდე და თავი მოვიკლა... — გაბმით ტიროდა თეკო.

— ნუ ამბობ, გენაცვალე, მაგას. რამე რომ დაგემართოს, მეც ხომ მექნება თავი მოსაკლავი... ჩუ, ჩუ, დამშვიდდი! — ეუბნებოდა ბადუ მგრძნობიარედ და თეკოს თმასა და ღაწვებს ელაციცებოდა.

— სულ ჩემი ბრალია, მაგრამ რას ვიფიქრებდი, ის ხომ ისე კარგად მექცეოდა. — ჩიოდა თეკო და მკერდზე ეკვროდა ერთადერთ მოსიყვარულე და კეთილ არსებას.

— ჩუ, ჩუ, დამშვიდდი, გენაცვალე, დამშვიდდი! — სველ თვალებს უკოცნიდა ბადუ, ნამტირალევ ღაწვებს უკოცნიდა.

— მე უკვე არავის ვუნდივარ, არავის ვუყვარვარ... — ბუტბუტებდა თეკო და, ვაჟის მკლავებში მომწყვდეულს, ცახცახი უვლიდა.

— შენს ბადუს უყვარხარ, გენაცვალე, შენს ბადუს... — ჩასჩურჩულებდა ჭაბუკი და სიცხიან ტუჩებს უკოცნიდა...

თეკო ითმენდა მის კოცნას, მერე გაუბედავად პასუხობ-

და, მერე კი, ამღვრეული, თავადაც ეძებდა ვაჟის ბაგეებს...

— დედიკო, დედა, რას შვრები, ბადუია, რას შვრები! — წაიჩურჩულა ქალმა, მაგრამ ეს უფრო მოწოდება იყო, ვიდრე წინააღმდეგობა და ბადუმ ეს იგრძნო.

— არაფერს, გენაცვალე, არაფერს... — უაზროდ პასუხობდა და მხურვალედ ეკვროდა. გონება დაკარგა ბადუმ, მარტო ვნება ზეიმობდა... საკინძე ჩამოღლიტა თეკოს და გაშიშვლებულ ძუძუს დააკვდა.

— რას შვრები, ბადუია, რას შვრები, შე უსირცხვილო... — ბუტბუტებდა მორევში ჩათრეული თეკო.

„ვაიმე, ეს რა ხდება?“ — გაიფიქრა ძალაგამოლეულმა, ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ საკუთარი თავი ვეღარ დაძლია.

„ეს შურისძიებაა!“ — გაუელვა მოულოდნელად და ვაჟს დანებდა.

* * *

რა იყო ეს?

რა უბედურება დაატყდა თეკოს?

ვნების მორევში ჩაფლულს, ერთბაშად გაუქრა ყველაფერი. მხოლოდ ტკივილი იგრძნო. უნდოდა ეკივლა, მაგრამ ტუჩები ჩაიკვნიტა და მიხვდა, რომ ყველაზე უბედური იყო.

გდია ლამაზი თეკო თავის სარეცელზე; აქამდე თავის, ამიერიდან — ვიღაცასთან გაყოფილ სარეცელზე და ჩამქრალი თვალებით ჭერს მიშტერებია. წამის წინ სასურველი, ახლა კი უცხო მამაკაცი მის მკერდს უსინდისოდ ბობღნის. ამაყი მკერდი გათელილ ყვავილსა ჰგავს და მისგან გამოწურულია ქალწულებრივი სიცოცხლე და თრთოლვა... მამაკაცის მკლავებს ჩაუმწყვდევია თეკო, მამაკაცის მსხვილი ტუჩები ეძებენ ქალის ტუჩებს, რათა ჩამქრალი ვნება გამოუღვიძონ.

სისხლი თავში აუვარდა, სირცხვილმა დაწვა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მკერდზე ხელი ჰკრა და გამოსცრა:

— ადექი, თავი დამანებე!

— მიყვარხარ, თეკოია! — უპასუხა ბადუმ, რომელიც ტახტზე კურთხეულივით გრძნობდა თავს.

— ადექი! — გაუმეორა ქალმა და ისტერიულად მიახალა: — მეზიზღები, მეზიზღები, მეზიზღები...

ბადუ გველნაკბენივით წამოვარდა, ნირწამხდარი რაღაცას ბუტბუტებდა, თან ტანსაცმელს ისწორებდა.

— ასე არ შეიძლება... დამშვიდდი, ძვირფასო... — ძლივს ამოღერღა.

— მეზიზღები! — გაიმეორა თეკომ. — დაუნდობელო, დაუნდობელო!

— ჩუმად, გეთაყვა, ვინმე გაიგონებს. — კარისაკენ მიიხედა ბადუმ.

— აწი ჩემთვის სულ ერთია, ყველაფერი სულ ერთია!.. დამტოვე, ახლავე დამტოვე!

ბადუმ ამოიოხრა, საკეტი გადააბრუნა და დერეფანში გავიდა. ვიღაცამ მოპირდაპირე კარი გაიხურა. დამფრთხალმა ბადუმ სახელურს ხელი სტაცა, კარს მიაწვა. კარი არ დამორჩილდა. შიგნიდან ჩაკეტეს. „ალბათ ძაკუსძეა, ის ყურუმსაღი!“ — სიმწრის ოფლმა დაასხა.

თეკო ერთხანს გარინდებული იწვა. მერე გადაბრუნდა, სახე ბალიშქვეშ დამალა, თვალები დახუჭა.

დრო სწრაფად გავიდა. ოთახიდან გასვლას სიკვდილი ერჩია. ასეც დააპირა, სანამ არ მოვკვდები, აქ ვიქნები ჩაკეტილიო.

უცბად აფორიაქდა, გულის ბაგაბუგი აუტყდა. სწრაფად წამოხტა და დაბანცალდა. დიდხანს წოლილა თურმე. ფარდის კალთა გადასწია. ფანჯარაში მრუმე ღამე იღვრებოდა ზეთივით.

ალბათ ვახშმობის დრო იქნებოდა.

კაბის გასწორება მოინდომა, მაგრამ გაახსენდა, რომ საკინძე ჩამოხეული ჰქონდა. ახალ კაბას რომ იცვამდა, სარკეში ხედავდა თავის ძუძუებს, რომელთაც ქალწულებრივი სიტურფე დაჰკარგოდათ და ფლოქვებით გადათქერილ ჯეჯილსა ჰგავდნენ. ღრმად ამოიოხრა, ერთხელ კიდევ მოუნდა ტირილი. თავი შეიკავა. ფერუმარილი ოდნავ წაიცხო, რათა ცრემლის კვალი წაეშალა და სასადილოსაკენ გასწია.

გენერალმა არვაშანგმა მწყრალი თვალები შეაგება. თავდახრილი და მღელვარებისაგან ერთბაშად დაბერებული ბადუ

სკამზე იწურებოდა. თეკოს მისკენ არც კი მიუხედავს, ისე წარუდგა გენერალს. შეხედვას ვერ უბედავდა, მხოლოდ მისი ჩექმის ჭვინტს უყურებდა.

— ძია არვაშანგ, მახუტის სასიკვდილო საფრთხე მოელის!

აიხედა და შიშით ენა დაება. გენერალს სახე სისხლისაგან დასცლოდა, პირი ისე დაეღო, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა.

— მახუტი ციხეშია და თავის სახელს არ ამხელს! — ენის ბორძიკით დაუმატა, კარისაკენ ოდნავ დაიხია.

გენერალი პატრუქმოდებულ დინამიტსა ჰგავდა და ბადუ წამოდგა.

— რას ამბობ, თეკო? — მოაწვდინა ხმა, მაგრამ თეკოს მისთვის ყური არ უთხოვია. უფრო მტკიცედ განაგრძო:

— მახუტიმ კაცი მოკლა, ძია არვაშანგ!

— К черту! — ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა უცებ გენერალმა. — ის არის, ის!

— არაფერი მესმის. — დამნაშავესავით ჩაიდუდუნა ბადუმ.

— გზა! — დაიღრიალა არვაშანგმა და ზეწამოჭრილმა სკამი იატაკზე დაანარცხა. წინ შეფეთებული ბადუ უსულო საგანივით განზე გასწია და ოთახიდან გავარდა. ბადუ მაგიდას მიაწყდა, ჭურჭელი ააჟრიალა. გენერალი კი უკვე კიბეზე ჩარბოდა და ძლივს ხიხინებდა:

— ჩქარა, ეტლი!.. ჩქარა, ეტლი!..

თეკო და ბადუ უკან მიჰყვნენ, ოღონდ პარმაღს იქით გადევნება ვერ გაბედეს.

ეტლი უკვე კიბესთან იდგა. გენერალმა ზურგზე მუშტი მოსცხო წამით შეყოვნებულ მეეტლეს, შეუკურთხა:

— გაფრინდი, სულძაღლო!

მეეტლემ მთრახი უწივლა ცხენებს, ეტლი ადგილს მოსწყდა, ქვაფენილზე გახრიგინდა.

გენერალი ფეხზე იდგა, მეეტლეს ზურგზე უბრაგუნებდა და ქარის ზუზუნში ხრინწიანი ხმით ჩასძახოდა:

— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!..

შეშინებული მეეტლე დაუზოგავად აშხუვლებდა მათრახს, ცხენებიც გიჟებივით მიჰქროდნენ სუსტი პატრუქით განათებულ ქუჩაში.

ციხის კართან ოფლში გაღვარულმა მეეტლემ ორივე ხელით სადავე მოზიდა. ცხენები კინაღამ კარს მიასკდნენ და თეთრი ქაფით გასაპნეს. ქშინავდნენ გულაბორგებულნი, სისხლიან თვალებს ავად აკვესებდნენ, ფლოქვებით ქვაფენილს ამსხვრევდნენ...

ეტლი გაჩერებულიც არ იყო, არვაშანგი რომ ჩამოხტა, კარში შემოჩეხილ გუშაგს მკერდზე ხელი ჰკრა, განზე მიაგდო. დამფრთხალი მედილეგენი ქუდებს იშვლეპდნენ და გენერლის წინ ცხვრებივით გარბოდნენ.

— აქეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — გზას უჩვენებდა გაფითრებული ციხის უფროსი, რომელიც ვერ მიმხვდარიყო გენერლის რისხვის მიზეზს.

კარი გააღო და წინ გაატარა.

გენერალი ზღურბლზე შეჩერდა. სარკოფაგივით გასუდრულ ოთახში, სადაც საყასბოს აუტანელი სუნი იდგა, იატაკზე შიშველი ადამიანი ეგდო. ირგვლივ კუნთებდაბერილი ჯალათები შემოხვეოდნენ და მათი ჩექმების ლანჩები ყაყაჩოსფრად ღვიოდა. მაგიდის ძგიდეზე თვითონ ფოთხოევიჩი ჩამომჯდარიყო, პირში პაპიროსი გაერჭო. გენერლის შემოსვლისთანავე წამოხტა, ცდილობდა სრული მორჩილება გამოეხატა სახეზე, მაგრამ თვალები იმ ტურას მიუგავდა, მგელმა ნანადირევი რომ დააგდებინა.

— დაგვტოვეთ! — თითქმის ჩურჩულით ბრძანა გენერალმა და კარს ჩამოეცალა. ჯალათები ოთახიდან სწრაფად გაიძურწნენ, ფოთხოევიჩი კი წამით შეყოყმანდა.

— შენც! — ხმას აუწია გენერალმა.

ფოთხოევიჩმა კარი გაიხურა.

არვაშანგმა კარი შიგნიდან ჩაკეტა. ერთხანს ადგილზე ბარბაცებდა, მერე მუხლები მოიყარა იატაკზე დაგდებულ ადამიანთან და არ შეუმჩნევია, მუხლის კვერებით სისხლის ყაყაჩოებს რომ სრესდა. არვაშანგმა ათრთოლებული ხელებით კიტელი გაიხადა, შიშველ ადამიანს წამოახურა, მერე კისერზე ხელი ამოსდო, წამოსწია, მაგრამ მის მდუმარებას ვერ გაუძლო და ზედ დაემხო.

— შვილო! — ამოიკვნესა არვაშანგ ჩიჩუამ.

ნაწილი მესამე
პირისპირ

XXIII

სარკმელს ჯორაბუზი მოუსვენრად ეხლება. ციხეში მდუმარება დასადგურებულა, რასაც მხოლოდ ბუზის ზუზუნი არღვევს.

— ვაი, ვაი, ვაი! — შეჰკივლა ხმამ და უნუგეშო ქვითინი მოაყოლა. მისუსტდა, ჩაქრა, ისევ სიჩუმეს დაუთმო ადგილი.

შეკრთა მახუტი. უსასოო კივილმა ცნობიერება დაუბრუნა.

თავს ძალა დაატანა, ქუთუთოები ძლივს გახსნა. საიდანღაც შემოსული მკვეთრი სინათლე უმძაფრებდა ტკივილს. ამოიოხრა. სხეულის ყოველ ასოს უხილავი მტარვალი წიწკნიდა. თვალი ისევ დახუჭა.

რბილ საწოლში იწვა, ზეწარსაც გრძნობდა. თავქვეშ ბალიში ედო, შინაურული, ნარჩევი ბუმბულით დატენილი... იქნებ ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს გვემისაგან სიკვდილისპირას მიყვანილი. „ექიმო, წყალი!“ — უნდოდა ეთხოვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ჯერ უნდა გარკვეულიყო, რა ხდებოდა.

თვალი ისევ გაახილა, სინათლეს შეაჩვია. ტკივილი ცოტათი დაუცხრა. ჩვეულებრივი საკანი იყო, ოღონდ უფრო სუფთა. სარკმელიც უფრო ფართო ჰქონდა, მეტი სინათლე და ჰაერი შემოდიოდა.

სხვა საკანში გადმოუყვანიათ, მაგრამ რატომ?.. თავი ჯერაც ტკიოდა, ფიქრი უმძიმდა. ისევ დახუჭა თვალები და უცებ ჩაეძინა. არ იცოდა, რამდენ ხანს ეძინა. გასაღების ჩხაკუნმა გამოაღვიძა. საკანში მზის ათინათი თრთოდა. მოუნდა წამოდგომა და მზის ათინათის პეშვით დაჭერა, როგორც ამას ბავშვობაში აკეთებდა.

რკინის კარმა გაიღრჭიალა. ზედამხედველმა საუზმე შემოუტანა. მახუტიმ თავი მოიმძინარა. ზედამხედველმა ერთხანს იბორიალა და გავიდა.

გაუნძრევლად იწვა. შემწვრის მადისმომგვრელმა სუნმა ცხვირში შეუღიტინა. რა მოხდა, რა შეიცვალა? — პასუხი ვერ მოძებნა.

ტკივილებს სძლია, საწოლზე წამოჯდა. თეფში მუხლებზე დაიდო და ჭამას შეუდგა. ანაზდეულად ფიქრმა კლანჭი გაჰკრა. ლუკმა ყელზე დაადგა, თეფში უკანვე დადო. „სიტყვა ხომ არ წამომცდა?“ — დაეჭვდა.

ფოთხოევიჩის პროში ტუჩები და დაგუდლებული თვალები მოაგონდა. „მე კეტსალი ვარ, კეტსალი, კეტსალი!..“ — ფიქრში დაბეჯითებით გაიმეორა.

არა, ხმა არ ამოუღია, სიტყვა არ დასცდენია... სანამ გრძნობაზე იყო!..

ზურგზე გაწვა და კვლავ ჩაეძინა.

ძილში ჯუნა ესიზმრა. ვითომდა მახუტი თევზად ქცეულიყო და ხურჩაში ინთქმებოდა. ჯუნა კი ბადეს ისროდა, რათა ხურჩას მღვრიე წყლიდან სატრფო დაეხსნა.

კვლავ კარის ჩხაკუნმა გამოაღვიძა. საკანში ციხის უფროსის თანხლებით არვაშანგი შემოვიდა. მახუტიმ თვალი მაგრად დახუჭა, თავი მოიმძინარა. ამ წლების განმავლობაში ბევრჯერ უნატრია ბიძასთან შეხვედრა, მაგრამ ახლა დაფრთხა.

— სძინავს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — კუდი გააქიცინა ციხის უფროსმა.

არვაშანგმა მიმოიხედა, სკამს ეძებდა.

— დაგვტოვეთ!

ციხის უფროსმა სკამი დაუდგა და წელში მოკაკვულმა კარი გაიკეტა.

საკანში ორნი დარჩნენ. მახუტი გრძნობდა გამზრდელის სიახლოვეს, მის დაჟინებულ მზერას. სურდა ხმა ამოეღო, გამოლაპარაკებოდა, მაგრამ სიტყვა ყელში ეჩხირებოდა.

არვაშანგიც ჩუმად იჯდა, გაზრდილის სახის ნაკვთებს აკვირდებოდა. ჭაბუკი ძლიერ შეცვლილა. გაუპარსავი იყო და ეს აბერებდა ოდნავ; უხეში წამებისაგან სახეზე ლაქები აჩნდა, თუმცა მის ნაკვთებში მაინც იყო რაღაც ბავშვური, წინანდელი და გენერალს სითბო უვსებდა გულს. მოუნდა დიდი, მძინარე ბავშვის მოფერება. „გულჩვილობაა“, — გაიფიქრა და თავი შეიკავა.

— გძინავს? — ხმადაბლა ჰკითხა.

— არა.

— ხომ არაფერი გტკივა?

— არა. — მახუტის ცალყბად გაეღიმა, გამზრდელს ქვევიდან ახედა.

— რატომ არაფერს მეკითხები?

— ბადუ როგორაა?

— კარგად. ისეა დავაჟკაცებული, რომ ნახო, ვერც იცნობ, წმინდა წყლის ინტელიგენტია...

— ცოლი ხომ არ შეურთავს?

— არა.

— ძიძა დაბერდა?

— ძალიან. ერთი წვნიკი გახდა. მოკაკვული დადის. ალბათ მალე მოკვდება...

მახუტიმ ამოიოხრა, ტკივილმა ზურგის თხემიდან ფეხის თითებამდე გაჰკრა... მიუყუჩდა.

— თუ ვახსოვარ?

— გელის. იმედით ცოცხლობს. საბრალოს შენსავით არავინ ყვარებია.

— თეკო?

— თეკო დაქალდა, დამშვენდა, ოხაჩქუეში ბადალს ვერ მოუძებნი. ყმაწვილები ფუტკარივით ახვევია, მაგრამ ამაოდ, ზედაც არავის უყურებს.

— საქმრო არა ჰყავს?

— თავი მოგვაბეზრეს, იმდენი მთხოვნელი გვაკითხავს, მაგრამ თვითონ არ შვრება...

— ეყოლება, ალბათ, გამორჩეული...

— არა მგონია, მე ვერ დამიმალავდა... — ერთხანს ყოყმანობდა, მერე დაუმატა: — მგონი შენ გიცდის.

— მე რად მიცდის? მე რომ წავედი, ყველაფერი დავტოვე... თეკოც.

— თეკომ რა დაგიშავა?

— თეკოს არაფერი დაუშავებია, მაგრამ არც მე... — ტკივილმა თავი შეახსენა, სიტყვა გაუწყდა. — ჩვენ ბედმა დაგვაშორა... ბედი, ბედი... — ხმადაბლა წაიჩურჩულა. გრძნობდა, როგორ ფართოვდებოდა საკანი, არვაშანგმა კი თითქოს სიღრმეში გადაინაცვლა.

შეშფოთებული არვაშანგი წამოიწია, შუბლზე ცივი ნები დაადო:

— კარგი, ჩუმად იყავი, დასვენება გჭირდება...

მახუტი თითქოს უფსკრულიდან ამოტივტივდა, წამით სინამდვილეს დაუბრუნდა.

— ბიძაჩემო, თუ მოვჯობინდი, ღონე თუ მეყო, ერთი ზღაპარი უნდა გიამბო.

— კარგი, ოღონდ ახლა დაისვენე.

მახუტიმ თვალი დახუჭა...

მხოლოდ მესამე დღეს შეძლო ფეხზე წამოდგომა...

XXIV

ამბავი მშვენიერ უფლისწულ არამხუტუსი

იყო და არა იყო რა, ბედნიერების უკეთესი რა იქნებოდა... ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა მშვენიერი უფლისწული არამხუტუ, — მახუტის თვალები მიელულა და ხმადაბლა ყვებოდა, — შორს იყო გავარდნილი არამხუტუს ციხე-დარბაზის სილამაზისა და სიმდიდრის ამბავი. ქვითკირის მაღალ გალავანზე ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. ქონგურებიანი კოშკები ღრუბლებს გზას უღობავდნენ, რათა არამხუტუს ცაზე მუდამჟამს დარს ემეფა. ბაღში წლიდან წლამდე ყვაოდა ინდოეთისა და ჩინეთის ხილი და ყვავილი, გალობდა უამრავი ფრინველი.

ის, ვინც დაინახავდა ცად ამართულ გალავანსა და გოდოლებს, ოხვრით წაიდუდუნებდა:

„რა ბედნიერია უფლისწული. ნეტავი მას, ჩიტის რძეც არ აკლია!“

მართლაც უზრუნველად და უდარდელად ცხოვრობდა მშვენიერი უფლისწული არამხუტუ, სანამ მოწყენილობას იგრძნობდა. დაუძახა მასწავლებელს, ბრძენთაბრძენ სულკალმახს და უთხრა:

„ქვეყანა უნდა ვნახო, მანამდე კი ჩემს სასახლეს მიმიხედეო!“

ადგა და გაუდგა გზას.

სამი წელი იმოგზაურა არამხუტუმ, მოიარა მთელი დუნია და უკან დაღონებული დაბრუნდა, რადგან უბედურება ბევრი იხილა, წამალი კი ვერა იპოვა რა.

დედამიწაზე ბნელოდა. ზღვებიდან და ოკეანეებიდან მოიზლაზნებოდა ყორნისფერი ღრუბლები. წარღვნას არ უჩანდა ბოლო. ქარიშხალი ძირფესვიანად გლეჯდა ასწლოვან ჭადრებს. მიწისძვრები არღვევდა ციხის ქონგურებს. ციებისაგან დაყვითლებული ადამიანები ობობის ქსელში ვარდებოდნენ და მორგვად ქცეული ობობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ხარისტოლა ვირთხები საქონელს იტაცებდნენ ბოსლებიდან. გიგანტურმა ბაყაყებმა ჭაობებში დაიდეს ბინა და სოფლებს მუსრს ავლებდნენ. ქუფრი ღრუბლიდან მოულოდნელად თავზე დაცემული სვავი თოთო ბავშვს იტაცებდა აკვნიდან...

ამდენი სიავით გულდამძიმებული არამხუტუ სულკალმახის სენაკში შევიდა, თეთრწვერა ბერიკაცის სარეცელთან დაიჩოქა.

„შორი გზიდან დავბრუნდი, მასწავლებელო! მთელი ქვეყნიერება მოვვლე. უამრავი რამ გადამხდა. ბევრი ტანჯვა და ვაება ვიხილე, მაგრამ წამალი ვერსად ვპოვე. იქნებ შენ იცი, ბრძენთაბრძენო, ჭეშმარიტი გზა ბედნიერებისაკენ. ნუ დამიმალავ, მასწავლე, თორემ გული ვერ აიტანს ამდენ სიავეს...“

სამი დღე და ღამე ფიქრობდა ბრძენი სულკალმახი, სამი დღე და ღამე დაჩოქილი ელოდა მასწავლებლის პასუხს ყრმა უფლისწული.

„მომისმინე! ხურჩას სათავესთან, თოვლითა და ყინულით

დაფარულ სალ კლდეზე, სადაც გრიგალი არასოდეს ცხრება, აღმართულია ოქროს კოშკი, რომელსაც ცხრათავიანი გველეშაპი იცავს... იმ კოშკში ცხოვრობს მზეთუნახავი თამარ-ბედნიერება... წადი და მოიყვანე ამ ქვეყნად ბედნიერება!“

ხელზე აკოცა ყრმა არამხუტუმ ბრძენ სულკალმახს, სენაკიდან გავიდა. მოუხმო მეჭურჭლეთუხუცესს, გახსნა სასახლის ცხრაკლიტულები. ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ხმლებში ერთი უსახო რკინისტარიანი ხმალი იყო და ის შეარჩია. მოასხმევინა ცხენთა რემა. ერთი უსახო ლაფშა ერია, ადამიანური ჭკვიანი თვალებით შეჰყურებდა პატრონს და ის შეარჩია. ტყავის უბრალო უნაგირი ზურგზე მოადგა. თვითონაც ტყავის უბრალო კაბა ჩაიცვა, თავზე მუზარადი მოიხურა, მოახტა ცხენს და გზას დაადგა.

იარა არამხუტუმ, იარა და ხურჩას ჭალის ერთ უღრან ტყეში შევიდა. დიდი ჭყონი მოჭრა, ქერქი ააფხიკა და ნავის ამოჩორკვნას შეუდგა. დიდხანს მუშაობდა შეუსვენებლად. გამოთალა კოხტა ხომალდი, წყალში ჩაუშვა, ფიჭვის ანძა დააყენა, აბრეშუმის იალქანი აასხა და ზედ ხორბლისფერი მზე გამოსახა.

და გასცურა არამხუტუმ მაღალი მთებისაკენ მღვრიე და წყალუხვ ხურჩაზე.

„სად მიდიხარ, არამხუტუ, შე უბედურო, სად მიდიხარ? — ჩურჩულებდნენ ხურჩას ტალღები და დამფრთხალი ცხვრებივით აწყდებოდნენ ნაპირს. — ნუ მიდიხარ, იქ სიკვდილია, ნუ მიდიხარ...“

ესმოდა არამხუტუს ტალღების ჩურჩული, მაგრამ მის გულს შიში არ ეკარებოდა.

დიდხანს მიცურავდა ყრმა უფლისწული, თვითონაც არ ახსოვდა რამდენი დრო გავიდა, რადგან დღე არ განსხვავდებოდა ღამისაგან, მრავალ განსაცდელს გადაურჩა გზაში, მრავალი ბრძოლა გადაიხადა, მრავალი ურჩხული დაამარცხა, მღვრიე ხურჩაში დაბუდებული, და ბოლოს, მიაღწია იმ ადგილს, სადაც მთებში არბოდა უტეხი ტყეები და ხურჩა ჩამოქუხდა ციდან.

ხმალი ჩაბღუჯა არამხუტუმ და ავარდა მთის კალთაზე. იხუვლა ქაჯთა და ეშმაკთა ურიცხვმა ლაშქარმა უღრანებიდან, ფრიალო კალთებიდან და ღრმა უფსკრულებიდან. ბაყაყნი და

გველ-ღრიანკალნი, სვავნი და აფთარნი მოიწევდნენ ყოველი მხრიდან და ღრიანცელით ეხვეოდნენ გარს. დაერია მაშინ გაავებული არამხუტუ, ძირფესვიანად გლეჯდა ასწლოვან მუხებს, ბრძოლით იკაფავდა გზას თოვლითა და ყინულით დაფარული კლდისაკენ.

ცამდე აგრაგნილიყო პიტალო კლდე. ცეცხლისა და წყლისაგან გამოხრულ ქარაფებში ქარი მღეროდა საზარელ სიმღერას, თითქოს ათასი საყვირი აზრიალებდა ბრძოლის მოძახილს...

მიაღწია არამხუტუმ კლდის ძირამდე და შესჭექა ბრძოლის ჟინით შეპყრობილმა: „კლდეო დამნებდი, დამნებდი!“

აყეფდა ათასფორიანი კლდე თავისი ქვაბებითა და ნაპრალებით; გადმოანთხია ცეცხლი და გამდნარი რკინა. ლოდები ზვავებად ჩამოგრიალდა ხევებში, რათა თან ჩაეტანათ სუსტი ნაშიერი ადამისა და იქ ჩაქოლათ... ურჩხულებმა გამოიღვიძეს, ალქაჯები შემოისხეს ზურგზე და ვაი-ვიშით ჩამოეფინენ ძირს. კაჟანდევს გაუმწარდა ღრეობა და აღშფოთებული დევები კიოდნენ ტურებივით.

მრავალი დღე და მრავალი ღამე იბრძოდა არამხუტუ, მუსრს ავლებდა მტერს, თითო გოჯით მიიწევდა წინ და თუ წაიწევდა, უკან ნაბიჯს აღარ დგამდა... დაიღალა უფლისწული, ძალა ელეოდა, მხარ-მკლავი ღალატობდა, ისევ და ისევ იქნევდა ხმალს, თავს იმხნევებდა: გამაგრდი, არ დამორჩილდე, გამარჯვება ახლოსაა!

ბოლოს გამოჩნდა ყინულის გვირგვინით შეჭედილი მწვერვალი კლდისა. ამოიგმინა კლდემ, ატორტმანდა, საუკუნო კლიტე დაიდო პირზე და დადუმდა, რადგან მოკვდავმა შედგა სპეტაკ შუბლზე ფეხი.

და იხილა არამხუტუმ მზის სხივებში მობანავე ოქროს ბრწყინვალე კოშკი.

ცხრათავიანი გველეშაპი შემოგრაგნოდა გარს, ცხრა კუდი ჩაედო პირში. მოიკრიფა არამხუტუმ ძალა, მოუქნია სისხლიანი ხმალი ურჩხულს და აასხიპა ცხრავე თავი...

კარი ვერ უპოვა ოქროს კოშკს, ჰკრა მუხლი და იქ შეაბა... შევიდა არამხუტუ ცისფერ დარბაზში, სადაც ოქროს ტახტზე იჯდა მარად ქალწული თამარ.

მიეახლა არამხუტუ ბედნიერების დედოფალს და მუხლებზე დაეცა. იგრძნო, რომ გულში სიყვარულმა გაიფურჩქნა, მისი ერთი ამბორი ერჩივნა სიცოცხლეს.

„მობრძანდი, უფლისწულო! — მოუხმო თამარმა და მისი ხმა უტკბეს მუსიკად აჟღერდა. — შენი ერთი ამბორისათვის ვცოცხლობდი აქამდე“.

„მშვენიერო! — აღმოხდა არამხუტუს. — ჩვენ ერთმანეთისათვის დავბადებულვართ, მე და შენ; მაგრამ დრო აღარ ითმენს. წამოდი ადამიანებთან და შენი გული აივსება სიბრალულითა და თანაგრძნობით“.

და ისინი ჩამოვიდნენ ხურჩას ჭალებში, არამხუტუ და თამარ. ხურჩას შესართავთან მათ დახვდა ბრძენთაბრძენი სულკალმახი, რომელსაც იმ დროს ას ოთხმოცი წელი უსრულდებოდა.

ლეგა ღრუბლები გადაიყარა და მზემ თანაბრად გაათბო ყოველი შეცივნული.

ალქაჯები გაიძურწნენ ქვესკნელში, სვავებმა ღრუბლებს მისდიეს, გაქრნენ ვირთხები სოროებში და ბაყაყნი ჭაობებში.

აკისკისდა ბავშვი და ღიმილი გაიბადრა ადამიანის სახეზე...

XXV

არამხუტუს ამბის გაგრძელება

გენერალი არვაშანგი ჩუმად უსმენდა, მახუტი კი ისეთი გრძნობით ყვებოდა, თითქოს ყველაფერი, რასაც არამხუტუზე ამბობდა, თვითონ გადახდენოდა. მერე ტკივილები განუახლდა და დაღლილობა იგრძნო. ბოდიშიც არ მოუხდია, ისევ ზურგზე გაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალი მილულა.

— რაც შენ მომიყევი, ამბის შენებური ინტერპრეტაციაა. — თქვა გენერალმა. — ბნელი ქვეყნიერების სურათი მსმენელზე შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ზედმეტად ტენდენციურია. შენ გსურს ჩვენი თანამედროვეობა წარმომიდგინო ასეთი სახით. აქედან არაფერი გამოვა. მე არ მაშინებს ეს სურათი, რადგან თვითონ ბროლის სასახლის მცხოვრებთაგანი ვარ. რა

ვუყოთ, რომ ქვეყანა ბნელით არის მოცული, რომ სვავები აკვნებიდან იტაცებენ თოთო ბავშვებს, რომ ბაყაყები და ვირთხები ბატონობენ. ამ ქვეყანაზე ყველა რომ თანაბარი იყოს, მაშინ არც ერთი ბროლის სასახლე არ აიგებოდა და საერთოდ საზოგადოებაც ვერ იარსებებდა. რას უნდა წარმოადგენდეს ქვეყნიერება ბროლის სასახლეების გარეშე? ერთფეროვან უდაბნოს, სადაც მაღალგანვითარებული ადამიანი ვერ პოვებდა ხელსაყრელ პირობებს სულიერი არსებობისათვის. არ იქნებოდა არც ჩვენი კულტურა, არც მეცნიერება, არ გვექნებოდა ცივილიზაცია. რაც შეეხება გველ-ღრიანკალთ, ისინი ხომ საზოგადოებისათვის ფრიად საჭირონი არიან. ბროლის სასახლე კულტურის აუცილებელი პირობაა, ბრბო კი, კულტურასთან საერთო რომ არაფერი აქვს, ხშირად ცდილობს მოსპოს და წაბილწოს იგი. სწორედ მათ დასათრგუნავად, მათთვის თავისი ადგილის მისაჩენად არსებობენ ეს საზიზღარი ქმნილებანი... დამერწმუნე, ჩემო კარგო, სხვანაირად კაცობრიობას ისტორია არც ექნებოდა.

რაც შეეხება არამხუტუს, მის არსებობას იმდენი სიკეთე არ მოუტანია, რამდენიც შენ წარმოგიდგენია. თავისთავად იქნებ ცუდი ყმაწვილი არც იყოს; მისი მიზნები კი, ცხადია, უაღრესად კეთილშობილურია, რადგან მას სურს დათრგუნოს ბოროტი და ყველას ბედნიერება მოუტანოს. ოღონდაც, ჩემო კარგო, მისი ყოველი ნაბიჯი არსებული წესრიგის წინააღმდეგაა მიმართული, ის ცდილობს ძირი გამოუთხაროს საზოგადოებრივ სტრუქტურებს. რაღაც ზღაპრული იდეების გამო, რომელთა განხორციელება ანარქიის გარდა ვერაფერს მოიტანს, უყოყმანოდ სწირავს ყველაფერს. უბრალოდ რომ ვთქვათ, ის მეამბოხეა, და როგორც ყოველი მეამბოხე, სასჯელის ღირსია.

ბედნიერი ჟამი დადგაო, რომ მითხარი, იმას რატომ არ ამბობ, რა მოიტანა იმ დრომ. დიახაც, ამინდი შეიცვალა, მზე ანათებდა, ყვავილი ხარობდა, სახეებზე ღიმილი იბადრებოდა, ცრემლი არავის ახსოვდა და ბნელი დროების შემდეგ ყველა ისვენებდა. ბროლის სასახლეები ჭინჭარმა დაფარა და არამხუტუს პალატებში ხვლიკები დათარეშობდნენ. სამაგიეროდ ყველას ჰქონდა ფაცხა, უფლისწულსაც და მათხოვარსაც. არავინ არავის უსმენდა და ყველა ცხოვრობდა თავის ნებაზე. გაზაფხულზე არავინ თესავდა, შემოდგომაზე არავინ მკიდა; იყო ცეკვა-თამაში და სიმღერა. დაირღვა მსოფლიო კანონი და ეს არ შეიძლებოდა ასე დარჩენილიყო დიდხანს. მოაწია მრისხანე და გრძელმა ზამთარმა. მოვიდა შიმშილი, რადგან მზის სხივი და თამარის ღიმილი კაცს ვერ გამოკვებავდა. მუსრი გაევლო მოხუცებსა და ბავშვებს. ცამდე ავარდა მშიერ-მწყურვალთა გოდება, მიაღწია ღვთის ყურამდე. გაოცდა უფალი, ასე აწყობილი ქვეყანა ვინ ამირიაო, ჩაიცვა ბერის სამოსი და ჩამობრძანდა დედამიწაზე.

იარა, იარა და მიადგა ერთ ფაცხას.. შეიხედა და რას ხედავს? გაციებულ კერასთან ბავშვები სხედან და კბილებს აკაწკაწებენ. თვით სახლის პატრონი იქვე ზის და, მობუზული, ნაბადში ეხვევა.

„აქა მშვიდობა!“ — მიესალმა უფალი.

„მშვიდობა შენდა!“ — ზარმაცად შეეპასუხა მასპინძელი.

„სიცივისაგან რომ იხოცებით, ტყეში ვერ წახვალთ შეშის მოსატანად?“

„ჩვენ ისედაც ბედნიერები ვართ, ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნისო!“ — დაამთქნარა მასპინძელმა.

„უფლის გამოგზავნილი ციებისა არ გეშინიათ?“ — გაოცდა სტუმარი.

„ეს ქვეყანა უფლისა კი არა, თამარისა და არამხუტუსიაო!“ — უპასუხა სახლის პატრონმა.

განრისხდა უფალი, მაგრამ არაფერი თქვა და ქოხიდან გავიდა.

იარა, იარა და ტაშ-ფანდურის ხმა შემოესმა. ახლა ყველა უნდა შრომობდეს, ვის სცალია სასიმღეროდ, — გაიფიქრა უფალმა და, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა, იქითკენ გაემართა. ხედავს, მთელი სოფელი შეყრილა, ხალხს ცეკვა-თამაში გაუმართავს. მოიხმო უფალმა ერთი ბერიკაცი და ჰკითხა:

„ასეთ დროს ცეკვა-თამაშით რომ ერთობით, არც მეფის, არც ბატონის არა გმართებთ რაო?“

„თუ ჭამა სურთ, მეფემაც და ბატონმაც ხელი გამოიღოს და მიწა მოხნანო!“ — უპასუხა ბერიკაცმა.

„სვავებისა და ბაყაყების, ან ვირთხების არ გეშინიათ?“ — შეეკითხა გაოცებული უფალი.

„ჩვენი მფარველი თამარი და არამხუტუა და ვერავინ ვერაფერს გაგვიბედავსო!“ — უპასუხეს.

იარა უფალმა, იარა და ერთ ორღობეში ტკარცალი შემოესმა. ვიღაც ბიჭს სოფლის გათქვირული გოგო ჩაებღუჯა და ეღლაბუცებოდა.

„ეგ რასა შვრებით, სირცხვილი სად დაკარგეთო?“ — მიმართა უფალმა.

„თამარისა და არამხუტუს ქვეყანაში სიყვარული არ იკრძალებაო!“ — უპასუხა ურცხვად ბიჭმა.

ბოლოს უფალმა ხურჩას შესართავს მიაღწია. გზაზე ერთი კაცი შეხვდა. „კეთილო კაცო, არამხუტუს ციხე-დარბაზი მიჩვენეო“, — სთხოვა უფალმა.

„არამხუტუს ციხე-დარბაზიდან ქვა ქვაზე არ დარჩენილაო“, — უპასუხა კაცმა.

„თამარი და არამხუტუ სადღა ცხოვრობენო?“

„სკორეთი შელესილ ფაცხაშიო“.

უფალი გაემართა იმ მხარეს, საითკენაც მიუთითეს.

ცოტა იარა თუ ბევრი, ხედავს, მოდის ერთი ყრმა და სალამურზე უკრავს. ისეთი მშვენიერი და წარმოსადეგია, მასზე უკეთესი თვით უფალსაც არსად უნახავს; ისეთი ძალოვანი ჩანს, დედამიწას უჭირს მისი ტარება.

„გამარჯობა შენი!“ — მიესალმა უფალი.

„ღმერთმა ხელი მოგიმართოსო!“ — უპასუხა ყმაწვილმა.

„შენ ხომ არა ხარ არამხუტუო?“

„მე ვარო“.

„შენზე ამბობენ, ყველას მოერევაო, მართალია თუ არაო?“

„მჯობნის მჯობნს ღმერთი როგორ დალევსო“.

უფალს ვაჟკაცი მოეწონა, მაგრამ არამხუტუ მეამბოხე იყო, რისი დავიწყების უფლება თვით ქვეყნის შემქმნელსაც არ ჰქონდა.

„მოდი, დამეჭიდეო!“ — შესთავაზა.

„ბერიკაცი ბრძანდებით, თეთრწვეროსანი და ვერ გაკადრებთო“, — გაეცინა არამხუტუს.

„აბა, ეს ჯოხი ამოგლიჯეო!“ — შესთავაზა უფალმა და თავისი ხელჯოხი მიწაში ჩაასო.

მოსწია არამხუტუმ და მოგლიჯა.

უფალმა ისევ ჩაასო ჯოხი და ანგელოზებს უბრძანა ჩასჭიდებოდნენ.

მოსწია არამხუტუმ და ანგელოზები ჩამოცვივდნენ ხელჯოხიდან

მაშინ უფალმა ქვესკნელის ბოროტ ძალებს მიმართა, — თქვენთვისაც ვიღვწი და დამეხმარეთო. ჩაეჭიდნენ ჯოხის ბოლოს დედამიწის ბოროტი ძალები და შეკრეს.

მოზიდა არამხუტუმ, ბევრი ექაჩა, მაგრამ ვერ ამოგლიჯა.

„ხომ დაგჯაბნეო“, — გაუხარდა უფალს და ჯოჯოხეთის ქურაზე გამოჭედილი ჯაჭვებით ბოძზე მიაბა მშვენიერი უფლისწული.

შემდეგ კი ყველაფერი ადვილად მოგვარდა. არამხუტუ კავკასიონის მაღალ ქედზე გადაიყვანეს და იქ მიაბეს, რათა ვერავის მიეგნო მისი კვალისათვის. თამარი კი, უფლის ბრძანებით, ისევ თავის კოშკში გამომამწყვდიეს, რათა დედამიწაზე ზომიერზე მეტი ბედნიერება არ ყოფილიყო.

ჩამოიზლაზნა ლეგა ღრუბლები ოკეანიდან და სისხლს მოწყურებული სვავები კვლავ იტაცებდნენ თოთო ბავშვებს აკვნებიდან; ჭაობებიდან ამოვიდნენ გიგანტური ბაყაყები, სოროებიდან ვირთხები და მუსრი გაავლეს საქონელსა და ადამიანს.

ქვეყნიერებაზე კვლავ დამყარდა წესრიგი...

XXVI

არამხუტუს ამბის დასასრული

მახუტი თვალმილულული იწვა. კაცს მძინარე ეგონებოდა, მაგრამ იგი ფხიზლობდა. მის გულში იზრდებოდა შფოთი და არვაშანგი რომ გაჩუმდა, ჭაბუკი წამოიწია, მზერა ჯიქურ გაუსწორა გენერალს და მიახალა:

— მტერი ხარ!

მათრახივით გაიშხუილა ამ სიტყვებმა, გენერალი შეკრთა, წუთით დაბნეულობა შეეტყო, მაგრამ გონს მოეგო და შემრიგებლურად მიუგო:

— განა სწორად არ მოვყევი? ვცდილობდი, ხაზი გამესვა არამხუტუს კეთილშობილებისათვის...

— მით უმეტეს! — გააწყვეტინა მახუტიმ. — მაგრამ თქვენ ტყუილად ინუგეშებთ თავს! ხურჩას სათავე არც ისე შორსაა, როგორც გგონიათ. იქვეა კავკასიონის მაღალი ქედი და ზედ მიჯაჭვული არამხუტუ. იქვეა თამარის ოქროს სასახლე...

— ამ ზღაპარს არა აქვს გაგრძელება! — ცივად შენიშნა არვაშანგმა.

— მაშ, მომისმინეთ! — მახუტი წამოდგა და სარკმელთან გაჩერდა. ცა ისევ ლურჯი და სუფთა იყო. საკანში შემოპარული გრილი ჰაერის ჭავლი გისოსზე ობობას ქსელს არხევდა. ჭაბუკმა მშვიდად განაგრძო: — ერთი მონადირე გამოუდგა ჯიხვს. ნადირი სადღაც გადაიჩეხა. მონადირეს კი გზა აებნა და სალ კლდეს მიადგა. კვნესა შემოესმა, მოიხედა და უჩვეულო სილამაზის ვაჟკაცი იხილა კლდეზე მიჯაჭვული. იქვე ახლოს მისი უჟანგავი ხმალი ეგდო, ცდილობდა აეღო და ვერა სწვდებოდა. შეშინდა მონადირე, მაგრამ ცნობისწადილმა სძლია და მიეახლა. „ხმალი მომაწოდეო, — შეეხვეწა მიჯაჭვული, — მე არამხუტუ მქვია, კაცთათვის ბედნიერება მსურდა და იმიტომ მიმაჯაჭვესო. თუ ავიწყვიტე, თამარს ისევ მოვიყვან ამქვეყნადო“. შეებრალა მონადირეს მშვენიერი ჭაბუკი, უნდოდა ხმალი მიეწვდინა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. „წადი, თოკი მომიტანე, ბოლოს გამოვაბამ და მე თვითონ მოვაჩოჩებო“, — სთხოვა არამხუტუმ. წავიდა მონადირე, იშოვა თოკი, მაგრამ დასაბრუნებელი გზა ვერა და ვერ იპოვა...

— ესაა დასასრული?

— რატომ დასასრული? გზა ბოლოს და ბოლოს მოიძებნება.

XXVII

თბილისიდან ჩამოსვლის მეხუთე დღეს ბადუ ისეთ ცუდ გუნებაზე იყო, რომ ლოგინიდან წამოდგომა დაეზარა. ტუალეტითაც დიდად არ შეუწუხებია თავი; მკერდგაღეღილი და დაუვარცხნელი გავიდა სასადილოში. საბედნიეროდ, მარტოკას მოუხდა საუზმობა. არვაშანგი, რაც მახუტის ამბავი გაიგო, უთენია იკარგებოდა. თეკომ შაკიკი მოიმიზეზა და ოთახიდან არ გამოდიოდა. ბადუს კარგად ესმოდა, რა ტკივილიც აწუხებდა ქალს, მაგრამ მასთან პირისპირ შეყრას თვითონაც ერიდებოდა.

ლაქია შესამჩნევი მოწიწებით ემსახურებოდა ამ დილით. გაახსენდა ბიჭიკოს სიტყვები. ლაქიას გადამეტებული თავაზიანობა ენიშნა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ ეს კაცი მაშინ თეკოს კართან იდგა და ყოველივე პოდპორუჩიკს ჩაუკაკლა.

შიშის ოფლმა დაასხა, როდესაც პოდპორუჩიკის მოსვლა აცნობეს. ცდილობდა გულგრილი გამომეტყველება მიეღო, მაგრამ ძალაუნებურად ხელი უთრთოდა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, ფანჯარასთან გაჩერდა. სახეგაბრწყინებული კოსტა რომ შემოვარდა, ადგილიდან არ დაძრულა და მისი გამოწვდილი ხელიც ვითომ ვერ შეამჩნია. პოდპორუჩიკმა შეცბუნების დასაფარავად ხელები მოიფშვნიტა.

— კოსტა ფრიად სასარგებლო კაცია, თავადო! — ცბიერი ღიმილით დაიწყო. — კოსტას რჩევა ძვირფასია მათთვის, ვინც ჭკუას იხმარს და გამოიყენებს. ეს ხომ პირველსავე დღეს მოგახსენეთ, მაგრამ ალბათ დაგავიწყდათ...

— პირდაპირ მითხარით, რა გნებავთ? — ცივად გააწყვეტ-

ინა ბადუმ.

— ცხადია, ცხადია... — მრავალმნიშვნელოვნად გააპაჭუნა ჯღატარა თვალები კოსტამ. — საქმე ეხება... ერთი წუთით!

ბადუმ მოიხედა. ლაქია აუჩქარებლად აგროვებდა ჭუჭყიან თეფშებს.

— აქამდე უნდა მოგესწრო! — ბრაზით წამოსცდა ბადუს. ლაქიამ მხრები აიწურა და აჩქარდა. ეტყობა, არც მას ადგა კარგი დღე.

— საქმე ეხება... — პოდპორუჩიკი მცირე ხნით დადუმდა, ცდილობდა თვალი თვალში გაეყარა, მაგრამ ბადუ სახეს არიდებდა. — საქმე ეხება თეკოს!

ბადუს აზრი გაუწყდა, გული საგულეში გაუჩერდა, ანგარიშმიუცემლად შეაქცია ზურგი პოდპორუჩიკს, მაგიდასთან მივიდა, თასში კონიაკი ჩაისხა და, როცა ასხამდა, ბოთლის ყელი თასის კიდეზე რაკუნებდა. სწრაფად გადაჰკრა. როცა შემობრუნდა, თეფშებით დატვირთულმა ლაქიამ შემთხვევით მხარი გაჰკრა. ჭურჭელი ზრიალით დაცვივდა იატაკზე.

— დოყლაპია! — შეუკურთხა ბადუმ და სახეზე ხელისგული მოუნაცვლა. ნირწამხდარმა ძაკუსძემ ცხვირზე ხელი იტაცა, თითებს შორის გამოჟონილი სისხლის დანახვაზე ლეკვის წკმუტუნი აღმოხდა და კარში გავარდა.

უცაბედმა აფეთქებამ ბადუ დაამშვიდა. სიფითრემ გადაუარა, სიმტკიცე იგრძნო, გაოცებისაგან პირდაღებულ კოსტას მიუბრუნდა:

— თქვენ, მგონი, რაღაცას მეუბნებოდით, არა?

— დიახ, დიახ! — დაბნეულად უპასუხა პოდპორუჩიკმა, უცებ გადაიხარხარა და ბადუს ფამილარულად დაჰკრა მხარზე ხელი. — თავადო, თავადო, ამას არ მოველოდი თქვენგან! ასე როგორ შეიძლება? საცოდავი ძაკუსძე ერთ კვირას ვერ მოვა გონს.

პოდპორუჩიკი ნაძალადევად ხარხარებდა, თვალებში კი დაუფარავი სიძულვილი უკრთოდა.

— რა გინდოდათ გეთქვათ? — კვლავ დაეკითხა ბადუ.

— სხვა დროს, ძვირფასო თავადო, სხვა დროს! — სიცილით უპასუხა კოსტამ და გავიდა.

თანდათან დამშვიდდა, თუმცა გულიდან მძიმე ლოდი ვერ მოიშორა. იქნებ უკეთეს გუნებაზე დავდგეო და სადილის წინ ხურჩაში იბანავა. წყალი ყინულივით ცივი იყო და ბადუ გაითოშა.

სადილზე თეკოც გამოვიდა. კოპები კუშტად შეეკრა, ბადუს ზედაც არ უყურებდა. უხმოდ ჭამდნენ. ბადუს ლუკმა ყელზე ადგებოდა. უნდოდა სიჩუმე დაერღვია, მაგრამ ვერ ბედავდა. ბოლოს გულშეწუხებულმა კერძი განზე გასწია და ჩაიდუდღუნა:

— ასე არ შეიძლება, თეკო, ღმერთმანი, არ შეიძლება...

თეკოს თავი თეფშში ჩაერგო, ხაჭაპურის ნაჭერს აწვალებდა.

— კი მაგრამ, სანამდე უნდა გაგრძელდეს ჩემი ტანჯვა, მეტი არ შემიძლია...

— თქვენს ადგილზე კრინტსაც არ დავძრავდი ტანჯვაზე.

— რატომ? ჩემი გრძნობა პატივისცემის ღირსი არ არის?

— რომელი გრძნობა? — თეკოს ბაგე დაებრიცა. — თქვენთვის არავითარი გრძნობა არ არსებობს, გარდა...

— თეკო, მე თქვენ მიყვარხართ, თქვენ კი... — უნდოდა შენობით მიემართა, მაგრამ ვერ გაბედა.

— მეზიზღებით, — წაიჩურჩულა თეკომ და ადგა, — მე სულელმა დეპეშა გამოგიგზავნეთ, ჩამოდი, მოგვენატრე, შენი დახმარება მჭირდება-მეთქი.

ბადუს პასუხი არ აცალა, წასვლა დააპირა და ამ დროს სტუმრის მოსვლა მოახსენეს.

ოთახში ეკა შემოფრთხიალდა.

— ძვირფასო, როგორ მომენატრეთ! — მიესალმა თეკოს და გადაკოცნა.

თეკომ ნაძალადევად გაუღიმა. თუმცა სადილი უკვე მომთავრებული ჰქონდათ, სტუმარი სუფრასთან მიიწვია.

— არა, არა! — ხელი გაასავსავა ეკამ. — ახლახან გიახელით... გამარჯობათ, თავადო, როგორ ბრძანდებით, ხომ არ მოიწყინეთ?

ბადუმ ხელზე აკოცა. უნდოდა ჩვეულებისამებრ ქათინაური ეთქვა. თეკოსი მოერიდა.

— შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებით? — ეკამ ხმაში თანაგრძნობა გაურია. — არა გიშავთ, ასეთი მშვენიერი მკურნალის

ხელში მალე გამოცოცხლდებით.

ბადუმ მალულად თვალი შეავლო თეკოს. ეკას მოურიდებელმა სიტყვებმა ქალი გააწითლა. უხერხულობის მისაფუჩეჩებლად ქალიშვილს სასტუმროში გაუძღვა. სავარძელი შესთავაზა და თვითონაც დაჯდა. ეკა კარგად მოეწყო, კაბის კალთები გაისწორა და ბადუს გაუღიმა.

— თქვენც დაბრძანდით, თავადო, ფეხზე ხომ არ იდგებით?

ბადუ უხერხულად ჩამოჯდა.

— თქვენ არაფერი იცით? — ეკამ კოპწია ხელჩანთიდან ვარდისფერი ცხვირსახოცი ამოიღო, თვალებზე მიიდო.

— რა მოხდა? — გული გადაუქანდათ მასპინძლებს, ისედაც მთელი დღე უბედურების მოლოდინში იყვნენ.

— მართლა არ გაგიგონიათ? — გულაჩუყებულ ეკას წამწამებზე ცრემლის წვეთი დაეკიდა.

— ჰო, ნუ დაგვხოცე, გვითხარი... — სიბრაზე გაერია თეკოს ხმაში. ეკა გააკვირვა მასპინძლის სიფიცხემ, ცოტა არ იყოს, წყენაც იგრძნო.

— საწყალი ძაბული... — მაინც წინანდელი გულჩვილობით განაგრძო.

— რა დაემართა? — თეკოს გულზე მოეშვა.

— იმ გიჟმა, იმ სულელმა ესროლა...

— ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინე, რა მოხდა?

— თურმე თავადი გივი დიდი ხანია ეჭვიანობდა ხუტაზე.

— შეუძლებელია! — წამოსცდა ბადუს, მაგრამ ენას კბილი უმალ დააჭირა.

— თქვენ, მამაკაცებს არაფერი გესმით. — შინაურულად შეეპასუხა ეკა. — მე რომ მკითხოთ, მამაკაცები სულ არა ხართ ქვეყანაზე დასაყენებელი!

— თქვენ მეტისმეტად მკაცრად სჯით! — თავს ძალა დაატანა ბადუმ, რათა შეცდომა გამოესწორებინა.

— ნუ მაწყვეტინებთ!.. ჰოდა, გუშინ საღამოს დაუნახავს ორივე ერთად. ის სულწაწყმედილი, თქმაც მრცხვენია, უკაცრავად ვარ და კოცნიდა...

— დედა-ა! — შეიცხადა თეკომ. — ამას როგორ წარმოვიდგენდი!

— აბა, გენაცვალე, ასეთი პატიოსანი ქალიშვილი იყო და ვიღაც საწყალმა ჩინოვნიკმა შეაცდინა. დაუნახავს, თურმე, იმ გიჟს, თავად გივის და მეტი რა უნდოდა — უსროლია ორივესთვის.

— ვაიმე! — შეჰკივლა თეკომ და ღაწვი მოიხოკა. — გადარჩნენ?

— ძაბული დაჭრილია, ის კი გაქცეულა, ის ლაჩარი. მთელი ოხაჩქუე შეყრილა. თქვენ როგორ ვერ გაიგეთ? გივი იქვე დაუჭერიათ.

— ამის შემდეგ არავისი არ უნდა გჯეროდეს. — დამაჯერებლად თქვა თეკომ.

— მეც იმას არ ვამბობ?

„საბრალო, ლამაზი, ვნებიანი ძაბული!“ — გაიფიქრა ბადუმ და უცებ აღშფოთდა. მისი გული აივსო მტრობით თეკოს, ეკას, არვაშანგის, კოსტაიას, ძაკუსძის, ყველას მიმართ; ზედ დაემატა განუხორციელებელი წადილით გამოწვეული უკმარობა და გაფითრებულმა უხეშად გააწყვეტინა ჭორს აყოლილ ქალებს:

— რა თქვენი საქმეა? თქვენ ვინ გეკითხებათ?

XXVIII

მწუხრის ზარებმა დარეკეს. გენერალი არვაშანგი შეკრთა, თეკოს ზურგი შეაქცია და ფანჯარასთან მივიდა. აქედან კარგად მოჩანდა ბაღს იქით აფარფატებული თეთრი სამრეკლო. ცეროდენა მნათე ჭინკასავით ხტოდა და თოკებს ეჭიდებოდა. გაბმით გუგუნებდა ბატონი ზარი, წვრილი ზარები კი ზანზალაკებივით ეხმიანებოდნენ.

— ესე იგი ის ქალი მანამდე არ გინახავს? — მიუბრუნდა ისევ თეკოს.

— არ მახსოვს. იქნებ ოხაჩქუეში მოვკარი თვალი, მაგრამ მდაბიოდ თუ მომეჩვენა და ყურადღება არ მიმიქცევია.

— გმადლობ, გეთაყვა, წადი, დაისვენე. იქ, დერეფანში კოსტა იცდის, უთხარი, შემოვიდეს!

თეკო კარისაკენ გაემართა. მხრებჩამოყრილი მიდიოდა.

„მახუტიზე ფიქრობს!“ — გაიფიქრა უსიამოვნოდ არვაშანგმა.

— მახუტისთვის თავს ნუ იკლავ! — მიაძახა. — ჯობია, სხვა ვინმეზე იფიქრო!

— კარგი, ძია! — მორჩილად უპასუხა თეკომ. მახუტიზე არც ფიქრობდა, არც არაფერზე ფიქრობდა, გარდა სიკვდილისა.

ადიუტანტი ცერებზე შემოვიდა და გენერალთან მოხდენილად მოსრიალდა. „ნამდვილი კატაა“, — გაიფიქრა არვაშანგმა.

პოდპორუჩიკი სიმივით გაჭიმული იდგა. როცა არვაშანგი ელაპარაკებოდა, წელში ოდნავ იხრებოდა, რითაც სრულ ყურადღებას და მორჩილებას გამოხატავდა.

— ოხაჩქუეში ცხოვრობს ერთი ქალი, — საქმიანად უთხრა არვაშანგმა, — შავგვრემანია, თალხი ტანისამოსი აცვია. სახელად ჯუნა უნდა ერქვას, თუ ესეც მეტსახელი არ არის. იგი დაკავშირებულია იმ უცნობ პატიმართან. როგორმე მოძებნე ის ქალი. არ ვიცი, როგორ მოახერხებ ამას, დეტალებზე თვითონ იზრუნე. გასაგებია?

— დიახ, ბატონო გენერალო!

— არავითარი დაპატიმრებანი, არავითარი კონტანქტი ძიებასთან. ინფორმაციას პირდაპირ მე გადმომცემ. გასაგებია?

— დიახ, ბატონო გენერალო!

— მომისმინე, კოსტა! — მეგობრულ კილოზე გადავიდა გენერალი. — შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ბევრი გესმის. ჩემი რჩევაა, არ იცოდე იმაზე მეტი, ვიდრე ეს საქმისთვისაა საჭირო.

— მესმის, გენერალო!

— ერთგულებს, ხომ იცი, სათანადოდ ვაჯილდოებ!

— მზად ვარ გემსახუროთ, გენერალო!

— წადი!

ადიუტანტის გასვლის შემდეგ არვაშანგი ერთხანს ჩუმად იჯდა, მერე წამოდგა და ისევ ფანჯარასთან მივიდა. ბაღში ბინდი შემოპარულიყო. მრუმე ფონზე სამრეკლო თეთრ ლაქად იღვრებოდა. ამ საღამოსაც აპირებდა ციხეში წასვლას და მახუტისთან საუბარს, მაგრამ ფეხი ვერ მოინაცვლა. არ იცოდა,

რა ეთქვა გაზრდილისათვის, საიდან მოეარა, რითი დაეწყო. გასაგები იყო, ძალით რომ ვერ მოტეხავდა. გული გაუსივდა, ნერვები დაეჭიმა, ეშინოდა, რამე სიგიჟე არ ჩაედინა.

ახლაც ამაზე ფიქრობდა. ფიქრში მუხლებს იყრიდა, თავს იმცირებდა.

„მოჰხედე, ბიჭო, ამ ჩემს ჭაღარას! — ცრემლიანი ხმით ეხვეწებოდა. — რა ღმერთი გაგიწყრა, აღმზრდელი მტრად რომ გადამიკიდე. მე თუ არ გიყვარვარ, შე უღმერთო, ადამიანთა წესს მაინც ნუ გადაუხვევ. ჩემი თუ არ გერიდება, კაცთა რისხვას მაინც მოერიდე, გაიკიცხები მშობელთა წესს გადასული...“

ჰაერი არ ეყო. გარეთ ნიავი არ იძროდა. ვარსკვლავებს ცა უხვად მოეჭედათ, ფანჯარა მიხურა და ბაღში ჩავიდა. სიბნელეში ბილიკი არ ჩანდა, მაგრამ არვაშანგმა აქ ყოველი მტკაველი იცოდა და ხეებს შორის შეუცდომლად დაბორიალობდა.

„აი, ბადუ ნახე თუ გინდა, — განაგრძობდა ფიქრში ჩივილს, — უამრავი რამ ისწავლა, ჩვენი ღირსება მაღლა უჭირავს. სილამაზით აპოლონსა ჰგავს და ქცევაც თავადური აქვს. ღვთის წინაშე ვცდებოდი, რატომღაც ქალაჩუნად მიმაჩნდა. ამიტომ შენ უფრო შეგიყვარე, ბიჭო, ამიტომ დაიბუდე ჩემს გულში, ამიტომ მტანჯავს შენი ბედი...“

ბუჩქებში შარიშური გაისმა. სიბნელეში ვერაფერს არჩევდა, მაგრამ ინსტინქტით იგრძნო, ბილიკზე რომ უნასი გასრიალდა. შეჩერდა, რათა ფეხი არ დაედგა, განზე გადაუხვია.

„ნუთუ არ გენატრება სახლი, სადაც აღიზარდე? ერთხელაც არ მოგინდა ყრმობის წლებთან დაბრუნება?..“

ფოთლები დანამულიყო და ტანისამოსი გაელუმპა. ისევ ბილიკზე გავიდა. სადღაც კუტკალია აჭრიჭინდა. ჩიტმა შეიფრთხიალა კუნელის ბუჩქში.

„ამ ბაღში ძველებურად ანცობა არ მოგენატრა? მალე ბლობაც დაიწყება, ბიჭო, და შენ ჩვენთან არ იქნები... ხურჩას ჭალებში ომობანას თამაში რად არ გენატრება, შე გადაგვარებულო, შენა...“

სიბნელეში თეთრად გამოკრთა საყდრის გალავანი. არვაშანგი შეკრთა. მცირე ხანს იყოყმანა და გზა განაგრძო. თვითონ-

ვე დაიჯერა, რომ სწორედ აქეთკენ მოუწევდა გული.

„შენი ძიძა, შე უღმერთოვ, შენ მიერ ნაადრევად დაბერებული ძიძა, სულ მალე შენს ჭირს წაიღებს. უკანასკნელად მაინც როგორ არ გინდა იხილო. შენ რომ დაიტირებ, იმის იმედი აქვს მაგ საცოდავს...“

ალაყაფის კარი ღია დახვდა. იქვე ქუდმოშვლეპილი მათხოვარი იდგა და საწყალობლად შეხედა გენერალს, მაგრამ ფიქრში გართულმა არვაშანგმა ვერ შეამჩნია. კართან მღვდელი გასაღებს აჩხაკუნებდა. ალბათ საყდრის გამოკეტვას აპირებდა. გენერალი რომ დაინახა, გადაიფიქრა. არვაშანგმა უსალმოდ ჩაუარა. საყდარში საკმევლის სუნი ტრიალებდა. კანკელთან ორიოდე ბაზმა ბჟუტავდა და მქრქალ სინათლეზე ხან გამოჩნდებოდნენ, ხან იკარგებოდნენ ფრესკებზე წმინდანები და მოციქულები.

„ვინ არის?“ — ჩურჩულით იკითხა კონქზე გამოსახულმა ღვთისმშობელმა.

„ვინ არის?“ — გუმბათიდან იკითხა იესომ, რომლის წყლიან თვალებში ეჭვი იკითხებოდა.

არვაშანგს კრიჭა შეეკრა, ხმის ამოღება არ შეეძლო; მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა, ცდილობდა ელოცნა, მაგრამ მიუჩვეველს ლოცვა არ გამოსდიოდა.

„ღმერთო, ღმერთო!..“

„მას ხომ უფალი არა სწამს!“ — თქვა ღვთისმშობელმა.

„მას უფალი არ სწამს!“ — დაიგუგუნა იესომ.

„მწამს, მწამს!“ — მუხლებზე დაემხო არვაშანგი.

„არა გწამს!“

„მწამს! რაც ეს უბედურება თავს დამატყდა, მას შემდეგ მწამს!“ — ლიტანიობდა არვაშანგი.

„არა გწამს!“

„მე ხომ ყველაფერი შევთავაზე, რისი დათმობაც შემეძლო...“ — თავს იმართლებდა დამწუხრებული არვაშანგი.

„თეკოც?“ — იჭვნეულად შეეკითხა ძე უფლისა.

„თეკო... თეკო...“ — ანგარიშმიუცემლად გაიმეორა არვაშანგმა, თავი იატაკს დაჰკრა. ერთხანს დადუმებული ეგდო. მერე წამოიწია, ჩაიწუწუნა:

„ჩემთვის არაფერი გაგიმეტებია, ღმერთო, გარდა მძიმე შრომისა. ჩემთვის რატომ არ არსებობს სიყვარული, ან მეგობრობა, ან მადლიერების გრძნობა იმათში, ვისთვისაც ვიცოცხლე... ჩემი შრომის წილ რაღა გაიმეტე, ღმერთო, გარდა ცრემლისა და გოდებისა. მე თუ დამაბერე, ეს ოხერი გულიც რატომ არ დააბერე, ჩემს დასაკლავ დანას რაღა მე მჩრი ხელში... უსამართლო ხარ, ღმერთო, უსამართლო!“

მიაყურადა, თითქოს პასუხს ელოდა, მაგრამ მხოლოდ ბაზმის ტკაცუნი არღვევდა სიჩუმეს...

ფეხის ხმამ გამოარკვია. ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. აიხედა, მღვდელი იყო. ფანატიკოსის თვალები უკიაფებდა სანთლის ლიცლიცა შუქზე.

— ლოცვა სულის ტანჯვას ამსუბუქებს, შვილო!

არვაშანგი მსწრაფლ წამოდგა, მღვდლის ხელი მოიშორა და ქედმაღლურად უპასუხა:

— სიყმაწვილითგანვე ათეიზმს ვეზიარე, მღვდელო!

XXIX

კოსტა კაკუჩავასთვის სულ მცირედი მინიშნებაც კმარობდა. ოხაჩქუეში ყველას იცნობდა და თუ ხელში ძაფს მისცემდი, მთელ გორგალს ადვილად ამოიღებდა. თეკომ ისე ამომწურავად აუწერა ჯუნა, რომ კოსტასთვის მისი პოვნა ძნელი არ იყო. მეორე დღესვე იცოდა ქალის ვინაობა და ადგილ-სამყოფელი, მაგრამ ეჭვმიტანილთან ჯიქურ მისვლას მოერიდა, რათა მწყერი დროზე ადრე არ დაეფრთხო. კოსტა რა კოსტა იქნებოდა, საქმეს თუ ვერ მოაკვარახჭინებდა და მომდევნო საღამოს ჯუნა ეკლესიის გალავანთან დაიმარტოხელა.

— მე ყველაფრით ვვაჭრობ. — ცინიკური ღიმილით თქვა პოდპორუჩიკმა. — საკმაოდ სინდისგარეცხილი კაცი ვარ და ფულისათვის ეშმაკს მივყიდი სულს...

— ჩემგან ბევრს ვერაფერს წაიღებთ. — გააწყვეტინა ჯუნამ. ეს შეხვედრა ათასნაირ ეჭვს ბადებდა და ბიძია ონოფრეს რჩევა რომ არა, არაფრით დათანხმდებოდა.

— ნუ შეშინდებით! ფული კი მიყვარს, მაგრამ წინდაწინ არაფერს მოგთხოვთ.

— კი მაგრამ, რასაც მთავაზობთ, იქნებ ფულად არ მიღირს?

— პირდაპირი კაცი ვარ, იწილო-ბიწილო მე არ ვიცი. თუ ინებებთ, გთავაზობთ კონტაქტს კეტსალთან, თუ არა და ჩემი გზით წავალ! — მიახალა კოსტამ და დაკვირვებით შეხედა.

ჯუნა ერთხანს დუმდა. მიხვდა, პოდპორუჩიკმა მეტი არ იცოდა, ვიდრე ამბობდა. თვალხუჭობანას თამაში არ გამოდგებოდა და თავი უხმოდ დაუქნია.

— თქვენი კეტსალი ნამდვილ სახელს არ ამბობს, მაგრამ დღეს-ხვალ ამას გაიგებენ. — კოსტა დარწმუნებული იყო, ეს ამბავი უკვე ეცოდინებოდა ქალს და ეშმაკურად დაუმატა: — ეს პირველი ცნობაა, რომელსაც სრულიად უსასყიდლოდ გითმობთ.

ჯუნამ მხარი უხმოდ შეაქანა, აქაოდა არც ისე საინტერესო ცნობააო. დაელოდა, კიდევ რას იტყოდა პოდპორუჩიკი.

— ვიცოდი, ჩემი წინადადება დაგაეჭვებდათ, მაგრამ თქვენი გაცნობით ნახევარი საქმე გაკეთებულია. იფიქრეთ და როცა მოგინდებათ კეტსალის ამბის გაგება, მომაკითხეთ. თან აი ესეც არ დაგავიწყდეთ! — საჩვენებელი და დიდი თითი ერთმანეთს გაუხახუნა პოდპორუჩიკმა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — თავი ცივად დაუქნია ჯუნამ.

— ნახვამდის! — ღიმილი ვერ შეიკავა პოდპორუჩიკმა.

გზად ქალბატონ მინადორას სამიკიტნოში შევიდა. კუთხეში დაჩხაფუტებულ მაგიდას მიუჯდა და ბოთლი ღვინო მოატანინა. აქედან კარგად ჩანდა სამიკიტნოს შემოსასვლელი, დაძმარებული ღვინის სუნით და საჭმლის ნარჩენებით აქოთებული დახლი და თვით ქალბატონი მინადორა, ვისაც ნესვისოდენა ძუძუები დახლზე დაეწყო. ჯერაც ადრე იყო, მუშტარი არ ჩანდა და სამიკიტნოში ისეთი სიჩუმე სუფევდა, ადამიანს ძილისთვის განაწყობდა. ქალბატონი მინადორაც დროდადრო ცხვირიდან უცნაურ სტვენას ამოუშვებდა. ბუზები ზუზუნით ესეოდნენ ცხვირზე და სამიკიტნოს დიასახლისი ხშირ-ხშირად თავის კანტურით იგერიებდა.

კოსტამ ჭიქა შეივსო, ღვინო მოწრუპა. სულისშემხუთავი

სიცხე იდგა და ცივი ღვინო ეამა.

— ღმერთმანი, არ ვიცი, რისთვის მიყვარხარ! — დაუპატიჟებლად მიუჯდა მაგიდას ფოთხოევიჩი.

კოსტას ფიქრი გაუწყდა, ჩაეცინა. ფოთხოევიჩის დანახვით ლოყებატკეცილ მინადორას ანიშნა, ღვინო და პურ-მარილი დაგვიმატეო.

— არც მე მესმის, რამ შემაყვარა შენისთანა პატრონძაღლი! — უპასუხა რაღაცნაირი უხეში სინაზით.

— დიდხანს ხომ არ გალოდინე?

— არა, ახლახან მოვედი. რომ იცოდე, დღეს ვინ გავიცანი, გაგიჟდები!

ქალბატონმა მინადორამ საკუთარი ხელით მოიტანა ღვინო, ხაჭაპურები, წიწმატი და სუფრა გააწყო.

— ისე, ხომ ხარ ძველებურად, ჩემო მინადორა? — ქედზე უხეშად ხელი წაუტყლაშუნა ფოთხოევიჩმა.

ქალბატონი მინადორა გაინაზა, ხელოვნური კბილები გამოაჩინა.

— ვარ რა, ვცოცხლობ! — მამაკაცური ბოხი ხმით უპასუხა და მათთან ჩამოჯდომა მოინდომა, მაგრამ ფოთხოევიჩმა ანიშნა, სალაპარაკო გვაქვს, ხელს ნუ შეგვიშლიო. მცირედ განაწყენებული მინადორა დახლს დაუბრუნდა და ცოტა ხნის შემდეგ ცხვირით სტვენა გააბა.

კოსტამ ჭიქები შეავსო. ერთმანეთს მიუჭახუნეს.

— იცოცხლე!

— იცოცხლე! — თითო სიტყვა თქვეს და შესვეს.

საქმეში ჩაუხედავ კაცს ალბათ გააკვირვებდა ასეთი თბილი ურთიერთობა გენერლის ადიუტანტსა და საგანგებო საქმეთა გამომძიებელს შორის, მაგრამ გასაოცარი აქ არაფერი იყო. რაღაც უმნიშვნელო საქმეზე შეეჯახნენ დიდი ხნის წინათ და უმალვე გაუგეს ერთმანეთს. ფოთხოევიჩი გრძნობდა, რომ პოდპორუჩიკი მისი მეორე „მე“ იყო, ოღონდ სხვა ყალიბისა. ამასვე გრძნობდა პოდპორუჩიკიც. ამიტომაც თავიდანვე განიმსჭვალნენ ურთიერთსიმპათიით და უსიტყვო ხელშეკრულება დადეს, არსებობის ამ ველურ ჯუნგლებში ერთმანეთი გაეტანათ.

პოდპორუჩიკმა წვრილად ჩაუკაკლა გენერლის დავალებისა და ჯუნას გაცნობის ამბავი. მხოლოდ ქალის ვინაობა არ გაამხილა.

— რატომ არ დააპატიმრე? ახლა დაიმალება და ეშმაკიც ვერ მიაგნებს.

— არ შეიძლება! — მხრები აიჩეჩა კოსტამ. — გენერალმა კატეგორიულად ამიკრძალა. ასეთი ბრძანება რომ არა, იმ ქალს ოჯახიანა მოგგვრიდი აქ.

— საკვირველია, საკვირველი!

— მასთან არ წამოგცდეს და შენი ინფორმირებაც ამოკრძალა. — დაუმატა ყოყმანით.

— მმ!

— ასეა, ძმაო, საქმე!

საბოლოოდ გამოფხიზლებული ქალბატონი მინადორა ჭუჭყიანი ტილოთი დახლს წმენდდა და ნაზი ღიმილით თვალს უპაჭუნებდა ფოთხოევიჩს. იუსტიციის მრჩეველს გუნება წაუხდა, ქალის ეს ფლირტები ახლა არაფრად ეპიტნავა.

— კოსტას ვენაცვალე, ჩვენს თავს უნდა მივხედოთ, — თქვა მან, — პატრონს სამსახური არ მოვაკლოთ, მაგრამ ჩვენი კუთვნილი ლუკმაც ხელიდან არ გავუშვათ.

— მგონი უკვე გაგვაგდებინეს საკმაოდ მოზრდილი ლუკმა.

— ჯერ კიდევ არ იცნობ, კოსტაია, შენს ძმაკაცს! — ფოთხოევიჩმა წიწმატი მოაქუჩა და პირი გამოიტენა.

XXX

ზედამხედველმა კარზე მუშტი დააბრახუნა, გარეთ გასასვლელად მოემზადეო. ეს პირველად გაუღეს რკინის კარი. გრძელ ლაბირინთში ატარეს ერთხანს, თეთრად შელესილი მაღალი გალავნის ოთხკუთხედში შეაგდეს. აქაც მხოლოდ ცა მოჩანდა, მართალია, ბევრად უფრო ფართო და უძირო... ამიტომაც უფრო მწვავედ იგრძნო მარტოობა. თითქოსდა სულ სხვა სამყაროში გადაისროლა ბედმა და იქიდან დაჰყურებდა თავის ცისფერ და მიუწვდომელ პლანეტას.

აწრიალდა მახუტი, დაადგა უსასრულო წრეს თეთრი გალავნის გასწვრივ და დადიოდა ასე. ფეხს მძიმედ ადგამდა, თითქოს რკინის ხუნდები ჰქონდა გაყრილი, სიარულს უშლიდა. მალე დაიღალა, აქოშინდა, ნაგვემმა სხეულმა თავი შეახსენა.

გასაღებმა გაიჩხაკუნა. ზედამხედველმა უხმოდ ანიშნა, სეირნობა დამთავრდაო. გრძელი დერეფნით ბრუნდებოდნენ. ორივე მხარეს რკინის კარები იყო ჩამწკრივებული. იმ კარებიდან ისმოდა ბორკილების ჩხაკუნი და გული ეწურებოდა — „ნუთუ ეს ქვეყანა ჯაჭვითაა დაბმული?“

დერეფანში გენერალს გადაეყარა. მისმა ხილვამ მარტოობის სევდა გაუორკეცა. არვაშანგი თითქოს დაბერებულიყო, ნაოჭი გახშირებოდა, უპეები ჩაშავებოდა. მახუტიმ სიბრალული იგრძნო, მაგრამ არ უნდოდა ამის გამჟღავნება და თვალი აარიდა.

საკანში მარტო დარჩენელებიც უბრად ისხდნენ. მათი საუბარი ორი ყრუ-მუნჯის დიალოგს უფრო ჰგავდა. რამდენიმე დღეა ნერვულ ჭიდილში მიიკვლევდნენ გზებს, მაგრამ ეს ორი გზა არსად არ იკვეთებოდა.

— წუხელ რატომღაც ყრმობა გამახსენდა. — დაიწყო ბოლოს გენერალმა. — ნადირობის მეტი არაფერი მაწუხებდა. მამაჩემმა წმინდა სისხლის ტაიჭი და სევადიანი თოფი მაჩუქა და დამარიგა, თავადის ღირსეული გასართობი ნადირობაო. მეც თავი გამოვიდე და მთელ მხარეში პირველი მონადირის სახელი დამივარდა. ტყის ნებისმიერ ნადირთან შეტოტება მღერად და თამაშად მიჩნდა. ოღონდაც, ნადირი სუსტია და ჩემს თავმოყვარეობას მისი დათრგუნვა ვერ აკმაყოფილებდა. ერთ დღეს დავანებე თავი და მწყერი რომ მწყერია, ისიც არ მომიკლავს. იმ წუთიდან სახელმწიფოს მაღალ ინტერესებს ვემსახურები და ძალა არ დამიშურია...

— მხოლოდ სუსტნი ოცნებობენ სხვათა დათრგუნვაზე. — გააწყვეტინა მახუტიმ. — თქვენი იარაღი მხოლოდ ტყვიაა, მაგრამ სადაც სიკეთე არ არის, ტყვია ვერაფერს გადაწყვეტს. — მცირე ხანს დაფიქრდა და დაუმატა: — მე დავიღალე. კარგად იცი, ჩვენი მორიგება შეუძლებელია.

გენერალმა ტუჩი მოიკვნიტა. წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. მახუტი აუღელვებლად ადევნებდა თვალს. საკანი ფე-

ხის გასამართავად მცირე აღმოჩნდა და გარეგნულად დამშვიდებული არვაშანგი ისევ ჩამოჯდა.

— სამნი დავრჩით ბაბუაშენს. ღუტა, შენ ეს არ გეხსომება, კაი ვაჟკაცი იყო. უკეთესს ვერ ნახავდი მთელ ოხაჩქუეში. მოგეხსენება, ერთი ამბის გამო სასიკვდილოდ გაიმეტეს. ბადუ მამაილაა, ოღონდ მასში ცოტათი დიაცური ჭარბობს. თუმცა, შეიძლება, მე მეჩვენება ასე...

არვაშანგი ისე გულცივად ყვებოდა, თითქოს საკუთარ ძმას კი არა, სხვა ვიღაცას იხსენებდა.

— მე შური ვიძიე და ძმის სისხლი ავიღე! — სასხვათაშორისოდ დაუმატა.

შეიცადა, იქნებ შემეკითხოს რამეო. მახუტის ხმა არ ამოუღია და არვაშანგმა განაგრძო:

— წელიც არ გასულა და მამაშენი მოულოდნელად გარდაიცვალა...

— რამდენჯერ უნდა მიამბო ყოველივე?

— ისევ უნდა გიამბო, რადგან შენ ყველა წვრილმანი არ იცი! — ჯიუტად განაგრძო არვაშანგმა.

— მამაშენი არ ჰგავდა ბადუს მამას. ჯოგო ზომიერი კაცი იყო. სოფელში ერჩია ცხოვრება. კარგად მოწყობილი ოდა ედგა, ორასი დესეტინა მიწა ჰქონდა. თუმცა დროს ქეიფსა და ნადირობაში ატარებდა, ჭკვიანი მეურნეც იყო, ცოტათი კრიჟანგიც. სიმინდის ერთ ტაროსაც არავის შეარჩენდა. სამაგიეროდ სხვებივით არ უხდებოდა ბანკში მიწის დაგირავება...

— ყოველივე ეს მე უკვე ვიცი! — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა მახუტიმ.

— ის თუ იცი, მამაშენი რომ ბიგვებმა დაღუპეს!

— მე ეს არ მჯერა!

— ყური მიგდე, ეს ამბავიც უფრო ზღაპარსა ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს... დაუდეგარი ხასიათისა იყო მამაშენი. ხშირად აწიოკებდა ყოფილ ყმებს. რამდენი წელი გავიდა, ის კი ვერა და ვერ შეურიგდა რეფორმას. თითქოს კეთილი კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, მაგრამ თუ განრისხდებოდა, ვაი მისი ბრალი, ვისაც მოიხელთებდა. ერთი ყმაწვილი ბიგვა აცემინა და

სალდათად გააპარსვინა. თვით ჯოგოს ეს შემთხვევა მალე დაავიწყდა, ბიგვებს კი გულში ჩარჩათ. აკი შური იძიეს კიდეც...

— მრავალგზის გითქვამს, ციებამ ხელი დარიაო!

— სანამ მოკვდებოდა, რამდენიმე დღე ჭკუაზე არ იყო...

— ვერ გავიგე!

— ხურჩას წყალგაღმა, უდაბურ ფიჩორში ერთი გლეხი ცხოვრობდა, ნოქო ბიგვა და იმან მიიწვია სანადიროდ. უკან შეურაცხადი დაბრუნდა. სახე ცვილივით გახდომოდა, სხვის დაუხმარებლად ფეხზე ვერ დგებოდა. დავახვიეთ მკურნალები, მაგრამ ვერაფერმა უშველა. წამდაუწუმ ლოგინიდან წამოხტომას ლამობდა, მოვდივარ, მოვდივარო, — იძახდა. ხელ-ფეხგაკრული გვყავდა და ღამეებს ვუთევდით. უკანასკნელ ღამეს დიდხანს იძახა, ტყაში მაფაო. მერე უცებ გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ მომიხმო. შორიახლო გავჩერდი, გული ავს მიგრძნობდა. ნუ გეშინიაო, — მითხრა. უცოდველი და წყლიანი თვალებით შემომცქეროდა. წყნარი, მისუსტებული ხმით მიამბო, რაც გადახდა ფიჩორში. მერე მღვდელს დავუძახეთ და ეზიარა. დილას კი ისევე წყნარად მიიცვალა.

— შენ რა ჰქენი?

— დასაფლავების მეორე დღესვე ჩავედი ფიჩორში. ვერაფერი ვიპოვე ერთი საცოდავი ქოხის გარდა. მთელი ოჯახი ტყეში გახიზნულიყო და მას შემდეგ აბრაგობით ირჩენდა თავს. ქოხი, ცხადია, ცეცხლს მივეცი, თუმცა ეს რას უშველიდა საქმეს. ამას წინათ ხმამ მოაღწია, მოხუცი ბიგვა თავის ნაფუძარს დაუბრუნდაო... მინდოდა, შემეპყრო და დამეკითხა, მაგრამ ვერ მოვიცალე...

— ბარემ ისიც მომიყევი, რა შეემთხვა მამაჩემს ფიჩორში.

XXXI

„ნოქო ბიგვამ ჩაჰყო ხელი ჩემს გულში და სული ამომგლიჯა. — სვენებ-სვენებით ყვებოდა მომაკვდავი ძმა არვაშანგისა. — რა ვიცოდი, რომ მაზაკვალი იყო, თორემ ახლოს არ გავიკარებდი. ბევრჯერ გამაფრთხილეს, მაგი უწმინდური სახლში არ შე-

მოუშვაო, ცუდი თვალი აქვსო, მაგრამ არავის დავუჯერე და, ახავაი, მიწია ჩემმა ცოდვამ. დამჯაბნა ნოქო ბიგვამ, დამჯაბნა, ყველამ იცოდეს...“

ავადმყოფი გაჩუმდა. თვალდახუჭული და გაფითრებული იწვა. არვაშანგმა იფიქრა, ჩაეძინაო და ცერებზე აპირებდა გაპარვას, მაგრამ ჯოგომ ხელის სუსტი მოძრაობით შეაჩერა. ანიშნა, ახლოს მოიწიეო და განაგრძო:

„ნოქო ბიგვა მოვიდა ამას წინათ და შემომჩივლა, გარეულმა ღორებმა ამიკლეს, სიმინდი გამიჩანაგესო. მესიამოვნა. კვირაზე მეტი იყო, რაც ღორებზე სანადიროდ ვაპირებდი წასვლას და ფიჩორზე უკეთეს ადგილს, აბა, სად ვიპოვიდი. შევკაზმე ცხენი და გზას დავადექი. ნოქომ ცხენის ძუას ჩაავლო ხელი და მთელ გზაზე სირბილით მომყვებოდა.

წინა დღეს ხურჩა ადიდებულიყო, ბორანი მოეგლიჯა და წაელო. ქვევით დავუყევით ფონის მოსაძებნად, მაგრამ წყალი ყველგან ერთნაირი გაბოროტებით მოგუგუნებდა. უკან გაბრუნება ჭკუასთან ახლოს იქნებოდა, ოღონდ ვაჟკაცის სახელს ვუფრთხილდებოდი.

„რა გაეწყობა, უნდა გავცუროთ!“ — შევთავაზე თანამგზავრს.

„მიდი, თავადო, მეც უკან მოგყვები!“ — დამაიმედა ნოქომ.

გავიძრე ტანისამოსი, დავაკარი უნაგირზე, ცხენი წყალში შევაგდე და გვერდით მივყევი. არასოდეს ასე არ გამჭირვებია ხურჩას გადაცურვა. თითქოს ვიღაცა ფეხებზე ჩამჭიდებოდა და ფსკერისაკენ მექაჩებოდა. კიდევ კარგი, ცხენმა იმარჯვა და ნაპირზე გამათრია.

უკან მოვიხედე. ნოქო ჯერაც წინა ნაპირზე იდგა. წაღები და ძიქვა გაეხადა, მხარზე მოეგდო. პერანგი ბავშვივით იღლიამდე აეკეცა და ასე მუცელგატიტვლებული წყლის პირას ხტუნაობდა. ფეხის ცერს ჩაყოფდა ცივ წყალში, ქალივით შეჰკივლებდა. მერე გაბედა და წყალში სწრაფად შემოდგაფუნდა. იმ ადგილას ხურჩა ისედაც ღრმაა, შუა დინებაში აქვს ფსკერი თუ არა, კაცმა არ იცის. მოდის ნოქო და ვხედავ, როგორ იძირება თანდათან. წყალი ჯერ თეძოზე მისწვდა, მერე წელზე და წამოვიდა ნოქო ბიგვა ჭიპამდე წყალში. თმა ყალყზე დამიდგა.

დამავიწყდა, რომ ნაპირზე ტიტველი ვიდექი. ნოქო კი მოდის წელამდე წყალში, მოშლიგინებს და ისე კისკისებს, თხუთმეტი წლის ქალწული გეგონება. ჩემს უკან ფიჩორის ჭაობიანი უღრანი რომ არ ყოფილიყო, მივაფურთხებდი ვაჟკაცის სახელს და მოვკურცხლავდი. ის კი, ის უწმინდური, ნაპირზე ისე ამოვიდა, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს და შემომცინა. „რატომ არ იცვამთ, ბატონო?“ — იმნაირად შემეკითხა, ვითომ მისი ტოლი ვყოფილიყავი. გამაჟრჟოლა, ვარჩიე არ გამოვლაპარაკებოდი. სწრაფად ჩავიცვი, ვცდილობდი შიში არ დამმჩნეოდა, ლაგამს ხელი ვტაცე და ცხენს მოვახტი.

ხმის ამოუღებლად მივდიოდით. წინ ნოქო მიხანხალებდა, მე კი უკან მივყვებოდი და ხელში ჩახმახშემართული თოფი მეჭირა. მრცხვენოდა საკუთარი შიშისა. ნებისყოფას ვიკრებდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყე. ძალაუნებურად ლულას ზურგში ვუმიზნებდი და, რაც ლოცვები ვიცოდი, გუნებაში ვიმეორებდი.

გზა ჯოჯოხეთისას უფრო ჰგავდა. დაბურულ თხმელნარში მზის სინათლე ვერ აღწევდა. ფეხქვეშ დამპალი წყალი შიშინით ამოდიოდა. ჭაობის შმორიანი ნაორთქლი სულს მიხუთავდა. კოღო და ქინქლი გვეხვეოდა, სისხლს გვწოვდა. ჭიხვინებდა წურბელებისაგან გაავებული ცხენი... სულ იმის შიშში ვიყავი, ეს ხმელზურგა ნოქოია ისეთ ოთონთოში შემიყვანს, საიდანაც ვერ გამოვაღწევ-მეთქი. მაშინ ჩემს ძვლებს ძე-ხორციელი ვერ იპოვიდა.

ქოხამდე შეღამებულზე მივაღწიეთ. ძაღლის ყეფა რომ გავიგონე, იმედი მომეცა, ცოტა გავმხიარულდი. ნოქოს ქოხი განაკაფში ედგა. ირგვლივ სიმინდის ყანები ეხვია. წინ ფართო ეზო ჰქონდა, ლაბახას გაღმა კი — მცირეოდენი საძოვარი საქონლისათვის.

ქოხში შუაცეცხლი გიზგიზებდა. ლარჭაზე ვეებერთელა კარდლით ჭყინტი სიმინდი და კვახი იხარშებოდა. ორთქლისა და ფუჩეჩის სუნმა ცხვირში შემიღიტანა. კერას ცინგლიანი ბავშვების ლაშქარი შემოჰხვეოდა და ერთი ალიაქოთი გაჰქონდათ. ჩვენს დანახვაზე დაფრთხნენ და ბნელ კუნჭულებში მიიმალნენ.

„აბა, ქალო, დატრიალდი, სტუმარი მშიერია!“ — მიაძახა ცოლს ნოქომ, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა.

„სად გადაიკარგე, ნეტავი, — უკმეხად შეეპასუხა ფიცარივით ხმელი ქალი, — ნანადირევი არ მოგიტანია და ახლა რა ეშმაკი ჩაგაცეცხლოთ?“

„გუშინწინ არ იყო, დედაკაცო, სამფუთიანი ტახი რომ მოვათრიე?“

„ამ სიცხეში რა გააძლებინებდა! რაც ამ პირდაფჩენილებს გადაურჩა, ძაღლებს გადავუყარე!“ — თან ერთ-ორ ბავშვს ქეჩოზე წამოუთაქა: „დაიკარგენით, თქვე გასაწყვეტლებო!“

ქალის პასუხმა გამაკვირვა. ყოველდღე ვინ მოინადირებდა თითო ტახს.

„არა უშავს, შენ წყალი შემოდგი გასაცხელებლად, მე კი ტახს ახლავე გავაჩენ!“ — უზრუნველად თქვა მასპინძელმა და წალდს დაავლო ხელი. ჩემში უმალ მონადირემ გამოიღვიძა. დამავიწყდა შიში, შიმშილი, დაღლილობა. არიქა, ახლავე წავიდეთ-მეთქი, წამოვხტი და თოფი მხარზე გადავიგდე.

„თუ არ დაღლილხარ, ბატონს შემოვევლე, ვახშამდე იქნებ ნადირობით შეიქციო თავი, — რაღაც უცნაური ღიმილით თქვა ნოქომ, — მე კი მანამდე შეშას დავჩეხავ. შენი მარჯვენის იმედი რომ მაქვს, ერთი საათიც არ დაგჭირდება. ყანის ბოლოს ნადირის ბილიკს დაინახავ, ცოტას გაივლი ტყეში და იქვე სადმე ჩაუსაფრდი. დიდხანს არ მოგიწევს ლოდინი“.

დავუჯერე და იქითკენ გავეშურე. მთვარიანი ღამე იყო. სიმინდის ფოთლები შავ-ვერცხლისფრად ლაპლაპებდა. სუსტი ნიავი ფაჩუნობდა. სიმინდის მოქანავე კენწეროებზე სხივები სხლტებოდა და ადგილიდან ადგილზე მკვდარი სულებივით დაფარფატებდა.

ღურღუთ ტყეში სიწყნარე და წკვარამი მეფობდა. ოდნავ შესამჩნევად ციმციმებდა ნოქოსა და ტყიერთა მიერ გაკვალული ბილიკი. ბნელ ტევრში შორს შესვლა ვერ გავბედე, ორმოციოდე ნაბიჯზე კვაჭალია მოვნახე და იმის პირას ჩავუსაფრდი.

აქამდე არაერთხელ მითევია ღამე ტყეში. ნადირობით ხომ სახელიც გავითქვი. მრავალ განსაცდელს შევყრილვარ. დათვს

შევეტოტე ერთხელ ხელდახელ. შიში მაინც არასოდეს მიგრძვნია. ახლა კი ჩახმახივით მომართულმა ჩავიმუხლე ხის უკან და ტყის მდუმარება მხრებზე მძიმე ტვირთად დამაწვა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვეთიშებოდი ამ ქვეყანას, ზეთივით სქელ და აუმღვრეველ სიბნელეში ვითქვიფებოდი. ყურში რაღაცა უხმოდ სტვენდა და საზარელი რამ ურჩხული ფეხაკრეფით მიახლოვდებოდა. კიდევ წამი და თათებით ჩამბუბნიდა, ბასრ კბილებს ჩამასობდა კისერში, სისხლს გამომწოვდა. აუტანელ სისუსტეს ვგრძნობდი, თვალი სინათლის ანასხლეტსაც ვერ იჭერდა, განძრევა არ შემეძლო და მეც ამ წუთას ისეთივე მკვდარი ვიყავი, როგორც ეს მდუმარე ტყე.

არ მახსოვს რამდენი დრო გავიდა, არ მახსოვს მეძინა თუ ვფხიზლობდი. უცებ გაცოცხლდა ტყე. ტევრში უამრავი ნადირი აშლიგინდა, გაისმა ტოტების ლაწალუწი, დაფეთებული ღორების ღრუტუნი და ჭყვირილი. „ასა, ასა!“ — მჭახე ხმით მოერეკებოდა ვიღაცა გარეული ღორების კოლტს. შიშისაგან ზღარბად ვიქეცი, გორგლად დახვეული ხის უკან ვეგდე.

კვაჭალიაზე ვეებერთელა კლოხები გამოშლიგინდნენ. თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდათ, დანის პირივით ბრწყინავდა მათი გრძელი ეშვები. კოლტს მშვენიერი ქალწული მოერეკებოდა ოქროს წკნელით; ოქროს თმა ცეცხლის ალივით ეღვენთებოდა ბეჭებზე: ფარფატა, თეთრი სამოსი მსუბუქად ელამუნებოდა ნატიფ სხეულს.

„ასა, ასა!“ — შემოსწყრა ქალწული ჩამორჩენილ ტახს, ზურგზე წკნელი გადაუჭირა. ტახი გაოჩნდა, განზე გავარდა, მაგრამ წკნელი ისევ მოხვდა და ბრაზიანი ტრუხუნით კოლტს გამოუდგა.

„როგორ გამაწვალე დღეს, გეტყობა, წერამ აგიტანა! — დაუყვირა ქალწულმა ჯიუტ ტახს. — რახან ასეა, ჯოგო ჩიჩუას კერძი გახდი, ამ ხის უკან რომ მოკუნტულა!“

ჩემი სახელის გაგონებაზე სიმწრის ოფლმა დამასხა, მთლად მუჭისტოლა ვიქეცი. ქალწულმა კოლტი გაირეკა და თვითონაც ტევრში გაუჩინარდა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. შიშისაგან კინაღამ მოვკურც-

ხლე, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ადგილს მიმაჯაჭვა.

ათიოდე წუთიც არ გასულა, ბუჩქებში ისევ ტკაცატკუცი ატყდა. ვხედავ, რამდენიმე ნაბიჯზე მორჩილად თავდახრილი ვეება ტახი დგას. შემეძლო ერთი გასროლით გამეგორებინა. მაინც თავი შევიკავე. ტახი ერთხანს იცდიდა, მერე აღრუტტუნდა, უფრო მომიახლოვდა. არ გავისროლე. მაშინ მოვიდა და თოფის ლულას დინგი მოადო. მინდოდა, თავი კვლავ შემეკავებინა, მაგრამ საჩვენებელი თითი თვითონ ამოძრავდა, სასხლეტი ჩამოსწია.

იმ ღამეს ვახშამზე უარი ვთქვი და მკვდარივით მეძინა. დილას, საუზმეზე ჩემს ნანადირევს შევექეცი. ვიღაცამ დამიძახა ლაბახიდან: „ჯოგო, ჰაუ, ჯოგო!“ თანამეინახეებს გადავხედე. ყველა ისე იქცეოდა, თითქოს ყურებდაცულები ყოფილიყვნენ. „ჯოგო, ჰაუ, ჯოგო!“ — მარტო მე მესმოდა გულში ჩამწვდომი ხმა.

გონებაარეულმა სუფრა დავტოვე და კარისაკენ წავედი. ლაბახასთან თეთრსამოსიანი მზეთუნახავი იდგა, ხელს მიქნევდა. შიშისაგან ენა ჩამივარდა. მინდოდა უკანვე ოთახში შებრუნება, სადმე დამალვა, მაგრამ ფეხებს თვითონ მივყავდი ლაბახის იქით მომლოდინე მზეთუნახავისაკენ. „ჯოგო, მოდი ჩემთან, ჯოგო!“ — ალერსიანი ხმა მესალბუნებოდა გულზე და ვიცოდი, რომ ამ მაგიური ხმის გავლენას თავს ვერ დავაღწევდი.

ამ დროს ქოხიდან ნოქოს ცოლი გამოვიდა. მზეთუნახავი ადგილზე შეტრიალდა და მიწამ პირი უყო.

ფიჩორიდან ისევ ნოქომ წამომიყვანა. გზაში სიცხე მომცა. კიდევ კარგი, ბორანი თურმე აღუდგენიათ, თორემ ხურჩას ვერ გადმოვლახავდი“.

ავადმყოფი ერთხანს დადუმდა. არვაშანგი დაიხარა, ბალიში გაუსწორა. ჯოგომ საცოდავად ახედა და ჩურჩულით დაუმატა:

„ის ხმა, უჩვეულო და გულშიჩამწვდომი, განუწყვეტლივ მეძახის: „ჯოგო, ჰაუ, ჯოგო!“ ვიცი, არ შეიძლება მაცდური ხმის აყოლა. მაინც მინდა უკანასკნელი ღონე მოვიკრიბო, წამოვდგე და მივყვე, მაგრამ ეს არ ძალმიძს და იმ მშვენიერი ქალწულის უნახაობას სიკვდილი მირჩევნია...“

XXXII

ქუჩებში გრძელი ჩრდილები გაწოლილიყო. ოხაჩქუელები თავიანთ პაწია ყანა-ბოსტნებში სიმინდის ქეჩეჩს აგროვებდნენ. აქა-იქ მხიარული კოცონი გურგურებდა და ფეხშიშველა ბალღები ცეცხლს ქინქლასავით გარს ეხვეოდნენ. დამწვრის სუნი მოსდებოდა მთელ ქალაქს. ჭიშკრებთან მოთმინებადალეული ჩია ძროხები ბღაოდნენ, ძუძუს მონატრებული ხბორები ბოსლებიდან პასუხობდნენ. მეზობელთა გადაძახილი, თხათა პეტელი, ქათმების მოულოდნელი ტკრციალი, ძაღლების წკმუტუნი უფრო სოფელს ამსგავსებდა ოხაჩქუეს, ვიდრე სამაზრო ქალაქს.

გენერალი არვაშანგი ვერაფერს ამჩნევდა. ციხიდან გამოვიდა და გზას თავდახრილი დაადგა. მეეტლემ გაკვირვებული მზერა გააყოლა. გენერალს არ ჩვეოდა ქალაქში ფეხით ხეტიალი. დაძახება ვერ გაუბედა, შორიახლო მიჰყვა.

გენერლის უჩვეულო გასეირნებამ მალე მიიპყრო ყურადღება. დამფრთხალი გამვლელები ღობეს აწყდებოდნენ, ან ტლაპოში გადადიოდნენ, რათა ტროტუარი დიდი კაცისათვის ხალვათად დაეთმოთ. ზოგი კიდევ მლიქვნელურად შესცი ცინებდა, წელში იზნიქებოდა; ღრმად ჩაფიქრებული გენერალი კი თავაუღებლად მიაბიჯებდა. არ ესმოდა ირგვლივ ატეხილი ჩოჩქოლი უსახო ადამიანებისა, მუდამ სხვათა ცხოვრების ნასუფრალით რომ ცხოვრობენ. წითელი აგურის სახლთან რომ ჩაიარა, წვივტაგანა ქალმა მორცხვად გადმოხედა, ხელი დაუქნია და თავისთვის ჩაიღიღინა: „არვაშანგიკ“. მთელმა ქალაქმა გაიგონა ქალის ნათქვამი, მაგრამ ვერავინ გაბედა ჭორის აბლაბუდის გაბმა ჩიჩუათა დიდი სახელის ირგვლივ. გენერალს კვლავ არაფერი შეუმჩნევია.

— მის ბრწყინვალებას ჩვენი უმდაბლესი სალამი, არვაშანგს დიდება! — სმენა შეულახა ბიძია კირილეს როხროხა ხმამ.

ბადუს ჩამოსვლის დღიდან არვაშანგს იგი არ ენახა. წინათ კიდეც გაუხარდებოდა მასთან შეხვედრა, ორიოდე სიტყვით მაინც მოიკითხავდა, ახლა კი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

თავი დაუკრა და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ კირილემ მკლავში საკმაოდ უხეშად სტაცა ხელი, გვერდით გაჰყვა.

— რაღაც ხმები ირხევა ქალაქში, არვაშანგ ჩემო. — ისე წაიჩურჩულა, ალბათ მთელ ოხაჩქუეს ესმოდა.

— რაო, რას ამბობენ, კირილე? — ცალყბად იკითხა არვაშანგმა.

— რაღაც ზღაპრებს ყვებიან, შენი ჭირიმე. ვიღაც უფლისწული დაიჭირესო. მისი საქმეების გამოძიება გენერალს თვით იმპერატორმა უბრძანაო. ისიც დიდი საიდუმლოებით იძიებსო. მართლაც ასეა ვითომ?

— ეს რა საიდუმლოებაა, შე კაცო, თუ მთელმა ქალაქმა იცის.

— მართალია, ვითომ, ეს? — კითხვა გაუმეორა კირილემ.

— სისულელეა, ჩემო კირილე, მიკვირს შენისთანა კაცისაგან! — არვაშანგმა მეეტლეს ხელი დაუქნია. ეტლი გაჩერდა და სანამ ჩაჯდებოდა, კირილეს დაუგდო: — უფლისწულები ასეთ მიყრუებულ პროვინციაში მხოლოდ ზღაპრებსა და საბალაგანო ფარსებში ცხადდებიან!

ეტლი ქვაფენილზე ხტოდა, ფიქრს აწყვეტინებდა. თვალი დახუჭა, რათა სალამზე პასუხის გაცემა არ დასჭირვებოდა. კირილესთან საუბარმა შეაშფოთა და მთელი გზა თავში ერთი აზრი უტრიალებდა: როგორ უნდა მოევლო ამ დახლართული საქმისათვის.

ქუთუთოები მაშინღა გახსნა, როცა ეტლი სასახლის პარმაღს მიადგა.

კაბინეტისაკენ გაეშურა. თეკოს მომიხმეთო, გზად შემოყრილ ლაქიას უბრძანა. კაბინეტში ფანჯარა ფართოდ გამოაღო და გადაიხედა. სიმწვანე ღვარად დასკდომოდა ბაღს. მის იქით კი თეთრი სამრეკლო ქანაობდა წეროსავით. სავარძელი ფანჯარასთან მიიჩოჩა, რათა მოქანავე სამრეკლოსათვის ეცქირა. ბაღი ლივლივა მწვანე ტბას ჰგავდა, ცას კი ადამისდროინდელი სილურჯითა და უსასრულობით მოჰქონდა თავი. ბაღსა და ცას შორის ეკიდა ერთადერთი ხიდი — თეთრი სამრეკლო და ისიც უფსკრულზე გადაკიდებული ჯაჭვის ხიდივით არამყარი იყო. „ეს ქვეყანა უღმერთოა, მაგრამ იქნებ სადმე ამ ცისფრეთში

მართლაც იყოს რამე!“ — გაიფიქრა ანაზდად.

იგრძნო, რომ კარი შემოაღეს. თეკო შემოვიდა, სავარძლის უკან გაჩერდა. არვაშანგს არ მიუხედავს. სამრეკლო ღრუბლის ნაფლეთად იქცეოდა და იმას ვერ აშორებდა თვალს.

— თეკო, შენ იცი, რომ შენსა და მახუტის შორის ყველაფერი გათავებულია?

— ვიცი! — გულგრილად უპასუხა ქალმა.

გენერალმა გაოცებით მოჰხედა.

— აჰ, იცი? მე კი მიმძიმდა შენთვის ამის თქმა.

— მე უკვე მივეჩვიე ამ აზრს! — ისევ აუღელვებლად თქვა თეკომ.

არვაშანგი გამხიარულდა, სავარძელი შემოაბრუნა. თითქოს პირველად ხედავსო, ქალი ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მეორე სავარძელზე მიუთითა.

თეკო ჩამოჯდა. გარეგნულად გულგრილი და მშვიდი იყო, მაგრამ არვაშანგი მისმა ციებიანმა თვალებმა დააეჭვა, სიხარული ოდნავ გაუნელა.

— ხომ უნდა მოვისაზროთ რამე? შენ როგორ ფიქრობ?

— მე არაფერსაც არ ვფიქრობ.

— შენ უკვე პატარა არა ხარ, გათხოვების ჟამმაც მოგიწია. — დამაჯერებელი კილოთი მარცვლავდა არვაშანგი სიტყვას. — უკვე დროა სერიოზულად ვიფიქროთ შენს მომავალზე. სიმართლე გითხრა, უბედურ მამაშენს კაპიკი არ დაუტოვებია შენთვის, მაგრამ ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და მზითევიც ჩემზე იყოს. ოღონდ მარტო მზითევი რას გიშველის? უნდა მოვნახოთ ვინმე პატივცემული, შეძლებული პიროვნება...

ლოყებდაწითლებულ თეკოს თავი დაეხარა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მამის უფულობა რომ უხსენეს, აღშფოთება უნდოდა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

— იქნებ უკვე გყავს ვინმე გამორჩეული? — დაეკითხა არვაშანგი. თეკომ უჩვეულო თრთოლვა შეატყო მის ხმას. ქალს აბნევდა გენერლის მომნუსხავი მზერა, აზრის მოკრეფა უჭირდა.

— მე არავინ მიყვარს! — ძლივს ამოღერღა.

არვაშანგს სახე დაეწმინდა, სავარძელში ლაღად გადაწვა

და ისე უყურებდა. უცებ რაღაც აზრმა გაუელვა, სახე მოეღრიცა, წინ გადმოიწია და ნაძალადევი ალერსით უთხრა:

— განა ბადუ ცუდი პარტნიორია? თითქოსდა პირველი დღიდანვე ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია იგრძენით, — და ამ სიტყვებს რომ ამბობდა, თვითონვე თანდათან ფითრდებოდა.

ქალი აიმღვრა, თვალებზე ცრემლი მოადგა, ქურდობაზე წასწრებულ ბავშვს დაემსგავსა.

— არასოდეს, არასოდეს... — წაიჩურჩულა.

— კი მაგრამ, რატომ? — კვლავ გაიხარა გენერალმა. — ამ ქალაქში რომელი ქალი ეტყვის უარს...

— არასოდეს! — ხმამაღლა გაიმეორა თეკომ. — ქალაქის უკანასკნელ მაწანწალას გავყვები, ბაზრის მათხოვარს... — უცებ მიხვდა, რომ გადააჭარბა და ენა ჩაუვარდა.

არვაშანგი ეჭვებმა ააწრიალა. მისთვის ცხადი გახდა, რომ თეკოსა და ბადუს შორის შავმა კატამ გაირბინა. პოდპორუჩიკი გაახსენდა. „მაგას ავუფრენ მწყრებს!“ — მუქარით გაიფიქრა. აქამდე რად არ აცნობა არვაშანგს, რამე თუ მოხდა. იმ მელამ შეუძლებელია არაფერი იცოდეს.

— კარგი, კარგი! — საკმაოდ უხეშად თქვა. — ხვალ გავაგრძელებთ ამ საუბარს.

XXXIII

გაზაფხულის იმ მშვენიერი საღამოს სურნელებამ მახუტის საკანშიც შეაღწია და ტუსაღის გულში სევდამ დაისადგურა. სარკმლიდან არაფერი ჩანდა, გარდა მიმქრალი ცის ნაფლეთისა, მაგრამ მახუტის შეეძლო ამ ნაფლეთით წარმოედგინა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მთელი ცა, აღმოსავლეთის დაბინდული ჰორიზონტიდან დასავლეთის საგანგაშო ფერებამდე. მახუტი სარკმელთან იდგა და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ აინთებოდა ცოტა ხნის შემდეგ მწუხრის პირველი ვარსკვლავი, მერე კი ფერმკრთალი მნათობნი აციმციმდებოდნენ აქა-იქ. ბოლოს ხელის ერთი მოსმით დასალიერიდან დასალიერამდე

უხვად მიმოიბნეოდა ირმის ნახტომის უსაზღვრო სამყარო.

კარის ჩხაკუნმა აზრი გაუწყვიტა.

ჯერ იყო და ციხის უფროსი მობრძანდა. ეს კაცი მახუტიმ ერთხელ ნახა და სიზმარივით ახსოვდა. ჩექმებით გათელილი ჭაბუკი იატაკზე ეგდო. წყალი გადაასხეს. წამით გონს მოვიდა. წითელცხვირა წოწოლა ლანდი ადგა თავზე. ლანდმა ჩექმის ჭვინტი გაჰკრა ზიზღით და დაიჯღანა.

მახუტი მოიღუშა.

— ხომ არაფერი გაკლიათ, ბატონო კეტსალ? — მლიქვნელურად შეეკითხა პატიმარს. — თუ დუმილი გირჩევნიათ, აგრე იყოს, მაგრამ მე აქ თქვენი პრეტენზიების მოსასმენად მოვედი. ჰმ, კვება ხომ ნორმალური გაქვთ? თქვენთვის ყველაფერი ქალაქიდან მოგვაქვს, ასე ინება მისმა აღმატებულებამ...

მახუტის ხმა არ ამოუღია. ციხის უფროსს საქციელი წაუხდა. ადგილს ტკეპნიდა, მერე მხრები აიჩეჩა და გავიდა, თან, ალბათ, გული ბოღმისაგან უსივდებოდა.

მახუტიმ თავისუფლად ამოისუნთქა. სარკმელს მიუბრუნდა. ცდილობდა შეესუნთქა ჰაერის ის ჭავლი, ძლივს რომ აღწევდა აბლაბუდითა და მტვრით ამოგმანულ გისოსში. სიოს მოჰქონდა ნამწვის სუნი. ოხაჩქუელები ალბათ თავიანთ პაწია ყანებში მოგროვებული ქეჩეჩისაგან კოცონებს ანთებენ, ხვალზეგ ბარვასაც მოათავებენ... მკლავები გაშალა, გაიზმორა, სახსრები გაატკაცუნა, ხელის ნები მოითხოვდა ბარის ტარს. დიდი ნეტარებაა ადრიან გაზაფხულზე პირველი ბარის დაკვრა. მიწაში ღრჭიალით შედის მოპირული ბარი და ჰაერი ივსება ახლადგატეხილი ყამირის განუმეორებელი სურნელებით...

ფიქრი კვლავ გაუწყდა. აჭრიალდა საკნის რკინის კარი. იუსტიციის მრჩეველმა ინება თავისი ვიზიტით ტუსაღის გაბედნიერება. თამამად შემოვიდა, როგორც შედიან მეგობრის ბინაში. ფართო ღიმილი შენოანათა.

— ხომ კარგად მყავხართ, ბატონო კეტსალ, ხომ კარგად? — ამბობდა თითლიბაზურად, თან ხელებს იფშვნეტდა.

მისი თავხედობით გაოცებული მახუტი ადგილიდან არ დაძრულა, მზერა ქუთუთოების ნიჟარაში დამალა.

— ა, ძველო, როგორა ხარ? — უკვე შენობით გაუმეორა კითხვა, მხარზე ხელიც კი წაჰკრა. მახუტიმ განზე გაიწია. ფოთხოევიჩმა ვითომდა ვერ შეამჩნია ეს მოძრაობა და აღფრთოვანებით განაგრძო:

— მაგარი ძვლები გქონია, ძმაო, მაგარი! სიმართლე გითხრა, ცოტა მეტი მოგვივიდა. შენ ხომ ჭკვიანი, განათლებული კაცი ხარ, კარგად გესმის, მე რომ ამ საქმეში ბრალი არ მიდევს. სამსახურია, ძმაო, სამსხური...

დიახ, სამსახური! აბა, რითი ჭამოს ფოთხოევიჩმა პური? ყოველ ადამიანს ჭირდება საარსებო წყარო. ეს ოხერი ფული კი ისე არსად ყრია. კარლო როცა კეტსალის ასაკისა იყო, მასაც ამაღლებული იდეები ასულდგმულებდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... კუჭმა რომ შეაწუხა, აი, ასე მოკაკვა თითი. თითი რა ბედენაა, თითი რომ არ მოეკაკვა, ცხოვრება მოკაკვავდა წელში... ბატონ კეტსალთან კარლოს ამგვარი საუბარი უკვე ჰქონდა, ახლა თავს არ შეაწყენს... ჰო, მართლა წინანდებურად მალავს თავის ვინაობას? იქნებ გენერალს გაუმხილა რამე? არა, არა, ფოთხოევიჩს სულაც არ აინტერესებს მისი ნამდვილი ვინაობა. გენერალმა მოისურვა თვითონ აწარმოოს ძიება და ფოთხოევიჩმა, ცხადია, ხელი დაიბანა.

„არარაობა! — გაიფიქრა მახუტიმ. — არა, ეს არარაობა არ არის, — დაასკვნა მოულოდნელად, — ეს ვამპირია, მსხვერპლს რომ ყელში წასწვდება და სისხლს წოვს...“

ჰოდა, იმას ამბობდა, ცხოვრება ყველაზე ძლიერ კაცსაც ხერხემალს ამტვრევს, ბატონი კარლო კი ერთი სუსტი, უსუსური არსებაა. დაღალა ათასმა გაწამაწიამ. ვერ წარმოიდგენთ, მაგრამ მის ადგილს ახლაც ტურებივით ჟვერში მიმალული კოლეგები უთვალთვალებენ. რა ქნას კარლომ? სამსახური რომ დაკარგოს, ცოლ-შვილი შიმშილით ამოუწყდება. ამან გააფიცხა, რაზეც ახლა საშინლად ნანობს. დიახ, ის ჩასაქოლი კაცია, ის ზიზღის ღირსია, რადგან ამდენი ტანჯვა მიაყენა ისეთ კეთილშობილ ადამიანს, როგორიც კეტსალია...

„ფრთხილად, ფრთხილად!..“ — მახუტის ზამბარასავით დაეჭიმა ნერვები. ეჩვენებოდა, რომ ამ კაცის სულით გაიჟღინთა მთელი საკანი, — კედლები, იატაკი, ჭერი, რკინის კარი, მისი ბოროტი სული ჩაუდგა ყოველ ნივთს.

მოთმინების ფიალა აევსო, სარკმლისაკენ ჯიქურ შეტრიალდა, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს ზურგი აქცია.

ფოთხოევიჩს სიტყვა შუაში გაუწყდა. ცოტა ხანს დუდღუნებდა თავისთვის, მერე მლიქვნელურად ჩაიქირქილა, მახუტის მხარზე ხელი წაუთათუნა და კარისაკენ გასწია. მახუტის ზიზღისაგან კინაღამ გული აერია, შეამჩნია, რომ კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ და არაფერი დაიმჩნია.

ზედამხედველმა ვახშამი მოართვა. რკინის კარი რომ გამოაღო, დერეფნიდან ქვითინი მოისმა. ვიღაც მამაკაცი გულსაკლავად მოთქვამდა:

— ძაბული, როგორ გაგიმეტე, ძვირფასო, ის გველი უნდა მომეკლა, ის ქვემძრომი...

ციხის უფროსის უხეში ხმა შეეპასუხა:

— გეყოფათ, თავადო, ყველას გული ნუ გაუწყალეთ თქვენი წუწუნით. ხომ გითხრეს, მალე გაგიშვებთო!

მახუტის შეებრალა მოტირალი მამაკაცი. ალბათ, საშინელი რამ გადახდა, თორემ კაცის თვალებში რა უნდოდა ცრემლს.

ვახშამი მოთავებული არ ჰქონდა, როცა პოდპორუჩიკი გამოცხადდა. კოსტა გენერლის ადიუტანტად მახუტის წასვლის შემდეგ დაინიშნა და ამიტომ ერთმანეთს არ იცნობდნენ. შემოსულმა ზღურბლიდანვე ზრდილობიანად იკითხა:

— შეიძლება?

მახუტიმ თვალი ცივად შეავლო და ჭამა განაგრძო.

— შეგერგოთ! — პოდპორუჩიკმა სიტყვას ცბიერი ღიმილი მოაყოლა. მახუტიმ ალმაცერად ახედა.

— ვიცი, რომ თქვენ ხმას არ გამცემთ. ძალას არც გატანთ, — განაგრძო კოსტამ, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამას წინათ ველაპარაკე ჯუნას.

მახუტის ლუკმა ყელზე დაადგა, ხველა აუტყდა.

— მაპატიეთ, მაპატიეთ! — თვალთმაქცურად აწრიალდა კოსტა. — უდროო დროს შეგაწუხეთ! — შეიცადა, იქნებ შემომეპასუხოსო, მაგრამ მახუტი გულგრილად მიუბრუნდა საჭმელს.

— ჯუნას გენერალ ჩიჩუას ბრძანებით შევხვდი. თქვენ ალბათ არ მიცნობთ, გენერლის ადიუტანტი ვარ — პოდპორუჩიკი კოსტა კაკუჩავა! — თავი მოხდენილად დაუკრა და ჩურჩულზე გადავიდა: — მიუხედავად გენერლის კატეგორიული აკრძალვისა, ჯუნას სამსახური შევთავაზე, თქვენზე ცნობები უნდა მივაწოდო...

ისევ შეიცადა, რათა შეემოწმებინა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი სიტყვები და გულის ამაჩუყებლად დაუმატა:

— ჯუნა დღენიადაგ თქვენზე ფიქრობს!

„პროვოკატორია!“ — გაიფიქრა მახუტიმ.

— ნუ გგონიათ, რომ უანგაროდ გეხმარებით. — შეეცადა მახუტის ეჭვები გაექარწყლებინა. — ცოტაოდენი ფული ვთხოვე თქვენს საცოლეს. რას იზამ, ჯამაგირი ვის ეყოფა.

„გამოცდილი პროვოკატორია!“ — დაასკვნა მახუტიმ.

— ახლა კი უნდა ავჩქარდე! — მოულოდნელად დაფაცურდა პოდპორუჩიკი. — უდროო დროს შეგაწუხეთ, მაგრამ დღისით ვერ მოვიცალე. დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო გავუგებთ ერთმანეთს.

„ჰმ, როგორ არა!“ — მახუტიმ თეფშები გასწია და საწოლზე ისე გაიშოტა, თითქოს საკანში მის გარდა არავინ იყო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — მომხიბლველი ღიმილი აჩუქა პოდპორუჩიკმა და გავიდა.

„ყორნებივით დამესიენ, თითქოს უკვე ლეში ვიყო!“ — უსიამოვნოდ დაასკვნა მარტოდ დარჩენილმა.

ზედამხედველმა ჭურჭელი გაიტანა, კარი მოურიდებლად გაიჯახუნა.

— თითქოს კუბოს სახურავი დააჭედეს! — თავისთვის ჩაიდუდუნა მახუტიმ და კედლისაკენ გვერდი ინაცვლა. იმ ღამეს ჯუნა ესიზმრა. მახუტი ხურჩაში იხრჩობოდა, ჯუნა კი ცდილობდა ეშველა და ვეღარა შველოდა.

XXXIV

მერე ყოველივე გაქრა. აღარ იყო არც ხურჩა, არც ჯუნა, არც წყალზე ასხლეტილი სინათლე. სადღაც წყვდიადში მიდიოდა და, თვალებდავსებული, ნაპერწკალსაც ვერ ხედავდა. ხელის ფათურით ცდილობდა გზის გაგნებას უსასრულო დერეფნებში, მაგრამ დერეფნები ათასნაირად იყო დატეხილ-დაგრაგნილი და მუდამ ყრუ კედელს აწყდებოდა. არ დაადგა საშველი, გზა ვერ გაიკვლია. სული შეეხუთა. ერთხელ დამალობანას თამაშობდნენ ის და ბადუ. დაბალ ბოძკინტზე შეყენებული ქოხის ქვეშ შეძვრა, გაიტრუნა. ზურგით ჭუჭყიან ფიცრებს ეხებოდა, ვირთხების გადათხრილი ფხვიერი მიწა ლოყაზე ეხახუნებოდა. მოეჩვენა, რომ უკან ვეღარ გამოძვრებოდა, სამუდამოდ ჩარჩებოდა ამ დაფუტუროებული იატაკის ქვეშ და გულამომჯდარმა იკივლა. სწორედ ისეთივე გრძნობა დაეუფლა დერეფნის ლაბირინთებში დაკარგულს, ოღონდ საშველად არავინ მოუხმია. ისევ ყრუ კედელს წააწყდა. მიხვდა, რომ დერეფანი კი არა, მისი საკანი იყო. დაეტაკა ქვითკირით ნაგებ კედელს, გაანგრია და გათავისუფლებულმა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში გასცურა. ლაღად მიფრინავდა უსაზღვროდ ბედნიერი, უბე ევსებოდა ღამის გრილი ნიავით. ვარსკვლავები მის გვერდით ოდნავ ბჟუტავდნენ. შეეძლო ზოგიერთისათვის ხელიც შეეხო, მაგრამ არ უნდოდა დაერღვია სამყაროს კანონი და გვერდს უვლიდა. ქვევით ჩაიხედა. ღამის ფერებში გამურული დედამიწა გულით ავადმყოფივით ქშინავდა. ჭიანჭველათა დიდ ქალაქს წააწყდა: გართხმულიყო ვრცელი მდინარის პირას. ვიწრო ქუჩებში წინ და უკან დათარეშობდნენ აურაცხელი მრავალფეხა მწერები. თავიანთ უმწეო აზრებში თავჩარგულებს ცისათვის არ ეცალათ. ზოგ მათგანს ადამიანის ნიღაბი მოერგო თავზე... მოფუთფუთე მწერებში მახუტიმ გაარჩია ბადუსა და თეკოს სახეებიც. თავიანთი აურაცხელი ფეხებით ტანგოს ცეკვავდნენ და ირგვლივ ზედახორად მიყრილი არსებანი ჭრიალა ხმით სიცილისაგან იჭაჭებოდნენ... შორიახლო, ქვიშანა-

ყარზე არვაშანგის თავწამოცმული შავი ჭიანჭველა გატყაპულიყო. დიდად კმაყოფილი ჩანდა, რომ სხვებისაგან ფერითა და მდგომარეობით განსხვავდებოდა. შეეშინდა მახუტის, ჭიანჭველად არ გადავიქცეო, და ზევით აიჭრა, ვარსკვლავებისკენ...

გამოეღვიძა. შესცივნოდა და აკანკალებდა. საბანი თავზე წამოიხურა, გაყუჩდა. ძილი არ უნდოდა, არ შეეძლო მეორეჯერ ეხილა დიდი, შავი ჭიანჭველა.

არვაშანგის ნაამბობი გაახსენდა, — ფიჩორი, ნოქო ბიგვა, ტყაში მაფა...

მამის სიკვდილი ლანდად ახსოვდა. იმ დროისათვის დედა უკვე აღარა ჰყავდა და გლეხის ფაშფაშა დედაკაცი უვლიდა. შინ უცნობი იტალიელის მიერ ზეთით შესრულებული პორტრეტი ინახებოდა. ზედ გამოსახული იყო ორდენებით დაჟინჟილებული ბრწყინვალე თავადი, ვისაც ბროწეულის ლოყები, უშველებელი ულვაშები და ხშირი ჭაღარა ჰქონდა. ასეთი კაცი არასოდეს ენახა, მაგრამ ყველა არწმუნებდა მამაშენიაო და დაიჯერა, მეც სწორედ ასეთი დამამახსოვრდაო.

ხუთი წლისა ბიძია არვაშანგმა წაიყვანა, ბადუს წარუდგინა და უბრძანა, ერთმანეთს აკოცეთო. ბიჭებმა დაიმორცხვეს, ქვეშ-ქვეშ იყურებოდნენ. ამიერიდან ძმები ხართო, — დაარიგა არვაშანგმა, — ერთმანეთი უნდა დაინდოთ, უნდა შეიყვაროთ, ცხოვრებაში ხელი გაუმართოთო...

გავიდა ხანი და არვაშანგმა მოულოდნელად თეკო მოიყვანა. „ჩემი მეგობრის ასულია, — უთხრა მახუტის, — დღეიდან შენ ძმა და ეს დაა!“ მახუტის არ გახსენებია მათი პირველი შეხვედრა, თეთრბაფთიანი გოგონა, თხმელის ნაცოდვილარი ფაცხა, ბავშვური კოცნა ლოყაზე. თეკო კი ყურებამდე გაწითლდა, ორიოდე სიტყვას ვერ აბამდა.

„ლამაზი ქალი დადგებოდა“, — გული სითბოთი აევსო.

არვაშანგის ნათქვამი მოაგონდა, — შენ გიცდისო რომ უთხრა. „მე რად მიცდის?“ — აზრმა შეაკრთო.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ...

...თეკომ როიალზე დაუკრა და რომანსი უმღერა. მახუტი სვეტებიანი დარბაზის შორეულ კუთხეში ფანჯარასთან იდგა.

„ვერ წარმომიდგენია, როგორი გოგო უნდა შეიყვარო!“ — მოულოდნელად უთხრა ქალიშვილმა, როცა მახუტიმ რომანსი შეუქო.

„მეც ვერ წარმომიდგენია!“ — სიცილით დამალა ყმაწვილმა დაბნეულობა.

„ეგებ გიყვარს უკვე?“

„არა მგონია... მე საერთოდ არავინ შემიყვარდება, გულცივი ვარ“.

მაშინ უკვე ჯუნა უყვარდა.

ეს იყო მათი ბოლო საუბარი, რადგან იმავე საღამოს განრისხებული არვაშანგი მოვარდა ქალაქიდან, ცხვირწინ მათრახის ტარი დაუტრიალა.

„მე ხუმრობა არ მიყვარს, ჩემო გაზრდილო!“ — მუქარით წაისისინა.

„არც მე ვარ ბავშვი, ბიძაჩემო, მათრახი რომ მომიღერონ!“ — უპასუხა მშვიდად.

„დაგამწყვდევ! შინაურ პატიმრობაში მეყოლები! შენს მეგობრებს კი სათითაოდ გავაციმბირებ!“

„ნუ მემუქრები, ბიძაჩემო!“ — თავი მოითოკა, რათა თვითონაც არ აფეთქებულიყო.

„ან ეს სახლი, ან ისინი!“ — დამარცვლით თქვა გენერალმა და მათრახი ჩექმაზე გაიტკაცუნა.

ღამით მახუტი შინიდან გავიდა და აღარ მობრუნებულა... მერმე გულისტკივილით იხსენებდა თავისი ბავშვობისა და ყრმობის ადგილებს, ხურჩას ნაპირს, ბადუს, თეკოს, თვით არვაშანგსაც, ყველაზე მეტად კი ძიძას, ვინაც დედობა გაუწია...

* * *

ძიძა, საყვარელი ძიძა ენატრებოდა მახუტის. დედაბერს სიცოცხლე ისე არ უნდა დაელია, ერთხელ მაინც არ ენახა, ერთხელ მაინც არ მიალერსებოდა, არ გაეხარებინა.

არავის ახსოვდა, ძიძა როდის მოვიდა ამ ოჯახში, თვით

არვაშანგსაც კი. დაილია გენერლის მშობლების სამსახურში, მის პირველ ცოლსაც ემსახურებოდა, მერე მეორეს, მერე კი ბადუსა და მახუტის ზრდიდა.

ღმერთს არაფერი უბოძებია მისთვის, გარდა ჯაფისა. თავისთვის წვნიკიც არ გააჩნდა და სხვის ბედნიერებას მტლად ედებოდა.

ვინც დილაადრიან დგებოდა, უკვე ფეხზე მოფუსფუსეს ხედავდა, ვინც ყველაზე გვიან მილულავდა თვალს, ათასი წვრილმანით გართულს ტოვებდა. დაფარფატებდა უჩუმრად ოთახიდან ოთახში, დერეფნებსა და დარბაზებში და მისთვის საქმე არ ილეოდა.

მახუტის გაახსენდა ძიძის დამჭკნარი სახე, მისი წყლიანი თვალები, რომელშიც მუდამ ალერსი და შიში მეზობლობდა ერთმანეთს. ამ თვალების გამო ებრალებოდა ძიძა და თუ დროს მოიხელთებდა, მიესიყვარულებოდა, ყელზე ხელს შემოაჭდობდა, ლოყაზე ლოყას გაუხახუნებდა. მაშინ ცრემლი ჩამოიღვენთებოდა მოხუცის დაბებკილ ლოყაზე: „მოიცა, ბიჭო, ჩემისთანა მიხრწნილის კოცნა რა სასიამოვნოა!“ — იგერიებდა, არ უნდოდა თავი შეეზიზღებინა.

ზამთრის გრძელი საღამოები გაუცოცხლდა თითქოს. ბუხარში ცხრაფეხასავით გაჩაჩხული კუნძი რომ აგუგუნდებოდა, ძიძა ირგვლივ შემოისხამდა ბავშვებს, ბატონიშვილებსაც და ფარეშთა შვილებსაც. შუაში დიდი ლამბაქით შემოდგამდა ნაცარში მოხარშულ სიმინდს, ანდა ციცუა მარცვლისაგან ტაფაზე ბატიბუტს ატკაცუნებდნენ და უხაროდათ, როცა მარცვალი გაიბერებოდა, იფეთქებდა, ბზრიალით ახტებოდა... დიდხანს ეხვეწებოდნენ, ზღაპრის გუდას თავი მოხსენიო. ძიძა უარობდა, დავბერდი, გადამავიწყდაო. ბავშვები არ ეშვებოდნენ. ისიც ბოლოს და ბოლოს ყაბულდებოდა. დაუსრულებლად ყვებოდა ამირანსა და მის ძმებზე, დევებსა და გველეშაპებზე, ყაჩაღებსა და ცხენის ქურდებზე, ჭინკებსა და მკვდარ სულებზე. შიშის ზარი სცემდათ პატარებს, ცდილობდნენ ძიძასთან ახლოს მიჭუჭკულიყვნენ. თუ ამ დროს გენერალი შემოუსწრებდათ, დედაბერს ხმა ჩაუწყდებოდა, მხრებში მოიბუზებოდა. აოცებდა პატარა მახუტის ეს შიში, ებრალებოდა ძიძა. ასეთ წუთებში მტრობასა გრძნობდა ბიძის მიმართ.

„აბა, გეყოფათ ტყუილუბრალო ქაქანი! — ცივად იტყოდა გენერალი. — გასწით თქვენ-თქვენს ოთახებში!“

დამფრთხალი ბავშვები წელათრევით გაიკრიფებოდნენ. ძიძა გალახულივით ბუხრის ამყოლს აეყუჟებოდა და ოთახიდან მრისხანე ბატონის გასვლას უცდიდა.

ძიძა ყვებოდა:

მჭედელმა უტუ მიქამ გრდემლზე ურო დაარტყა და მთელმა სამეგრელომ კვერი დაუკრაო... აყირავდა თურმე ქვეყანა, ძაღლი პატრონს ვერა ცნობდა; დიდ-პატარა გააბრაგდა; არავინ იყო მხვნელ-მთესველი; ხანძრებმა გადაბუგეს მშვენიერი სასახლეები...

უტუ მიქამ გვერდით მოისხა ბრძენნი და უხუცესნი, თვითონაც ჯიკუტიაზე ჩამოჯდა და შეწუხებულმა თქვა:

საშველი არ არის, სისხლი უნდა დაიღვაროსო!

— ავავაი, ჩქინი ცოდა! — შეიცხადეს უხუცესებმა...

ღმერთს დავავიწყდით და ეშმაკთა ამარა დავრჩითო!

— ავავაი, ავავაი, ჩქინი ცოდა! — ზარი შემოსძახა ხალხმა...

ბატონებმა ჭკუა დაკარგეს და სამარეს თვითონ ითხრიანო!

— ავავაი ჩქინი ცოდა! — მოთქვამდნენ დამწუხრებულნი.

ქვეყანა თავისი სათარეშო ჰგონიათ და ჩვენ ხალხადაც არ გვაგდებენო!

— ავავაი, ავავაი, ჩქინი ცოდა! — შფოთავდა ყრილობა...

მათრახით ზურგს გვიჭრელებენ, ულვაშებს გვაგლეჯენო!

— ავავაი, ავავაი!.. — გუგუნებდა ხალხი.

ჩვენს ქალწულებზე ავხორცობენ, ჩვენს ბიჭუნებს აბაზად ყიდიანო!

— ავავაი, ჩქინი ცოდა, ავავაი!.. — ბობოქრობდნენ გულზე ჯავრშემოყრილნი.

ცა ჩამოინგრეს, ქარბორიამ ქვეყანა გაატიალოს, ჩვენთვის ცხოვრება მაინც არ არისო!

— ჩამოინგრეს, ჩამოიონგრეს! — იგრიალა ერმა პასუხად.

მჭედელმა უტუ მიქამ ჯარი შეჰყარა... „უტუში ჯარიში გოლუაფირო“, დედამიწა ვერ იტევდა თურმე ზურგზე.

ბატონები ცხენის კუდს გამოაბეს და ხურჩისპირა ქალებში აჭენესო... ახია მაგათზეო...

ბატონებს კისერზე უღელი დაადგეს და ყამირი ატეხინესო... ახია მაგათზეო...

ბატონები ანაკლიას წაასხეს, გაყიდვა დაუპირესო...

ბატონების სასახლეები გადაბუგესო...

ახია, ახია მაგათზეო... — ჩურჩულით დაუმატებდა.

გასუსული უსმენდა, ელანდებოდა მიწისძვრად ქცეული დედამიწა, ურიცხვი ლაშქრის თქარუნი, ხანძართა ბობოქრობა... დიდხანს თავს ვერ ართმევდა მოვარდნილ ზმანებას. მერე, მერეო, — ეხვეწებოდა, მაგრამ ძიძა დუმდა.

და მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, მეც მინახავს უტუ მიქა, კოჩა და მართალია თოდუებიო, მაშინ კოხტა და ლამაზი გოგონა ვიყავიო. მახუტიმ არ დაიჯერა, რადგან ეგონა, ძიძა ასეთი ბებერი გაჩნდა ქვეყანაზეო.

ფიქრებში დაათენდა მახუტის, მზემ ცის კიდე გახსნა...

* * *

მზე ამოდიოდა. ჰაერის ჭავლში ასხლეტილი და მიმქრალი სინათლე თეთრი ნისლივით იპარებოდა მყუდრო საკანში და უხმაუროდ ავსებდა.

მახუტი ისევ და ისევ იხსენებდა წარსულს, ეკამათებოდა თავის გამზრდელს...

მამლის ყივილი შემოესმა. თუმცა იქნებ მოეჩვენა კიდეც. განმარტოებულ საკანში მამლის ობოლმა ყივილმა გაიკვლია გზა, გულშეჭირვებულს აგრძნობინა, ქვეყანა ჯერ კიდევ ცოცხალიაო.

მზის ხახვისფერი სხივი მოაწვა დამტვერილ, აბლაბუდიან სარკმელს, მოაწვა და შემოანგრია, შემოიჭრა საკანში, ტუსაღის სასთუმალთან დაიღვარა. მახუტიმ თავი წამოსწია, ხელი გადაუსვა სხივს და მადლიერმა სტუმარმა თბილი ალერსით

გადაურბინა ხელის ზურგზე.

საბანი გადაიგდო, წამოხტა. საკანში დაბუდებული ნესტიანი სიგრილე კანზე სველი პერანგივით მიეტმასნა. გააჟრჟოლა. სწრაფად ჩაიცვა. შეიჭმუხნა. შორს მიჩქმალული ტკივილით პასუხობდა ნაწამები სხეული.

სარკმელთან გაჩერდა. ცა მოსარკულიყო. დღეს ქალაქში ალბათ დათბება. ადამიანები გამოეფინებიან ქუჩებში; თავისუფალი ადამიანები, რადგან ბორკილი გამჭვირვალეა და ადვილად ვერ შეამჩნევ...

„უკეთესია არ მოხვიდე ჩემთან, — ფიქრში შესთხოვდა გენერალს, — თავი დამანებე, დამივიწყე... მე ჩემი ცხოვრება მაქვს და სანამ ეშაფოტზე არ ამიყვანენ, ასე მინდა, ვიცხოვრო...“

დერეფანში გუშაგის ჩექმების ბრახუნი მსუბუქი ნაბიჯების ხმამ შეცვალა. მახუტის შეაცივნა, მიხვდა ვინც მოდიოდა. სარკმელს ზურგი შეაქცია, რკინის კარს მიაჩერდა. ამდენი ხნის ნაფიქრალი ჰაერში ჩამოეკიდა, ფიქრი გაწყდა, სიცარიელეს დაუთმო ადგილი... რბილი ნაბიჯები კი თანდათან ახლოვდებოდა.

რკინის კართან ფეხის ხმა შეწყდა. ერთხანს სიჩუმემ დაისადგურა. ის, ვინც კარს მიღმა იდგა, ყოყმანობდა. მახუტის ნერვები დაეჭიმა.

ფრთხილად გაიღრჭიალა კლიტემ და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. მოსული ალბათ უსიამოვნო ღრჭიალმა შეაკრთო.

კარი გაიღო. ზღურბლზე გატეხილი და დაბერებული არვაშანგი იდგა.

„ღმერთო ჩემო, რა დღეშია!“ — გული მოუკვდა მახუტის.

გენერალმა კარი მიხურა, ორიოდე ნაბიჯი გადმოდგა და მუხლებზე დაეშვა...

XXXV

არვაშანგი უვახშმოდ დაწვა და მკვდარივით ჩაეძინა.

მამლის ყივილმა გააღვიძა. იქვე, მის ფანჯარასთან, ლეღვის ტოტზე ეთია ღამე ტურის წასაღებს. გაცრეცილი ცის ფონზე შავ სილუეტად მოჩანდა კისერწაგრძელებული და ნისკარტ-

გახსნილი ფრინველი, მძინარეს ყურში ჩაჰყიოდა.

აზრი არ იყო! იგი მაშინ გაწყდა, როცა თეკომ დატოვა კაბინეტი და მარტო დარჩა. იმ წამიდან ლოგინში ჩაწოლამდე არაფერი უფიქრია. ახლაც თვალგახელილი იწვა და კვლავაც არაფერზე ფიქრობდა.

თვალი მილულა, რათა ისევ არარსში გადაკარგულიყო, უცნაურ განცხრომაში ჩაიძირა. გაქრა მისი არსება, გაითქვიფა. არვაშანგი იწვა და ნეტარებდა. ალბათ ესაა სიკვდილი, ესაა ის წამი, როდესაც ციდან ანგელოზი ეშვება და შენი სული სამოთხისაკენ მიჰყავს.

მამალს კი კისრის ძარღვები დაეჭიმა, ძალ-ღონეს არ იშურებდა. მჭახე ყივილმა გაუფხრიწა არვაშანგს ყურის ფირფიტა, ნირვანიდან ძალით გამოყვანილმა ღრმად ამოიოხრა.

გაჩნდა პირველი აზრი და იგი იყო ერთადერთი სიტყვა — „მახუტი!“ თითქოს უბიძგა არვაშანგს, სიტყვა დატრიალდა ტვინის ხვეულებში, ფრთები შეახო მძინარე ქიმერებს, გონება გაუცოცხლა, არია. მიხვდა არვაშანგ, რომ იგი ობოლი და მიუსაფარია, რომ იმთავითვე ობლობისათვის დაიბადა. ამქვეყნად არავინაა, მისი ჭირი და ლხინი რომ გაიზიაროს. მარტოსულია იგი, ადამიანთაგან მოწყვეტილი. იქნებ მართლაც ოქროს ტახტზე იჯდა, მაგრამ ეს ტახტი განგებამ მაღალ და მიუვალ წარაფზე შედგა და ადამიანებთან მაერთებელი ყოველგვარი ძაფი გაწყდა. ერთადერთი იმედი მახუტი იყო და იგიც აღარ არის. იგი არ ყოფილა არასოდეს. იყო მხოლოდ ზმანება, სიზმარი. ახლა კი ნათელია, რომ ის სიზმარიც გაქრა...

მამალმა უკანასკნელად მოინდომა შეყივლება, მაგრამ ხმა ჩაეხრინწა, უშნოდ ჩაიქშუტუნა.

„მზარეულს ვუბრძანებ, თავი წააგდებინოს!“ — გაიფიქრა არვაშანგმა და სახტად დარჩა. მისი გაზრდილი, მისი სახელი, მისი დიდება, საქმე იღუპებოდა, მას კი ამ დროს მამალზე შეეძლო ეფიქრა.

ასაკი დაავიწყდა, სწრაფად წამოხტა. წელზე ჭვალმა გაჰკრა, კრუსუნით ფანჯარასთან მილასლასდა. მამალი დაფრთხა, ტკრციალითა და ვაებით ჩამოეშვა, ბაღი აახმიანა.

აქედანაც კარგად მოჩანდა თეთრი სამრეკლო. გაახსენდა ლიტანიობა საყდარში და გულზე ხელდაკრეფილმა ამოიოხრა:

„ღმერთო! თუ ყოვლად ძლიერი ხარ, მიშველე რამე!“

პასუხი არ მიუღია.

„ალბათ ჩემზე განრისხებულია“, — თავს იტყუებდა ათეიზმს ზიარებული არვაშანგი.

მსახურის დანახვა ეზარებოდა, სხვის დაუხმარებლად ჩაიცვა. არც პირის დაბანვა გახსენებია, არც საუზმე, ბაღში ჩავიდა და საყდრისაკენ გაემართა.

კარს ჯერ კიდევ ბოქლომი ედო. მღვდლის სახლიდან ჩქამი არ ისმოდა. ადრე იყო, მზე ამოსვლას აგვიანებდა. ბულულა სიბნელე ბუჩქებსა და ჩირგვებს ებღაუჭებოდა.

„გათავდა ყველაფერი!“ — ანგარიშმიუცემლად უთხრა თავს.

შინ არ შებრუნებულა. არც მეეტლისათვის მოუხმია, არც გზა შეურჩევია; მიდიოდა ქალაქის ჭუჭყიანი და ღარიბი უბნების გავლით. გზა ნახევარწრედ უვლიდა ცენტრს, სახლებს მიღმა ბულვარის ჭადართა კენწეროები მოჩანდა. მიწა გამომწვარ თიხასავით იყო გადატკეცილი და გენერლის წაღები თეთრი ხრილით დაიფიფქა.

„გათავდა ყველაფერი!“ — იმეორებდა დაუსრულებლად და ფეხს უფრო და უფრო აჩქარებდა, თითქოს იწვოდა ყოველი და უნდა მიშველებოდა.

„ჩქარა, ჩქარა!“

ქშენა აუტყდა. მეტი სირბილი არ შეეძლო. გულმა დაგადუგი დაუწყო. საფეთქლებში სისხლი სცემდა. ოცი წლის ყმაწვილივით მიჰქროდა, მის გასწვრივ კი, როგორც მატარებლის ფანჯრიდან, გარბოდნენ დაღრეცილი ქოხმახები, მონგრეული, დაფეხვილი ღობეწნულები, დახავსებული კედლები, უძირო ტლაპოები... მოჰქროდა არვაშანგ და მის შესახვედრად დაძრულიყო მთელი ოხაჩქუე თავისი ჭუჭყითა და ბიწიერებით...

სულის მოსათქმელად შეჩერდა, მიმოიხედა. ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი. შეკრთა. კაკულიების სავაჭროს წინ ბოძზე მაიმუნი ეკიდა კუდით და დამცინავად იღმიჭებოდა. არვაშანგი მიუახლოვდა. ღამის დარაჯი აღმოჩნდა, ზევით ჭრაქის ჩასაქ-

რობად აბობღებულიყო. გენერლის დანახვისას უკანვე ჩამოსრიალდა, თავი მდაბლად დაუკრა. კაკაროტი კაცი იყო, დაზღარბებული თავი მუშტისტოლა თუ ექნებოდა. სახეს ჭაღარა ჯაგარი უფარავდა, თვალი წირპლით ავსებოდა. არვაშანგი ზიზღმა შეიპყრო, უნდოდა მხარი ექცია, მაგრამ რაღაც ძალამ შეაჩერა.

— ცოლ-შვილი გყავს? — შეეკითხა.

— კი, პატონიშ ჭირიმა, ცამეტი ბაღანა მხდის ტყავს! — მხრები აიწურა დარაჯმა.

— მერე, რას აჭმევ, რას აცმევ?

— რასაც უფროსს გავხდი, იმას უმცროსს ვაცმევ. საჭმელი კი, ღვთის მადლით, ერთი კარდალი ღომი გვყოფნის ყველას.

— ბედნიერი ხარ?

— არ ვიცი, რას მეუბნები, პატონიშ ჭირიმა.

— როგორ არ იცი, რ არის ბედნიერება?

— იჰ, სქანი ჭირი, ბაღნები დავზარდო და...

— უკეთეს ცხოვრებაზე არ ოცნებობ?

— ფიქრის დრო სადა მაქვს, ერთი კარდალი ღომი ვუშოვო ჩემს მუტრუკებს და... — ენად გაიკრიფა კაცისძირა. — ისე, ფული რომ ვიშოვო...

— რას იზამდი?

— აბა, რა ვიცი, ვიშოვო და... — ხელი უიმედოდ ჩაიქნია. — მე ვინღა მომაშავებს.

არვაშანგმა გზა განაგრძო.

„ბედნიერი ხარ, — ფიქრობდა კაკაროტზე, — ბედნიერი ხარ, რადგან მხოლოდ ერთ კარდალ ღომზე ოცნებობ... უდიდესი ნეტარებაა, როცა აზრი არ გაწუხებს...“

ციხეს რომ მიუახლოვდა, ფეხი აითრია, მუხლებს ძლივს ხრიდა, კართან მთხოვნელივით აიტუზა. დაბნეული ტკეპნიდა ერთ ადგილს და ყოყმანობდა. მორიდებით მიაწვა, შეაღო.

— ადრეა! — შეუღრინა გუშაგმა, მაგრამ იცნო და შეშინებული გაიჭიმა.

კიბეზე მძიმედ ადიოდა. არავინ შეხვედრია. დერეფანში ზედამხედველმა ბოლთის ცემა შეწყვიტა და თვალებგადმოკარკლული აისვეტა. არვაშანგს მისკენ არც მიუხედავს, ისე გამოსტაცა გასაღებების აცმულა. შეარჩია, კლიტეში ჩადო და

გადააბრუნა. უსიამოვნო ღრჭიალმა შეაკრთო. მოიბუზა, კარი შეაღო და შევიდა...

* * *

გენერალმა კარი მიკეტა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მუხლებზე დაეშვა.

— ვაი, სირცხვილო! — აღმოხდა შეძრწუნებულ მახუტის.

არვაშანგმა ქუდი მოიხადა, თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ასე იყო დიდხანს გარინდებული.

მახუტის სახეზე ბაიასფერი გადაეკრა. გათეთრებული ტუჩი ჩაიკვნიტა.

— ჩვენი წინაპრები პატივს სცემდნენ ჭაღარას. — თავი ასწია ბოლოს არვაშანგმა. თვალები ბატკანივით წყნარი და სევდიანი ჰქონდა. — ვინც მამაკაცურ ბრძოლაში გათეთრდა, ორმაგი პატივისცემის ღირსია. არვაშანგ ჩიჩუა, თუ საჭიროა, იმპერატორის კაბინეტში ქუდმოუხდელი შევა...

შეიცადა, რათა შეემოწმებინა, თუ რა ეფექტი მოახდინა მისმა სიტყვებმა. მახუტი გაქვავებული იდგა და ბაგე მკაცრად მოეხაზა.

— და ჰა, მოვედი შენს წინაშე მუხლმოყრილი და ქუდმოხდილი. ვიცი, სიტყვებით ვერ დაგარწმუნებ, მაგრამ ხომ ხედავ, რა ცეცხლი ბობოქრობს ჩემს სულში? რატომ მისწრაფებ სიცოცხლეს? მე ისედაც არ მიწერია დიდი ხანი!

აბორგდა მახუტი, აღშფოთებამ ჩაიბუდა მის გულში, მაგრამ თავს იკავებდა, სახეზე არ იმჩნევდა შინაგანი აღგზნების კვალს; მხოლოდ ტუჩის კუთხეებში გამოიკვეთა წვრილი ხაზები ნაადრევი ნაოჭისა.

— გუშინ იესო ქრისტეს ვესაუბრე. არ დამიჯერებ, მაგრამ მორწმუნე გავხდი. ჩემი სიამაყის დათრგუნვა მომთხოვა. მიბრძანა, ჭაღარა თავი უწმინდურ იატაკზე მეხალა; თუ რამე სიკეთე გამაჩნდა, შენთვის დამეთმო; პურის ნატეხით და ჭიქა წყლით დავკმაყოფილებულიყავი... დავთანხმდი, რადგან შენ აღმოჩნდი ის სასჯელი, ღმერთმა ცოდვებისათვის რომ მომივლინა...

— კმარა. — წაიჩურჩულა მახუტიმ.

— იესო ქრისტე, ხომ ხედავ, რომ მას არ სჯერა! — შეჰღაღადა არვაშანგმა ბათქაშმორღვეულ ჭერს და ხელები ზე აღაპყრო.

— კმარა! — გაიმეორა მახუტიმ.

არვაშანგი გაირინდა. უნდოდა კიდევ ერთი სიტყვა გაეგონა მახუტისაგან, რათა აფეთქებულიყო, მთელი ბოღმა გადმოენთხია, მაგრამ მახუტი უცდიდა, როდის წამოდგებოდა მის ფერხთით გართხმული გენერალი.

— ღმერთო, ყველაფრის ღირსი ვარ ამ გაუგონარი დამცირების გამო!

მახუტი არ გამოეპასუხა. არვაშანგმა ოხვრას კინაღამ გული ამოაყოლა. იატაკიდან წელი ძლივს აზიდა და სკამზე ჩამოჯდა. ნერვები მოუშალა მახუტის მდუმარებამ და მკაცრად მოკუმულმა ტუჩებმა. მოზღვავებული ძალა იგრძნო, აბობოქრდა, რისხვა შემოენთო, მაგიდაზე მუშტი დაახეთქა და იქუხა:

— ბოლოს და ბოლოს, ამოიღებ ხმას თუ არა!

მახუტი შეტოკდა, ფოთხოევიჩის პირველი აფეთქება გაახსენდა და თვითონაც აღშფოთებულმა მკვახედ მიახალა:

— შენ ფოთხოევიჩზე ბოროტი ხარ!

— რა? — შეცბა არვაშანგ ჩიჩუა.

— ის უფრო მარტივად მაწამებდა. როგორც ბრიყვ მოხელეს შეეფერება, ნალაჭედილ ჩექმებს მირტყამდა, დიდი-დიდი რამდენიმე ნეკნი ჩაემტვრია. შენ კი ჩემი სული გინდა დაიმორჩილო, ჩემი მეობა მოახრჩო, გინდა ვიყო მხოლოდ და მხოლოდ შენი ანარეკლი!

— მე შენ მიყვარხარ! — ხმადაბლა თქვა გენერალმა.

— მე კი არა, ჩემში შენი მეობა გიყვარს! რომ გიყვარდე, ტყვიას მაინც გაიმეტებდი და გადამარჩენდი ამ წამებას!

გენერალს სიტყვა პირში შეაცივდა, აზრი გაუწყდა. მაგიდაზე დაწყობილ მკლავებს თავით ჩამოემხო.

„ტირის?“ — გაუკვირდა მახუტის, თანდათან დამშვიდდა.

გენერალი არ ტიროდა.

წამოდგა, ჩაახველა, ტანსაცმელი შეისწორა, მახუტისათვის სახეზე არ შეუხედავს, ისე წაიდუდუნა:

— როგორც იცი. მე ორი განაჩენი მოგიტანე. შენი საქმე იყო, რომელს აირჩევდი...

მახუტი არ შეპასუხებია.

კართან შეჩერდა. მხრები უცახცახებდა. რკინის ცივ კარს შუბლით მიეყრდნო და ჩურჩულით დაუმატა:

— მშვიდობით, მახუტი, ჩემთვის შენ უკვე ამქვეყნისა არა ხარ.

მახუტის ეს სიტყვები გულში მწარედ მოხვდა, მაგრამ გარეგნულად აუღელვებლად უპასუხა:

— მშვიდობით, გამზრდელო!

შინისაკენ იმავე გზით ბრუნდებოდა. თუმცა მზე აცხუნებდა, სიცხეს არ გრძნობდა. ქუჩებში ხალხი მომრავლებულიყო. სამიკიტნოებსა და დუქნებში ერთი აყალმაყალი იდგა. მათხოვარი ბავშვი აეკიდა, ძია შაური, ძია შაურიო. ანგარიშმიუცემლად ამოიღო ჯიბიდან თუმნიანი და გაუწოდა. ბავშვი დაფრთხა, ბრბოში დურთა თავი. გონს მოეგო, გააოცა საკუთარმა საქციელმა და ფეხს აუჩქარა.

გადაღლილიყო და სხეულს ძლივს იმორჩილებდა. დილას ჯეელივით დავრბოდი, ახლა კი რა დამემართაო, — თავს იტყუებდა. საყდრის კარებთან შეყოყმანდა. შესვლა უნდოდა და ვერ გაბედა. „ღმერთო, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე!“ — ამოიკვნესა. პასუხად ხითხითი მოესმა, ტანში გააჟრჟოლა. ვიღაცა ჯაგნარში მიმალულიყო და ხითხითებდა. შიშმა აიტანა. უკან დაიხია, ბაღი სულმოუთქმელად გაიარა. პარმაღს ძლივს მიაღწია. ძალაგამოლეული ქვის საფეხურზე დაეშვა.

ასე იჯდა თვალდახუჭული და მზეს მიფიცხებული. ის გრძნობა დაუბრუნდა, დილის ძილიდან რომ დაჰყვა. ნირვანაში ჩაეშვა, გონება ჩვილივით გადაეწმინდა და ნეტარებდა.

ჩრდილი დაეცა. ძიძა იდგა მის წინაშე, შეშინებული თვალები მისთვის მიეპყრო. ერთი ბეწო იყო და სახე ხელისგულისოდენა გახდომოდა. ახლაღა გაახსენდა, რომ ამ ქალს მუდამ მარტვილის თვალები ჰქონდა. თავი ბოროტმოქმედად იგრძნო.

— მახუტი აღარა გვყავს, ძიძა! — წაილუღლუღა უცაბედად, პირქვე დაემხო და დიაცივით აქვითინდა.

ნაწილი მეოთხე

ქრელი დღე

XXXVI

თვითონ ოხაჩქუელები ამტკიცებდნენ, ქალაქელები ვართო, თორემ ოხაჩქუე უფრო დიდ სოფელსა ჰგავდა. ორიოდე ღატაკის გარდა, ყოველ ოხაჩქუელს ჰქონდა საკუთარი ეზო-კარი, ბაღი, ვენახი, საბოსტნე მიწის ნაკვეთი, ზოგს კი — სახნავ-სათესიც ახლომახლო სოფლებში. ადრეულ გაზაფხულზე ყოველ ქალაქელს იგივე აზრი აწუხებდა, რაც სოფლის მცხოვრებს. სალაპარაკოც აქაც და იქაც ამინდი და ხვნა-თესვა იყო. პირველ მოსავლამდე, ჩვეულებრივ, ფასებიც მატულობდა და უფრო ღარიბნი ეწერში მიდიოდნენ ეკალას საკრეფად. როგორც კი ესხირი მიწყნარდებოდა, მთელი ქალაქი ბაღ-ბოსტნებში გაილალებოდა და იწყებდა ჩიჩქნას.

ჯუნამაც გადაწყვიტა ბოსტნისათვის მიეხედა. წინა დღეს ჭიჭემ ნახევარი გადაბარა, დღეს კი დილაუთენია სადღაც გაქრა და ჯუნამ სვრელი მარტომ გააგრძელა.

ნაწვიმარზე მიწა აფუებულიყო, ლანჩებზე ტალახი ეგლისებოდა, ბარი ხრიწინით ჭრიდა მიწას, ვარდისფერი ჭიაყელები დაფშვნილ ბელტებში იკლაკნებოდნენ.

უხმოდ მუშაობდა. ფიქრით კვლავ შორს იყო.

ამას წინათ კოსტაია პოდპორუჩიკი ეწვია ხელმეორედ. ახალი არაფერი უთქვამს, მაგრამ აგრძნობინა, ორიოდე დღეში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდესო. ჯუნას აეჭვებდა მისი

გულთბილი ხმა, ჯღატარა თვალები.

„არავინ იცის რა შეიცვლება, — თქვა ბიძია ონოფრემ, — მაგრამ ჩვენ ყოველ წამს მზად უნდა ვიყოთ...“

— მეზობელს გამარჯვება! — გადმოსძახა ღობეზე გადმომდგარმა ბეგლარმა. თავისი შვიდივე ბასარსხლი გამოეყვანა საბარავად და ლელო უკვე ბოლოში გაჰქონდა.

ჯუნამ სალამი დაუბრუნა, ღობეწნულთან მივიდა.

— ჩვენი საქმე ხომ არ დაგვიწყებია, ბიძია ბეგლარ?

— რა დამავიწყებდა, ცირა, დღე და ღამე იმაზე არ ვფიქრობ? ოღონდ ჯერჯერობით სიარულისა და ლაპარაკის გარდა არა გაგვიკეთებია რა! — მის ხმაში ნაღველი გაისმა.

— ტუტული უნდა მოვიდეს, ბარვაში მოგეხმარებიო.

— რაღა ტიტულია ის მამაცხონებული, მალე თითო ადლი ულვაშები გაეზრდება. — ესიამოვნა ბეგლარს.

უფროსი გოგო ციცი იქვე მუშაობდა და ცალი ყური აქეთკენ ჰქონდა. ტუტულის ხსენებისას გაწითლდა, რაც მოსაუბრეებს არ გამოპარვიათ.

— იცოდე, ჭინჭრით აგიწვავ წვივებს! — დაექადნა ბეგლარი.

— რას ერჩი, გათხოვების ჟამმა მოუწია გოგოს. — გამოექომაგა ჯუნა.

ციცემ თავი დახარა, ქვეშ-ქვეშად იყურებოდა.

— მე ვუჩვენებ გათხოვებას! ძალიან არ ამიჩქარდნენ ეს ყურუმსაღები? — ჩაიბუზღუნა ბეგლარმა და ბარს მიუბრუნდა.

ჯუნამ ისევ ბარს მოჰკიდა ხელი.

წუხელ მახუტიზე ფიქრმა დაღალა. ლოგინში ადრე ჩაწვა, ჩამეძინებაო, მაგრამ აღგზნებული ტვინი ვერ დაიმშვიდა.

მერე ვითომ მახუტი ეწვია. ცერზე შემოიპარა და საწოლზე ჩამოუჯდა. რაღაცას ჩასჩურჩულებდა, გამჭვირვალე თითებით ტუჩებზე, ღაწვებზე ელაციცებოდა. თვალებში სევდა ჩაჰგუბებოდა, სახეზე ტანჯვის კვალი აჩნდა.

ჯუნა წამოიწია, ხელები გაუწოდა, ის კი მოულოდნელად გაქრა.

წამოვარდა ლოგინიდან, პერანგისამარა დაედევნა. მთვარიანი ღამე იყო და ჭაბუკის მსუბუქი ლანდი სადღაც ვარსკვლავებს შორის მიფარფატებდა.

ზურგით კარს მიეყრდნო, შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა მიდამოს. კაკაჩა მთვარეს ბაკმი შემოევლო, ვარსკვლავებს აქრობდა. ბადრი სახე სიკეთით უკაშკაშებდა, უჩვეულო, ვერცხლის ძაფებით მსჭვალავდა სივრცეს.

უცებ აივანზე, ზედ ყურის ძირას ხითხითი გაისმა.

მოაჯირზე შავი, ბანჯგვლიანი არსება იჯდა.

„ვინა ხარ?“

„ჭინკა!“

„ვინ ჭინკა?“

„ჩვეულებრივი ჭინკა!“

„ტყუი, ჭინკა არ არსებობს!“

„შესაძლებელია, მაგრამ მე მაინც ჭინკა ვარ!“

„ჩემგან რაღა გინდა?“

„არაფერი!“

„თუ არაფერი, მაშინ წადი!“

„გეშინია?“

„რატომ უნდა მეშინოდეს? აი, მამაჩემს გავაღვიძებ და გიჩვენებს სეირს“.

„გააღვიძებ?.. მამაშენი ხომ მოკვდა?“

„დედაჩემიც მოგერევა მუგუზლით!“

„არ მიყვარს მუგუზალზე ლაპარაკი, — შეიშმუშნა ჭინკა, — თანაც მე კეთილი ვარ. თუ გინდა, მახუტისთან წაგიყვან!“

„განა ეს შესაძლებელია?“

„ჩემთვის შეუძლებელი არაფერია! აბა, თამამად მომყევი! ქვევით არ ჩაიხედო, თორემ ფეხი დაგიცდება!“

მთვარის ძაფივით წვრილ სხივზე შედგა და გაიქცა. ჯუნაც მიჰყვა. სხივი იზნიქებოდა და ქალი წონასწორობას ძლივს ინარჩუნებდა. მაინც წინ მირბოდა, მთვარისაკენ, ცდილობდა ჭინკის სხმარტალა კუდისათვის ეცქირა, რათა ამ სიმაღლიდან არ ჩამოვარდნილიყო.

ცის გუმბათზე ჭინკა შეჩერდა, კუდი ლეკვივით გააქიცინა და თითი გაიშვირა.

„აი, იქაა მახუტის საპყრობლე!“

ქალაქის განაპირას გალავანშემოვლებულ შავ ციხეს გისოსაჭედილი ფანჯრები დათხრილ თვალებს მიუგავდა. ერთ მათგანს ჟანგიანი ბადისახე ეკეთა. ჯუნამ თვალი შეავლო მახუტის ბნელ საკანს და თეთრ ფთილას მის სიღრმეში. ეს ტუსაღის სარეცელი იყო. მახუტის ჩვილივით ეძინა.

უეცრად წონასწორობა დაკარგა, სიმივით დაიწკრიალა სხივმა და ჯუნა მოსწყდა სიმაღლეს.

შიშისაგან გაბრუებული ვარდებოდა ქვევით და ხეთა შავვერცხლისფერი ტოტები ტკარცალით ემზადებოდნენ დასახვედრად...

ღობემ ლაწალუწი ატეხა. ღობეწნულზე ტუტული გადმოძვრა. ალბათ მთელი გზა ეზო-ეზო გაიარა. ასე ვარჯიშობდა კონსპირაციაში.

ჯუნამ შუბლზე ხელი მოისვა, ფიქრებისაგან გამოერკვა.

— ცოტა შემაგვიანდა! — მოიბოდიშა ყმაწვილმა. ჯუნას ბარი გამოართვა და ხვნეშით ჩაასო რბილ მიწაში...

* * *

ტუტულის დღენიადაგ ბეგლარის სახლთან ხედავდნენ. ხან ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, უზრუნველი სტვენით ჩაივლიდა: ხან ტანტალა ბიჭებს აჰყვებოდა და იქვე ახლოს, მინდორში ქვებს ისროდნენ; ხან კიდევ სხლტეს უკან მსტოვარივით ჩასაფრდებოდა, ეზოს უთვალთვალებდა. ის კი, თვალებბრიალა, ერთთავად ეზოში ტრიალებდა, საქმეც რომ არ ჰქონოდა, გაიჩენდა. გადიოდა თვეები, წლებიც ზედ წაემატა, გოგო-ბიჭს კი ერთმანეთისათვის ღერი სიტყვა არ ეთქვათ. ოცნებაში წასული ტუტული ათას უბედურებას უქადდა ოხაჩქუეს. რა იქნებოდა, მაგალითად, მდინარე გადმოსულიყო და ქალაქი დაეფარა. მაშინ ნახავდით, როგორ ივაჟკაცებდა. ხელში აიტაცებდა მიჯნურს და გაიყვანდა ურთას მთაზე; ან ბეგლარის სახლს ცეცხლი რომ მოსდებოდა და შიგ გულწასული ციცი ჩარჩენილიყო. ტუტული არაფერს შეეპუებოდა, ცეცხლში შევარდებოდა, ან მკერდში ჩაკრულს გამოიყვანდა გულის ნიაზს ანდა მასთან ერთად ჩაიფერფლებოდა; მაგრამ უახლოეს დროს

წარღვნა და ცეცხლი ქალაქს არ მოელოდა და ტუტულიმ არ იცოდა, როგორ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება.

ტუტულიმ ბარი ქვაზე დააკაკუნა, რათა ზედ მიკრული მიწა ჩამოეფერთხა და კარგა მოზრდილი ბელტი ხვნეშით ამოაბრუნა.

— წადი, ჯუნა, მე ჩავბარავ ბოლომდე!

ჯუნას გაეღიმა. მიხვდა, ყმაწვილს მარტო დარჩენა ეწადა.

— კაი, ბატონო, წავალ, სადილს მივხედავ.

მონდომებით ბარავდა ტუტული. ბოსტანი არცთუ დიდი იყო და მალე სვრელი ბოლომდე ჩაიყვანა.

შეისვენა, ოფლი მოიწმინდა. მიწის საამო სუნი ღრმად ჩაისუნთქა. თითქოს განბანილი და წმინდა სხეულის სურნელება იგრძნო, ჟრუანტელმა დაუარა. ნამუშევარს მუშტრის თვალით გადახედა. სვრელი დავიწროებულიყო და ბეგლარის ღობეს გასდევდა.

ღობეწნულში გაიხედა. ბეგლარს ბარვა მოეთავებინა და თავისი ბარტყები ქოხში შეერეკა. მარტო ციცი საქმიანობდა უკანა ეზოში. ხელში ცოცხი აეღო და გულმოდგინედ გვიდა გადატკეცილ ლაფაროს.

— ცს-ს... — ფრთხილად შეახსენა თავი ტუტულიმ.

გოგოს ვითომ არ გაუგონია, თავაუღებლად საქმიანობდა.

— ცს-ს...

— ცსუ და არდარჩენა! — ჩაიდუდუნა ციცემ და ლოყები აელანძა. გაფშუტული ცოცხით მტვრის კორიანტელი დააყენა.

ტუტულიმ უცბად მოიაზრა, ანაზდად ღობეს გადაევლო.

— რას შვრები, გოგო, შენ?

— ვერ ხედავ, ვგვი! — ჩაიბურტყუნა ციცემ, თან ქოხის კარისაკენ შიშით გაიხედა, ბაბაია არ გამოვიდესო.

— ახლავე დააგდე ეგ ცოცხი! — განგენ მკაცრად შეუძახა ტუტულიმ.

— შენ შენს სახლში უბრძანე ვისაც გინდა!

— წაგართმევ და გადაგიგდებ, მაშინ გაიფხორე!

— ვერაფერსაც ვერ წამართმევ!

— წაგართმევ!

— ვერა!

— წაგართმევ... აი! — მკლავში მისწვდა. ციცემ გაიწია, ტუტულიმ არ გაუშვა.

— გამიშვი, თორემ ბაბაია დაგვინახავს, — წაიჩურჩულა ნირწამხდარმა.

— მერე რა, რომ... — ხმა აუკანკალდა ტუტულის.

ამ დროს კარმა გაიჭრიალა. ყმაწვილი ელვისუსწრაფესად გადმოევლო ღობეს. აღგზნებულმა ბარს დასტაცა ხელი და ისე მაგრად დაჰკრა მიწას, კინაღამ ხელებში შემოემტვრა...

XXXVII

ძიძამ ჩაიხითხითა, გაიყურსა, ისევ ჩაიხითხითა, დიაცივით ატირებული არვაშანგი პარმაღზე დატოვა და წახანხალდა. საქმეს რა გამოულევდა ძიძას, მაგრამ ერთბაშად ვერ გაერკვა, რა უნდა ეკეთებინა. სამზარეულოში შევიდა, ოფლში გახვითქული ბიჭიკო ჰაერღუმელში ვარიას აბრუნებდა, რათა წითლად შეებრაწა. კარდალში ხბოს ბეჭი იხარშებოდა. ძიძამ სახურავი მოჰხადა, ჩაბერა, რათა პერი ჩაეგდო და ისევ დაახურა. ქურაცაზე შემოდგმული სხვა ქვაბებიც რიგრიგობით შეამოწმა. ერთი ძროკუნჭულიც შეანჯღრია, ხომ არ გადმოვარდებაო. არც ავი უთქვამს, არც კარგი. ჯანდრის ხე აიღო, ორომზე ფქვილი მოაფრქვია, ცომის ნაჭერი დაატყაპუნა და ჯანდრვას შეუდგა. მუშაობდა თავდახრილი, თავისთვის პუტუნებდა რაღაცას, ვერ ამჩნევდა გაოცებულ ბიჭიკოს და კუთხეში მიყუჟულ ჯაჭოთვალება გოგონას. ხანდახან ხელები გაუშეშდებოდა ძიძას, გაირინდებოდა, შიშნაჭამი თვალებით მიმოიხედავდა, უცებ ჩაიხითხითებდა. ბიჭიკო დაფრთხა, ვერ გაეგო, რა ქაჯი ჩასახლდა მშიშარა და უწყინარი ძიძის სულში. მალე ორომზე იმდენი კვერი დაუგროვდა, ოჯახს მთელი კვირა ეყოფოდა. ძიძა ღუმელისაკენ მიბრუნდა, ჯენჯო არ აუღია, ისე მოხადა სახურავი თუჯის ქვაბს და ათუხთუხებულ წყალში დაუწყო კვერებს ჩაყრა. მზარეულს მოთმინება დაელია, გამხმარ მკლავზე ხელი წაატანა.

— რას შვრები, ბებერო, ყველის ჩადება დაგავიწყდა?

— უიმე, მთლად გამოვშტერდი მე სამიწე! — გაიოცა ძიძამ.

მისმა წამოძახილმა ბიჭიკო დაამშვიდა: „გადაყრუვდა ეს საცოდავი!“

ყველისათვის ხელი მაინც არ უხლია. საკუჭნაოდან საქსოვი ჩხირები და ძაფი მოარბენინა, მუნჯ გოგონას ფეხის ზომა აუღო, წინდების ქსოვას შეუდგა. დახანხალებდა ოთახიდან ოთახში, ხან ვისთან შევიდოდა, ხან ვისთან, და გამალებით ქსოვდა და ქსოვდა... ზოგჯერ შედგებოდა, გახევდებოდა. დაძაბული იგონებდა რაღაცას, მაგრამ უმალ ავიწყდებოდა, რისთვის შეჩერდა, ანცვიფრებდა თავისი უმწეობა და ხითხითს იწყებდა.

ასე გავიდა მთელი საღამო და მთელი ღამე. გარიჟრაჟზე სასტუმროში შეეხეტა, სავარძელში ოდნავ მიდო თავი. არასოდეს არ მჯდარა ამ სავარძელში. ეს ახლა არ ახსოვდა.

ადრე ამდგარმა გენერალმა ჩამოიარა. ძიძას უკვე ეღვიძა. ლიბრგადაკრული თვალები მიაპყრო არვაშანგს. არ წამომდგარა, რაღაც ჩაიწკმუტუნა ლეკვივით. ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ იცინოდა.

— რა დაგემართა, შე საცოდავო! — დამნაშავის კილოთი წარმოთქვა არვაშანგმა.

ძიძამ არ უპასუხა. თითქოს სიბერე დაავიწყდაო, სავარძლიდან წამოფრთხიალდა და წაფართხუნდა. მიფარფატებდა და თავისთვის ხითხითებდა, არვაშანგს უმალავდა თავის პაწია და შიშნეულ აზრებს.

სამოსამსახუროში, ძველი ტახტის კუთხეში მუნჯი გოგონა სიცივისაგან მოკუნტულიყო; ბაბლის საბანი გადახდოდა და თეთრი, ფუნჩულა ბარძაყები მოუჩანდა. ძიძამ შეანჯღრია, ადე, შე დასამიწებელოო, წამოაგდო. პირდაუბანელი და თმაგაჩეჩილი ბაღში ჩაიყვანა, ხელებში ახლადნაქსოვი წინდები ჩაუკუჭა, მუხლისთავებზე დაკოჟრილი ხელი გადაუსვა, მოეფერა, — ოდესღაც მეც ასეთი მუხლები მქონდაო, — აჩიფჩიფდა.

ჯგროდ შემოადგა შორეული წლების სიღრმიდან ამოტივტივებული სახეები... მჭედელმა უტუ მიქამ ურო დაარტყა გრდემლზე და მთელმა ხალხმა კვერი დაუკრაო...

ეგონა ხმამაღლა ლაპარაკობდა, პირიდან კი ფშუტუნიღა

ამოსდიოდა. ჯაჭოთვალება შესციცინებდა, ცდილობდა გაეგო, რას ეუბნებოდა კეთილი ძიძა. მოხუცის ნაოჭებისაგან ბანტივით შეყრილი ბაგეები ძლივს ლოღნიდნენ სიტყვებს და გოგონა ვერაფერს ხვდებოდა...

...მჭედელმა უტუ მიქამ ურო დაარტყა გრდემლზე და მთელმა ხალხმა კვერი დაუკრაო.

თექვსმეტი წლის უთვისტომომ ბედი სასწორზე შეაგდო, თავლიდან ბატონის ნაურვალი შავრა გამოიყვანა, ბატონს ჯუღურ სახეზე მათრახი უზუზუნა და გაქუსლა.

შეირყა ქვეყანა, მიწა იძრა ფლოქვებქვეშ, მოირეჯგვა საბატონოები. უთვისტომო გოგო დაქროდა ქვეყნიერების კიდიდან კიდე, ძარღვებში ქაჯშემჯდარი პარტახს ტოვებდა გზაზე.

მაგრამ ძლიერი აღმოჩნდა მტერი და სახრჩობელები აყელყელავდნენ გზისპირებზე.

სამი დღე მიაგელვებდა გახვითქულ შავრას ნადირის ბილიკებზე, რათა სიკვდილს გაქცეოდა. მეოთხე დღეს საგზალი გამოელია და ცხენიც დაუვარდა. ფეხით განაგრძობდა გზას გაუკვალავ ჯაგებში, ტურების კივილი კვალზე ეწეოდა.

მერე რაღაცა გაშლიგინდა ტევრში... გოგო შეშინდა და გაიქცა, მაგრამ მის გვერდით ჯაგებში ლაწუნი არ შემწყდარა. ცერობის ბოლომდე ჩაირბინა, პატარა კვაჭალიაზე გამოიჭრა და ბიჭს შეეჩეხა პირისპირ.

„ვავაი!“ — წამოიძახა გოგომ.

„ვავაი!“ — კივილი პირზე შეადნა ბიჭს. ჯერაც უწვერულს სახე შიშისაგან გამიტკალებოდა. უნდოდ შეათვალიერეს ერთურთი, ერჩივნათ თავთავიანთი გზით გაქცეულიყვნენ, მაგრამ გოგომ უნებლიედ ჰკითხა:

„აქ რა გინდა?“

„მომდევენ, — თავი ჯაგნარისკენ გაიქნია ბიჭმა, — ძაღლებით...“

„მეც მომდევენ!“

მიაყურადეს. არსაიდან ხმა არ ისმოდა, გარდა ტურების ხავილისა.

„წავიდეთ!“ — შესთავაზა გოგომ და გზა გვერდიგვერდ გა-

ნაგრძეს. მათი გულები აივსო ნდობითა და სიხარულით, რადგან სიმარტოვისა ეშინოდათ.

მზე რომ ზენიტზე ავიდა, ჩრდილში დაისვენეს, ხამ ბალახზე.

„ლამაზი ყოფილხარ!“ — გოგომ ტუჩებზე თითი შეახო.

„შენც!“ — გაწითლდა ბიჭი.

„გინდა გაკოცო?“

„მინდა!“ — ნაკვერჩხლად გადაეტკიცა ბიჭს ლოყები, ხელის მოხვევა მოუნდომა.

„ხელი არ მახლო, თორემ მათრახით აგაჭრელებ!“ — დაექადნა გოგო. ბიჭმა ხელები სწრაფად დამალა ზურგს უკან. გოგომ ტუჩებზე გაუბედავად აკოცა, მერე თვალებზე.

ორივე აცახცახდა. გოგოს მათრახი გაუვარდა. ბიჭი კი კბილებს ხურვებულივით აკაწკაწებდა და სირცხვილისა და მღელვარებისაგან იწვოდა...

ვერც კი შეამჩნიეს, მზე როდის ჩაიწვერა. თანდათან ბინდი ჩამოწვა. კვალს აყოლილმა ტურებმა ალყა დაარტყეს. აგრილდა, მაგრამ სიცივე არ უგრძვნიათ. ბედნიერი ძილი მოევლინათ, თითქოს ნამიან ბალახში კი არა, საქორწილო სარეცელში ჩაძირულიყვნენ...

ზედ ყურთან აყეფდა ქოფაკი და კანჭზე მტკივნეულად წაეტანა. თავზარდაცემული წამოვარდა, გიჟივით მიმოიხედა. თვალწინ პატარა მინდორი ირეოდა. ირგვლივ დათარეშობდნენ ცხენები, დარბოდნენ ადამიანები, ძაღლები, იდგა ერთი ღრიანცელი. ანგარიშმიუცემლად მისცა თავი ქაფათარ-ძეძვში, ტანსაცმლის ნაფლეთები შეატოვა ეკლებს. მალალი კანი დაეკაწრა, სისხლი ჩამოსდიოდა, მაგრამ შიშისაგან გაბრუებული არაფერს გრძნობდა. მირბოდა უგზო-უკვლოდ და ყეფა და ყიჟინა ინთქმებოდა ჯაგებისა და შმორიანი ჭაობების სიღრმეში. დრომ დაკარგა სათვალავი, ღამეც გაიწელა უსაშველოდ, ის კი მირბოდა და მირბოდა, რათა გადაერჩინა თავისი ჯერ კიდევ ნორჩი სიცოცხლე.

ძაღლების წკავწკავი და ადამიანთა ხორხოცი მიწყდა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ლამაზი ბიჭი გაახსენდა, გული დაეთუთქა. ალბათ იმან ადრევე მოკურცხლა, მტერს დაუგდო მძინარე სატრფო. არ უქებდა სიქველესა და გულადობას.

წუხდა, ლაჩარს სიყვარული როგორ ვაჩუქეო, თუმცა ეს იყო მხოლოდ სიტყვა, რადგან ახსოვდა იმ უცოდველი კოცნის გემო.

მთელი ღამე თავგზააბნეულად იარა. მზე რომ ამოვიდა, ვერც მიხვდა, ჯერაც ღამე ეგონა. უპეები ჩალურჯებოდა. შიმშილისაგან და წყურვილისაგან გასავათებულს თვალები გადმოხტომაზე ჰქონდა.

ჯაურა კატა შემოეფეთა საცოდავი კნავილით. მხეცი რამ ეგონა და დაუფუცხუნა. კატა ხეზე ავარდა. ტოტზე შემოსკუპებულმა ისევ კნავილით უპასუხა.

ტყის განაპირას მიაღწია და არეული გაჩერდა. მზეს ზურგს უკან ტოვებდა და წინაც, ხეებს მიღმა, მზე ღვიოდა. გაოცდა, მზე რამ გააორაო. ახლოს რომ მივიდა, ტკაცატკუცი შემოესმა, სიდამწვრის სუნი იგრძნო.

პატარა სოფელი აღმოჩნდა, ტყეში ჩაკარგული. ფიცრული და სამზადი იწვოდა. ცეცხლის ენებს ახლომდგომი ხეების გაბარჯღული ტოტებისათვის მიეწვდინა, აჰყოლოდა.

ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. დასაკლავად დამწყვდეული ჯაჭვედა გნიასობდა. საქათმის კარი გამოაღო, შეშფოთებული ფრინველი გამობერტყა.

ეზოში ოწინარი წეროსავით აყუნწულიყო, ქვებჩამოკონწიალებული კუდი ზევით აეშვირა. ვიღაცას სათლი წყალში ჩაეძირა, ამოღება კი დაჰზარებოდა და ისე დაეგდო. გაახსენდა, რომ წყურვილისაგან ენა უსკდებოდა. გვიმს გადაეყუდა, ბნელში ჩაიხედა. სახეზე სიგრილე მოელამუნა. კუპრივით ჩაბნელებულ ჭაში მოძალებული წყალი ჩხრიალებდა. ჯაჭვს დაეჭიდა და ამოსწია. წყალში სათლი ადგაფუნდა, ოწინარი მძიმე ჭრაჭუნით აყირავდა. ალბათ შიმშილმა და დაღლილობამ დაასუსტა, პატარა სათლი ემძიმებოდა. ჯაჭვი ხელისგულს უსერავდა და ხელებს ძლივს ინაცვლებდა. მერე ოწინარის კუდმა ერთბაშად გადაწონა, წვერი ცისკენ ატყორცნა, ჯაჭვზე დაკიდებული ტვირთი გვიმიდან ცობოლივით ამოაგდო.

შეჰკივლა გოგომ, გულშემოყრილი დაეცა. ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ლამაზ ბიჭს კისერი მოეღრიცა და ენა გადმოეგდო...

და გაქრა მაშინ სიცოცხლის აზრი, მიინავლა სულის ცეც-

ხლი, თვალებში ჩადგა შიში...

დაკოჟრილი ხელი გადაუსვა გოგონას ხორცსავსე მუხლებზე, ჩიფჩიფი განაგრძო. მუნჯმა გოგომ ვერაფერი გაიგო, მოსწყინდა დიდხანს ჯდომა და დედაბრის ხელებს დაუძვრა. ძიძამ თვალი მიაყოლა. დაავიწყდა, გვერდით რატომ მოისვა პატარა გოგო, რას უამბობდა... სად ეცალა სკამზე საყურყუტოდ? ათასი საქმე აწუხებდა, ოღონდ არ იცოდა, რომელი ერთისათვის მიეხედა. თავის ბოსტანში წახანხალდა. პაწია შემოღობილი ჰქონდა სასახლის უკან. ყოველ გაზაფხულს მართავდა ბოსტანს და მისი მწვანილი ხანდახან ბატონის სუფრასაც გასწვდებოდა. ახლა უბრალოდ შემოიარა თავისი სამფლობელო. ღორებს გადაეთხარათ საბოსტნე, თხებს ჭიჭყი გადაეძოვათ, მიწა ატალახებულიყო და ქუსლზე ეგლისებოდა. სიარული უჭირდა, მაინც წინ და უკან დაფამფალებდა ვიწრო თირზე. საჭირო იყო გაწმენდა, დაბარვა, გათოხნა, კვლების გავლება, ნაკვეთებად დაყოფა, ბაზოს შემოვლება და ნაზურგის გასწორება... მაგრამ ჭკუადაფანტულ ძიძას ხან ერთი ახსენდებოდა, ხან მეორე და უკანვე შებრუნდა.

თავის საკუჭნაომდე ძლივს მილასლასდა, ლოგინში ჩაწვა. ცოტა ხნის შემდეგ მუნჯმა გოგომ მოაკითხა. გაოცებულმა დახედა ლოგინს. ძიძა ისე იყო მილეული, საბანს არ ემჩნეოდა. გოგონა გაიქცა, ბიჭიკო მოიყვანა. მზარეულმა თავზე ხელი იტაცა, კამის წყალი მოურბენინა, მაგრამ ვერ დაალევინა.

მალე მთელმა სახლმა გაიგო, ძიძა ავად გახდაო. ბადუ და თეკო დერეფანში შეეფეთნენ ერთმანეთს. ორივე ძიძის საკუჭნაოსკენ მიიჩქაროდა. ბადუმ ქალი წინ გაატარა და მიჰყვა.

— შენი ჭირიმე, ძიძაია, რა დაგემართა? — მოთქმასავით გაისმა ბადუს ხმა.

თეკომ ზიზღით შეარხია მხრები, რა დაბდურააო, და ძიძას ლოგინი შეუსწორა.

XXXVIII

არვაშანგმა მცირე ხნით შემოიხედა, ავადმყოფს თავზე დაადგა, ჩამქრალ თვალებში ჩააცქერდა. თეკო ტახტის სასთუმალთან იდგა, ბადუ — ფერხთით და ორივე კრთოდა. გენერალმა ყურადღებით შეათვალიერა ორივე, კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ ტუჩები მოეღრიცა.

„რა უნდა ჩემგან, რას გადამეკიდა?“ — აწრიალდა ბადუ, აცახცახებული ხელები ზურგს უკან დამალა.

„რაღაცას ხვდება, — ჟრჟოლა უვლიდა თეკოს, — ვაითუ ყველაფერი გაიგო, ან ეჭვით მიხვდა?“

კარი რომ გაიხურა, შვებით ამოისუნთქეს, მიუხვდნენ ერთმანეთს გულისნადებს და ისევ ძიძას მიაშტერდნენ. მოხუცი ბაგეებს აცმაცუნებდა. ბადუ დაიხარა, ყური პირთან მიუტანა.

— ვითოჟირი წანერ ვორდი, ნა... მოკოდუ ტორონჯი ბჭოფიკონი, ნა... — მღეროდა ძიძა.

— მღერის? — გაოცდა ბადუ.

— გონს არ არის.

— ალბათ კვდება. — თვალებზე ცრემლი მოადგა ვაჟს.

„რა დაბდურაა?“ — ერთხელაც გაიფიქრა თეკომ, მაგრამ ზიზღს უკვე აღარ გრძნობდა.

„მგონი მირიგდება!“ — გუნება გამოუკეთდა ბადუს. მალულად შეავლო თვალი. კვლავაც უცხოველდებოდა ქალის სურვილი. „ლამაზი ქალი მხოლოდ გამბედავის წილია!“ — გაივლო გუნებაში, ნაბიჯი გადადგა და თეკოს გვერდით აღმოჩნდა. ქალი არ შერხეულა. ცალი ხელით საწოლის ზურგს ეყრდნობოდა, ძიძის დამჩაჩულ სახეს ჩასცქეროდა.

— ჩქიმი გურიში გემუანო, ნანა, ჩქიმ ხეთ მოკოდუ მობრდიკონი... — გულსაკლავად მღეროდა ძიძა და მის პაწია, ჩაკუჭუჭებული ტუჩები ცმაცუნით მისდევდნენ ჰანგს.

„გვერდით ამომიდგა, როგორი თავხედია!“ — გაიფიქრა თეკომ. საკუთარი თავისა ეშინოდა. ბადუს მიმართ უკვე არ გრძნობდა წეღანდელ მტრობას.

— თეკო, ისეთი დამნაშავე ვარ, ისეთი დამნაშავე, — თავი

მოისაწყლა ბადუმ.

ქალმა ხმა არ გასცა. ბადუმ შეიცადა და რაც შეიძლება თბილად განაგრძო:

— გინდა, მომკალი, გინდა მაცოცხლე, თეკოია. ავად გამხადა შენზე ფიქრმა. ძილში რაღაც გულზე მაწვება, მახრჩობს...

— არა გრცხვენია, მომაკვდავი ძიძის სასთუმალთან ამაზე უნდა ლაპარაკობდე? — საკმაოდ უკმეხად შეაწყვეტინა თეკომ, მაგრამ ბადუმ იგრძნო, ყინული ლხვებოდა.

— ჰო, ძიძა... — გაურკვევლად ჩაიდუდუნა.

კარზე დააკაკუნეს.

— მერე მოვალ და ვილაპარაკოთ. — სწრაფად წაუჩურჩულა გონსმოსულმა.

თეკომ უარის თქმა ვერ მოასწრო, მხოლოდ თავი გააქნია. ოთახში კოსტამ შემოიჭყიტა.

— ძიძა, შე უბედურო, დაგღალა ხომ ამ ოხერ ცხოვრებასთან ჭიდილმა! — პათეტიკურად წარმოთქვა თვალთმაქცობაში ჭიპმოჭრილმა.

თეკო ბადუს წინადადებამ ააფორიაქა. ეშინოდა კოსტას დაჟინებული მზერისა. ძიძას სასთუმალი შეუსწორა და კარისაკენ გაემართა.

— გენერალმა დაგაბარათ, თავადის ქალო, ერთი საათის შემდეგ მინახულოსო! — მიადევნა პოდპორუჩიკმა.

ქალმა ფეხს აუჩქარა, თითქოს სურდა მის სიტყვებს გაქცეოდა.

— რა უნდა ნეტავ? — გარეგნული გულგრილობით შეეკითხა ბადუ, თუმცა შიგნით ციებ-ცხელებამ დაუარა და გულღვიძლი აუწვა.

— წარმოდგენა არა მაქვს. — ფრთხილად თავი დაიძვრინა პოდპორუჩიკმა. — ექიმის მოსაყვანად კაცი გავაგზავნე, ეგებ ეშველოს რამე.

ბადუს ეშინოდა, სასადილოში დაწყებული საუბარი აქაც არ გამიგრძელოსო, და აჩქარდა.

— ისე, კი გვაქვს სალაპარაკო. — მართლაც წამოიწყო პოდპორუჩიკმა. — ჩემმა მზემ, ჩვენ შორის გაუგებრობას აქვს ადგილი...

— სხვა დროს, სხვა დროს... — სწრაფად გააწყვეტინა ბადუმ და თავს უშველა.

თეკოს ოთახს მიაშურა. ქალი ფანჯარასთან გულხელდაკრეფილი იდგა, ბაღში იყურებოდა. ხეთა ხუჩხუჩა კენწეროებზე მზით გახარებული ჩიტები ჟრიკერიკობდნენ.

ბადუმ კარი მიხურა, ქალის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა.

— ჰა, თეკო, შენი დანა და ჩემი კისერი!

— აბრძანდით, აბრძანდით, აგრე როგორ შეიძლება! — შეწუხდა თეკო, სახე აელანძა.

— არა, არ ავდგები, აი, ასე უნდა გესაუბრო! — მუხლი საკმაოდ მაგრა დაჰკრა, იტკინა, მაგრამ აბრუს არ იტეხდა. — სიკვდილმისჯილსაც აძლევენ სიტყვის უფლებას, შენ კი თავის მართლების საშუალებაც მომისპე.

შემპარავად ლაპარაკობდა, მზერა მართლაც ალალი ჰქონდა.

— ღმერთია მოწმე, შენთვის ცუდი არა მინდოდა რა... — თქვა და უმალ მიხვდა, რომ ცუდად დაიწყო.

— არა, ბატონო, ჩემი გაბედნიერება გსურდათ! — დამცინავად მოუჭრა ქალმა.

— მე ქვისა ნუკი გგონივარ. ისეთივე სუსტი ვარ, როგორც ყოველი მოკვდავი. ჩაიხედე სარკეში და თვითონ დარწმუნდები, შენს მომხიბლველობას ქვის კაციც ვერ დაუდგება წინ. განა რამე მესმოდა იმ წამს? ჩვენ ორივენი გიჟები ვიყავით...

— შენ ჩემი სისუსტით ისარგებლე...

— არა, თეკოია, არა!

— ახლა მე ვინა ვარ? — თავს დაეკითხა ქალი. — ახლა მე პატივისცემის ღირსიც არა ვარ...

— ოჰ, არა, არა! — შეიცხადა ბადუმ. — კიდევ უფრო მიყვარხარ და პატივსა გცემ. ეს ბედისწერაა! შენ ჩემთვისა ხარ გაჩენილი და მაინც ჩემი გახდებოდი. რა მნიშვნელობა აქვს, დღეს მოხდებოდა ეს თუ ხვალ. დამიჯერე, რაც დაგვემართა, ბუნების შვილები ვართ და იმიტომ დაგვემართა. პატიოსანი კაცი ვარ, დამთანხმდი და ახლავე, ამ წუთას გენერალს დავუჩოქებ, ვთხოვ, შეგვაუღლოს, ერთნი გაგვხადოს!

— არა, არა! — შეშინდა თეკო.

— თუ უარი გვითხრა, ყველაფერი გავუმხილოთ და მაშინ რაღას იტყვის?

— ო, არა, არა, დაგვხოცავს!

— მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?.. მოდი, თბილისში გავიპაროთ. მერე ბიძაც გვაპატიებს.

— არა, არა... — ანგარიშმიუცემლად პასუხობდა ქალი.

— რატომ, თეკოია, რატომ? ალბათ არ გიყვარვარ და თავი მაქვს მოსაკლავი. არ გიყვარვარ, ხომ? არ გიყვარვარ?

— ღმერთო ჩემო, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! — სასოწარკვეთილი თეკო თითებს იმტვრევდა.

— ოღონდ შემიყვარე, შენი ჭირიმე, შემიყვარე და ყველაფერი კარგად აეწყობა... — დაჩოქილმა მუხლებზე მოხვია ხელი, ეხვეწებოდა „შემიყვარეო“ და მუხლისთავებს უკოცნიდა.

— გამიშვი, ხელი გამიშვი... — ბუტბუტებდა ნირწამხდარი თეკო, აღელვებულს მუხლები უცახცახებდა, ფეხზე ძლივს იდგა.

ბადუ წამოდგა. მუხლისთავები დაჰბუჯებოდა, ტკიოდა. ქალი მიიზიდა, კისერზე თამამად აკოცა.

— ხომ შემიყვარებ, თეკოია, ხომ შემიყვარებ? — ლუღლუღებდა თეკოს თმის სურნელებით გაბრუებული და წოვდა ნექტრად ქცეულ თეთრ კანს.

გრძნობამორეული ქალი წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. ბადუმ მოულოდნელად აიტაცა მარმაშივით ამჩატებული სხეული და სარეცლისაკენ ფეხი წარსდგა.

ზარივით დაჰკრა თეკოს, ერთბაშად გაუნათდა გონება.

„ხასად ვუნდივარ, შინაურ ხასად!“ — გაუელვა გამწარებულს და მკლავებიდან დაუსხლტა.

— გზა! — საოცარი გულცივობით უბრძანა.

მხარი აუქცია ენაჩავარდნილ ბადუს. სარკესთან მივიდა, გვერდზე მოქცეული სარტყელი და თმა შეისწორა. ერთანს დაყოვნდა სარკესთან, რათა საბოლოოდ დამშვიდებულიყო და სახიდან სიწითლე გადასვლოდა.

როცა შემობრუნდა, ბადუს ცივად შეავლო თვალი.

— თქვენ ჯერ კიდევ აქა ხართ?

— მაგრამ თეკო... — უკანასკნელად სცადა ბადუმ გაბრძოლება.

— მეჩქარება, მოწყალეო ბატონო, გამზრდელი მიბარებს!

XXXIX

მახუტი არ არსებობდა. იგი არც დაბადებულა ამ ქვეყანაზე და არც გაზრდილა არვაშანგის ხელში... იყო მხოლოდ დაუსრულებელი სიზმარი, კოშმარი და ამ მაჯლაჯუნასავით მკერდზე დაწოლილმა სიზმარმა, გულის კოვზთან ამოსულმა სულთამხუთავმა მოჩვენებამ დააბერა გენერალი არვაშანგი. ახლა კი, როცა მიხვდა, ყველაფერი სიზმარიაო, ერთბაშად დამშვიდდა. მძაფრი ემოციები მხოლოდ ართულებდა ცხოვრებას. ყველაფერი ბევრად უბრალოა. ძაფის დახლართვა სულაც არ არის აუცილებელი. საკმარისია აუღელვებლად გამოსწიო ძაფის ბოლო და კოჭზე აუჩქარებლად დაახვიო. ეს უფრო გონივრულია. გორდიას კვანძი კი ნერვებმოშლილი და წონასწორობიდან გამოსული ადამიანის მოგონილია.

დაჯდა არვაშანგ გამოკეტილში, ბერივით დაეყუდა ოთხ კედელს შუა, ლუკმა არ ჭამა, ყლუპი არ დალია. აწონ-დაწონა ყოველი. საქმე ეხებოდა სულ სხვა ვინმეს, არვაშანგის ნაცნობთ, ვიღაც ბებერ გენერალს და მის აღზრდილ მახუტის. ყველაფერზე იფიქრა, გული არ ათრთოლებია. ოღონდაც სისხლი მოაწვა თვალებზე. თუ მის გადაწყვეტილებას ბედნიერება უნდა მოეტანა მისთვის, მწარე ჩანდა ჯერჯერობით ეს ბედნიერება. გადაწყვეტილება კი საბოლოო იყო... ნიღაბი მშვენივრად მიესადაგა პირისახეზე, ზედ ღიმილი მიეყინა.

წამოხტა, გაიარ-გამოიარა. საფიქრალი მეტი არაფერი ჰქონდა. ახლა ეს აზრის სიცარიელე აწუხებდა. ფანჯარა გამოაღო. თეთრი სამრეკლო ინთქმებოდა ცის სილურჯეში. რატომღაც გული აუფართქალდა, თითქოს ეწყინა სამრეკლოს ხილვა. იქნებ მართლაც არსებობდა ღვთის სამყარო. ფანჯარა მიაჯახუნა. არა, უკვე ვერავინ შეაცვლევინებს გადაწყვეტილებას. მან ყველაფერი გაითვალისწინა; საკუთარი ბედნიერებაც, მოვალეობის გრძნობაც ახლობლების მიმართ. არ დავიწყებია არც თეკო, არც ბადუ, რომელიც მალე კვლავ თბილისს დაბრუნდება და არვაშანგის შემწეობით დიდი კაცი გახდება; არც მახუტი

დავიწყებია, არც სახელმწიფო ინტერესები. ყველაფერი განსაჯა, დანომრა და თაროზე დაალაგა. ზადს ვერავინ უპოვის მის გადაწყვეტილებას.

საბოლოოდ დამშვიდებულმა კარი გამოაღო და დერეფანში გასძახა:

— ჰეი!

ძაკუსძე დაინახა, ლაქია წელში ტყდებოდა.

— კოსტაიას მოუხმე!

— Сию минуточку-ს!

სავარძელს დაუბრუნდა, პირისახეზე ახლადშეძენილი ნიღაბი აიფარა.

ძიძის ავადმყოფობაზე სიტყვაგამზადებულ პოდპორუჩიკს ქლესა ღიმილი ტუჩზე შეადნა. ყოველთვის თამამი, ახლა ზღურბლზე შეფერხდა და კაბინეტში ფეხის შედგმა გაუჭირდა. მის წინ სავარძელში ვიღაცა სხვა კაცი იჯდა. თითქოს გენერალი არვაშანგი უნდა ყოფილიყო. მას ჰგავდა კიდეც. ყველაფერი გენერლისა ჰქონდა, წაღები, გალიფე, ფრენჩი, ეშმაკისეული თვალები, ჭაღარა...

— შემოდი, პორუჩიკო!

— პოდპორუჩიკი, ჩემო გენერალო! — ერთბაშად მოვარდნილმა შიშმა და სიხარულმა დაარეტიანა ახალგაზრდა კაცი.

„ღიმილი, გაყინული ღიმილი!“ — გაუელვა უცებ. მიხვდა, რომ გენერალს პირზე ნიღაბი ეფარა და ამან უფრო დააფრთხო.

— მე ვთქვი, პორუჩიკო! — გაიმეორა გენერალმა. — აიღე სავარძელი და ჩემ წინ დაჯექი!

კოსტამ კარი ჩაკეტა, სავარძელი გამოაჩოჩა და ისე ჩაეშვა, თითქოს ეკლებზე უნდა დამჯდარიყო.

— გმადლობთ, ჩემო გენერალო! — უპასუხა ლიზღურად, თან გაიფიქრა: „რა ფასად?“ უსასყიდლო სიკეთისა მას არ სჯეროდა.

— და თუ ჩემს სურვილს შეასრულებ, — გენერალმა გამომცდელად გაუყარა თვალი თვალში, — თუ მიმიხვდები და ისე შეასრულებ ჩემს სურვილს...

„რა არის ფასი, რა უნდა გადავიხადო?“ — გამწარებული ფიქრობდა წუთის წინ პოდპორუჩიკი და ახლა პორუჩიკი კოსტაია.

— სულ მალე შტაბს-კაპიტნობაზე წარგადგენ!

კოსტა ათრთოლებული წამოხტა, მხარზე ხელი ისე მოისვა, თითქოს ეპოლეტების მოსინჯვა სურდა.

— მიბრძანეთ, ჩემო გენერალო!

— დაჯექი!

დაჯდა და შიში დაუბრუნდა. „რა ფასად, რა ფასად?“ — ეკითხებოდა თავს და ვერ პასუხობდა.

— როგორ მიდის ფოთხოევიჩის საქმე? — იკითხა მოულოდნელად გენერალმა.

— რა ვიცი, მგონი არაფერი გამოუდის! — აირია კოსტა. რატომღაც ელოდა, რომ საუბარი ბადუსა და თეკოზე გადავიდოდა. ამიტომ მზად არ იყო ასეთ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

— ჰმ, სახელიც ვერ გაიგო, ხომ?

— ხმას არ იღებს, — კვერი დაუკრა კოსტამ.

— მდა... — ისე გააგრძელა არვაშანგმა, თითქოს ეს ამბავი მისთვის ახალი იყო.

— ის ქალი რას აკეთებს? რა ჰქვია იმას?

— ჯუნა.

— ჰო, ჯუნა! — გენერალი რატომღაც დაიჯღანა. — დაუახლოვდი?

— გავიცანი! — ორჭოფულად პასუხობდა კოსტა.

— ჰოდა, პორუჩიკო, ეგ საქმე ხელის ერთი მოსმით უნდა მოთავდეს!

— მაგრამ როგორ? — პორუჩიკი თავს იმ მედუელედ გრძნობდა, მოწინააღმდეგის გასროლას რომ ელოდება.

— როგორც ალექსანდრემ გორდიას კვანძი... კეტსალი უნდა გაქრეს და, როგორ, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს!

კოსტას პირკატა ეცა, გაშტერებული მისჩერებოდა ერთხანს. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ყელიდან მარტო ხიხინი ამოუვიდა.

არვაშანგი მოიღუშა.

— შენი კარიერის საქმე შენზეა დამოკიდებული, ჩემო კარგო, — შეეცადა ალერსით ეთქვა. ხმაზე ეტყობოდა, რომ თვითონაც უჩვეულო როლი იკისრა.

— მაპატიეთ, — ამოიხვნეშა პორუჩიკმა, — მაპატიეთ, ჩემო გენერალო, შემიძლია, შეგეკითხოთ?

— არავითარი შეკითხვა! — მკვახედ მოუჭრა არვაშანგმა და უფრო წყნარად დაუმატა: — ყველაფერი თვითონ მოიაზრე და ენასაც კბილი დააჭირე... მომავალო შტაბს-კაპიტანო!

— მესმის! — წამოდგა კოსტა და გამოიჭიმა. მისი მოძრაობა მოშვებული, წეღანდელ კოპწიაობას მოკლებული იყო.

— აბა, შენ იცი!

— მესმის, ჩემო გენერალო, ნება მიბოძეთ, წავიდე!

გენერალმა თავი დაუქნია.

— სანამ ბრძანებას არ შეასრულებ, ნურც დამენახვები! — მიაძახა, როცა კოსტა კარს ხურავდა.

გულზე მოეშვა. არასდროს ასე არ გასჭირვებია ერთგულ ადიუტანტთან საუბარი. ნიღაბი მოიშორა და ყბა ჩამოუვარდა. შუბლზე ხელი მოისვა, რათა უკუღმართი ფიქრები მოეცილებინა. კარგა ხანს ვერ ამჩნევდა, ყბა რომ უთახთახებდა. მართლაც ხომ არ დავბერდიო, — შეწუხდა. უნიღბოდ უკვე საკუთარ თავთანაც არ შეეძლო დარჩენა.

ფანჯარასთან მივიდა. სამრეკლოს გახედა. თეთრი სამრეკლო ყელყელაობდა ულურჯესი ცის ფონზე. მოუნდა იმ ღმერთთან საუბარი, რომელიც არ სწამდა. ღილი შეიკრა, ბაღში ჩავიდა და საყდრისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. ყოველთვის უდროო დროს მოდიოდა, ქრისტეს სახლი მუდამ ცარიელი ხვდებოდა. რწმენამ იკლოო, — ამიტომაც ფიქრობდა. არც ახლა შეუმჩნევია კართან ატუზული მათხოვარი. გლახამ რიხიანად დაახველა, არვაშანგის ყურადღება მიიპყრო. თითქოს სადღაც ენახა აქამდე. სანამ ჯიბეში შავ ხურდას მონახავდა, იხსენებდა, სად მინახავსო. მერე იმ დილას ბოძზე კუდით ჩამოკიდებული კაკაროტი გაახსენდა, იმას შეადარა და ყველაფერი აერია. კიდეც იყო ის კაცი და კიდეც არ იყო, ალბათ მეხსიერება ღალატობდა არვაშანგს. ბუჩული ჩაუყარა ჭუჭყიან მუჭში და უმალ დაავიწყდა გლახის არსებობა.

საყდარში ბინდი იდგა. გუმბათის სარკმლებიდან ურიცხვ ძაფებად დაქუცმაცებულ სხივებს შემოეღწიათ, ცრიატა ათინათები მჭვარტლისფრად მოხატულ კედლებზე იბნეოდა. კონქზე გამოსახული ღვთისმშობელი დიდრონი, მეტყველი თვალებით სადღაც სივრცეში იცქირებოდა. არვაშანგმა იგრძნო, რაოდენ

უსუსური იყო თვითონ და დაახველა, რათა ყურადღება მიექცია იმ მათხოვარივით, შემოსასვლელთან რომ თვლემდა. უსიამოვნო ხრიალი განიბნა ჯიქაში, სხივთა ფანტელებიდან წამით გუმბათზე გამოკრთა გაფერმკრთალებული იესო ქრისტე.

ძე ღვთისა დუმდა.

შეკრთა არვაშანგ. არ დაიმჩნია. აღსავლის კარის პირისპირ დადგა, საბრძოლველად გამზადებული სარდალივით მიმოიხედა. „თეატრია, მასხარაობაა!“ — უნდოდა წამოეძახა, მაგრამ ვერ გაბედა.

„რად სდუმხარ, ღმერთო, რატომ არაფერს მეუბნები?“ — ფიქრობდა და გრძნობდა, რომ მიწა სადღაც ქვევით ეზიდებოდა, თითქოს განგებას უნდოდა მოეხრევინებინა გაკერპებული მუხლები.

„ხომ ყველაფერი შევასრულე, რაც მიბრძანეთ?“ — იმეორებდა უიმედოდ.

ძე ღვთისა კი დუმდა. მისი მომნუსხველი, მკაცრი თვალები ხანდახან თუ გამოკრთებოდა სხივთა ფანტელებიდან და ათინათების რიალში კვლავ იკარგებოდა.

„მოვალეობა დავივიწყე მისი გულისათვის, — ისტერიულად იკივლა ბაგემოკუმულმა, — ისიც ხომ ღვთის მგმობელია, შენ კი მხოლოდ მე მსჯი!.. ჩემი არა გჯერა?.. მაგრამ რატომ, რატომ?.. მე ხომ მას სიცოცხლე მინდა ვაჩუქო!..“

ხითხითი მოესმა. ფიქრი გაუწყდა. მის სულში გიჟმაჟი ეშმაკუნა იფხრიწებოდა სიცილისაგან და ყირაზე გადადიოდა. „სიცოცხლე, ჰა-ჰა-ჰა, სიცოცხლე?..“ — ეკითხებოდა არვაშანგს, სულს უწეწავდა.

ფრესკები კი დუმდნენ. ღმერთს მისთვის არ ეცალა და აღშფოთდა მაშინ არვაშანგ.

„რა თქვენი საქმეა? რა თქვენი საქმეა?!“ — მიახალა შინაგანად დაძაგრულმა და ამბიონს ზურგი შეაქცია.

ეშმაკუნა ყირაზე გადადიოდა არვაშანგის სულში და შავი ხურდის საძებრად ხელს აფათურებდა.

საყდრიდან რომ გამოდიოდა, ისევ იმ მათხოვარს შეეჩეხა. მზეს მიფიცხებოდა, თვლემამორეული თავს აქანქარებდა, ფეხის ხმა რომ მოესმა, ხელი დაუზარებლად გამოუწოდა. გაახსენ-

და, რომ წყალობა უკვე მიიღო, ჭუჭყისაგან ჩაშავებული ხელი ჯღანმანში დამალა.

— მადლობა მაინც გეთქვა! — გულღრძოდ დაუგდო არვაშანგმა.

მათხოვარმა შიშიანი თვალები ააცეცა.

გენერალმა ხელი ჩაიქნია და შინისაკენ ფეხაკრეფით გასწია.

XL

— დიდხანს გალოდინე?

— არა, წუთით შემოგასწარით.

თეკო თვითონვე დაიბარა, მაგრამ კაბინეტში რომ დახვდა, ისევ მოუსვენრობამ შეიპყრო. საუბრის გადადება ერჩია, თავს ძალა დაატანა.

— დაჯექი! — ალერსიანად უთხრა და იმ სავარძელზე მიუთითა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ადიუტანტმა თავისთვის მოიჩოჩა.

თეკო წელგამართული დაჯდა. სახეზე არაფერი ეტყობოდა. თითქოს ყველაფერზე ხელი ჩაექნია. ამდენ მღელვარებას ორიოდე დღეში ცვილისფერი გაეხადა და ძალაგამოლეულს რომელი ნიავიც წამოუბერავდა, იმას დაჰყვებოდა.

„რაღაც დაემართა...“ — შეეჭვიანდა არვაშანგი.

ნიღაბი საუცხოოდ ემსახურებოდა პატრონს. მის მიღმა იფარებოდა ის შინაგანი თრთოლვა, რასაც გენერალი განიცდიდა.

— ფერმკრთალი მეჩვენები, შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— არა, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ...

— მახუტის ამბავმა ხომ არ შეგაწუხა?

— არა, არა... მახუტიზე სულ არ ვფიქრობ. ის ისე შორსაა...

არვაშანგმა შეიცადა, ეგებ რამე მკითხოსო. ქალს სიტყვა არ გაუგრძელებია.

— ბადუსთან ხომ არაფერი მოგსვლია? — სხვათა შორის შეეკითხა და შედეგმა თვითონვე შეაკრთო.

თეკოს ლოყები აუღვივდა, გამეტებული აჩქარებით მხრები შეარხია.

— რა უნდა მომსვლოდა? — კითხვა შეუბრუნა.

— რა ვიცი! — ეჭვით გააქნია თავი გენერალმა.

— არაფერიც არ მომსვლია! — უკვე ცივად დაუმატა, მაგრამ არვაშანგის თვალს არ გამოპარვია თეკოს მუხლებზე დაწყობილი ხელების თრთოლვა.

„ღელავ და რაღაცის დამალვას ცდილობ, ძვირფასო!“ — სისხლი თავში აუვარდა არვაშანგს. მასში ჯალათმა გაიღვიძა. თითები ჭანგებად ექცა და ჰაერს წაეპოტინა, უნდოდა ყელში ხელი ეტაცა, სიმართლე ეთქმევინებინა.

თავის შეკავება არჩია, არ ჩასძიებია.

— ალბათ ჩემს წინადადებაზე იფიქრე.

— რა წინადადებაზე?

— ამას წინათ ხომ გითხარი, შენს ბედზე ვიფიქროთ-მეთქი.

— ჰო, ჰო... — ახლაღა შეახსენდა ქალს. — დიახ, ბევრი ვიფიქრე, ღამე არ მძინებია.

საკუთარმა სიტყვებმა თვითვე გააოცა. რისთვის ჭირდებოდა ეს უწყინარი სიცრუე.

— მერე?

— მერე არაფერი.

არვაშანგს გულზე მოეშვა. წამოდგა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

თეკო ფანჯარაში იყურებოდა. „კარგი ხედია!“ — გაიფიქრა. როგორ უნდოდა ყველაფერი დაევიწყებინა და ეფიქრა სხვა რამეზე, თუნდაც ამ ხედზე ფანჯრიდან, ჩიტებზე, ყვავილებზე, მზეზე... ყოველგვარ უმნიშვნელო საგანზე.

— სულ ასეთები ხართ, ახალგაზრდები, ჭოჭმანობთ, ჭოჭმანობთ... დრო კი გარბის.

— მე არცთუ ისე ბებერი ვარ, ძია არვაშანგ! — თეკომ გახუმრება სცადა.

გენერალი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, არაფრად ეპიტნავა სიბერის ხსენება. აზრის ძაფი გაუწყდა. ერთხანს ხმის ამოუღებლად დააბიჯებდა სავარძელსა და წიგნის კარადას შორის. მერე თავზე დაადგა გახევებულ ქალს.

— კი მარა, მაინც ვერ გავიგე, ბადუს რას უწუნებ?

თეკომ ტუჩები უსიტყვოდ დამანჭა, მხრები ზიზღით შეარხია. არვაშანგისათვის ისევ განათდა, მყის გადაუარა დღევან-

დელმა მღელვარებამ, გადაიგდო გულისწუხილი, ფერიც კი მოემატა. ეს უცაბედი გადასხვაფერება თეკომაც შეამჩნია, თუმცა მიზეზს ვერ მიუხვდა. ქვეცნობიერად გრძნობდა, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა მისთვის გამზრდელს და ეს „რაღაც“ სამუდამოდ გადაწყვეტდა თეკოს ბედს.

გენერალმა სავარძელი ახლოს მოაჩოჩა, შიგ ჩაეშვა, ყურადღების მისაპყრობად ქალს დაძარღვული ხელი მუხლზე წაუთათუნა.

— მომისმინე, გეთაყვა!

თეკო უცებ აიზღარბა, თითქოს ბადუს წადილით სავსე ხელი შეეხო.

— მომისმინე! რასაც გეტყვი, ალბათ გაგაოცებს, მაგრამ უკეთესია, დაუფიქრდე. მე ცუდს არ გირჩევ...

შეიცადა, იქნებ გამაწყვეტინოსო. თეკო დუმდა და არვაშანგმა დარბაისლურად დაიწყო სიტყვათა ბადის ქსოვა.

უკვე რამდენი წელია, რაც თეკო ამ სახლში ცხოვრობს. აქ გაატარა ყრმობა, აქ დაქალდა. მიეჩვია არვაშანგის წინაპრების დანთებულ კერას, ამ წალკოტს, ხურჩას ნაპირას რომ გაშლილა; მიეჩვია აზრს, რომ ის დიასახლისია ამ დიდი სახლისა და პირველი ბანოვანი ოხაჩქუეში. მაგრამ აი დადგა არჩევანის დღე. თეკომ ვინმეს უნდა აჩუქოს გული და შექმნას ოჯახი...

„ღმერთო ჩემო, რატომ მაჩქარებს? — ვერ გაეგო თეკოს. — რად სურს თავიდან მომიშოროს?.. რატომ მაინცდამაინც ახლა?..“

ბოლოს და ბოლოს თეკო ბავშვი როდია. უფლისა და ადამიანთა წინაშე ყველამ დროზე უნდა მოიხადოს ვალი. ქალის უპირველესი მოვალეობა კი ოჯახია. ყოველმა ქალმა იცის ეს და თავს ისე შველის, როგორც შეუძლია. ზოგი გულს აყვება, მერე ბედს იწყევლის; ზოგი კი გონებას დაეკითხება... თეკომ უნდა აწონ-დაწონოს ყველაფერი და თავისი შესაფერისი პარტია შეარჩიოს.

თეკომ ქუთუთოები ოდნავ მოკიჟა. მერედა, ვინ არის ეს პარტია? მახუტი უკვე არ არსებობს! ბადუ... ფიქრიც კი არ ღირს ბადუზე... ქალაქში ბევრია თეკოს მოტრფიალე, მაგრამ საკუთარ გულს ხომ ვერ უბრძანებ? აბა, რა ბედენაა კოსტაიას მსგავს ქვემძრომს მისთხოვდე?.. ან იმ ქლესა მოხელეს, ძაბუ-

ლის რომ თავი საქვეყნოდ მოჭრა...

არვაშანგის აზრით, თეკო სწორედ იმ ქალთა ტიპს განეკუთვნება, ვინც ასჯერ გაზომავს, სანამ რამეს გადაწყვეტს. თეკო გონებას უნდა დაეკითხოს, დაბეჯითებით ურჩევს ამას არვაშანგი. ოღონდაც, რას უკარნახებს გონება თეკოს? ისეთი ნაბიჯი გადადგიო, მერე სანანებელი არ გაგიხდესო. საუკეთესო გამოსავალი აქ ერთია: ის უნდა დარჩეს ამ სახლის დიასახლისი და ოხაჩქუეს პირველი ბანოვანი... ნუთუ აქამდე ამაზე არ უფიქრია თეკოს?

„მაგრამ როგორ?“ — თეკო ვერ ჩასწვდომოდა არვაშანგის სიტყვათა აზრს. ცდილობდა მიმხვდარიყო, რას ურჩევდნენ. მზად იყო აესრულებინა მოსიყვარულე გამზრდელის ყოველი რჩევა, მაგრამ არვაშანგი ისეთი შორი გზით უვლიდა, თეკოს ვერაფრით გაერკვია, რას მოითხოვდნენ მისგან.

— მე უკვე ასაკში ვარ. — აწუწუნდა არვაშანგი. — მახუტის ამბავმა მთლად წელში გამტეხა. ვგრძნობ, დიდი ხანი არ მიწერია. ხანდახან შუა ღამეს გამეღვიძება ბავშვივით შეშინებულს და მეჩვენება, რომ სიკვდილს ძლივს გავასწარი. როცა ვიძინებ, დარწმუნებული არა ვარ, რომ მეორე დილას გამეღვიძება...

თეკომ სიბრალული იგრძნო.

— შეიძლება, ხვალვე მოვკვდე. — თავს აცოდებდა არვაშანგი. — მე ასე გულახდილად არასოდეს მისაუბრია ვინმესთან. პირველი შენა ხარ... შეიძლება მე ხვალვე მოვკვდე. ჩემთვის ეს სიკეთეა, სიკვდილი შვებას მომიტანს, მაგრამ შენ რაღა გეშველება? ალბათ ბადუ დაეპატრონება აქაურობას. მისი ცოლი კი, ანგელოზიც რომ იყოს, შენისთანა ლამაზ მეტოქეს ვერ გიგუებს. ქალების ამბავი არ იცი?..

თეკო უცებ გამოფხიზლდა. თვალებიდან ბურუსი გადაეყარა. რას ნიშნავს ეს სიტყვები? ბადუსა და მისი ცოლის სამადლოდ რატომ გაუხდება ვითომ საქმე?.. ასე თუ მოხდა, განა აქედან შორსაა წყალუხვი ხურჩა?

— მაგრამ მე მსურს სხვანაირად ვიმოქმედო. ბადუ დაბრუნდება თბილისში. იქ ექნება ყველაფერი, რაც საჭიროა მისი კარიერისათვის და მაღალ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის...

არვაშანგი შეყოვნდა, ხმას დაუწია, სიტყვა თაფლად აქცია.

— შენ კი, ჩემო გოგო, დაგრჩება ეს სახლი, ბაღი და ყველაფერი ის, რაც ოხაჩქუესა და მის შემოგარენში მეკუთვნის. ყოველწლიური შემოსავალი იმდენი გექნება, რომ შეგეძლება იცხოვრო, როგორც მაღალი წრის ქალს შეეფერება...

თეკოს თვალებში სინათლე ჩაუდგა... ის დიდად დავალებულია არვაშანგისაგან. გამზრდელის სიკეთე განუზომელია. რითი შეუძლია სამაგიერო გადაუხადოს პატარა, სუსტმა თეკომ. მას არაფერი აქვს გარდა მადლიერების გრძნობისა და, რასაკვირველია, სანამ თეკო ცოცხალია, არვაშანგ ჩიჩუას მლოცველად დარჩება...

— მაგრამ აქ პატარა ფორმალობაა... — მღელვარებისაგან ტუჩები გაუთეთრდა, შუბლი დაეცვარა არვაშანგს, დატანჯა ქალის მიუხვედრელობამ. — ყველაფერი ეს რომ კანონიერად მიიღო, ჩემი ქვრივი მაინც უნდა გახდე! — მიახალა უცებ, გველის მომნუსხველი მზერით ჩააცივდა ქალის დაბინდულ თვალებს.

თეკოს სულში რაღაცა ჩაწყდა, რაღაც ჩაიმსხვრა; ლურჯი თვალები ფართოდ გაეხილა და მაინც ვერაფერს ხედავდა. მის ყურთან უცნაური რამ ბგერა ირწეოდა, მაგრამ ბგერა ვერ ქმნიდა სიტყვას და ვერ აღწევდა ცნობიერებამდე.

— ცუდად ნუ გამიგე, ჩემო თეკო, ეს მხოლოდ ფორმალობაა. — აჩქარდა არვაშანგი. — ჩვენი ქორწილი ხომ ფიქტიური იქნება... ჩვენ წინანდებურად ცალ-ცალკე ვიცხოვრებთ... — და უფრო ნელა დაუმატა: — რომ მოვკვდები, ორმოცს შემდეგ შეგიძლია, ვისაც გინდა, მისთხოვდე.

თეკომ ჩაიხითხითა, სწორედ ისე, როგორც ძიძამ კიბეზე, როგორც ეშმაკმა არვაშანგის სულში; თვითონვე შეშინდა, პირზე ხელი აიფარა, მაგრამ შიგნით რაღაცა თრთოდა და თეკოს არ შეეძლო თავის შეკავება.

არვაშანგი დაფრთხა, დაძარღვული ხელი ისევ მოუთათუნა მუხლზე.

— დამშვიდდი, გეთაყვა, დამშვიდდი!

თეკო კი თანდათან უფრო და უფრო იცინოდა, თავის შეკავება არ შეეძლო.

— დამშვიდდი-მეთქი, ახლავე გაჩუმდი!

თეკო კი უკვე ხარხარებდა, ისტერიულად, გიჟურად...

სავარძელში ღონემიხდილი იკლაკნებოდა, თვალებიდან ჩამოღვარღვარებული ცრემლი ლოყებს გარდიგარდმო უხაზავდა... მთელი სხეულით ძაგძაგებდა და ხარხარებდა...

— გაჩუმდი, ახლავე გაჩუმდი! — წამოხტა შეურაცხყოფილი არვაშანგი, სავარძლიანად შეანჯღრია სიგიჟის პირას მისული ქალი.

უცებ სიცილი შეწყვიტა. ტუჩები ჯერ კიდევ უთრთოდა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, მაგრამ არ იცინოდა. თვალებიდან აშკარა ზიზღი უკრთოდა.

— შენც, შენც! — წაიჩურჩულა და თითები არვაშანგის ჭაღარა მაწაკს შეახო. — შენც, ბერიკაცო?!

და ისევ ახარხარდა, თავშეუკავებლად, შეურაცხმყოფლად, ისტერიულად.

— გაჩუმდი! — დაუსისინა არვაშანგმა და ლოყებზე სილა მოუნაცვლა.

ხმა ჩაუწყდა თეკოს, — ბავშვივით სლუკუნებდა, მხრები უთრთოდა, თავს ვეღარ ფლობდა. სავარძელში მოიკუნტა, მუჭის ტოლა გახდა და მორჩილად წაიჩურჩულა:

— მაპატიე, დიდო ბატონო!

იჯდა ნაცემი ლეკვივით მხრებდაყრილი, სავარძელში ჩაჭუჭკული და თვალებიდან ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა.

XLI

და დაიხურა მახუტის კუბოს სახურავი. სიბნელე მოაწვა ერთადერთ სარკმელს, სუფთა ჰაერს გზა დაუხშო.

„ცას მეტად ვერ ვიხილავ!“ — გულში სინანულით გაივლო სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მყიფე ძაფებით დაკიდებულმა. იგი ჩიჩუების წინაპართა აკლდამაში ცოცხლად იყო ჩამარხული. ხრწნადი გვამები ფოსფორით ციმციმებდა და ეს არღვევდა საფეთქლებზე სალტესავით შემოჭერილ სიბნელეს.

მახუტიმ კუბოთა რიგებს ჩაუარა. ქიისგან დახრული ფიცრები ჩანგრეულიყო, იქიდან მტვრადქცეული ჩონჩხები ზიმზიმებდა.

მერე ერთ კუბოს სახურავი მოსკდა ხმაურით. იქიდან გრძელი ჩონჩხი ამოჩლახუნდა. ჩონჩხს მხრებზე ობმოდებული ეპოლეტები ეკეთა, თვალის ფოსოები შავ ლაქებად მოუჩანდა. წამოიხახვა, მახუტისაკენ გაჩაჩხული ხელი გამოიწოდა. შეძრწუნებული მახუტი სლიპ კედელს მიაწყდა, იმ ადგილს სწრაფად გაშორდა. ჩონჩხმა ხელის მტევანი მოიმსხვრია და ზურგში ესროლა გაქცეულს.

სხვა კუბოებს უკვე შორიდან უვლიდა. გრძნობდა, რომ მათშიც გამოეღვიძათ მტვრადქცეულ ძვლებს და ვიწრო კედლებს აწყდებოდნენ.

მახუტი გარბოდა მიწაზე ხვავრიელად დაყრილ თავის ქალებზე, კბილების ღრჭიალი და კაწკაწი მოესმოდა უკან.

„ჩვენი გვარისა ხარ, მაგრამ მტერი ხარ, მტერი!“ — მოჰკიოდა კუბოზე წამოხახვული ჩონჩხი. ცდილობდა ჩაჟანგული ხმალი ამოეძრო ქარქაშიდან.

„აქ რა მინდოდა? — ფიქრობდა შეძრწუნებული მახუტი. — აქ ვინ ჩამომაგდო?..“

აქოშინებულმა ხვრელს მიაღწია და გაძვრა. დიდხანს მიფოფხავდა ვიწრო, ნესტიან ჯირგინში და ჩონჩხების ჩხარუნი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა მის კვალზე.

ხმაური მიწყდა. გადარჩა. თავი დააღწია ეპოლეტებიან ჩონჩხს, სიცოცხლემ კიდევ ერთი ბაწარი გადმოუგდო.

შუბლზე ოფლი მოიწმინდა. ნაბიჯი გადადგა, რათა გვირაბი გაევლო და ცა ეხილა...

სუსტი ქირქილი მოესმა. პატარა ოთახში აღმოჩნდა. კუთხის ბუხარში ცისფერი ალი უკვამლოდ ბჟუტავდა. ბავშვის საწოლზე ცალი ხელით გადაყრდნობილი კაცი მახუტის შემოჰყურებდა. კაცს სახე გალურჯებოდა, მუცელში გარჭობილი დანის ტარი მოუჩანდა. იატაკზე სისხლის გველები დაძრწოდნენ. ერთი მათგანი მახუტის ფეხსაცმლის ლანჩს შემოხვეოდა და გესლავდა.

„შენ მკვლელი ხარ!“ — უთხრა ლურჯმა კაცმა.

„მე ღალატი დავსაჯე!“ — მახუტიმ ზიზღით მოიშორა ლანჩზე შემოხვეული სისხლის გველი.

„ღალატი უკვდავია, მას ვერ მოკლავ!“ — კაცი განაგრძობდა ქირქილს და ნებით ეალერსებოდა დანის ტარს.

„მე ღალატს იქ დავსჯი, სადაც მოვიხელთებ!“ — გამომწვევად პასუხობდა მახუტი.

„მაშ წაიღე ეს დანა და მოჰკალ არვაშანგი!“ — ლურჯმა კაცმა დანა ჭრილობიდან ამოიძრო და მახუტის ფეხებთან დაუგდო.

„მოჰკალ ბადუ!“ — კაცმა ჭრილობიდან მეორე დანა ამოიძრო და ისიც ფეხებთან დაუგდო.

„მოჰკალ თეკო!“ — კაცმა ჭრილობიდან მესამე დანა ამოიძრო და ისიც ფეხებთან დაუგდო.

„სტყუი, სტყუი!“ — აღშფოთდა მახუტი და უკან დაიხია.

„შენც კარგად იცი, რომ არ ვტყუი!“ — მშვიდად ჩაიდუდუნა კაცმა.

„მე მყავს ჯუნა!“

„სიკეთე წამიერია, ბოროტება კი მარადიული!“

„შენ კაცისძირა ხარ!“

„ღალატი ათასსახეებაა, — ისევ აქირქილდა ლურჯი კაცი, — ცხრათავიანი დევია, ერთ თავს წააცლი, ორი ამოვა!“

„კარგი ვქენ, რომ იმ დანის ქარქაში გაგხადე!“ — მიუგდო მახუტიმ, ზურგი შეაქცია.

„შენც სიკვდილის კერძი ხარ!“ — მიაძახა კაცმა ღვარძლიანად.

„ჩემთვის ტყვიასა სძინავს!“ — ზვიადად უპასუხა და გავიდა.

არც გვირაბი იყო, არც საკანი. ბინდი მოეფინა ქუთუთოებზე, წკვარამში ჩაიძირა, თუმცა მაინც ხედავდა, რა ხდებოდა ირგვლივ. გაახსენდა ლურჯი კაცის სიტყვები და მიხვდა, რომ მართლაც მოკვდა, ოღონდ ვერ შენიშნა, როდის მოხდა ეს: იმ წამს, როდესაც არვაშანგი გავიდა საკნიდან, თუ მაშინ, როდესაც ლურჯმა კაცმა თავის ალიკვალად ჩათვალა ბადუ, თეკო და არვაშანგი.

მწარე ყოფილა თურმე სიკვდილი!

ზარბაზნის ლაფეტზე თეთრი კუბო დგას, თეთრი ცხენები ბოროტად კუსავენ თვალებს, ფლოქვებით ამსხვრევენ ქვაფენილს.

ქუდმოხდილი მამაკაცები მოდიან დინჯად, თავზე მუშტებს იცემენ და ბავშვებივით ზლუქუნებენ:

„ვავა, ვავა!..“

შაოსანი დიაცები იხოკავენ ლოყებს და გაჰკივიან:

„დიდუ, დიდუ, ნანა-სქუა!..“

შემოუქობავ შავებში ჩაცმული ჯუნა კუბოს თავს ახლის, ჩამოშლილი თმები კუბოს სახურავზე ეღვრება, ცრემლგამქრალ თვალებსაც უფარავს, დახოკილ ლოყებსაც.

„მახუტი, ბიჭო! რად დამტოვე, შე უღმერთო, შენა!..“

მოთქვამს გულგამეხებული და მამაკაცთა ქვითქვითი, დედაკაცთა წივილ-კივილი ეხმიანება ამ მოთქმას...

ანაზდად ყრუ ქვითინი გაისმა. ვიღაცა უზომოდ დამწუხრებული გოდებდა.

მოიხედა ჯუნამ. თავქუდმოხდილი, დაბერებული არვაშანგი მოდიოდა მკერდზე მუშტის ცემით; შავებიანი, ლოყებდასისხლიანებული თეკო მოჰყვებოდა უკან; ზაფრანადაქცეული, მხრებში თავჩარგული ბადუ ფეხს ითრევდა... მათ კვალზე კი ჯელგა-ჯელგა მოაჭენებდნენ ცხენ-ლანდებზე შემსხდარი ეპოლეტებიანი ჩონჩხები, რათა გაეტაცათ და საგვარეულო აკლდამაში ჩაემარხათ ჩიჩუების გზააბნეული ნაშიერი.

„არ მოუშვათ!“ — იკივლა ჯუნამ.

„არ მოუშვათ!“ — იხუვლა ხალხმა და შეიკრა შეუვალი წრე ზარბაზნის ლაფეტზე დასვენებული კუბოს ირგვლივ...

* * *

ზმანებებმა შეაწუხა. როცა გამოიღვიძა, სარკმლიდან შემოსულ სინათლეს ჰკიდა თვალი. გაუხარდა, რომ ჯერაც ცოცხალი იყო. ერთხანს ცდილობდა მეხსიერებაში ღამეულ მოჩვენებათა აღდგენას, ოღონდ თანმიმდევრობა დაერღვა; ახსოვდა, რომ მკვდარი იყო და ჯუნა დასტიროდა... გული აუჩუყდა.

როდესაც ადგა, მიხვდა, რომ ისევ რაღაც შეცვლილიყო. მართალია, საკანი არ გამოუცვლიათ, არც ციხის ქლესა თანამშრომელთა ყურადღება აკლდა, მაგრამ მაინც შეიცვალა რაღაც... მან თავი სიკვდილმისჯილად იგრძნო...

ნაშუადღევს ფოთხოევიჩის კაბინეტში წაიყვანეს.

— გენერალმა კვლავ მე დამავალა ძიების გაგრძელება. — მეგობრული ღიმილით დახვდა ბატონი კარლო. — გადავწყვიტე მეთოდი შევცვალო. იმედი ნუ გაქვს, რომ წონასწორობიდან

გამომიყვან. ხმის ამოღებამ იქნებ შენ თვითონ გარგოს, მე კი შენი პასუხი სულაც არ მჭირდება. ძველებურად თუ გაჯიუტდი, სხვა რამ გზას მოვნახავ!

წამოდგა, მძიმე, დამტვერილი ფარდა ოდნავ გადასწია. ვიწრო ჭრილში დღის სინათლე შემოიჭრა. თითქოს აკლდამა გახსნესო. მახუტიმ ერთხელ კიდევ ჰკიდა თვალი ლურჯ ცას.

ფანჯრის გისოსზე ჩიტი ჩამომჯდარიყო და მონდომებით ჟრიკერიკობდა. მახუტის თვალებში სინათლე ჩაუდგა. კიდევ ერთი ძაფი გაიბა სიცოცხლესთან, კიდევ ერთი ძაფი გაწყდა ჭაბუკსა და სიკვდილს შორის. ჯერ ყველაფერი არ იყო დამთავრებული.

ფოთხოევიჩმა მის თვალებში ნაპერწკალი შეამჩნია და ფარდა დახურა. ოთახში ფოსფორით განათებული აკლდამის სიფრიფანა შუქი დადგა, ოღონდ გვიანი იყო. ტუსაღს იმედის ნამცეცი შერჩა.

— ესაა ჩემი საბოლოო სიტყვა! — რიხით დაამთავრა გამომძიებელმა. — მე დაგისვამ ჩვეულებრივ კითხვებს და თუ ისევ დუმილით მიპასუხე... — მუშტი მოკუმა და მაგიდაზე მსუბუქად დაარტყა.

მახუტი არ შეპასუხებია.

— რა გქვია?

„თავიდან იწყება!“ — ტუსაღმა პირი მოკუმა.

— რა გქვია?

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი!“ — მონოტონურად არაკუნდა სიტყვა გონებაში.

— რა გქვია?

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი...“

ფოთხოევიჩი მაგიდას იდაყვით დაეყრდნო. ჩუმად იჯდა და ისე ათვალიერებდა ჯიუტად ბაგემოკუმულს. თითები ააკაკუნა და პროშ ტუჩებს ისე კრეფდა, თითქოს სტვენას აპირებსო.

— Ну чтож милеиший! — დაასკვნა საბოლოოდ, გადმოიზნიქა და მარცვალ-მარცვალ გამოსცრა: — ახლა კი გაგიმხელ, რასაც გიპირებ. სულ მალე, დღისით-მზისით გაგიყვან სასაფლაოზე, ვითომ ამოცნობის მიზნით. ამოვაგდებ შენი მსხვერპლის გვამს, რათა უკანასკნელად გასიამოვნო. ზურგში ტყვი-

ას მიგაყოლებ გაქცევის მცდელობისათვის და შენც მასთან ერთად ჩაგმარხავ... საუკეთესო მეზობლობა გექნებათ...

ტუსაღი დუმდა.

— ნუ გგონია, ენას ვიფხანდე, გულს მოვიფხან და დავმშვიდდები. ამ არეულ დროში მაინც არავინაა გამკითხავი.

მახუტი დუმდა. იცოდა, რომ ეს სიტყვები ლიტონი მუქარა არ იყო. ისევ გაინასკვა გაწყვეტილი ძაფი სიკვდილთან.

XLII

მეორე და მესამე დღეს ჭრია სიცხე დადგა. ოხაჩქუელები უიმედოდ უყურებდნენ თვალისმომჭრელად ლურჯ ცას. თითქოს არც ყოფილიყო ერთი კვირის წინ წვიმები, დამსკდარი მიწა მტვრად იფშვნეოდა. ახლადაყრილი კვირტები კანში იხარშებოდნენ, ნორჩმა ფოთლებმა უცბად დაკარგეს სიხასხასე.

ცაზე კამარა შეჰკრა მოთვალთვალე ქორმა. მის კვალზე ალივლივდა ცხელი ჰაერის ჭავლი.

ქალბატონ მინადორას დაწესებულებაში ხალხი ბუზივით ირეოდა. ღრმად ჩაფიქრებული ფოთხოევიჩიც აქ ეძებდა სიგრილეს.

ბაზარში ხბო გაცოფდა, მოღვარსლებულ ხალხს დაერია. მარჯვე ყასაბმა კისერში დანა გამოუსვა, სისხლით ქვაფენილი შეღება.

მაზრის სამმართველოს წინ ყარიბი წაიქცა, ბნედამ მოუარა...

ფანჯრიდან მაზრის უფროსმა გამოყო ყვითელი თავი, მაგრამ მზის სხივებისა შეეშინდა და სასწრაფოდ ფარდას ამოეფარა.

ოხაჩქუეში მორცხვი და უცოდველი ძაბული დაბრუნდა. ეკას ნაამბობი ცოტა გადაჭარბებული აღმოჩნდა, ქალიშვილი თურმე ოდნავ გაკაწრულა. ქალბატონ ფაქიზოსთან ერთად ხეივანში ჩამოისეირნა და მთელ ქვეყანას გააგებინა, ჩვენზე ჭორაობთ, მაგრამ გასკდით ჭიჭინაზე, ჩვენზე პატიოსანი და კულტურული ოჯახი ოხაჩქუეში არ არისო.

თავადმა გივიმ ეს გაიგო, ეახლა დედა-შვილს, ყველაფერი მიპატიებიაო, — ძაბულის უთხრა. ქალიშვილმა შორს დაიჭირა, ისეთი არაფერი ჩამიდენია, პატიება მჭირდებოდესო. მაშინ

მე მაპატიეო, — ჭაბუკი შეეხვეწა და ამაზე დაყაბულდნენ.

ხუტა არც არსად გაქცეულა. ორიოდე დღით გაემგზავრა სოფელს ნათესავების მოსანახულებლად. იქ ქეიფსა და ტაშ-ფანდურში გაატარა დრო. სიმთვრალეში ვიღაც გლეხის გოგოც კი დანიშნა. როდესაც გამოფხიზლდა, სოფლიდან გამოიპარა და ისევ ოხაჩქუეში ჩამოვიდა. ისე თამამად დასეირნობდა, თითქოს თავს არაფერი გადახდენოდეს. მერე გივის გადაეყარა. თავადმა თვალი აარიდა, უნდოდა გვერდი აევლო. ხუტამ იდაყვზე სტაცა ხელი, გვერდით აეკრა, აქაქანდა; გივის ჭირიმე, ყველაფერი მოგეჩვენა, თორემ ხუტა როგორ გიღალატებდაო. მოკვდეს მაშინ ხუტა, მეგობრის ყადრი თუ არ იცისო.

შეყვარებულ ყმაწვილს მისი ერთი სიტყვაც არ სჯეროდა, თავს უმწეოდ და დამცირებულად გრძნობდა, ოღონდ ქლესა მოხელე ვერ მოეშორებინა და იძულებული იყო ეთმინა...

ჩიჩუების სახლში ყველაფერი აირია. გენერალი არვაშანგი კაბინეტში გამოიკეტა. ლომივით ბრდღვინავდა ბებერი გენერალი, კედლებს ეხლებოდა. თეკო ლოგინიდან არ ამდგარა, არც არაფერს ჭამდა, არც სვამდა, საოცრად დაღლილი და ღონემიხდილი იწვა, ცრემლი გაშრობოდა.

ყველასაგან მოწყვეტილმა ბადუმ სრული სიმარტოვე იგრძნო, არ იცოდა რა ეკეთებინა, რითი გაერთო თავი. სუფთა ქაღალდიც კი დაიდო წინ, მედეა ნიჟარაძეს წერილს მივწერო. ამ ხნის განმავლობაში პირველად გაიხსენა თბილისელი სატრფო. ერთი სიტყვაც ვერ დაწერა, რადგან მოწყენილობა და გაურკვეველი შიში გულზე ლოდივით აწვა.

მესამე დღეს არვაშანგი თვითონ შევიდა თეკოსთან.

— ქორწილი ხვალვე! — სახეში არ შეუხედავს, ისე დააგდო კუშტად.

— დიახ, დიდო ბატონო! — მორჩილად უპასუხა თეკომ.

გენერალმა მოძღვარი მოიხმო, თადარიგის დაჭერა უბრძანა. ღვთის მსახური მოიღუშა, — ასეთი ქორწილი უკანონოა, ღმერთსა ვცოდავთო, — მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ გაიფიქრა. თავდახრილი და ტუჩმოკუმული გამოვიდა კაბინეტიდან. ღიმილშეყინულ არვაშანგს შეკამათება ვერ გაუბედა...

ყუმბარის აფეთქებას ჰგავდა ეს ამბავი ოხაჩქუესათვის.

აქაქანდა, აჩურჩულდა უსაქმური ბრბო; დაიქსაქსა ჭორების ბადე, თუმცა არვაშანგი ისეთი პატარა ჩიტი არ იყო, ობობას ქსელს ხელ-ფეხი შეებორკა მისთვის.

ახალმა ამბავმა ციებასავით დაუარა ქალაქს და ბადუმდე მხოლოდ მაშინ მიაღწია. ხურჩას პირას განმარტოებით მოსეირნეს ხუტა შეეჩეხა, თავი მდაბლად დაუკრა. ბადუს მისი ნახვა მაინცდამაინც არ გახარებია.

— რაღაც ამბები მომესმა, ხუტა! მე შორს მეგონე, შენ კი აქვე ხარ საღ-სალამათი!

— ჭორია, ბადუს ვენაცვალე, აბა, ისეთ კაცს ვგავარ, მეგობარს რომ ზურგში დანას ჩასცემს?

ბადუ თითით დაემუქრა.

— კი ხარ ეშმაკი, უკვე გამოგცადე!

ხუტამ განგებ დაიმორცხვა.

— შინაურობაში როგორ ბრძანდებით? — ზრდილობით მოიკითხა.

— არა გვიშავს რა, — ცალყბად უპასუხა ბადუმ, — მე უფრო ის შენი ოინები მაინტერესებს.

— თავადის ქალი როგორ ბრძანდება? — სიტყვა ბანზე აუგდო ხერხიანმა მოხელემ. — მინდოდა, მომელოცა გაბედნიერება, მაგრამ...

— რაო? — თმა ყალყზე დაუდგა ბადუს. — რა გაბედნიერებაზე ლაპარაკობ, ბატონო, შენ?

ეგონა, მისი ამბავი ჰქონდა მთელ ქალაქს გაგონილი და პირში დასცინოდა ეს თხაპარიას შვილი. ბადუს გაოცებამ ხუტა შეაშინა.

— მაპატიე, თავადო, განა თეკო არ თხოვდება?.. ამაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს...

— ვისზე თხოვდებაო, რას ლაპარაკობს მთელი ქალაქი? — გულმა რეჩხი უყო ბადუს.

დამფრთხალ ხუტას უკან დასახევი გზა მოეჭრა. თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა ამ ამბის სიმართლეში, ახლა კი დარწმუნდა, სიცრუე ყოფილაო.

— არვაშანგზე, თავადო ბადუ, რავა, არ იცოდი თუ?

— ჭორი, საზიზღარი ჭორი!.. — თავი ვერ შეიკავა ბადუმ

და უდანაშაულო მოხელეს ზურგი შეაქცია.

ნაშუადღევს უცებ გაავდრდა. კუდბაწარამ მტვერი და ბუმბული დაატრიალა და სვეტად დააყენა. ზღვიდან შავი ღრუბელი წამოზოზინდა. შორიდანვე ისმოდა წმინდა ელიას ეტლის ხრიგინი. ელვამ ჩააქრო დღის სინათლე, გაბატონდა ცასა და მიწაზე. მსხვილმა წვეთებმა მოაყარა ხოშკაკალივით, აწკაპუნდა დაცლილ ქუჩებსა და ორღობეებში, ბრაგაბრუგი ატეხა კრამიტსა და ყავარზე, აჩხრიალდა ლაფაროში, ააშიშინა დახეთქილი მიწა...

ღვართქაფი დაეცა ოხაჩქუეს...

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ხურჩა აიპოპრა, მისმა წვრილმა შენაკადებმა ზათქი და ღრიალი მორთეს. შუაღამეს იჭექა და ჩაანახშირა წერწეტა ჭადარი არვაშანგის ეზოში. კელაპტარივით იწვოდა მცირე ხანს. წვიმამ ალი ჩამორეცხა და ისევ კუკუნათში განაგრძო ჯოჯოხეთური რიალი.

—წმინდა ელია ჩამოდის, მის სახელს ვენაცვალე, წმინდა ელია ჩამოდის! — კიოდა საკუჭნაოში თავის საწოლზე მიგდებული ძიძა.

თეკოს სადარდებელი დავიწყებოდა, ძიძას თავს ევლებოდა, ბავშვსავით უყვავებდა, ამშვიდებდა.

მოვიდა ჭრელი დღე. ხან გაწვიმდებოდა, ხან მზე გამოიხედავდა.

ნაომარს დამსგავსებული ქალაქი კვლავ გამოცოცხლდა, აფუსფუსდა.

XLIII

ერთი, ორი, სამი...

დერეფანში რიტმულად დააბოტებენ ნალაჭედილი ჩექმები...

ერთი, ორი, სამი...

სარკმლის გისოსზე იღვენთება წვიმის ნაღვარი, აბლაბუდაში გაბმული ლეშხი ბრწყინავს, სადღაც იმარცვლება წვეთები: წკაპ-წკაპ, წკაპ-წკაპ...

თლილმა თითმა ნაზად ჩამოჰკრა ჩონგურის სიმს, ააკან-

კალა, აახმიანა, თრთოლვით აჰყვა სევდიანი ხმა:

„დიდოვ ნანა, ვითოჟირი წანერ ვორდი... ნანა, ნანა, დიდოვ ნანა, მოკოდუ ტორონჯი ბჭოფიკონი...“

სარკმლიდან შემოპარულმა სხივმა გაიწკრიალა მრუმე ჰაერში, სიმივით დაიჭიმა, ათინათი აათამაშა...

სადღაც გოგონამ ჯიმჯიმს შემოჰკრა ხელი, აატკაცუნა, ააჟღრიალა...

ერთი, ორი, სამი...

დერეფანში რიტმულად დააბოტებენ ნალაჭედილი ჩექმები...

ერთი, ორი, სამი...

მახუტის სული ნირვანაში ეშვება ჩვილის უცოდველი სულივით...

ერთი, ორი, სამი...

* * *

გაიჩხარუნა გასაღებმა, აჟღრიალდა ჟანგიანი რკინის კარი.

ზღურბლზე ფოთხოევიჩი იდგა, მის უკან სტრაჟნიკთა დაბღვერილი სახეები მოჩანდა.

— გამოდი!

მახუტი სინამდვილეს დაუბრუნდა. ნირვანა არ არსებობდა, სულის სიმშვიდე შეუძლებელი იყო. დღეს თავდებოდა სიცოცხლე.

ზურგს უკან ხელები დაიწყო. დიდხანს მიდიოდნენ ვიწრო დერეფანში, ჩადიოდნენ კიბეზე, მერე ისევ დერეფანში მიდიოდნენ და ნალაჭედილი ჩექმები მობრახუნებდნენ კვალდაკვალ.

ეზოში გავიდნენ. ცხენოსანი სტრაჟნიკები ელოდებოდნენ. ცხენები ბოროტი ჭიხვინით ეხლებოდნენ ერთმანეთს. ხმლები იშიშვლეს მხედრებმა, მზის შუქზე ალაპლაპებული ხმლები კვარივით იწვოდა.

ალაყაფის კარი ხმაურით გაიხსნა. პროცესია ქალაქში გავიდა.

წინ სახაზინო ეტლით ბატონი იუსტიციის მრჩეველი მიდიოდა. შემდეგ მახუტი მიაბიჯებდა, რევოლვერებით შეიარაღებული სამი სტრაჟნიკისა და ბოქაულის თანხლებით; ბოლოს კი — ოთხ-ოთხად დაწყობილი ცხენოსანი სტრაჟნიკები გაშიშვლებული ხმლებით ხელში.

დილა იყო, ნაწვიმარზე გრილოდა. განბანილ ქვაფენილზე კვესავდნენ ფლოქვები. ქალაქს ცხენთა ჭიხვინი აღვიძებდა.

სადღაც შორს ისმოდა დაფდაფების უწყვეტი რაკუნი: „ფრთხილად, საშიშროებაა, ფრთხილად!“

„ჩქიმ გურიში გემუანო, ჩქიმ ხეთ მოკოდუ მობრდიკონი, ნა...“ — კვნესოდა ძიძის ხმა და ტუსაღს ყოველი მეყი უმძაფრებდა სიცოცხლის სიყვარულს.

ერთი, ორი, სამი...

ფარდის მიღმა გაიელვა შეშინებულმა თვალებმა. „შავი თვალები, შავი თვალები!..“ ჯუნა გაახსენდა, მისი თვალშავშავა. წუთითაც არ დავიწყებია, მაგრამ აქამდე ცდილობდა არ ეფიქრა. ახლა კი შეშინებულმა თვალებმა მარმაში მოჰხადეს მეხსიერებას და ჯუნას თვალები წარმოუდგა ცოცხლად.

— იარე! — შეუღრინა გვერდით მიმავალმა ბოქაულმა.

ქუჩაში კაციშვილი არ ჩანდა. ქალაქმა თითქოს იგრძნო საშიშროება, ყველა თავის შინაურ ციხეში ჩაიკეტა.

ჭადრების გადაბელვა დაემთავრებინათ თურმე. დაჭრილი ტოტები ხეივანში ეყარა.

ცოცხალი ღობიდან ვარდი გამომძვრალიყო და მზისათვის მიეშვირა მკვრივი კოკორი.

ნაბიჯი შეანელა, ეგებ ენახა ბუტკოს ახოხრების სასწაული.

— იარე!

ნალაჭედილი ჩექმები რიტმულად მობრახუნებენ ქვაფენილზე.

ერთი, ორი, სამი...

მოსახვევთან შაოსან დიაცს ჰკიდა თვალი. გულმა რეჩხი უყო. „ჯუნა!“ — კინაღამ დაუძახა. თავი შეიკავა. შაოსანს არ მოუხედავს. ჭიშკარში გაუჩინარდა.

ისევ მოესმა ჩონგურის სიმის დუდუნი. „დიდოვ ნანა, ვითოჟირი წანერ ვორდი...“ — კვნესოდა ძიძის ხმა.

„ვაჰმე, ძიძაია, ვაჰმე!..“

სადღაც შორს რიტმულად სცემდნენ დაფდაფებს: „ფრთხი-

ლად, საშიშროებაა, ფრთხილად!..“

თვალი შეავლო წინ მიმავალ ეტლს. ფოთხოევიჩის მზერას შეეფეთა. გამომძიებელს დამცინავად მოეჭუტა დაგუდლებული თვალები.

თავი მაღლა ასწია, კოპები შეკრა.

ფოთხოევიჩს სახე მოეღრიცა. ზურგი შეაქცია. მახუტი ახლა მხოლოდ მის კინკრიხოს ხედავდა. ეტლი ქვაფენილზე მირახრახებდა და ფოთხოევიჩის კინკრიხო სასაცილოდ ხტოდა.

„ჯუნა, მე კეტსალი მქვია!“ — ფიქრობდა მახუტი.

„ჯუნა, ჩემთვის არ არსებობს მესამე გზა...

და თუ შეუძლებელია თავისუფლება, მაშინ სიკვდილი ხომ შესაძლებელია?..

სიკვდილი ხომ შესაძლებელია?

სიკვდილი ხომ შესაძლებელია?..“

კვესავენ განბანილ ქვაფენილზე ფლოქვები, მზის შუქზე კვარივით იწვის გაშიშვლებული ხმლები. ნალაჭედილი ჩექმები მობრახუნებენ რიტმულად...

ერთი, ორი, სამი...

ცა იყო ისეთი ლურჯი, თვალის გასწორება ჭირდა. ამ სილურჯეში აქა-იქ გაბნეული ღრუბელთა ქულები საოცრად სპეტაკი და წმინდა იყო...

„და თუ მას შეიპყრობენ, კვდება...

და თუ მას შეიპყრობენ, კვდება!..“

* * *

ადგილი იცნო. ეს მართლაც ის სასაფლაო იყო, იმ ღამეს რომ შემოეხეტა. დაღრეცილი ჯვრების ტყე იდგა. მოუვლელი საფლავები ჟამს მიწასთან გაესწორებინა. თლილ ქვებს კიდეები ჩამორეცხოდა და წარწერები არ იკითხებოდა. კატაბარდს დაეფარა ადამიანთა საუკუნო სასუფეველი. ქაღალდის გახუნებული ყვავილები მიმოფანტა ქარს.

„უფალო, მიიბარე სული მონისა შენისა კოწიასი.“ — ანგარიშმიუცემლად ჩაიკითხა.

ფოთხოევიჩმა ეტლი შესასვლელთან დატოვა. ახლა სხვებზე წინ მიტუსტუსებდა საფლავებს შორის გაკვალულ თირზე. სტრაჟნიკებიც ჩამოქვეითდნენ, ცხენები სადავით მოჰყავდათ.

საიდანღაც სახებანჯგვლიანი მესაფლავე გამოძვრა. მახუტიმ იცნო. უსახურმა მესაფლავემ გულგრილად ჰკიდა მზერა, ფოთხოევიჩს მიეახლა. ფოთხოევიჩმა რაღაც წასჩურჩულა. მესაფლავემ თავი დაუკრა, — კი, შენი ჭირიმეო, და წინ გავარდა.

თეთრი ქვის ჯვარიც გამოჩნდა და ის ადგილიც, სადაც მახუტი იმ ღამეს გათხრილ სამარეს წააწყდა.

— აი, აქ! — ახლად მიწამიყრილ საფლავს დაადგა ეშმაკის ნაშიერი. ეს ის საფლავი იყო ზუსტად...

„ბედისწერაა!“ — გაიფიქრა მახუტიმ.

საფლავს შემოეხვივნენ. სტრაჟნიკებმა ხმლები ქარქაშში ჩააგეს. მაძღარ სახეებზე ცნობისმოყვარეობის მსგავსი რამ გამოეხატათ. ცხენები მოუთმენლად ცქმუტავდნენ, ჭიხვინებდნენ უმიზეზოდ განაწყენებულნი.

ფოთხოევიჩი წინ წარსდგა, მახუტიც გვერდში ამოიყენა.

— ახლა იხილავ შენი კაი კაცობის ნაყოფს! — მუქარა გაჟღერდა გამომძიებლის ხმაში.

მახუტი დუმდა.

— დაიწყე! — უბრძანა ბატონმა იუსტიციის მრჩეველმა მესაფლავეს.

უსახურმა კაცმა მიწას ბარი დაჰკრა. ფხვიერი მიწა ადვილად აჰყვა. მესაფლავე კატასავით ცხვირში კრუტუნებდა; იარაღს მარჯვედ ატრიალებდა და თხუნელასავით სწრაფად ეშვებოდა შავ სამარეში.

კოსტაია პორუჩიკმა ცხენი მოაგელვა. მარქაფიც მოჰყავდა. პირუტყვები თეთრი ქვის ჯვართან დააგდო.

„ცხვანტი!“ — იცნო მახუტიმ, მღელვარებისაგან სახე წამოუღვივდა.

„აჰა, ხომ იმოქმედა?“ — წვრილი თვალები დაკიჟა ფოთხოევიჩმა.

გენერლის ადიუტანტმა სტრაჟნიკები მისწი-მოსწია, ნახევარწრეში შემოვიდა, ფოთხოევიჩსა და ტუსაღს შორის ჩადგა.

— საინტერესოა, — ჩაიდუდუნა.

ფოთხოევიჩმა მოიხედა, არ სწყენია მისი გამოჩენა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. რაც კოსტა პორუჩიკი გახდა, კარლომ უმატა მის მიმართ ყურადღებას. იცოდა, კოსტასთვის პორუჩიკობა მომდევნო საფეხურიღა იქნებოდა.

— იმან ხომ არ გამოგაგზავნა? — არვაშანგზე ჰკითხა.

— არა, შორიდან დაგლანდეთ და ცნობისმოყვარეობამ მძლია.

— კარგ სპექტაკლს ნახავ ახლა! — ბოროტად ჩაიღიმა ფოთხოევიჩმა.

მახუტი დუმდა.

სიცხემ მოუჭირა. გათანგულმა სტრაჟნიკებმა ღილები შეიხსნეს, სიზარმაცე ჩაეღვარათ ძარღვებში, ხმის ამოღება ეზარებოდათ. სიჩუმე ჩამოვარდა. ბარის ჩხაკუნიღა ისმოდა სასაფლაოზე და ეს მონოტონური ჩხაკუნი თანდათან ძაბავდა ადამიანთა სუსტ ნერვებს.

— ჩხაკ-ჩხუკ, ჩხაკ-ჩხუკ, გაწყალდა გული! — ოფლი მოიწმინდა ერთმა სტრაჟნიკმა.

— ყელში ამოვიდა უკვე! — ზანტად გაეპასუხა მეორე.

ბარმა კუბოს სახურავს გაუხახუნა. თითქოს ნერვებზე სალესი ქვით გაუხახუნესო, იქ მყოფთ კანკალმა დაუარა.

სამარეში ჩამძვრალმა მესაფლავემ სახურავს მიწა გადასწმინდა, დაჭიანებული კბილები დაღრიჯა.

— მზადაა!

— გახსენი! — უბრძანა ფოთხოევიჩმა, თუმცა თვითონაც ზაფრანისფერი დაჰკრავდა.

მესაფლავემ ბარის წვერი კუბოს სახურავს შეუყო და ტკაცუნით ამოაგდო. ანგარიშმიუცემლად დაიხია სამარის პირას მდგარმა სამეულმა, სტრაჟნიკებმა კი წინ წაიწიეს და კისრები წაიგრძელეს.

კუბოში ლურჯი კაცი იწვა.

იმავე წამს შორიახლო ბექობზე თოფი გავარდა და ზედ ფოთხოევიჩის ყურთან ტყვიამ იწივლა...

XLIV

— რა მოხდა? — გასძახა გამვლელს ქალბატონმა მინადორამ.

— მგონი ხოცავენ ერთმანეთს!

— სასაფლაოსკენაა, მკვდრები აჯანყებულან!

— ერთმანეთიც დაუჭამიათ, ჩვენ არაფერი გვევნოსდა... — ჩაიდუდუნა ქვაბქუდიანმა გამვლელმა.

შეშინებულმა ქალბატონმა მინადორამ სასწრაფოდ დაითხოვა ორად-ორი კაცისგან შემდგარი ორკესტრი და სამიკიტნოს კარი მაგრად ჩარაზა.

მაზრის უფროსმა ფანჯრიდან გამოყო ყვითელი თავი, მზესაც არ შეეპუა. ერთხანს უსმენდა და გუბურის პირას ამაყად გაფხორილ პოლიციელს გადმოსჭყივლა:

— ჰეი, რა ხდება მანდ?

— ისვრიან, თქვენო მაღ-კეთ-შობავ! — სხაპასხუპით მოაყარა პოლიციელმა.

— Болван, ეს მეც მესმის. ახლავე წადი და გაიგე, რა ხდება!

თითქოს ქარმა წამოუბერაო, ქალაქი ელვის უსწრაფესად დაცარიელდა, გარდა ბაზრისა, რომელსაც წარღვნა თუ დააცარიელებდა.

გენერალ არვაშანგის ყურამდეც მოაღწია სროლის ხმამ. გენერალი დღეს ადრე მოვიდა საყდარში. საპარადო ფორმაში, უამრავი ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული გამოიჭიმა საქორწინო კაბაში გამოწყობილი თეკოს გვერდით.

საყდარი სტუმრებით აივსო. ყველას რატომღაც ცხვირზე ზაფრა ჩამოსდიოდა და ქელეხში მოსულებს უფრო ჰგავდნენ. სრულ სიჩუმეში მოძღვრის ხმა მკაფიოდ ისმოდა, თუმცა მღვდელი სიტყვებს ძლივს ლოღნიდა:

— მონაო ღვთისა არვაშანგ! გსურს თუ არა, ცოლად შეირთო მხევალი ღვთისა თეკლე?

— დიახ! — ჩახლეჩილმა ხმამ დამსწრეთა ნერვებზე გაიხრჭიალა.

— მხევალო ღვთისა თეკლე! გსურს თუ არა, გახდე მეუღლე

მონისა ღვთისა არვაშანგისა?

გოლგოთაზე ადიოდა საბრალო თეკო და ჯვრის სიმძიმე აღემატებოდა მის ღონეს.

— მხევალო ღვთისა თეკლე! გსურს თუ არა, გახდე მეუღლე მონისა ღვთისა არვაშანგისა?

კბილები უკაწკაწებდა თეკოს, თვალებში სიბნელე ჩასდგომოდა და ვერ მიმხვდარიყო, რას მოითხოვდნენ მისგან.

— თქვი, ქალო, რამე, ხმა ამოიღე! — მისკენ დაიხარა ნირწამხდარი მღვდელი.

საყდარში ჩოჩქოლი ატყდა.

არვაშანგმა ჩუმად მოუჭირა მკლავზე. ეშმაკის ჭანგებსა ჰგავდა ბერიკაცის ხელი და ამან გონს მოიყვანა.

— დიახ, დიდო ბატონო! — წაიჩურჩულა უსისხლო ტუჩებით.

და მაშინ მოესმა არვაშანგს პირველი გასროლის ხმა.

ნაშუადღევიც არ იყო. სინდისის ქენჯნასა და უცნაურ შიშს შეეპყრო მკაცრი გენერალი და ჩქარობდა. ქორწინებაც ამიტომ დააჩქარა, საღამოს არ დაუცადა, თითქოსდა ერთი დღის სიცოცხლეღა ედო წინ.

საყდრიდან რომ გამოდიოდა, სტუმრები შეათვალიერა, მათ სახეებზე შეშფოთება და შიში წაიკითხა.

„ლაჩრები!“ — გულისწყრომით გაიფიქრა.

სტუმრებს შორის ბადუ არ იყო. რაც ეს ამბავი გაიგო, თავის ოთახში ჩაიკეტა და არ გამოდიოდა.

„ისიც ლაჩარია! — ბადუს არყოფნა ახელებდა არვაშანგს. — ლაჩარია და დიაცი!“

ისევ და ისევ გაისმა სროლის ხმა, ერთხანს მიწყდა, მერე ხელახლა მიაყარა ხოშკაკალივით.

არვაშანგმა ძაკუსძე თვალებით მოიხმო. ლაქია წელში მოხრილი მოუახლოვდა.

— На Кладбище стреляют-с, ваше благородие!

არვაშანგს არავითარი განკარგულება არ გაუცია. ეტლში აბრძანდა პატარძალთან ერთად. მაყრიონი ყიჟინით მიჰყვა ფეხდაფეხ.

ჭიშკარი ფართოდ გაეღოთ და ეტლი პირდაპირ პარმაღს მიაგდო მეეტლემ.

ატყდა ფლოქვთა თქარათქური, ჩოჩქოლი; მაყრებმა ვერცხლის სევადიანი თოფები ააბათქუნეს. დაჰქუხეს „ვოი, კუჩხი ბედინერი...“ აირია შედლუხის ხმები აქ და ქალაქში.

ვინ იცის, იქნებ ოხაჩქუეში ქორწინდებოდა კიდევ ვიღაც.

სიკვდილზე ხომ არ ქორწინდებოდა ვინმე? — ეს აზრი სულს უწეწავდა გენერალს, მაგრამ გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და ხანდახან ცივ ღიმილსაც ახერხებდა.

მაყრებმა დაცალეს თოფები. ქალაქიდან კვლავ მოისმა ხან გაძლიერებული, ხან შესუსტებული სროლის ხმა.

„ვოიდა, კუჩხი ბედინერი, ვო-ჰო-ჰოიაო-და!..“ — ღრიალებდნენ შეჭოროკებული მაყრები.

სასახლის სვეტებიან დარბაზში საოთხასკაცო სუფრა გაეშალათ...

— ჰაიტ, დამიხედეთ ამ ბებერ ცუცურაგს! — მოურიდებლად როხროხებდა ბიძია კირილე სუფრის ბოლოდან. — მაშ, არც მე ვყოფილვარ მთლად ბებერი, არც მე გამსვლია ჟამი მექალთანეობისა! — ადლიან ულვაშებს იგრეხდა უკვე შეზარხოშებული ბერიკაცი და თავადთა ჩაბუჟბუჟებულ ქალებს მრავლისმეტყველ მზერას ესროდა.

თავადი ჯვებე ბაიყუშივით იბერებოდა და თავისთვის დუდღუნებდა:

— წახდა ქვეყანა, ნამდვილად წახდა...

ოქროსპენსნეიანი და გაცვეთილფრაკიანი მოხელე აქაც მის პირდაპირ დაესვათ და კრიჭაში ედგა პატივცემულ თავადს.

მეფე-დედოფლის სადღეგრძელო რომ დალიეს, აქა-იქ ყმაწვილკაცებში დამცინავი ფხუკუნი გაისმა, მაგრამ ვინც გენერლის მკაცრ მზერას წააწყდა, შიშისაგან ხმა ჩაიწყვიტა.

ზოგჯერ სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მაშინ ქალაქიდან ისევ აღწევდა სროლის ხმა. დიდ-პატარას თრთოლვა უვლიდა, გასაქცევად გამზადებულსა ჰგავდნენ, ოღონდ სუფრის მიტოვებას ვერ შეჰკადრებდნენ გენერალს.

— სიმღერა! — გადასძახებდა არვაშანგი და ვაჟკაცების ომახიან „ვოისარაიდაში“ იხშობოდა შორეული კაკანი.

მრავალი წელი ელოდა ამ დღეს არვაშანგი, მაგრამ ახლა სიხარულის წილ გულში შხამი ეღვრებოდა.

მხოლოდ ერთხელ ადგა სუფრიდან, კარზე დაუკაკუნა ბადუს, გამოსვლა უბრძანა. ბადუს ოთახიდან ჩამიჩუმი არ ის მოდა და ამან მთლად გაახელა.

„ალბათ თვითონ უნდოდა შეერთო!“ — ხურვებასავით დაუარა აზრმა, ეჭვმა ააწრიალა, ცივმა ოფლმა დაასხა.

სულ ახლოს გავარდა თოფი, შემდეგ მეორე. ცხენები აჭიხვინდნენ ეზოში.

— ისვრიან! — გაუბედავად წამოიძახა პენსნეიანმა მოხელემ.

— ისვრიან, ისვრიან... — კვერი დაუკრეს აქა-იქ.

— რა ხდება?

— რა ამბავია, კაცო, ეს?

— ხალხო, თურქობა ხომ არ დაიწყო?

საგუბრიდან გამოშვებული წყალივით აყაყანდნენ ერთბაშად.

არვაშანგი კერპივით წელგამართული და მოქუფრული იჯდა.

ძაკუსძე მოუახლოვდა, ყურთან დაიხარა, რაღაც წასჩურჩულა.

გენერალი უფრო მოიღუშა...

XLV

ძუკუია ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, წინ და უკან დარბოდა, ცდილობდა გამოეცნო თუ ვინ ისროდა. ხანდახან ზარბაზანივით რომ იქუხებდა, ბაბაიას პირფართო გრძელი ჯაზაირი იქნებოდა. რამდენჯერაც იბათქუნებდა, იმდენჯერ შეკუნტრუშდებოდა გახარებული ძუკუია, ბაბაია ცოცხალიაო, — თავს ირწმუნებდა.

ონოფრემ ძუკუია და ვასკა შინ დატოვა, უბრძანა ჭიშკრიდან ფეხი არ მოეცალათ. ვასკამ იმდენი ქნა, თავი დაიძვრინა, ძუკუიამ კი ბაბაიას ბრძანებას ვერ გადაუხვია. თუმცა მთლად ეზოშიც ვერ გაძლო, ჭიშკარსა და ბორანს შორის შარაზე წრიალებდა...

ნაშუადღევს სროლა შენელდა.

მზე რომ გადაიწვერა, ორმა ცხენოსანმა აზნაურმა ჩამოიარა. დამფრთხალნი ჩანდნენ. ქალაქი სასაფლაოს დაემსგავსაო, დახოცილები პირდაპირ ქუჩებში ყრიაო, ტყვია კი კოკისპირულ წვიმასავით მოდისო. ძუკუიას გული ჩაწყდა, ვაითუ ბაბაიაც მოიკლესო, მაგრამ აზნაურთა ნათქვამი გაზვიადებული ეჩვენა.

სამხრობის ჟამს ხურჩაზე ზენაარმა დაჰბერა, სიცივემ ძვალ-რბილში გაატანა.

შეღამებულზე ეტლი მოვარდა. მეეტლე ეცნაურა და ბიჭი ბორნამდე აედევნა.

ეტლიდან ახალგაზრდა მოხელე გადმოხტა, მოუსვენრად დაიწყო ნაპირზე სირბილი.

— ჰეი, მებორნევ, ჩქარა, ჭირიმე, ჩქარა!

როცა ეტლი ბორანზე შეაყენეს, მხოლოდ მაშინ იცნო მეეტლე. ცხენებს სადავით ბეგლარი მიუძღოდა. უნდოდა მივარდნოდა, მაგრამ ბეგლარმა ვითომ ვერ იცნო და ძუკუიამაც თავი შეიკავა.

ახალგაზრდა მოხელეს გახუნებული ქურთუკი ეცვა, თეთრი საყელო ოფლისაგან ჩაშავებოდა. ისევ ეტლზე ავიდა, იქ მჯდარ მაყვლისთვალება ქალს მხარზე ხელი მოჰხვია და დაუყვავა.

— ნუ თრთი, ძაბული, გენაცვალე, ნუ თრთი!

— მეშინია, ხუტა, ეს რა მოვიმოქმედე მე დასამიწებელმა.

— ოღონდ მომენდე და მტლად დაგედები, გოგო, მტლად... სულ ხელისგულზე გატარებ, გენაცვალოს ჩემი თავი...

— ვაითუ რამე აუტეხოს თავს? — არ იშლიდა ქალი.

— ბაღანასავით იტირებს და გაჩუმდება, - გულგრილად თქვა ხუტამ.

— მეორეჯერ გაგვიმეტა სატყვიოდ...

— ჩვენ ვიყოთ კარგად და ის ისეთი დამთხვეულია, თვითონვე მოგვეხვევა მუხლებზე.

ბეგლარმა დრო იხელთა, ძუკუიას მხარზე ხელი მოუთათუნა, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზეაო, და ისევ მეეტლის კოფოზე აძვრა.

ბორანი ნაპირს მოშორდა. ლირე ბზრიალასავით დატრიალდა. ათრთოლდა დაჭიმული ბაგირი.

ძუკუია ხაბოზე დარჩა.

ბინდი ჩამოწვა.

გველეშაპებად დაიგრაგნა შავი ჯაგნარი და ხურჩას შორეულ ჭალებში ტურები აკივლდნენ.

იგრძნო მაშინ ძუკუიამ, რომ ობოლი და მიუსაფარია და შიშისა და მწუხარებისაგან აქვითინდა...

* * *

სასაფლაოზე სრული სიჩუმე ჩამოწვა.

ბიძია ონოფრემ შეიცადა. სტრაჟნიკები საფლავთან შეჩერდნენ. აქედანაც კარგად ჩანდა მახუტის გაფითრებული სახე, ფოთხოევიჩის გადატეტკილი ცხვირ-პირი და პაწია თვალები. „სისხლს მოწყურებულია, უჰ, შენი...“ — გუნებაში შეიგინა ბიძია ონოფრემ და, როდესაც სტრაჟნიკები ახლადგათხრილ საფლავს შემოესიენ, ბუთქა თავისი ჯაზაირიდან.

ტყვიამ ფოთხოევიჩის ზურგს უკან საფლავის გორაკს ბოლი აადინა. სხვებიც უმალვე აჰყვნენ ბიძია ონოფრეს. სტრაჟნიკების თავზე აზუზუნდა კბილებდაკრეჭილი და მოხარხარე მთიბველი. აჭიხვინდნენ დამფრთხალი ცხენები, აიგლიჯეს სადავეები, მირეჯგვ-მორეჯგვეს საფლავები. ცხენებივით თავგზააბნეული სტრაჟნიკები მიაწყდნენ ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მთელ სასაფლაოს მოედვნენ და საფლავის ქვათა და ჯვართა შორის კატაბარდებში ჩაცვივდნენ.

კარგა ხანს გრძელდებოდა რია-რია. მერე სტრაჟნიკები გონს მოვიდნენ. ბექობს ყოველი მხრიდან მოაყარეს ტყვია. ზევიდანაც პასუხობდნენ, მაგრამ ვერც პირველნი და ვერც მეორენი მიზანს ვერ აღწევდნენ, რადგან ბექობზე მყოფნი სისხლს ერიდებოდნენ, სტრაჟნიკები კი მოწინააღმდეგეებს ვერ ხედავდნენ და ალალბედზე ისროდნენ.

ფოთხოევიჩი თავის ადგილზე დარჩა. ხელში რევოლვერი ეჭირა, ბექობისათვის გვერდი შეექცია და სულ სხვა მიმართულებით ისროდა. ბიძია ონოფრემ თვალი მიაყოლა. ორი მხედარი მიაქროლებდა ცხენებს გასასვლელისაკენ. ერთმა ცხენმა წაიბორძიკა, ძვლები ქვებს მიამსხვრია და მხედარი გადმოაგდო. „ფუი, ეშმაკმა დაგლახვროს!“ — შეუკურთხა გაცეცხლებულმა ბიძია ონოფრემ. ალბათ ტყვია მოარტყა იმ პაღვიანმა. „ახლავე აგაჭყავლებ დასაკლავი გოჭივით!“ — დაექადნა. მიზანში ამოიღო, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაიმეტა, და მკლავი გაუკენწლა. ფოთხოევიჩს ხელიდან რევოლვერი გაუვარდა და ახლადგათხრილ სამარეში ჩაგორდა.

— აბა, დავიფანტოთ! — გასცა ბრძანება ბიძია ონოფრემ.

ბექობს უკვე სამი მხრიდან მოადგნენ საკმაოდ შეთამამებული სტრაჟნიკები. ფოთხოევიჩიც ამომძვრალიყო სამარიდან და უშმი ქართულით ილანძღებოდა.

ბიძია ონოფრემ ჯაზაირი გადასაგდებად ვერ გაიმეტა. ფეხზე არ წამომდგარა. შამბნარისაკენ ხვლიკივით გაცოცდა. ბალახში რომ შევიდა, მაშინღა წამოხტა და გატუსტუსდა...

* * *

ბეგლარმა დროულად შეამჩნია, რომ მის მხარეს ბექობს რამდენიმე ჟანდარმი უვლიდა. ვაზნა უკვე თავდებოდა და გუდა-ნაბადი უნდა აეკრა.

უკანასკნელად გაიჩხაკუნა ჩახმახმა. გასროლა არ მოჰყოლია. თოფი გულიანად მოიქნია, ხეს მიალეწა და წელში ოთხად მოკაკვული ესტატესთან გადაფოფხდა.

ესტატე ეკლებში გაშეშებული იჯდა, სადღაც სივრცეში უაზროდ იყურებოდა.

— ჰეი, რამ გამოგაშტერა, ყაძახო! — შეუყვირა ბეგლარმა. — დაჭრილი ხომ არა ხარ?

ესტატემ ხმა არ გასცა. სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ბეგლარს შეეშინდა, ხომ არ მოკლესო.

მხარზე ხელი სტაცა, შეანჯღრია. ესტატეს თოფი გაუვარდა, ხელის ზურგზე დაიხედა და წაიჩურჩულა:

— სისხლი.

— მერე რა მოხდა, ყაძახო, სათამაშოდ ხომ არ მოსულხარ? — გაჯავრდა ბეგლარი. — თუ დაჭრილი ხარ, ახლავე შეგიხვევ და ისაა!

ხელის ზურგი და სახე ცხვირსახოცით გაუწმინდა, ეკლის ნაკაწრიღა ჰქონდა.

— ცოტა ფრთხილად ვერ იარე ამ ეკლებში? ჰა, გამოიხედე ახლა, წავიდეთ!

ესტატე ბალღივით დაემორჩილა.

ბექობს უკან შამბნარი იყო. ერთმანეთის მიყოლებით გაძვრნენ შამბში.

სროლა მინელდა, დანარჩენებიც უკან იხევდნენ.

ეზო-ეზო მიდიოდნენ კარგა ხანს, ცნობისმოყვარე თვალებს უნდა არიდებოდნენ.

ესტატე თანდათან გამოფხიზლდა, გუნებაც გამოუკეთდა, სიცილი დაიწყო:

— ხა-ხა, თაგვებივით არ მიძვრებოდნენ სოროებში?

— ხელში თუ ჩაგვიგდეს, ერთიორად გადაგვიხდიან. — ფრთხილობდა ბეგლარი. — ჯობია ცალ-ცალკე ვიაროთ.

ასეც გააკეთეს. ესტატეს იმ დღეს მეტი თავგადასავალი არაფერი შეხვედრია. ბაზარში მშვიდად გააღწია. მემწვანილესთან ხახვი იყიდა, წუღებს გადავაკვდი და კუჭი ხერხემალზე ამეკრაო; ხაბაზს ახლადგამომცხვარი ლავაში გამოართვა; მეღვინეს ერთი ბოთლი ჭანგიანი ღვინო. ამათაც იგივე უთხრა და თან წაიბუზღუნა, ამდენმა შრომამ წელში გამტეხა, შემოსავალი კი არაფერი მაქვსო. ჩაჯდა თავის ბუდრუგანში, სადაც თაგვი კუდს ვერ მოაბრუნებდა, მადიანად ისადილა და საღამომდე მართლაც წყვილი წუღა გამოაგვირისტა...

ბეგლარმა შინისაკენ წასვლა ვერ გაბედა. სახნავში ნესტისაგან მომპალ ჩაჩიაში ჩაიმარხა და საღამომდე იქ იყურყუტა.

მზე რომ გადაიწვერა, მაშინღა გამოყო თავი სამალავიდან. ტანსაცმელი ჩამოიფერთხა და ორღობეში გავიდა. აუჩქარებლად მიაბიჯებდა თანთანაზე, ბიღა ულვაშებს საქმიანად იგრეხდა.

უკან ფლოქვების თქარათქური და ქვაფენილზე ბორბლების რახრახი მოესმა.

— გააჩერე შენი!.. გააჩერე!.. — ღრიალებდა ვიღაცა.

რევოლვერი გაისროლეს, ჰაერში ტყვიამ გაიზუზუნა.

ბეგლარი კინაღამ ადგილს მოსხლტა. თავი დროზე შეიკავა.

შორიახლო ეტლი მოწყვეტით გაჩერდა.

მეეტლე ბურთივით გადმოეშვა კოფოდან, შიშისაგან თავზარდაცემულს სახეზე მკვდრისფერი დასდებოდა. ტყვიამ ქუდი გადააძრო და ჯერაც საკითხავი იყო, ცოცხალი დარჩა თუ არა.

ეტლში ერთმანეთს მიჭუჭკული ახალგაზრდა წყვილი იჯდა. გაფითრებულებმა არ იცოდნენ რა მოემოქმედათ.

ქუჩის ბოლოდან მთელი ქალაქისათვის ცნობილი თავადი გივი მორბოდა რევოლვერით ხელში, იგინებოდა და ახალგაზრდებს დახოცვით ემუქრებოდა.

მეეტლემ ერთი კი მოიხედა რევოლვერიანი კაცისაკენ და პირველსავე ჭიშკარში დურთა თავი.

ბეგლარი უმალ მიხვდა რაც ხდებოდა. ჯეელივით შეხტა კოფოზე, აღვირს ხელი სტაცა, ყიჟინით შეუძახა ცხენებს. ეტლი ადგილს მოსწყდა და შლეგმა ცხენებმა იგი ბორნისაკენ გააქანეს.

თავადმა გივიმ ორი ტყვია ზედიზედ დაადევნა, ორივე აცდინა, ჩაჯდა ქვაფენილზე და ბავშვივით ღრიალი მორთო...

* * *

ერთგან, ბაღით რომ გადადიოდა, ქოფაკი აეკიდა, ღართის კალთაზე მისწვდა. ონოფრემ ჯაზაირის დუგლუგი ხეთქა, ყბადასისხლიანებულმა ძაღლმა წკავწკავით მოძურწა.

— ვინ ხარ, კაცო, შენ?! — გადმოუხტა სამზადიდან ძაღლის პატრონი, მაგრამ ონოფრე უკვე საკმაოდ შორს იყო.

ყმაწვილივით თავს ევლებოდა საწრეტ არხებს, გადადიოდა დამპალ ღობეზე და ღობე ლაწალუწით იფშვნეოდა მისი სიმძიმის ქვეშ.

„აჰაიტ, ჯერ კიდევ არ დაბერებულხარ, ჩემო კარგო, — ლაღად ეხუმრებოდა თავს, — ჯერ კიდევ შეგიძლია ბებრუხანას გაეარშიყო. ოთხმოცი წლის ქალწული გაიტაცო, შენი ტოლი რაინდი გალახო...“

დაიღალა, სუნთქვა მოუხშირდა, ნაბიჯს უკლო, სიდინჯეს მოუხმო. ჯაზაირის ტარება უკვე უმძიმდა, გადასაგდებად მაინც ვერ გაიმეტა.

ქუჩაში გავიდა. ქალაქის ცენტრი უნდა გადაეკვეთა. ჭადრების ხეივანს გაჰყვა. ჯაზაირმა სერიოზულად ახლაღა დაიფიქრა. ასეთი სათამაშოთი ქალაქში სეირნობა სიგიჟე იყო, როგორმე თავიდან უნდა მოეშორებინა.

საფრთხემ არც დააყოვნა. წინიდან ცხენების თქრიალი მოისმა. ბიძია ონოფრე შებრუნდა და ფეხს აუჩქარა. ასი ნაბიჯიც არ ჰქონდა გავლილი, აქედანაც მოესმა თქრიალი. მიიხედ-მოიხედა, მაზრის სამმართველოს წინ იდგა. ახლომახლო არავინ ჭაჭანებდა. გუბურის პირას ბაყაყი წამოსკუპებულიყო და

ღაწვებზე ბუშტებს ბერავდა. ბიძია ონოფრემ უცებ მოისაზრა და თავისი ჯაზაირი გუბურაში ჩაუშვა. დამფრთხალმა ბაყაყმა წყალში მოადინა ტყაპანი. ბიძია ონოფრე სინანულით უყურებდა, შლამში როგორ იფლობოდა მისი გაჭირვების ტალკვესი.

ორივე მხრიდან ერთდროულად გამოჩნდნენ ცხენოსანი სტრაჟნიკები. ერთმა ჯგუფმა გვერდით ჩაუარა, მეორეს შეუერთდა, წასვლა დააპირეს, მაგრამ მოსახვევთან შედგნენ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ბიძია ონოფრეს მოადგნენ.

— აქ რას აკეთებ, ბებერო? — ცუდმედიდად ჰკითხა პირველ ცხენზე მჯდომმა. ბიძია ონოფრემ პოლიციის პრისტავი ჩაჩუა იცნო.

— არაფერს, ბაზრიდან მოვდივარ.

— მერე სადაა ნავაჭრი?

— ყველაფერს ცეცხლი უკიდია და ვერ გავწვდი.

— თავი გაანებე, ეს ხომ ჩვენი ონოფრეა! — უთხრა პრისტავს ერთმა მხედარმა.

— მერე რა, ონოფრე თუა, ეჭვს გარეშეა? — ჩაიბუზღუნა პრისტავმა და ცხენი შეაბრუნა. სხვებიც მას მიჰყვნენ.

ბიძია ონოფრემ თავისუფლად ამოისუნთქა. ახლა კი დაენანა ჯაზაირის დაკარგვა. გუბურა დაიწმინდა და ფსკერზე კონდახი მოჩანდა. ღამე მოვალ და ამოვიღებო, — გუნებაში გაივლო. ის იყო წასვლა დააპირა, როცა მაზრის სამმართველოს ფანჯარა გაიღო და დასავლეთით გადახრილი მზის შუქზე მაზრის უფროსის ყვითელი თავი აბრჭყვიალდა.

— ჰეი, პრისტავო, ახლავე გამობრუნდით! — ქალივით მწივანა ხმით მიაკივლა ცხენოსნებს.

პრისტავმა ცხენი შეაყენა.

— დაიჭირეთ! — მზრის უფროსმა ონოფრეზე მიუთითა.

ბიძია ონოფრემ მიმოიხედა. გაქცევა შეუძლებელი იყო.

— იქ ჩააგდო, გუბურაში! — მაზრის უფროსმა ცას ახედა, მზის შეეშინდა და ფანჯარა მიხურა. ახლა მისი მიჭყლეტილი ცხვირი ფანჯრის მინაზე მიიბუშტა.

— რა ჩააგდე? — მათრახი შეათამაშა პრისტავმა.

— ორი ქოთანი ოქრო ვიყიდე და აქ ჩამიცვივდა.

— მე შენ გიჩვენებ ოქროს! — მუქარით თქვა პრისტავმა,

სტრაჟნიკს უბრძანა. — მიდი, ნახე რა არის!

სტრაჟნიკი ცხენიდან ჩამოხტა. გუბურის პირას ერთხანს ყოყმანობდა, მერე ამოიოხრა და მუხლებამდე ლაფში ჩაეშვა.

— ეს რა არის? — იკითხა გაოგნებულმა პრისტავმა.

— ჯოხია, ბატონო!

— ჯოხი?

— დიახ, ჯოხი! არ ისვრის და ჯოხია, აბა რა არის?

— ეს ჯოხი დღეს ტირში სასროლად გამოიტანე, არა?

— სანადიროდ წავედი, იახა დო, ერთი უშველებელი დათვი შემხვდა. — ულვაშებში ჩაიღიმა ბიძია ონოფრემ. — ჰოდა, დავუმიზნე ეს ჯოხი, შიგ გულში უნდა მებუთქა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ხმა არც გაიღო...

— მერე რაო დათვმა?

— ხა-ხა-ხაო, ბატონო პრისტავო, ხა-ხა-ხაო!

პრისტავი წამით გაშტერებული უყურებდა, მერე სახე წამოეჭარხლა, მათრახიანი ხელი ასწია, მაგრამ დოინჯშემოყრილ დევკაცს რომ დახედა, ხელი ნელა დაუშვა ძირს.

— მერედა არ დაგგლიჯა? — ირონიულად გამოსცრა კბილებში.

— ვერა, ბატონო, ვერ მომერია! პირდაღრენილი მომვარდა. მეც ავიღე და ეს მარჯვენა იღლიამდე ჩავჩარე ხახაში, შიგნიდან კუდს მივწვდი და წინდასავით ამოვაბრუნე.

მხედრებმა ფხუკუნი ატეხეს. გუბეში ჩასული სტრაჟნიკი კი საცოდავად მობუზული იდგა მუხლებამდე ლაფში, ხელში მოთხუპნული ჯაზაირი ეჭირა.

პრისტავმა მხლებლებს თვალი დაუბრიალა, ბიძია ონოფრეზე მათრახის ტარით მიუთითა:

— Арестовать!

* * *

ჯუნას ბოსტანში რომ აღმოჩნდა, მაშინღა მიხვდა, საითკენ მიჰყავდა ფეხებს. ცხადია, სისულელეს სჩადიოდა: ქალაქიდან უნდა გადახვეწილიყო, თორემ სხვებსაც საფრთხეში ჩააგდებდა.

მეზობლის ეზოში გადაიხედა. ბეგლარის ოდიდან ხმა არ გამოდიოდა. სხვათა შორის გადაიხედა, თორემ რა ესაქმებოდა.

ჭიშკრისაკენ დინჯად გაემართა. სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ამ ადგილებს. უცბად, თითქოს ახლაღა მოაფიქრდაო, იშვირა ფეხი და ღობეს გადაევლო. სამზადის ლაფაროში ჯორჯ ძაღლს ეძინა. მხოლოდ ცალი თვალი გაახილა, ყრუდ დაიღრინა. ადგომა დაეზარა და ტუტულიმ ტუჩების პრუწუნით ჩაუარა.

სამზადის კარს მიაწვა, კარი ჭრიალით დაემორჩილა. გამჭვარტლულ სამზადში სინათლე ქაღალგაკრული სარკმლიდან შემოდიოდა და პირველად ვერაფერი გაარჩია.

— ვინ ხარ? — მოესმა ციცის შეშინებული ხმა. გოგო სარკმელთან დახრილიყო. ფქვილს ცრიდა.

— მე ვარ. — ჩურჩულით უპასუხა.

— ვინ შენ? — უფრო შეშინდა ციცი, მაგრამ უცებ იცნო. — ა, შენ ხარ, ტუტუ?

— ტუტუ კი არადა... — უხერხულად შეიშმუშნა ყმაწვილი, ფეხათრევით მიუახლოვდა.

— შენ ასეთი სახელი გერქვას, ჩემი რა ბრალია?

ციცის გვერდით გაჩერდა. არ იცოდა, ხელები სად წაეღო და წამდაუწუმ ქამარს ისწორებდა. გოგომ საცერს ხელი უშვა, ზურგით კედელს მიეყრდნო. სარკმლიდან შემოსული სუსტი სინათლე ცალ ლოყაზე ეცემოდა.

— ბაბაია შინ არაა. — დუმილი დაარღვია ციციმ.

— მერე რა, მე შენთან მოვედი. — გათამამდა ტუტული.

— ჩემგან რა გინდა? — მრუმე სიფრიფანა შუქზე ციცის თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა.

ყმაწვილი აღელდა. ქალი ნაზად სუნთქავდა, მაღალი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა.

— რა და... — ხმა ჩაუწყდა ტუტულის.

— ჰო, რა?

— რა?

— ჰო, რა?

ტუტულიმ მკლავები გაშალა. მოხვევა ვერ გაუბედა, კედელს ორივე ხელით მიეყრდნო. ციცი მის მკლავებს შორის აღმოჩნდა.

— ჰო, რა გინდა? — ჭირვეულად დაეკითხა ციცი.

— რა და...

ტუტული დაიხარა, ლოყით ლოყაზე მიეხახუნა. ციციმ მკერდზე მუშტები მიადო, თუმცა ხელი არ უკრავს. გათამამებულმა ყმაწვილმა კისერზე აკოცა და იგრძნო, რომ გოგოც ეხვეოდა.

— ვინმე შემოვა... დაგვინახავს... — ლუღლუღებდა აცახცახებული ციცი და ძალუმად ეტმასნებოდა ყმაწვილს. ტუტულის დაავიწყდა ფათერაკიც, დღევანდელი ამბებიც, მთელი ქვეყანაც.

ლაფაროში ყრუდ დაიღრინა ძაღლმა. გამოფხიზლდნენ. ციცისათვის ხელი არ უშვია, სარკმელში ისე გაიხედა. ქუჩაში სტრაჟნიკები იდგნენ. ახლახან გამოვიდნენ მეზობელი სახლიდან და მეორე ეზოში შედიოდნენ.

— მგონი სახლებს ჩხრეკენ. — მიხვდა ტუტული. — მალე აქ მოვლენ... თუ მიპოვეს, დამიჭერენ.

— ისეთი რა გააკეთე?

— არაფერი, ცოტა მიზანში ვისროლე.

— ვინმემ დაგინახა?

— რა ვიცი.

ციციმ ტუტულის მხრებიდან ხელები ჩამოიღო, მკერდზე გახურებული ლოყა მიადო.

— უნდა გაიქცე!

— მარტო?

— აბა, ვისთან ერთად?

— უშენოდ არსად არ წავალ!

— მე სადღა წამიყვან, არც სახლი გაქვს, არც კარი.

— სოფელში, ბებიასთან. როცა ყველაფერი მიწყნარდება, ოხაჩქუეში დავბრუნდებით.

ციციმ ამოიოხრა.

— შენთან ერთად ვიქნები კუბოს კარამდე, მაგრამ ჩემს და-ძმებს მჭადი უნდა გამოვუცხო, მშივრებს ხომ არ დავტოვებ?

— დედაშენი მიხედავს...

— რომ ვერ მიპოვნის, ქვეყანას შეყრის...

— მერე რა? განა პირველად იტაცებენ შენისთანა გოგოებს?

ციცის გაეცინა, ისევ ჩაეხუტა.

ძაღლი წამოხტა, ღნავილით გავარდა ჭიშკრისაკენ. ორი სტრაჟნიკი მოადგა მესერს.

— მაინძელო, მაინძელო!..

ოდიდან ციცის უდროოდ დაბერებული დედა გამოვიდა, მოსულებს მიეგება.

— გავიქცეთ! — ხელი ხელში ჩაავლო ტუტულიმ და გოგო უკანა კარით ბოსტანში გაიყვანა.

ხელში აიტაცა, ღობეზე გადასვა, მერე თვითონაც გადახტა.

ძაღლი ჭიშკარს ეხლებოდა და დაუპატიჟებელ სტუმრებს ეზოში არ უშვებდა...

* * *

ჯუნა და ჭიჭე ერთხანს გვერდიგვერდ მიდიოდნენ.

— მახუტი ჯიჯი გაიქცა?

— მგონი. — მხრები აიჩეჩა წარბშეკრულმა ჯუნამ.

შამბნარი მოთავდა და უცნობ ეზოს მიადგნენ. აქ ერთად სიარული საშიში იყო.

— ქალაქში ნუ გამოჩნდები! — გააფრთხილა ჯუნამ. თვითონ ნაცნობებში აპირებდა მიმალვას. მერე კი ცხენს გააჭენებდა იქ, სადაც სიკვდილისაგან დახსნილი მახუტი დაელოდებოდა.

— ჰო, ჰო! — თავი დაუქნია ჭიჭემ.

ბილიკებით კუჩხობონის ნაპირზე გავიდა. ღამის წვიმას კუჩხობონისათვის ფაფარი აეშალა, მღვრიე წყალი ჩირგვნარებს ტბორავდა. ჭიჭემ ტანსაცმელი დაიბერტყა, პირი დაიბანა, რევოლვერი წელზე შემოხვეულ თასმაში გაიჩარა და ზევიდან პერანგის კალთა გადააფარა.

ახლა კი შეიძლებოდა ქალაქში თამამად გასვლა. სახეზე ნაძალადევი სიმშვიდე აისახა და ჭადრების ხეივანს დაჰყვა.

მშვენიერი დარი იდგა. მზე ხალისით აცხუნებდა. გამომშრალი ტროტუარები თეთრად ბრწყინავდა. ჭადრის კვირტებს ბუზი ეხვეოდა. ნიავი ნელა ატოკებდა ფოთლებს. მარტო ადამიანიღა აკლდა ამ სურათს. დუქნის მძიმე დარაბები ჩაეგმანათ. ქალბატონ მინადორას სამიკიტნოს კარზე ფუთიანი ბოქლომი

ეკიდა. ქალაქის ყველაზე მხიარული დაწესებულების „პატივისცემით დაგმარხოთის“ სასულე ორკესტრი წელს პირველად ინდობდა ქალაქელთა ყურთასმენას.

ჭიჭემ უნებური შიში იგრძნო. უნდა გასცლოდა აქაურობას.

ცხენების თქარათქური მოესმა. ფეხი არ უნდა აეჩქარებინა, უდარდელად უნდა ევლო, მაგრამ მოთმინება არ ეყო. ადგილს მოსხლტა და გაიქცა.

— ჰეი, შეჩერდი! — ცხენი დააოთხა სტრაჟნიკმა.

ჭიჭე უფრო სწრაფად გაიქცა.

— შეჩერდი, თორემ გესვრი!

შეჩერება უკვე არ შეიძლებოდა. ჭიჭემ ქვაფენილი გადაჭრა, ფეფენიკოს ჩრდილში განაგრძობდა სირბილს. ტყვია მიაყოლეს დასაშინებლად. ტყვია ქვაფენილზე რიკოშეტით ასხლტა, დუქნის ფართო დარაბას ეძგერა.

ჭიჭეს რევოლვერი გადმოუვარდა. დაიხარა და, როცა იღებდა, უკან მოიხედა, ცხენოსნები ეწეოდნენ.

ამ დროს წითელი აგურის სახლთან იდგა. შეტრიალდა და ვიწრო გასასვლელში შევარდა, ჩეროში დაიმალა. მდევრები გასასვლელს ცხენდაცხენ მოაწყდნენ.

— აქეთკენ წავიდა! — დაიძახა ხმამ გარედან.

ჭიჭე ისევ გაიქცა. სახლს შემოურბინა. ეზოს ყოველი მხრიდან მაღლა აძეძვილი ცოცხალი ღობე ერტყა.

კიბეზე ავარდა. სამ-სამ საფეხურზე მიხტოდა. აივანზე მიყუჩდა. მდევრებმა ერთხანს ეზოში იწრიალეს.

— დაგვისხლტა? — ბრაზით იკითხა ერთმა.

— ზევით ხომ არ ავიდა?

კიბეზე ჩექმების ბრახუნი გაისმა.

ჭიჭემ უიმედოდ მოიხედა. მის უკან კარი იყო. ხელი ჰკრა და პატარა ოთახში შევარდა.

აქ მარტო ძველი დივანი იდგა.

მეორე ოთახში შევიდა და კარი ზურგით მიხურა.

— ოჰო, ასეთ სტუმარს კი არ მოველოდი, — გაიგონა ღუღუნა ხმა და გაშტერდა.

ოთახში ფართო სარეცელი იდგა. იქვე სკამზე ოფიცრის

კიტელი იყო გადაკიდებული, მაგიდაზე საფერფლეში პაპიროსის ნამწვი ეგდო.

სარეცელზე ნახევრადწამოწოლილი ქალი რაღაცას ქსოვდა. ქალს მხრებზე ჭრელი ხალათი მოეხურა. ზომაზე მეტად ამოჭრილმა დეკოლტემ და შიშველმა მუხლებმა ბიჭი დააბნია.

— ოჰო, ნაადრევია შენთვის, გეთაყვა, ნაადრევი... — ქსოვას თავი მიანება ქალმა, წამოდგა, თეძოების რხევით აუარ-ჩაუარა, — თანაც ამ კიტელის პატრონი ორ წუთში დაბრუნდება და ყურებს დაგახევს...

— მომდევენ! — კბილების კაწკაწით აღმოხდა ჭიჭეს.

ქალმა უცებ ვერ გაიგო, გაკვირვებით შეათვალიერა პისტოლეტი ბიჭის ხელში.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა.

— ალბათ აქ შევიდოდა! — ვიღაცამ გარეთა კარს მუშტი დაჰკრა.

ქალი უცებ გამოერკვა. ხელიდან პისტოლეტი გამოსტაცა, ბალიშის ქვეშ შეაგდო. მერე გაძალიანებული ბიჭი დაითრია, ლოგინში ჩააგდო, საბანი გადააფარა.

ჭიჭეს სული შეუგუბდა მღელვარებისა და იაფფასიანი სუნამოსაგან.

კარზე ერთხელაც დაჰკრეს მუშტი.

— წავიდეთ, კაცო, აქ რა უნდა, — თქვა ხმამ.

მეორემ შეიგინა.

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

ქალი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე მკერდზე დაიხედა, გაწითლდა, ხალათი ტანზე მჭიდროდ შემოიხვია და ჭიჭეს ლოყაზე ხელი წაუთათუნა.

— ადე, შვილო, ადე, შინ ალბათ დედიკო გელის. — ქალის ხმაში შეუცნობელი გულისტკივილი მოისმა.

— გმადლობთ, — წაიჩურჩულა ბიჭმა, მაგრამ ქალს მისი ხმა არ გაუგონია. ფანჯარასთან იდგა და ხეივანს გაჰყურებდა.

XLVI

ავი დღე გაუთენდა ბატონ იუსტიციის მრჩეველს. კარლო ფოთხოს ძე გაბისონია, იგივე ფოთხოევიჩი, ანუ შინაურულად კარლუშა, დღეისათვის არც მეტი, არც ნაკლები, გადამწყვეტ ფანდს ამზადებდა და, თუ თვითონ გაებმებოდა მახეში, ამას ვერაფრით წარმოიდგენდა.

დასაწყისში ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ბატონმა გამომძიებელმა ჩაიფიქრა.

მესაფლავემ ბარის წვერი კუბოს სახურავქვეშ შეყო და სახურავი ტკაცანით ამოაგდო.

კუბოში ლურჯი კაცი ესვენა.

თვით ფოთხოევიჩს ეცვალა ფერი, ანგარიშმიუცემლად ნაბიჯი უკან გადადგა, ზურგზე კი მოურიდებლად მოაწვნენ ცნობისმოყვარე სტრაჟნიკები, ჯგროდ შემოეხვივნენ გათხრილ სამარეს.

— ვაიმე, დედა! — დაიკვნესა ერთმა ახალგაზრდამ და იქვე მიწაყრილზე ჩამოჯდა.

მახუტისაც წამით უღალატა თავშეკავებამ, ოდნავ დაიხია.

მხოლოდ კოსტაია პორუჩიკი იდგა ნირშეუცვლელად. არც კი ჩაუხედავს გათხრილ სამარეში. ყოველივეს ფხიზლად ადევნებდა თვალს. სტრაჟნიკები რომ სამარეს შემოეხვივნენ, ტუსაღს მკლავში ხელი შეუმჩნევლად ჩაავლო.

იმავე წამს შორიახლო ბექობზე გავარდა თოფი, ზედ ფოთხოევიჩის ყურთან იწივლა ტყვიამ.

ერთი წამი, თვალის ერთი დახამხამება, თითქოს გაქვავდა სასაფლაო, მაგრამ ზარცემული ბრბო უმალ ამოძრავდა, ჯელგა-ჯელგა მიაწყდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, დაიგორგლა, შეიკრა, მერე აფეთქდა გორგალი, წიწიბურას მარცვალივით განიბნა მთელ სასაფლაოზე...

ხვლიკებად ქცეული სტრაჟნიკები მიძვრებოდნენ მიწაში, ეკვროდნენ საფლავებსა და ეკლიან ბუჩქებს.

ფოთხოევიჩს მოულოდნელობისაგან რეტი დაესხა. ტყვი-

ამ ისე ახლოს გაუწივლა, ერთბაშად გონს ვერ მოვიდა. არც იცოდა, ცოცხალი დარჩა თუ მისი სული ანგელოზებს მიჰქონდათ ცისკენ.

კოსტაია პორუჩიკს სახეზე ისევ ის უცვლელი დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა. მაშინაც კი, როცა მის მეგობარს ხუთჯერ ეცვალა ფერი, კოსტა აუღელვებელი დარჩა და ისე იდგა, თითქოს მახუტის მკლავს ეყრდნობოდა.

უბიძგა მახუტის. თვალებით ქვის თლილი ჯვარი ანიშნა, სადაც ცხვანტის დაეცქვიტა ყურები, ყოველ გასროლაზე თავს აკანტურებდა, თრთოლვა უვლიდა.

მიხვდა მახუტი... ერთბაშად მყიფე გახდა ძაფი, სიკვდილთან რომ აკავშირებდა. სიცოცხლემ გამოუწოდა მარჯვენა. გაქრა სასაფლაო, მიწყნარდა სროლის ხმა, დამფრთხალ სტრაჟნიკთა ღრიანცელი, ფოთხოევიჩის ღვარძლიანი გინება. აქანავდა მიწა და ცა. მახუტი მარტო დარჩა სამყაროს ცენტრში და მისგან ოციოდე ნაბიჯზე ქვის ჯვართან მოუთმენლად იცდიდა ერთგული ცხვანტი.

ადგილს მოსწყდა მახუტი, გაქანდა, ფრთები შეისხა. უზომოდ დიდი დრო მოუნდა ოცი ნაბიჯის გადადგმას, მრავალჯერ მოკვდა და გაცოცხლდა ამ გზაზე... რიალებდა მის თვალწინ აბობოქრებული სასაფლაო, ცხვრებივით ჯელგა-ჯელგა გარბოდნენ სტრაჟნიკები, ხარხარებდა პირდაღებული სამარე, საფლავის ქვები იფშვნეოდა და საფლავებიდან ამოყაყვული ეპოლეტებიანი ჩონჩხები ეჭიდებოდნენ მუხლებზე.

ხვიხვინით შეხვდა ცხვანტი პატრონს, ჭკვიანი თვალები შეავლო, ყური ცქვიტა. ალერსისათვის დრო სად ჰქონდა მახუტის. არაადამიანური ძალა იგრძნო. დაჰკრა ფეხი მიწას, ცხენს ზურგზე შეაფრინდა. აღვირი ერთბაშად ვერ იპოვა, ფაფარს ჩაეჭიდა. იმასაც შეასწრო თვალი, კოსტა გამონთებოდა კვალზე. ცხვანტის გვერდით მარქაფა ცხენი რომ იდგა, იმისკენ მორბოდა პორუჩიკი.

ბატონი გამომძიებელი გონს მოვიდა, გულზე ცეცხლი შემოენთო. მარტო შერჩა გათხრილი სამარის პირას, მთელ სასაფლაოზე გაბნეული სტრაჟნიკები კი ბექობზე ჩასაფრებული

ორიოდე ტერორისტის ტყვიას მიწაზე გაეკრა.

— უ-უჰ, თქვენი დედა-ა!.. — იღრიალა გამწარებულმა, რევოლვერი იძრო. — ყველას დაგხოცავთ!.. ლაწირაკებო!.. უდღეურებო!.. სამხრეებს ჩამოგახევთ საკუთარი ხელით!..

შორიახლო გაწოლილმა ბოქაულმა ლანძღვა-გინება გაიგონა და ბექობის მიმართულებით სროლა ატეხა. მას სხვებიც აყვნენ.

ფოთხოევიჩს უცებ მახუტი გაახსენდა. გაოგნებულმა შუბლზე ხელი იტკიცა. თვალი თირს მიადევნა ქვის ჯვრისკენ. ორი მხედარი მიქროდა თირზე. მახუტი და კოსტა უნდა ყოფილიყვნენ. „კოსტა არ გაუშვებს!“ — იმედი მოეცა, მაგრამ ტყვია მაინც დაუშინა. წინას ვერ მისწვდა და უკანა ცხენს მოარტყა. მწარედ შესჭიხვინა პირუტყვმა, მუხლები მოეკეცა, ქვებს მიელენა. მხედარმა აბჟანდიდან ფეხის ამოღება მოასწრო, თვითონაც გაგორდა და უმალვე წამოხტა. „კოსტაია!“ — იცნო ფოთხოევიჩმა. ფიქრის დრო აღარ დარჩა, მეწინავე მხედარს უიმედოდ დაადევნა ორიოდე ტყვია.

კოღოსავით დაიწივლა რაღაცამ, ფოთხოევიჩს მკლავზე უბწკინა უხილავმა ნესტარმა. გაოგნდა ბატონი გამომძიებელი. მკლავზე დაიხედა. სახელოზე წითელმა ლაქამ გამოჟონა. ლაქა თანდათან მატულობდა, პერანგის სახელო მკლავზე ეწებებოდა. ფოთხოევიჩს გული შეუწუხდა და სამარეში ბრაგვანი მოადინა.

გონს რომ მოეგო, თვალდახუჭული იწვა რაღაც რბილზე და ხრწნის სუნი ახრჩობდა. სადღაც ზევით ტყვია მღეროდა, ისმოდა სტრაჟნიკთა ღრიალი. თვალი დააჭყიტა, ლურჯი კაცის სიფათს შეეფეთა პირისპირ. თავღია კუბოში ეგდო ლურჯი კაცის მკერდზე. შეძრწუნდა, ჭრილობა დაავიწყდა, სამარის ნესტიან კედელს მიაწყდა, მიწას ფრჩხილებით ჩააფრინდა.

სამარეში დაგუბული ფხუკუნი გაისმა. ფოთხოევიჩს მოეჩვენა, თითქოს ლურჯი კაცი მის ზურგს უკან წამოჯდა და საცაა წაეტანება. მხრები აიწურა ბატონმა გამომძიებელმა, ციბრუტივით შემოკვიწიალდა. სამარის კუთხეში მესაფლავე მიკუჭულიყო და ჭიან კბილებს კრეჭდა.

— ვერ ხედავ, რომ ასვლა მიჭირს? მომეხმარე! — შეჰღრინა ფოთხოევიჩმა.

— ზევით ისვრიან, ბატონო, შეიძლება მოგკლან!

ფოთხოევიჩს შერცხვა.

— დაახურე კუბოს სახურავი! — ბრაზით წაუსისინა.

მესაფლავემ ჩაიფხუკუნა, ზლაზვნით წამოიწია, კუბოს სახურავი მოარგო.

ფოთხოევიჩს შიში გაუნელდა, მაგრამ ჭრილობა გაახსენდა. სახელო სისხლს მთლიანად შეეღება. იგრძნო, გული ისევ უღონდებოდა.

— მოდი აქ, დაიჩოქე!

მესაფლავეს სახე წამოენთო, ბრძანებას მაინც დაემორჩილა, სამარის კუთხეში დაიჩოქა. ფოთხოევიჩი მის მხარზე შედგა და სამარიდან ამოცოცდა.

ირგვლივ გაბრაზებული ფუტკარივით ზუზუნებდა ტყვია. ფოთხოევიჩი მიწაყრილს უკან ჩაგორდა.

შორიახლო სტრაჟნიკი იწვა, რევოლვერს ესროდა ბექობს. მისი ნასროლი მიზანს ვერ აღწევდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

„შტერი!“ — გულზე ჯავრი შემოენთო ფოთხოევიჩს, სტრაჟნიკს მოუხმო.

— ხომ ხედავ დაჭრილი ვარ!

სტრაჟნიკმა სახელო უხმოდ აუწია.

— ფრთხილად შენი... — უხეშად შეიგინა ფოთხოევიჩმა. — ხისა ხომ არ გგონივარ?

სტრაჟნიკი მოიღუშა, ხმა არ ამოუღია. გათხვრილი სახელო ფრთხილად შემოახია, სისხლი მოწმინდა. მკლავი ოდნავ გაკაწროდა, ფოთხოევიჩი კი მაინც ვერ ისვენებდა. გაახსენდა, მახუტი რომ ცხვირწინ ააცალეს და ისევ აბობოქრდა.

— ძაღლებო! რას ჩასაფრებულხართ?! ფლანგებიდან მოუარეთ, ფლანგებიდან!..

სტრაჟნიკმა ნაკაწრი პერანგის ნახევით შეუხვია, მკლავი კისერზე დაუკიდა. ფოთხოევიჩი ბრძოლის ველზე სარდალივით გამოიჭიმა.

— ყოჩაღ! — შეაქო უნებლიე დოსტაქარი. — როგორმე გააღწიე აქედან და პოლიცმეისტერი მონახე. ქალაქის ქუჩები

შეკრან, ყველაფერი გადაჩხრიკონ, ესენი მალე მოკურცხლავენ აქედან.

სტრაჟნიკი ბრძანების შესასრულებლად გაცოცდა.

— ფლანგებიდან, ფლანგებიდან შემოუარეთ! — დაუყვირა ფოთხოევიჩმა დაფანტულ სტრაჟნიკებს. — ეგენი ცოცხლები მჭირდება, ცოცხლები!

ბექობიდან სროლა თანდათან შენელდა და მალე სულ შეწყდა

გათამამებული ფოთხოევიჩი საფლავის მიწაყრილზე შედგა, ბრძოლის ველს გადახედა.

— წინ! — დაიღრიალა და რევოლვერი ბექობისაკენ გაიშვირა.

სტრაჟნიკები სამალავებიდან წამოცვივდნენ, აღმართზე აძუნძულდნენ. ფოთხოევიჩიც მათ მიჰყვა, თან ყვირილით ამხნევებდა:

— წინ, წინ, სწრაფად!..

უფრო ახალგაზრდებმა უკვე ბექობზე ააღწიეს.

— ვაშა-ა!.. — როლში შეიჭრა ფოთხოევიჩი, ოღონდ მოპასუხე არავინ იყო.

ბექობზე ხორციელი არავინ ჭაჭანებდა, მხოლოდ ცარიელი ვაზნები ეყარა.

ფოთხოევიჩმა გაოფლიანებული შუბლი შეიმშრალა და ბინძურად შეიგინა...

XLVII

სროლის ხმა რომ გაიგონა, ვასკა უმალ სასაფლაოსკენ სირბილით გაეშურა.

მოსახვევთან პოლიციელს შეეფეთა. შიშისაგან ჩიტისტოლა გამხდარიყო. ღობეს ამოფარებულს ბრძოლაში ჩარევის დიდი წადილი არ ეტყობოდა. ბიჭი რომ დაინახა, შერცხვა, ბანჯგვლიანი წარბები მკაცრად შეყარა.

— ვინ ხარ შენ?

ვასკა ცალგვერდად მიუახლოვდა, შეშინებული ხმით შეეკითხა:

— ეს რა ხდება, ძია, ა?.. რატომ ისვრიან, ა?..

— რას დაწანწალებ მერე ქუჩაში! გესვრიან ტყვიას და

მორჩე ბი ეგრევე! — მწყრალად უთხრა და ულვაშებზე ხელი გადაისვა.

— მე რატომ მესვრიან, რა დავაშავე? — ტირილი დააპირა ვასკამ, ტუჩები საცოდავად მოპრუწა.

— აბა, აბა, სწრაფად მოუსვი აქედან! — უბრძანა პოლიციელმა და თვითონ ამაყად გაშორდა იმ ადგილს.

ვასკას ქალაქი დაცარიელებული დახვდა. კაკულიას სავაჭროს წინ ერთ კაკაროტს წააწყდა. მუშტისტოლა დაზღარბებული თავი ება, პირისახე ჭაღარა ჯაგარს დაეფარა. ბოძზე მიყუდებული კიბის პირველ საფეხურზე იჯდა, ყოველ გასროლაზე მხრები უძაგძაგებდა.

ვასკას შეებრალა შეშინებული კაცი.

— ძია, ა, ძია! — მხარზე ხელი დაჰკრა.

კაკაროტმა წირპლიანი თვალებით ამოხედა.

— მე რა, ერთი კარდალი ღომი ვუშოვო ჩემს ცამეტ მუტრუკს და... — წაილუღლუღა დამნაშავესავით.

„გიჟია!“ — გაიფიქრა ვასკამ და დაუყვავა:

— ძია, წადი შინ, აქ რას უზიხარ, წადი!

— მე სამუშაოზე ვარ. გათენებამდე რომ წავიდე, პატრონი გამაგდებს. — რაღაც აზრებიდან გამოერკვა ბანჯგვლიანი კაცი.

— რა დროს გათენებაა, ნაშუადღევია უკვე...

— მართლა? — გაუკვირდა კაკაროტს, აფუსფუსდა. — მაშ, წავედი, წავედი...

ვასკამ გზა განაგრძო. ხალათის ქვეშ ცივ რკინას გრძნობდა. სასროლი თავისი ხელით გააკეთა, აქამდე გადამალული ჰქონდა და ახლა პირველად უნდა გამოეყენებინა. არ გადმომივარდესო და ხელით შეიმაგრა.

სროლა თანდათან მიწყდა. ახლა იქიდან მხოლოდ ღრიანცელი მოდიოდა. რომელი მხრიდანაც არ მიეპარა, ყველგან შაშხანებით შეიარაღებული ჯარისკაცები დახვდნენ.

— აქ მოდი! — დაუძახა მოულოდნელად ვიღაცამ და ბიჭს გული გადაუქანდა. ერთი ჯარისკაცი განზე გამდგარიყო, შაშხანა იქვე ღობეზე მიეყუდებინა.

ვასკამ უკან დაიხია.

— შეჩერდი! — გაუმეორა ჯარისკაცმა, შაშხანას ხელი დაავლო.

ბიჭმა გაისროლა და მოსახვევში გახტა.

ატყდა ჩოჩქოლი და აურზაური.

ვასკამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუსვა. ფეხდაფეხ მოსდევდნენ, მაგრამ ორღობე ნახევარწრედ უვლიდა და მდევარი ჯერ არ ჩანდა.

წუმპეს შეეჩეხა. ბაყაყებმა ტყაპანი მოადინეს ლეყეპმოდებულ შმორიან წყალში, შეშინებული კრუალი მორთეს. ვასკა წუმპეს თავზე გადაევლო, შემდეგ ტყრუშულ ღობეზე გადაძვრა და ბაღში აღმოჩნდა.

ახლაღა დაიხედა ხელებზე. სასროლი სადღაც დაკარგოდა. უიარაღო ბიჭი ძრწოლამ აიტანა. ჭიის დაჭმულ ჯორკოს ამოეფარა, იქიდან უთვალთვალებდა ორღობეს.

მალე მოსახვევში ჯარისკაცები გამოჩნდნენ. ორღობეს მთელ სიგანაზე ჯაჭვად გაშლილნი მოდიოდნენ ფეხაჩქარებით, ყოველ ხესა და ბუჩქს ესროდნენ.

ვასკა მიწას გაესნატა, ბიჭის სუნთქვა მიწის სუნთქვას შეუერთდა...

უცებ რაღაცა მოხდა. სისხლი გაეყინა ძარღვებში. იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო...

* * *

ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო, მაგრამ საშინელი არაფერი მომხდარა. ხელისგული ნაზი იყო, მისი სითბო ბლუზაში ატანდა.

ვასკამ სახე მიწას მოსწყვიტა, ნელა მოაბრუნა. შიშველი, ნამისაგან სველი ფეხები ბალახში ეფლობოდა. თვალი აადევნა ვარდისფერ, ფუნჩულა მუხლისთავებს, პეპლის ფრთასავით ჭრელ კაბას.

ჯაჭოთვალება გოგონამ ღიმილით შემოსცინა.

უსაზღვრო შიში იგრძნო ვასკამ. წამით ენა წაერთვა, ადგომა ვერ შეძლო, კანჭზე წაჰკრა ხელი.

— ახლავე დაიკარგე, ახლავე დაიკარგე აქედან!

გოგონა მიხვდა, რომ უჯავრდებოდნენ, ღიმილი ტუჩებზე შეეყინა.

— წადი-მეთქი აქედან, წადი! — უკვე ვედრებით გაუმეორა ბიჭმა.

გოგონას წყენა შეეტყო, თვალებზე ბინდი გადაეკრა. უკან, ბუჩქებისაკენ დაიხია.

ვასკა ოდნავ დამშვიდდა. ისევ გაწვა და ჯორკოს იქით გაიხედა. ჯარისკაცებმა ორღობეში ჩაიარეს. მხოლოდ ორი მათგანი შეყოვნდა წუმპის პირას. ბაღში გადმოიხედეს, ერთი-ორჯერ სალაღობოდ ხეებსაც ესროლეს და გადმოვიდნენ.

ვასკა მიტკალისფერი გახდა. წამოიწია, უკან გაიხედა. ჯარისკაცებმა ბიჭი შეამჩნიეს და მისკენ გამოემართნენ. ვასკას მათი უკვე არ ეშინოდა. უკან იხედებოდა და ვერაფერს ხედავდა, რადგან მშვენიერი ბაღი საქანელასავით დაირწა. ბიჭმა თვალები მოიფშვნიტა. შორიახლო, ღანძილისფერ მდელოზე ჭრელი პეპელა ეგდო. ვასკას მუხლები მოეჭრა, თავს ძალა დაატანა, პეპელასთან მილასლასდა.

ხამ ბალახში დიდი ჭრელი პეპელა პირაღმა ეგდო; ვარდისფერი, ფუნჩულა მუხლისთავები უსირცხვილოდ გამოეჩინა; ბაგეზე უმანკო ღიმილი შეჰყინვოდა; ფართოდ გახელილ თვალებში უკანასკნელი ნაპერწკალი ქრებოდა.

ჯარისკაცები ბიჭის უკან შეჩერდნენ. ისინიც გაშტერებულნი დაჰყურებდნენ ფრთებჩამოყრილ ლამაზ პეპელას.

ვასკა მათკენ შეტრიალდა. მუშტი მოეკუმა, სახე სიძულვილისაგან დაღრეჯოდა.

— Вы... вы!... — კბილები გააკაწკაწა.

დამფრთხალმა ჯარისკაცებმა შაშხანები ჯოხებივით დაითრიეს.

— რა გინდა, კაცო, რას გადაგვეკიდე? — ანგარიშმიუცემლად დუდღუნებდა ერთი, მეორე კი უხმოდ იგერიებდა გახელებულ ვასკას.

ვასკა კი მართლაც გიჟივით მიიწევდა, მუშტებს უშენდა, სადაც მიწვდებოდა...

ბოლოს ორივემ იკადრა გაქცევა, ლაწალუწით გადაევლნენ ღობეს, წინ წასულ ამხანაგებს გამოუდგნენ.

თავისი უძლურებით გამწარებული ვასკა კი ბალახში ჩავარდა და ატირდა...

ტიროდა უხმოდ, ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა თვალებიდან, ბოღმისაგან ხან ერთ მხარეს გადაგორდებოდა, ხან მეორეს; თელავდა მდელოს და ვერ ამჩნევდა, რომ ქაცვი უკაწრავდა სახეს, მკლავებს, მუხლებს...

მიჩოჩდა ჯაჭოთვალებასთან, ლოყა ცივ ლოყაზე მიადო და გაიტრუნა. დრო გადიოდა, ცნობიერება დაუბრუნდა. თანდათან დაირღვა ირგვლივ ჩამოწოლილი სიჩუმე, მის სმენამდე ხმაურმა მოაღწია.

ჩიტმა შესჭახჭახა თავზევით. ჭიანჭველამ უკბინა ხელზე და კანზე მიისრისა აბეზარი ჭიანჭველა.

ომახიანი სიმღერა შემოესმა. ყურებს არ დაუჯერა. ხეებს იქით თეთრი შენობა გამოკრთა. იქიდან მოდიოდა მრავალხმიანი სიმღერა.

ისევ გახელდა ვასკა. თავისი სასროლით უნდოდა შევარდნოდა მოქეიფეებთან და ერთიანად ამოეჟუჟა, მაგრამ სად ჰქონდა იარაღი.

მდელოზე დაგდებულ გოგონას დახედა. ჯაჭო თვალებში ცის სილურჯე ირეკლებოდა, ოდნავ გახსნილ ბაგეებში კრიალა კბილები თეთრად უკრთოდა.

გული კვლავ ამოუჯდა, თვალები ხალათის სახელოთი შეიმშრალა. მერე გოგონას კაბის კალთა გაუსწორა, მუხლები დაუფარა.

ხელში აიტაცა. ტვირთი მძიმე აღმოჩნდა, მაინც მარტომ წაიღო, მშველელთათვის არ უხმია.

ხანდახან ისვენებდა, მერე აუჩქარებლად განაგრძობდა გზას. ახლაღა შენიშნა, რომ კაბის სიჭრელეში წითელი ფერი სისხლისა იყო. სისხლის ცივი და წებოვანი შეხებაც იგრძნო მკლავზე, მაგრამ წინანდელი სიდინჯით მიაბიჯებდა.

სასახლიდან მამაკაცთა შეწყობილი ხმები ჭექდა. მუდმივ ლხინსა და დროსტარებას მიჩვეული ვაჟკაცები „მრავალჟამიერს“ ქარგავდნენ. ისმოდა მეღოდართა მხიარული შეძახილები და ღრიანცელი, ქალების კისკისი და მოარშიყე ყმაწვილთა ვნებიანი ხარხარი.

ვასკამ ერთხელაც შეისვენა და სასახლის წინ გაშენებულ

ყვავილნარში გავიდა. მექორწინეთა ხორხოცმა იმატა. ბიჭს ზარად ჩაესმოდა ეს უდარდელი ხმაური. მკლავები დაუბუჟდა, ძალა ელეოდა, მაგრამ კბილი კბილს დააჭირა, ჯიუტად მიჰქონდა თავისი ჯვარი გოლგოთაზე.

არავის შეუნიშნავს, როგორ გაიარა ყვავილნარის ვიწრო ბილიკი, როგორ აჰყვა თეთრ კიბეს. მის ირგვლივ წინ და უკან დარბოდნენ ხორაგითა და ღვინით დატვირთული ფარეშები, ხანდახან ჩაუქროლებდნენ მოჭიკჭიკე გოგო-ბიჭები, ფეხქვეშ დაძვრებოდნენ დიდგვაროვანთა ლოყაპუტკუნა ბავშვები... ვასკა ვერავის ამჩნევდა და მასაც ვერავინ ხედავდა...

მუხის მძიმე კარები ფართოდ გახსნილი დახვდა. ორი გრძელი მაგიდა გაეშალათ ვრცელ დარბაზში. ოთხ წყებად იჯდა უთვალავი სტუმარი და მღეროდა, ჭამდა, სვამდა, ღრიალებდა, იდგა ერთი გამაყრუებელი ღრიანცელი.

შუა დარბაზში სპარსეთიდან ჩამოტანილი ძვირფასი ჯეჯიმი ეფინა და ამ ჯეჯიმზე ფეხი შედგა ვასკამ; შედგა და პირდაპირ წავიდა. ჯეჯიმის ბოლოს, იმპერატორის ოქროსჩარჩოიანი სურათის ქვეშ, ცალკე მაგიდას უსხდნენ ნეფე-დედოფალი და იქით გაემართა.

მიდიოდა ბიჭი, ხელზე ატატებული მიჰქონდა თავისი დიდი, ლამაზი პეპელა და არც ხმაურს უგდებდა ყურს, არც არავის უყურებდა, გარდა ჭრელი ჯეჯიმისა, რომელსაც არ უნდა გადასცდენოდა.

გაჩერდა ნეფე-დედოფლის წინ, უკვე არ ყოფნიდა ძალა თავისი ტვირთის ჯეჯიმზე დასასვენებლად.

შეჰკივლა თეკომ, გულშემოყრილი მიესვენა სავარძელს.

— რა არის ეს? — დაიბნა მრავალნაცადი გენერალი არვაშანგ ჩიჩუა.

დარბაზში შეწყდა აურზაური, ჩაქრა სიმღერა, თანდათან მიინავლა ჯიუტ მემთვრალეთა ქაქანი, სრული სიჩუმე დასადგურდა. მხოლოდ წაქცეული ბოთლიდან დაღვრილი სისხლისფერი ღვინის ლიკლიკი არღვევდა დუმილს.

— რა არის ეს? — მეორედ იკითხა გენერალმა არვაშანგმა, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.

ნაწილი მეხუთე

სამყურას მეოთხე

ფოთოლი

XLVIII

ჩააფრინდა ფაფარში ცხვანტის. ტკიპასავით გაეკრა ზურგზე. თავი ააგდო ცხენმა, ყალყზე შედგა და ქვის საფლავს გადაევლო.

საფლავებს შორის გათელილ თირზე გაჭენებულ ცხენს აღვირი დასთრეოდა. ტყვია ზუზუნებდა ირგვლივ, მაგრამ მახუტი ცდილობდა სადავე მოეხელთებინა და ყურადღებას არ აქცევდა ტყვიის აბეზარ ზუზუნს.

კისერზე გადააწვა ცხენს, ყელზე ხელი მოჰხვია, მეორეთი კი ჯილავდარს მისწვდა, მერე აღვირს.

ცხენი ხროტინებდა და ზორბა ნახტომებით მიიკვლევდა გზას მესრისაკენ. მახუტიმ აღვირი ხელში ჩაიგდო, უნაგირზე გასწორდა. უკან მოიხედა. მარქაფა ცხენზე ამხედრებულ კოსტაია პორუჩიკს ტუჩი ჩაეკვნიტა, ფეხდაფეხ მოსდევდა.

„მე კი არ ვენდობოდი!“ — გაჰკენწლა მახუტის, მაგრამ ფიქრის დრო არ იყო.

პორუჩიკის ცხენს მოულოდნელად მუხლები მოეკეცა... ცხენმა ფერდი ააგდო; კოსტა ბურთივით გადავარდა კატაბარდებში. პირუტყვი გამწარებული ჭიხვინით რამდენჯერმე გა-

დაკოტრიალდა, სისხლი და ხორცი შეატოვა ქვასა და რკინას.

მახუტიმ აღვირს მოჰქაჩა, ცხვანტი ადგილზე დაატრიალა. კოსტას ჩაუქროლა და ისევ მესრისაკენ გააჭენა. პორუჩიკი გვერდით აედევნა. მახუტიმ ხელი შეაშველა და კოსტა მკვირცხლად მოახტა გავაზე ცხენს.

დაჰკივლა მახუტიმ, კვლავ გააქროლა საღარა ცხენი. ირგვლივ ზუზუნებდა აბეზარი ტყვია და კოსტაია პორუჩიკს სიმწრის ოფლი ასხამდა.

გაუჭირდა ცხვანტის ორი მხედრით მესერზე გადახტომა. ჰკრა ფლოქვები და გამომხმარი მესერი მოფშვნა.

გზა თავისუფალი იყო. მახუტიმ პირდაპირ ბორნისაკენ გააჭენა...

ტყვია მათ უკვე ვერ მიეწეოდა. მაინც გიჟურად მიქროდნენ. უკან დარჩა სროლის ხმა, უკან დარჩა საბრძოლო ყიჟინა და ღრიანცელი. მახუტი საბოლოოდ დაუბრუნდა სიცოცხლეს.

„მე კი არ ვენდობოდი!“ — სინდისი ქენჯნიდა მახუტის, მაგრამ არც ახლა იყო ფიქრის დრო.

მოსახვევიდან ჯარისკაცები გამოცვივდნენ, შაშხანების სროლა ატეხეს.

მოაბრუნა მახუტიმ ცხენი, ახლა სხვა მხარეს გააქროლა. ქარი ზუზუნებდა ყურებში და არ ესმოდა რას ჩაჰყვიროდა კოსტა.

— ბორნისკენ გზა უკვე შეკრული იქნება! — უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგონა ზურგზე აკრული პორუჩიკის ნათქვამი.

— ეწერში გავაღწიოთ! — მიაძახა პასუხად.

მოსახვევი საკმაოდ შორს აღმოჩნდა, უკნიდან კი ზედიზედ ადევნებდნენ შაშხანის ტყვიას.

კოსტაიამ რევოლვერი ამოიღო. ექვსი ტყვია ერთიმეორის მიყოლებით გაუშვა, მეშვიდე რევოლვერში ჩატოვა.

მის ნასროლს მიზნამდე არ მიუღწევია, მაგრამ ჯარის კაცები მიწაზე დაცვივდნენ და ისე განაგრძეს სროლა.

დაიხლართა ცხვანტის წინ ორღობეთა ლაბირინთი.

კვალზე არავინ გამონთებია, სიკვდილი არავის სურდა.

გარეუბნის ორღობეები გაიწელა. სახლები სულ უფრო შორიშორდებოდნენ ერთმანეთს, მოჭარბდა მწვანე ბაღები და შავი ხნულები.

ქალაქიდან ჯერ კიდევ ისმოდა ყიჟინი. სროლა და ღრიანცელი ხან მისუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა, ადგილს ინაცვლებდა.

უცებ გაიხლიჩა ორღობეების ხლართი, ბორკილები შეეხსნა ცხვანტის, ჯოღეჯიანის ფართო ველებზე გავარდა.

იცნო მახუტიმ მწვანედ მოსილი ველი.

კვარაცხელიას ოდიდან თეთრმანდილიანმა ქალმა გადმოიხედა, რაღაც გადასძახა ეზოში ჭადრებთან შეყოვნებულ ბერიკაცს.

გზა პირდაპირ კვეთდა ველსა და დიდინეძისაკენ მიირწეოდა.

მახუტიმ ცხენი შეაბრუნა, ველის დასალიერში მოდებულ გვიმრნარს მიატანა.

ოდესღაც ასევე მიაქროლებდა შავ ულაყს ამ ფართო ველზე. მის წინ თეთრყაბალახიანი უცნობი მიაგელვებდა ფაშატს. წამოეწია მაშინ მახუტი, ცხენდაცხენ გადაიტაცა თეთრყაბალახიანი. უნდოდა მათრახი ეტკიცა მისთვის, მაგრამ თვალშალშავა გოგონამ შემოანათა და დაცხრა ყმაწვილი, გალხვა შაქარყინულივით...

ცხვანტის ემძიმა ორი მგზავრი. გადახურებულს კანი უთრთოდა, კისერსა და ფერდებს ოფლი სველ ზოლებად ულიანდაგებდა. ხროტინებდა, ქაფი ეღვრებოდა ლაგამზე, წეღანდელივით არ შეეძლო ელვის უსწრაფესად მოევლო თვალსაწიერი.

— ცხენი დაგვივარდება! — მოხედა თანამგზავრს მახუტიმ.

— მგონი გავაღწიეთ! — პირზე სიფითრე შერჩენოდა პორუჩიკს.

მახუტი კისერზე ხელს უთათუნებდა ცხვანტის, ათრთოლებული პირუტყვი ყურებსა ცქვეტდა.

ტურების ბილიკებზე მიდიოდნენ, ჩადუნა და გლერძი იპყრობდა მიდამოს.

ჩამოქვეითდნენ. წინ კოსტაია პორუჩიკი მიიწევდა, მახუტის კი აღვირისათვის ჩაევლო ხელი, ფეხდაფეხ მისდევდა.

„მე კი მას არ ვენდობოდი!“ — ფიქრობდა დარცხვენილი მახუტი, მაგრამ ახლა ორმაგად რცხვენოდა, რაკი უნდობლობის ჭია ისევ ღრღნიდა.

ხშირ კოპიტნარში შევიდნენ. მზე მიეფარა მწვანე ფოთლებს, ნესტიან ჩრდილში გრილოდა. ფეხქვეშ აშმორებული

წყალი ჭყლოპინებდა. ჭაობის კოღო წიოდა.

ყვითელ ფოთლებში გასრიალდა უხსენებელი. ცხვანტი აფრუტუნდა. ფლოქვი ასწია, რათა გადაეთქერა. მახუტიმ აღვირს მოჰქაჩა. უკმაყოფილო ცხენმა ტორი მიწას დაჰკრა.

ვიწრო ახოში გავიდნენ. მკერდის სიმაღლეზე გადაჭრილი დიდრონი თხმელები შესაბრალისად აჩაჩხულიყვნენ.

განაკაფს შუა ფართოდ ტოტებგაფარჩხული ლეღვი იდგა. კენწეროებზე უკვე ესხა ცერისტოლა ბარუ ლეღვი, ძირეულ ხეს კი სურო და ძაღლყურძენა შემოხვეოდა და ახრჩობდა.

ლეღვის ჩრდილში შეისვენეს. მახუტიმ ცხვანტის ლაგამი აართვა, მცირე ხნით საბალახოდ მიუშვა. კოსტამ მჟაუნას რამდენიმე ფოთოლი მოწყვიტა, უგემურად დაღეჭა.

— მე თქვენ პირველი დანახვისთანავე გიცანით, თქვენ მახუტი ხართ.

— ნეტავი რა დაემართა ჩვენებს, სროლა დიდხანს გაგრძელდა... — მახუტის ქალაქის ამბები აწუხებდა.

— როგორმე თავს დააღწევენ. — ხელი გულგრილად ჩაიქნია კოსტამ.

ლეღვის ძირში ჯიქას გამოესხა პაწია ყვავილები. მახუტიმ ერთი მოწყვიტა, თითებს შორის გასრისა.

— თქვენ ყველაფერი მოხერხებულად მოაწყვეთ! — მადლობის მაგიერ უთხრა პორუჩიკს.

— მე მხოლოდ თქვენი გამზრდელისა და... — აქ შებორძიკდა წამით, — ჯუნას სურვილებს ვასრულებდი.

— მათი სურვილების თანხვედრა... — მახუტის ხმაში ფარული ეჭვი გაჟღერდა.

კოსტამ ჩაიცინა, ჯღატარა თვალები აარიდა. ხელში რევოლვერი ეჭირა და აწვალებდა.

— ეს უკვე არ ვიცი, ეს არაა ჩემი საქმე... არვაშანგი შტაბსკაპიტნობას დამპირდა, ჯუნა ფულს. ჩემთვის ერთიც და მეორეც საჭიროა...

„გველხოკერა!“ — გაიფიქრა უნდობლად მახუტიმ, თვალი შეავლო რევოლვერს.

— ნეტავი სად მოვხვდით? — იკითხა უცებ პორუჩიკმა, ახო შეათვალიერა.

— მეც პირველადა ვარ აქ! — მახუტიც ვერ ცნობდა გარემოს.

— გზა აგვებნა! — დაასკვნა პორუჩიკმა, რევოლვერი ბუდეში დამალა. — მგონი, ქალაქი აი იმ მხარეს დაგვრჩა, ჯოღეჯიანიც იმ მხარესაა... აქეთკენ გაგუას ტომბაა კუჩხობონზე, იქით ხურჩა... ოღონდ საკითხავია, ბორანზე გავაღწევთ თუ არა!

— ალბათ, ასეცაა! — კვერი დაუკრა მახუტიმ იჭვნეულად. — უკვე ნაშუადღევია. თუ მზეს ხელმარცხნივ დავტოვებთ, ხურჩამდე მივაღწევთ...

გზა განაგრძეს. ქურუშ ტყეში შევიდნენ. სხივები ფოთლებში ძლივს ატანდა. ძნელი გასარკვევი იყო, საითკენ იხრებოდა მზე. ნესტისა და შმორის სუნი იდგა. ნიავიც არ არხევდა დაგუბებულ ჰაერს. გაოფლილნი ძლივს სუნთქავდნენ.

ჭაობის უსახო ყვავილები გამოანათებდა ხანდახან წაბლისფერ მიწაზე, ფეხებქვეშ ტორტმანობდა უძირო ტლაპო.

წინ ისევ კოსტაია პორუჩიკი მიიკვლევდა გზას. მახუტის კი ცხვანტი მიჰყავდა მის კვალზე. პორუჩიკი სუსტ, აწურულ მხრებს მიაქანებდა. მახუტის ეჩვენებოდა, თითქოს მის წინ კუზიანი და კოჭლი ნოქო ბიგვა მიჩლახუნებდა შმორიან ჭაობში.

უსიამოვნო დარდი შემოაწვა გულზე.

ზოგჯერ კოსტა მოხედავდა ნატუსაღარს. მის ჯღატარა თვალებში ხან დამცინავი ღიმილი კრთოდა, ხან გაუგებარი მუქარა, ხან სიძულვილი. ვერ მიხვდა მახუტი, კეთილისათვის იღვწოდა ეს კაცი თუ ბოროტისათვის, სიცოცხლის წარმოგზავნილი იყო თუ სიკვდილისა.

ტყე უფრო ქურუშდებოდა. უშნოდ გაბარჯღული ტოტები ქაჯის ცოცხებს დაემსგავსა.

— ფრთხილად! — შესძახა.

გაფითრებული კოსტაია პორუჩიკი განზე გახტა. იმ ადგილას, სადაც წამის წინ იდგა, ტოტიდან ჩამოვარდნილმა უხსენებელმა მოადინა ტყაპანი. ერთი ბოროტად დაისისინა, ნეშომპალაში გაძვრა.

— მგონი ჯოჯოხეთის კარიბჭეს მივადექით! — გახუმრება სცადა კოსტამ.

ცოტაც რომ გაიარეს, გზა ისევ გადაჭრა მკლავის სიმსხო უნასმა. გველს თავი წამოეწია, ამაყად მიყელყელაობდა ორ-

კაპიანი ენის სისინით. ჭრელი, დაწინწკლული პერანგი მძივების ასხმულასავით ჯავარობდა ყავისფერ მიწაზე.

პორუჩიკმა რევოლვერს სტაცა ხელი, მაგრამ გაახსენდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტყვია ედო შიგ.

უცნაურად აჭრაჭუნდა გიგანტური ხეები. ზევით ნიავი ირწეოდა, მაგრამ აქ პირდახსნილ ჭაობთან ჰაერი არ იძროდა. სამარისებურ მდუმარებას კოღოს წივილი ან გველის კაჭრობა არღვევდა.

სადღაც მათ კვალზე დაიხავლა ტურამ...

* * *

სადღაც მათ კვალზე დაიხავლა ტურამ. კივილით შეეპასუხა მეორე. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და მოპირდაპირე მხრიდან მოისმა მოთქმა-ჩივილი ხროვისა.

— ჩვენი კვალი აიღეს! — ჩაისისინა პორუჩიკმა.

ცხვანტის ფეხი დაუშავდა. სიარული უჭირდა. ქვეითად მოდიოდნენ. თავჩაქინდრული ცხენი მორჩილად მოჰყვებოდა პატრონს. ტურების ყოველ შეკივლებაზე ცხენს შეათრთოლებდა; ისე ახლოს ეკვროდა მახუტის, დრუნჩით ზურგზე ეხახუნებოდა, სიარულს უშლიდა.

— ასე ჩვენ ვერასდროს გავაღწევთ! — სიჩუმე კვლავ დაარღვია პორუჩიკმა.

— გავაღწევთ!

შიმშილი გადაავიწყდათ. სადმე წამოწოლა და მოსვენება ყველაფერს ერჩივნათ, მაგრამ მშრალი ადგილი არსად იყო და მიაბოტებდნენ ფოლორჩში მოთხვრილნი, შმორიან წყალში გაწუნწკლულნი.

ბნელდებოდა და ქრებოდა უკანასკნელი სხივები მზისა.

— ავჩქარდეთ, თორემ ჭაობს ვერ დავლევთ! — თქვა მახუტიმ.

— ისედაც ვერ გავაღწევთ! — იმედი დაკარგოდა კოსტას.

— გავაღწევთ, აუცილებლად უნდა გავაღწიოთ!

— შენ ჯუნა გელოდება! — შური იგრძნობოდა პორუჩიკის ხმაში.

მახუტიმ მის მხრებს შეავლო თვალი. ნოქო ბიგვაც ასეთი უნდა ყოფილიყო იმ დღეს, ჯოგო ჩიჩუა რომ მიჰყავდა ფიჩორში სანადიროდ.

— შენ კი ფული და შტაბს-კაპიტნის სამხრეები!

პორუჩიკმა არაფერი უპასუხა, რადგან ფეხქვეშ სიმაგრე იგრძნო.

ტოტებს შორის აკიაფდა პირველი ცთომილი ასპიროზი. ხან ქრებოდა, ხან ისევ ინთებოდა ბრიალა ვარსკვლავი, გზააბნეულებს თავისკენ იხმობდა, სინათლესა და მყუდრო კერას სთავაზობდა.

ტყე თანდათან გამეჩხერდა. კოღო აწივლდა გაშმაგებით. ვრცელ ახოს წააწყდნენ. ალბათ ადამიანები ცხოვრობდნენ სადმე.

ტყის კიდეზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა წამოეხურათ თავზე. ირმის ნახტომის მირიადი სამყარო მოძრაობდა, ირეოდა, გუგუნებდა უბრალო მოკვდავის სმენისათვის მიუწვდომელი ხმებით.

ტურების კივილი მიწყდა ტყეში.

— ჩანს სოფელია. — რევოლვერი მოსინჯა პორუჩიკმა.

— სიფრთხილე გვმართებს, იქნებ გვიცნონ კიდეც...

მახუტი შეშფოთდა. ძნელად მოპოვებულ თავისუფლებას ველარ დათმობდა წუთიერი გაუფრთხილებლობის გამო. პორუჩიკის რევოლვერის ბუდეს შეავლო თვალი.

„მე კი არ ვენდობოდი! — გაახსენდა აკვიატებული აზრი, მაგრამ ახლა არ რცხვენოდა ეჭვისა. — გადამარჩინა, ცხენი მომგვარა, თან გამომყვა, ჯუნა ენდობა...“ — თავს ირწმუნებდა, ოღონდ ყოველივე ეს იყო ლიტონი სიტყვები, რადგან ეჭვის ჭია შეუჯდა და ღრღნიდა.

შავ ხნულს წააწყდნენ. სადაც ხნულია, იქ ადამიანიც უნდა ყოფილიყო და ხალისნარევი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ. ხნული მოთავდა. წინ ისევ ტყე იწყებოდა, ნასახლარიც კი არსად ჩანდა.

— აუ, აუ!.. — შესძახა პორუჩიკმა. პასუხად ტურის კივილი გაისმა ახლო ტყიდან. — აქ არავინ ცხოვრობს! — დაასკვნა გულგატეხილმა.

— უნდა წავიდეთ! — შეახსენა მახუტიმ.

— მაგრამ წინ ისევ ტყეა!

— იმის იქით უთუოდ ხურჩაა.

ვიწრო ბილიკი მონახეს. ვარსკვლავების სუსტ შუქზე ოდნავ ცრიატობდა ბუჩქებს შორის.

— გვიჯობს სადმე დავბანაკდეთ და გზა უთენია განვაგრძოთ! — თქვა კოსტამ.

პორუჩიკს დაღლილობისაგან სახსრები ტკიოდა.

ჭოჭყითა და ხვინჭკით მოფენილ პატარა მინდორზე გავიდნენ. ირგვლივ ტყე იგვერგვებოდა შავად, მინდორზე კი აქა-იქ ხარობდა ბღუჯა-ბღუჯა ბალახი, ბუწკი და ჭანჭყაბურა.

ადგილი საკმაოდ მშრალი იყო. ხემძევლის ქვეშ დაბანაკდნენ.

მახუტიმ ცხენს ლაგამი აართვა, საბალახოდ მიუშვა. როცა შემობრუნდა, კოსტაია ვერ იპოვა. ალბათ დაწვებოდა სადმე.

ბრტყელი ქვა მონახა, სასთუმლად დაიდო, ზურგზე გაწვა. ხეშეში ბალახი უფხოჭნიდა შიშველ კისერსა და მკლავებს, ზურგს კენჭები ტკენდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ვარსკვლავ-მორბედი ცვიოდა იმ თვალღია ღამეს. მახუტიმ იგრძნო, რომ თანდათან მოწყდა მოკენჭილ მინდორს, აიწია და ჯავარვარსკვლავეთში გაითქვიფა.

ასპიროზი ჩადიოდა ჰორიზონტს იქით. სხივთა ფართო კონა გადმოტყორცნა შუქურ-ვარსკვლავმა. მახუტი ზედ შედგა, რათა სხივთა ლიანდაგზე ასულიყო, ზევიდან ენახა ქვეყანა, სადაც მისი თვალშალშავა ცხოვრობდა.

ცივი შეხება იგრძნო. ყურისძირთან ჩაესმა ბოროტი სისინი. მკლავზე გლუვი სხეული გადასრიალდა, სიბნელეში გაქრა.

ძილი გაუტყდა, წამოჯდა. მიხვდა, რომ ვიღაცა თავზე ადგა.

წამოიწია, პორუჩიკი იცნო. კოსტაია ფეხებგაბარჯღული იდგა და ჩამავალი ასპიროზის სხივზე რევოლვერი უელვარებდა.

— რა გინდა? — შეცბა მახუტი, უნდობლობის ჭია ჩაუჯდა სულში.

— არაფერი, ძილში ლაპარაკობდი. — ყრუდ ჩაიდუდუნა კოსტამ, სიბნელეში გაუჩინარდა.

მახუტის ესმოდა, როგორ ხვნეშოდა პორუჩიკი, როგორ აჩხაკუნდა მის ქვეშ კენჭი, მოისრისა ხეშეში ბალახი. პორუჩიკი დასაძინებლად წამოწვა.

მახუტი დამშვიდდა, ისევ მილულა თვალი.

„უცნაურია ადამიანის ბედი, — ფიქრობდა იგი, — იბრძვი

და ბორგავ, ის კი არ იცი, სად მოგეღება ბოლო...“

ფიქრი თანდათან აებნა, დაავიწყდა რაზე ფიქრობდა.

ასპიროზმა ისევ გადმოტყორცნა სხივი. მახუტიმ დაინახა, რომ ასპიროზი კი არა, ჯუნა შემოსციცინებდა თვალებში.

„ჯუნა, ჩემო პატარა თვალშალშავა, — ფიქრი დალაგდა, — მთელი ჩემი ცხოვრება შენ გეძებდი მხოლოდ...“

ისევ იგრძნო ცივი და გლუვი სხეულის შეხება; ისევ ჩაესმა ყურისძირთან ბოროტი სისინი, წამოჯდა... თავზე ისევ კოსტაია პორუჩიკი ადგა, ხელში შავად მბზინვარე რევოლვერი ეჭირა.

— ახლაც ვლაპარაკობდი? — იჭვნეულად იკითხა მახუტიმ.

— ჩუ! — ხელი აიქნია კოსტამ.

ასპიროზი უკვე ჩასულიყო. ირმის ნახტომის ვარსკვლავეთს კოსტას სახე ცვილისფრად შეეღება.

— გესმის?

მინდორზე წყვილ-წყვილად სინათლის წერტილები დახტოდნენ. ტყისაკენ მიიხედა. შავ გრაგნილში ურიცხვი სინათლე ფუთფუთებდა. ისმოდა ჩუმი ხავილი და მოუთმენელი წკმუტუნი. წერტილები ხან ქრებოდა, ხან ინთებოდა, დაბორიალობდნენ ადგილიდან ადგილზე.

— ციცინათელებია?

— ტურებია... ჩვენ აქედან ვერ გავაღწევთ, ტურები წინასწარ გრძნობენ! — ხმა აუკანკალდა კოსტაია პორუჩიკს.

— უნდა გავაღწიოთ! — მკაცრად შეეპასუხა მახუტი და, სიმშვიდის მაგალითი რომ მიეცა, ისევ ზურგზე გაწვა. — წაუძინეთ, პორუჩიკო, წაუძინეთ. მალე ინათებს და გზას გავუდგებით.

იკივლა ტურამ ტყეში. ატეხა ღავღავი და წივილ-კივილი ალყად შემორტყმულმა ხროვამ.

შესაბრალისად დაიხვიხვინა ცხვანტიმ. ისე ახლოს მოვიდა, კინაღამ ფლოქვი დაადგა პატრონს.

ორთავეს ბუსუსებმა დააყარა.

— ეშმაკმა დალახვროს, მართლაც ტურების კერძი ხომ არ გავხდებით? — მახუტი წამოხტა.

— გული რაღაც საშინელს მიგრძნობს. — უიმედოდ ჩაიწუწუნა პორუჩიკმა.

— იქნებ რამენაირად დავაფრთხოთ?

— ბევრნი არიან და იმიტომ ბედავენ.

ნადირთა წრე სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა.

— ხეზე უნდა ავიდეთ. — თქვა კოსტამ.

— ცხენს დაგლეჯენ. — ერთგული პირუტყვი არ ემეტებოდა მახუტის.

— ეჰეე! — შეჰღრიალა უცებ კოსტამ. ტურების ხავილი და კივილი გაისმა პასუხად და წრე უფრო შეიკრა.

თითქოს იმატა უკუნმა, მაგრამ ლანდებად ქცეული ნადირის გარჩევა მაინც შეიძლებოდა. კიდევ ნახევარი საათი და ლაჩართა ეს ხროვა დაეხვეოდა უკაცურ ტყე-ღრეში მოხელთებულ ლტოლვილებს.

თრთოდა ცხვანტი, ტორებს მიწაზე სცემდა, საცოდავი ხვიხვინით შესთხოვდა პატრონს.

— ჩუმად! — დაისისინა უცებ კოსტამ.

ტურებმა შეწყვიტეს კივილი. საზარელი სიჩუმე ჩამოდგა. გაიყინა, გაქვავდა ცისქვეშეთი... და ამ სიჩუმეში გაისმა ტოტების ნაზი შრიალი, მსუბუქი ფეხის ხმა. ვიღაცა მოაბიჯებდა ტყეში. კაცები ხის ჩრდილში მოიკუნტნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ ტყისპირს.

„აცხა!“ — გაისმა ქალის ხმა, შოლტის ტყლაშუნი და ტურების მორჩილი წკმუტუნი. გაირღვა ნადირთა წრე, კუდამოძუებული ხროვა გარბოდა ღურღუთი ტყისაკენ.

ტყის სიშავეს გამოეყო მხრებზე თმაჩამოშლილი ქალი. თეთრი სამოსი ეცვა და ვარსკვლავთა სხივებზე ოქროსფრად მოელვარე შოლტი ეჭირა.

„აცხა!“ — მიაძახა მორჩილ ნადირს.

აღმოსავლეთი შეივერცხლა, სიფრიფანა შუქი დაიქსელა აბლაბუდასავით. აკლდამის მრუმე სინათლე დადგა ველზე. ბნელ ტყეში გაილალა ტურების ხროვა, თეთრსამოსიანი ასული და ღამე...

— რა იყო ეს? — ჩურჩულით იკითხა კოსტაია პორუჩიკმა.

მახუტიმ მხრები აიჩეჩა. ცხვანტის კისერზე მოუთათუნა ხელი. ცხენი თრთოდა, პატრონის ალერსს მადლიერი ხვივილით პასუხობდა.

მოდიოდა დღე...

* * *

მოდიოდა დღე...

მზის სპილენძისფერი სხივები ველზე გაწვა და აითქვიფა წითელ ჯიჯლაყაში. ტყისპირს ჩამოაცილა ბურუსის პირბადე, გადაწმინდა ღამეულ მოჩვენებათა კვალი.

დიდხანს მიშტერებოდნენ იმ ადგილს, სადაც ამას წინათ თეთრსამოსიანი ასული იდგა.

— ალბათ მოგვეჩვენა. — გამოფხიზლდა მახუტი.

— იქნებ აგრეცაა, მაგრამ ძალიან ლამაზი მოჩვენება კი იყო. — გაფითრებულ პორუჩიკს ენის ბორძიკი დასჩემდა. — ნეტა ვიცოდე მაინც სადა ვართ?

— როგორმე გავაღწევთ, — აიმედებდა მახუტი, — დარწმუნებული ვარ, ხურჩა ახლოსაა.

ცხვანტის მიუბრუნდა, კისერზე მოუთათუნა. ცხენმა ხვიხვინით უპასუხა. ნაღრძობი ფეხი დაუსივდა და კოჭლობდა.

— ეს ცხენი არაფერში გვარგებს, ჯობია დავტოვოთ, — თქვა კოსტამ, — აქ ბალახი ბევრია, როგორმე თავს გაიტანს.

— ტურები დაგლეჯენ.

— რა ვუყოთ, ასეთი ყოფილა მაგის ბედი.

ცხვანტი ყურებს ცქვეტდა, გონიერი თვალებით შეჰყურებდა ადამიანებს, თითქოს ამბობდა, ყველაფერი მესმის, მაგრამ სამსახურის წილ სიკეთე ვის მიუზღესო.

— არა, არ დავტოვებ! — ჯიუტად გააქნია თავი მახუტიმ. ჯილავდარს ხელი ჩაავლო და ტყეში შევიდა. დარწმუნებული იყო, მალე ხურჩას მიაღწევდნენ.

კოსტამ რევოლვერის ბუდე შეისწორა, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა. მჟაუნას მწკლარტე ფოთოლი პირში ჩაიდო და უკან ფეხათრევით მიჰყვა.

მშრალი ტყე იყო. რბილი, ხავერდოვანი ბალახი ეფინა მიწაზე. ირწეოდნენ ზენაარ ნიავს აყოლილი აშოლტილი ხეები.

მახუტიმ თავი ასწია, მიმოიხედა. ჯოჯო ამოფარებოდა ძირეულ ხეს. როცა ჩაუარეს, არაფერი იყო... მეორე ხის უკან ჩასაფრებულიყო ჯოჯო. იმას რომ ჩაუარეს, იქაც არაფერი იყო...

უჩინარი საფრთხე იმალებოდა ყოველ ნაბიჯზე.

— ლამაზი კი იყო ის ოხერი, — ამოიოხრა კოსტამ.

— ვინ?

— ის ქალი, თეთრსამოსიანი...

— ის ხომ მოჩვენება იყო?

— მე რა ვიცი! იმ სიბნელეში ვინ რას გაარჩევდა?

მახუტისაც ეგონა, რომ სიბნელეშიც გაარჩია ქალის სიმშვენიერე. შავი, ბრიალა თვალები უკრთოდა ვითომ, მაღალი მკერდი უტოკავდა თეთრ სამოსქვეშ, ჩამოქნილ თეძოებს დედოფლურად მიარხევდა... თვალთ უბნელდებოდა მის შემყურეს, მაგრამ მას ჯუნა ჰყავდა და ეს იცავდა განსაცდელისაგან.

— თითქოს მეძახდა კიდეც, კინაღამ გამოვუდექი, — გამოტყდა კოსტა, — თავი ძლივს შევიკავე...

— მერე შენი შტაბს-კაპიტნობა?

— ამანაც შემაჩერა, — ჩაიცინა პორუჩიკმა, — ოცნებაზე კაცი უცბად ვერ აიღებს ხელს. ღმერთმა მაშოროს და ერთხელაც რომ მოვკრა თვალი...

ხმა ჩაუწყდა, შეშინებული მზერა მიმოავლო ტყეს. მახუტი მიხვდა, მისი თანამგზავრიც ელოდა საშიშროებას.

ტყე დაიბურა.

ხეები თანდათან დაპატარავდნენ და დაიღვლარჭნენ.

ისევ აწივლდა კოღო.

გველის კაჭრობა გაისმა სადღაც.

ეკლიანი ბუჩქი გაიჯღლარდა შავ ჭონჭყოზე, მწვანე გუბეებს შმორიანი ჭავლი უვლიდა ტანაჯორის ბრუნვისაგან.

ნელი დუდუნი მოისმა მიწისქვეშეთიდან.

შეჩერდნენ. შეშფოთებულებმა მიაყურადეს. მხოლოდ ცხვანტი ფრუტუნებდა მშვიდად, გზადაგზა ნორჩი ყლორტების მოკვნეტას ცდილობდა.

ნელი, თანაბარი დუდუნი ედებოდა ჯაგებსა და ჭაობებს, ნაზი ბუმბულის ხაფიფ შეხებას ჰგავდა იგი.

— ხურჩა! — მიხვდა მახუტი.

— ხურჩა! — იმედდაკარგული პორუჩიკი გამოცოცხლდა. წამოწითლდა, სიხარულს ვერ იოკებდა.

ნაბიჯს მოუხშირეს, გზას უკვე არ არჩევდნენ.

ხავსით დაფარული ჭაობი ტორტმანებდა ფეხქვეშ. ხავსს წყალი უდგებოდა ჭყანჭყარით და სკდებოდა მიწის ციებიანი ფილტვებიდან ამონასუნთქი ბუშტულაკები.

შავ-მწვანე ხაიაში გველი მიძვრებოდა. პირში გაჩრილ ბაყაყს მიაქანებდა. ბაყაყი კიოდა. გადმოკარკლული თვალები ჭაობის ციებიან ბუშტულაკებს მიუგავდა.

უცბად გაიხსნა მწვანე კედელი, გამოჩნდა დაჭაობებული ბუჩქნარი და მის იქით აციმციმდა ვერცხლის ზოლი.

— ხურჩა!

— ხურჩა?! — სიკვდილის კლანჭებიდან თავდაღწეული ადამიანის სიხარულით წამოიძახა კოსტამ.

მახუტიმ ჯილავდარს ხელი უშვა, წინ გავარდა. პორუჩიკი მას მიჰყვა. ცხვანტი კოჭლობით მიჩლახუნდა მდინარესთან.

ფართოდ გაშლილიყო ბობოქარი ხურჩა, გუგუნით მოაგორებდა მღვრიე ტალღებს. ნაპირებში ვერ ჩატეულიყო, ხრავდა, ძიძგნიდა მიწას. მორღვეული ნაპირი დგაფუნით ინთქმებოდა ბნელ უფსკრულში და წყალი კვლავ იკრავდა პირს.

— ადგილს მაინც ვერ ვცნობ, — სიხარული გაუნელა პორუჩიკს.

— ვერც მე, მაგრამ სადღაც ქვემოთ უნდა იყოს ბორანი.

— ჭაობებში ვერ გავალთ, გაღმა ხაბო კი მაღალი და მშრალია... — კოსტამ უთქმელ აზრს გაუღიმა, რევოლვერის ბუდეს მოეფერა.

— ხურჩა მრავალგზის გადამიცურავს, — უნებლიედ წაიტრაბახა მახუტიმ, — გავცუროთ?

— მიდი, გაცურე, მეც უკან მოგყვები! — კოსტას თვალებში ნაპერწკლები უხტოდა, ტუჩებს წამდაუწუმ უცნაური ღიმილი უხსნიდა.

— ხომ არ გეშინია?

— ტყეებისა და ჭაობების მეშინია, თორემ ხურჩა ჩემი მონაა! — ხრინწიანი ხმით თქვა კოსტამ.

მახუტიმ გაიხადა, ტანისამოსი თავზე ჩალმასავით შემოიხვია. ფეხსაცმელები თასმით კისერზე ჩამოიკიდა. ჯილავდარს ხელი ჩაავლო და ცხვანტი წყლისაკენ წაიყვანა.

პირუტყვი შეთრთოლდა, ფრუტუნით დაიხია, დაიძაგრა.

პატრონმა აღვირი კისერზე რბილად გადაჰკრა. ცხვანტიც დამორჩილდა, კელანაობით მიჰყვა.

ნაპირთან ქვიშა მოეფინა ხურჩას, ფსკერი თანდათან ღრმავდებოდა. ახლად გალხობილი თოვლისა და ყინულის ღვარი მოდიოდა. მახუტი ნაბიჯ-ნაბიჯ ეფლობოდა მღვრიე და ცივ წყალში, ჩურჩულით ამხნევებდა ყურდაცქვეტილ ცხენს.

წელამდე რომ უწია, ცხვანტი გვერდით გაიყოლა, ცალი ხელით უნაგირის კეხს ჩაეჭიდა, ცალი ღონივრად მოუსვა.

ცხვანტის მარტო თავ-კისერი მოუჩანდა, ფრუტუნებდა, თავდაუზოგავად მიარღვევდა ხურჩას ცივ ტალღებს.

მახუტი ღონის გამოზოგვას ცდილობდა, მკლავს მოზომილად უსვამდა.

მესამედი რომ გაცურეს, შესჭიხვინა უცებ ცხვანტიმ, შეუშინდა საიდანღაც მოგორებულ ტალღას, უკან მოინდომა გაბრუნება. უშხუვლა მაშინ მახუტიმ აღვირი და დაუკიჟინა:

— წინ, ცხვანტი, წინ!..

დაიძაგრა საღარა, აჯობა ტალღას.

მახუტის ღონე თანდათან ელეოდა... დაესუსტებინა ციხეს, შიმშილს, განცდებს...

— წინ, ცხვანტი, წინ!.. — ცხენს კი არა, თავის თავს უკიჟინებდა და ამხნევებდა.

ხედავდა მახუტი, ხურჩა რომ უფრო და უფრო ფართოვდებოდა, მაღალი ხაბო უფრო და უფრო შორდებოდა.

ბობოქრობდა იმ დღეებში წყალუხვი ხურჩა; ხრავდა ნაპირებს და ნაპირები დგაფუნით ინთქმებოდა შავ ჯურღმულში; გლეჯდა ასწლოვან ხეებს და ჩამოჰქონდა ფესვებგაბარჯღული ხეები; წყვეტდა ბორნებს და მძვინვარედ უგდებდა ფიჩორსა და ცვანეს...

ბობოქრობდა იმ დღეებში წყალუხვი და მღვრიე ხურჩა; მახუტი და ცხვანტი უკანასკნელ ღონეს ხმარობდნენ, რათა თავი დაეღწიათ მისი ულმობელი და ყინულოვანი ხვევნისათვის.

— წინ, ცხვანტი, წინ! — კიჟინებდა მახუტი და ერთგული ცხენი მიარღვევდა მთებიდან ერთიმეორის მოყოლებით მოვარდნილ პერმოდებულ ტალღებს.

დიდი კუმი წამოვიდა საიდანღაც შხუილით, თავზე გადაევლო მახუტის, შლამით აუვსო ნესტოები, ცივი წყალი ასვა. შემოაბრუნა მორევმა, დაატრიალა. დატრიალდა მთებიდან ზღვამდე გადაჭიმული მდინარე. ნაპირებმა გადაინაცვლა, ერთმანეთს მიეთხლიშა და გაჭყლიტა ხურჩა.

მარწუხივით მძლავრმა თითებმა სტაცა ფეხებში მახუტის, სიღრმისაკენ დაითრია ძალაგამოლეული ჭაბუკი. ფეხები გაასავსავა, რათა მოეგერიებინა, მაგრამ ვერ მოიშორა რკინის თითები და თვითონაც ორთავე ხელით წაეპოტინა უნაგირის კეხს. ვერ გაუძლო ცხვანტიმაც, ჩაიყურყუმელავა, მღვრიე წყალი ყლაპა.

მოიხედა სასოწარკვეთილმა მახუტიმ. ხურჩა ვრცელი იყო და შმაგი. ნაპირზე კოსტაია იდგა, თვალები ორი წითელი ვარსკვლავივით ბოროტად უბრწყინავდა, გიგანტური ხელები გადმოეწვდინა მდინარეზე, თითები ჩაევლო მახუტისათვის.

ისევ გაიბრძოლა მახუტიმ, მაგრამ ხურჩას ცივი ტალღები და კოსტაიას რკინის თითები ეწეოდნენ ბნელი, შლამიანი ფსკერისაკენ და ღონე არ ყოფნიდა განწირულს.

კოსტაია ექაჩებოდა ფეხებზე და მისი უღონობით გახარებული ხარხარებდა და ხარხარებდა, დასცინოდა მის სიქველეს, იდეალებს, სიცოცხლისადმი ლტოლვას, დასცინოდა მის კეთილშობილებას, მოურიდებლად ღრიალებდა ლურჯი კაცის სიტყვებს:

„ღალატი ყველგან დადის, მას ვერ მოჰკლავ!.. მას ვერ მოჰკლავ!..“

თვალებში ბინდი მოაწვა მახუტის. ხურჩას ზედაპირი ლიცლიცებდა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. უღონო მახუტი ძლივს ტივტივებდა ლიცლიცა ზედაპირზე.

ხეში გამოჩორკნილი ორჩხომელი მოარღვევდა წყალს შესართავიდან სათავისაკენ. თეთრ იალქანზე დიდი ყვითელი მზე ჰქონდა გამოსახული და მაცდურ ნიავს იჭერდა თეთრი იალქანი. ნავის ოკაჩხეზე გოლიათი იჯდა, გაოცებული უყურებდა მახუტისა და ცხვანტის ბრძოლას ხურჩასთან.

„არამხუტუ, არამხუტუ, ძმა ვარ შენი და მიშველე!“ — შეჰვედრა მახუტიმ.

ფეხზე წამოდგა გოლიათი ჭაბუკი. ათასი მცირე ზანზალაკით აწკრიალდა ზეიდლისაგან ნაქსოვი ჯაჭვის პერანგი; ხურჩას სივერცხლე აირეკლა მის ჩაფხუტზე; აჭახუნდა მუხლისთავებზე და ბარძაყებზე ჩამოცმული თორნი რკინისანი.

„არამხუტუ, ჩვენ ერთნი ვართ, მე და შენ!..“ — იძახდა ძალაგამოლეული მახუტი და კოსტაიას გიჟური ხარხარი ესმოდა ჭაობიანი ნაპირიდან.

„ღალატი ყველგან დადის, მას ვერ მოჰკლავ!.. მას ვერ მოჰკლავ!..“ — მოსძახოდა პორუჩიკი.

იშიშვლა მაშინ ხმალი გოლიათმა; გადააწვდინა ხურჩას, დაჰკრა და მოკვეთა რკინის მკლავები ნაპირზე მოხარხარე ჯადოქარს.

იძალა ცხვანტიმ, ჭაბუკი გაიყვანა ქვიშიან ფლატეზე. ფეხებქვეშ სიმაგრე იგრძნო მახუტიმ. სიცოცხლემ ისევ მოიხედა მისკენ. მაგრამ არ დაუთმო შმაგმა ხურჩამ, მოაწყდა ნაპირს, გამოხრა, გამოღადრა ქანობი და მოანგრია, დგაფუნით ჩაფშვნა მღვრიე წყალში. განზე გატყორცნა ტალღამ მახუტი, მაგრამ იგი უკვე გამარჯვებული იყო. ნაპირის შლამში ჩავარდა ჭაბუკი, ლოყა სველ თიხას მიადო, სითბო შეისრუტა მისგან. გონს მალე ვერ მოეგო. ცხენი რომ გაახსენდა, ცხვანტი არსად ჩანდა.

ხაბოზე აცოცდა, მიიხედ-მოიხედა. საღარა მეგობრის კვალი ვერსად დალანდა.

ღონემიხდილი ბაოზე ჩამოჯდა. ზურგით კუნძს მიეყრდნო. მზეს მიეფიცხა. სითბო ეღვრებოდა დაღლილ იოგებში, თვალი ელულებოდა. გონებას ბურუსი გადაეფარა. ვერ გაიხსენა, რა საშინელება გადახდა წამის წინ, ვერ გაიხსენა, რას გადაურჩა და ვინ გამოუწოდა მაშველი ხელი.

მოეჩვენა, რომ ზურგიდან ეპარებოდნენ. თვალი დააჭყიტა, ძილი დაუფრთხა. ტყე მდუმარებდა მის უკან და ჭყორმუხებზე ფოთოლიც არ ტოკავდა. წინ ტკბილად მოდუდუნებდა ნაზი და უცოდველი ხურჩა. ვერცხლისფერ ზედაპირზე ჭავლიც არ იძროდა; ორ ნაპირს შორის ჩამწყვდეული, მორჩილად მიყვებოდა ბუნების მიჩენილ კლაპოტს.

მეორე ნაპირზე კოსტაია პორუჩიკი იდგა. წელს ქვემოთ გაშიშვლებულიყო. ოფიცრის მოთხვრილი კიტელი იღლიებამდე აეკაპიწებინა და ტიტლიკანა, თეთრი ღვანჭიპა მოუჩანდა. წყალთან მისულიყო. ჩაჰყოფდა ცერს ცივ წყალში და უკანვე ამოხტებოდა ქალური კისკისით. ვერ ბედავდა თოშნარევ წყალში ჩასვლას, ცმუკავდა, ჯამბაზივით ხტუნაობდა, კისკისებდა.

მერე გაბედა, შემოდგაფუნდა, აუჩქარებლად წამოვიდა... წყალი მუხლებზე მოადგა, შემდეგ თეძოზე. როდესაც ჭიპამდე უწია, პირდაპირ გამოსწია, თითქოს ხურჩა კი არა, ატალახებული კუჩხობონი ყოფილიყოს მის წინ; თითქოს წყალში ჩაძირულ უხილავ ბოგირზე მოაბიჯებდა წელგამართულად.

ხურჩა კი მორჩილად ელამუნებოდა ტანზე, გასარკულ ზედაპირს ჯეჯიმივით უფენდა.

მახუტი გაუნძრევლად იჯდა ბაოზე და ისე უთვალთვალებდა სატანის ნაშიერს.

ხაბოზე ამოდგაფუნდა წითელთვალება პორუჩიკი. სახეზე ხელები ჩამოისვა, თითქოს უჩინარი ნიღაბი მოიძრო. ისევ ის კოსტაია იდგა მახუტის წინაშე, ჯღატარა თვალებით შეჰყურებდა, უცნაურად უღიმოდა.

— რატომ არ იცვამთ, თავადო? — ფამილარულად შეეკითხა.

მახუტის გააჟრჟოლა. კოსტაია პორუჩიკს მკლავებზე ღვანთქები აჩნდა.

„გველხოკერა!“ — გაიფიქრა და სველი შარვალ-ბლუზა სწრაფად ჩაიცვა.

კოსტამ სარტყელი წელზე შემოირტყა, რევოლვერის ბუდე გაისწორა.

XLIX

სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა დარბაზში. ნეფედედოფლის წინ ძვირფას სპარსულ ჯეჯიმზე თავგადაგდებული გოგონა ესვენა. ფართოდ გახელილ თვალებში სიცოცხლე ჩამქრალიყო.

წამი წამს მისდევდა. შეუძლებელი გახდა დროის აღრიცხვა. პირში ბურთგაჩრილი სტუმრები ვერ ბედავდნენ ადგილზე შეტოკებას, ხმამაღლა სუნთქვას, ვერ ბედავდნენ აჩურჩულებას.

გულწასული თეკო სავარძლის ზურგზე მიესვენა. თვალცრემლიანი ეკა სველ ცხვირსახოცს ადებდა საფეთქლებზე.

ფერდაკარგული არვაშანგი კერპივით გახევდა. ფიქრებისაგან დაცლილმა არ იცოდა, როგორ გადაეკვეთა ეს საშინელი ნასკვი.

უცებ სასოწარკვეთილი კივილი შემოიჭრა დარბაზში. დამფრთხალი სტუმრები უფრო შეაშფოთა.

ამოძრავდა სუფრა, სუსტმა ჩურჩულმა გადაურბინა ნიავივით. აჭრიალდა სკამები, აჩხაკუნდა გადადგმული ჭურჭელი... თითქოს შერცხვაო ამ უნებური ხმაურისა, კვლავ გაიყინა დარბაზი, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სასოწარკვეთილი კივილი კი უახლოვდებოდა დარბაზის მოჩუქურთმებულ კარს.

— რა მოხდა? მე ხომ არ მოვკვდი? — წაიჩურჩულა გონს მოსულმა თეკომ. — ოჰ, როგორ არ მინდოდა სიკვდილი... — თუმც ძლივს ხსნიდა ბაგეებს, მთელმა დარბაზმა გაიგონა მისი სიტყვები და დიაცებმა თვალებზე ცხვირსახოცები აიფარეს.

ზღურბლზე ძიძა შედგა. გამჭოლი ნიავი აქანავებდა, თეთრი ღამის პერანგი კოჭებს უფარავდა; პატარა, ნაოჭებით დამჩაჩული სახე შუაში გაეხლიჩა უკბილო პირს; თვალებში სიგიჟე ედგა და ვერაფერს ხედავდა ლიბრგადაკრული თვალებით. ჩხირებად ქცეული, უმადური შრომით დამსკდარი ხელები თავს ზევით აეშვირა და გამწარებული მოჰკიოდა.

ჯეჯიმზე ძლივძლივობით გამოიარა, მუხლები ვერ ამაგრებდნენ და მოლასლასებდა.

ძირს დასვენებულ გოგონასთან ჩაიმუხლა, პატარა მუშტები თავში წაიშინა, ჭაღარა დაიგლიჯა, დაბებკილი ლოყები დაისისხლიანა.

— ვავა სქუა, ვავა, ვავა! — კიოდა დაუსრულებლად და სტუმართა გულებს მდუღარე ესხმოდა.

არვაშანგი ნერვულად წამოხტა, პირქვე დამხობილ ძიძას მიეჭრა, მხრებზე ალერსიანად წაავლო ხელი.

— კაი აწი, ძიძაია, ადექი.

— ასეთი პატარა როგორ უნდა ჩახვიდე სამარეში, ნენა... — მოთქვამდა ძიძა.

— სიკვდილს წინ ვერ აღვუდგებით, რა ვქნათ ახლა, თან ხომ ვერ გადავყვებით. — თავმდაბლად ეხვეწებოდა არვაშანგი.

— ჩემი პატარა გოგო, ჩემი ფუნჩულა გოგო, ჩემი უდედოდ გაზრდილი გოგო. მიწაში მარტო როგორ ჩაგტოვო, ნენა!.. — გულზე ცეცხლი ეკიდებოდა ძიძას, ჭაღარას იგლეჯდა და ჯეჯიმზე ფანტავდა.

...თექვსმეტი წლისას, ტყე-ღრეში ხეტიალით გაწამებულს, მოსწყურდა უთვისტომოს. ჭიდან წყლით სავსე სათლი ამოათრია და ჩამოხრჩობილი ბიჭის მოღრეცილ სახეს შეეფეთა...

— ჩემო ობლად გაზრდილო გოგო, მარტო არა ხარ!.. მახუტიც შენთან იქნება, მახუტის შეეხვეწე გიპატრონოს!..

ისე იკივლა ძიძამ, იატაკზე გაწვა, შუბლი ურტყა ძვირფას ჯეჯიმს.

— ვავა, სქუა, მახუტი სქუა. შენც მოგკლეს მაგ უღმერთოებმა, შენც მოგიღეს ბოლო!..

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ქალები ხმამაღლა ტიროდნენ. ზოგი სტუმარი სუფრას ტოვებდა, შეუმჩნევლად იპარებოდა.

— თეკოიაც მომიკლეს, ჩემი თეკოიაც!.. — სიგიჟემ დარია საბრალოს ხელი.

— გაიყვანეთ! — მსახურებს მოუხმო არვაშანგმა.

ხელი დასტაცეს და იატაკს მოწყვიტეს. ის კი ცდილობდა შებრძოლებოდა, გასხლტომოდა, ღონე არ ეყო და მსახურთა მკლავებზე მიესვენა.

გაყუჩდა, ლიბრგადაკრული თვალები მიმოავლო აზუზუნებულ დარბაზს, არვაშანგის თვალებს შეეფეთა.

— მკვლელი!

— რა გინდა, ძიძაია, დამშვიდდი, საცოდავო, დამშვიდდი... — შეცბა არვაშანგი.

— მკვლელი! — გაიმეორა ძიძამ.

— გაიყვანეთ! — მეორედ უბრძანა გენერალმა მსახურთ.

...და დაარტყა უტუ მიქამ გრდემლზე ურო და მთელმა ქვეყანამ კვერი დაუკრა.

თექვსმეტი წლის უთვისტომომ მათრახი უშხუვლა ბატონს ჯუღურ სახეზე, მოახტა ფიცხ შავრას და ფლოქვებით მორეჯგვა საბატონოები...

— შენ მოჰკალ მახუტი! — ჩურჩულით თქვა ძიძამ.

არვაშანგმა წარბები აწკიპა. ლოყაზე სიმხურვალე იგრძნო, თითქოს სილა გააწნეს სახეში.

— შენ მოჰკალ თეკო!

— თეკო აგერ ზის, ძიძაია! — თავი იმართლა გენერალმა.

სტუმრები ახმაურდნენ, აქა-იქ გაისმა მოურიდებელი ყაყანი.

— შენ მოჰკალი ეს პატარა ობოლი! — მუხლი მოეკვეთა ძიძას.

— მთლად გამომიშტერდი, შე საცოდავო, შენა! — არვაშანგმა მრისხანედ გადახედა დაყოვნებულ მსახურებს და ღონემიხდილი ძიძა სწრაფად გაიყვანეს.

— ესეც გაასვენეთ! — მიუთითა მუნჯ გოგონაზე.

მსახურებმა მორჩილად ასწიეს, ციმციმ წაიღეს მიცვალებული. გოგონას თავი გადმოუვარდა. მის ფართოდ გახელილ თვალებში საფირონისფერი მკვდარი ზღვა იდგა.

არვაშანგმა საფეთქლებზე ხელი მოისვა. ცუდი სიზმრის მოშორებას ცდილობდა. მერე სტუმართა საყურადღებოდ წაიდუდუნა:

— ვინ გაუგებს ბედისწერას. უბედურება და ბედნიერება მეზობლად სახლობენ, მათ შორის ღობეც კი არაა გავლებული.

მხოლოდ რამდენიმე პირმოთნემ ჩაიხითხითა. ახლაღა შეამჩნია გენერალმა, სტუმართა უმრავლესობა გაქცეულიყო, სხვებიც ზღარბის ტყავზე ისხდნენ.

„ლაჩრები! — გაიფიქრა გულღრძოდ. — გადავუხდი სამაგიეროს, თუ არვაშანგ ჩიჩუა მქვია... დიაცები!“

სმის ხალისი მემთვრალეებსაც დაეკარგათ. მომღერლებმა სიმღერის დაწყება მკრეხელობად მიიჩნიეს, ენა გადაყლაპეს. სამაგიეროდ ჭორიკანა დედაკაცები არატრატებდნენ ენას. მათი ჩურჩულისაგან ისეთი ზუზუნი იდგა, თითქოს ბუზების ლაშქარი ეხლებოდა ფანჯარას.

— ეჰ, წავედი მეც! — წაიროხროხა ბიძია კირილემ. — ბედნიერი იყავით, ყმაწვილებო! — გასძახა ნეფე-დედოფალს. — არა, ბატონებო, არა, ჩემთვის უკვე გვიანია ქალებში... — სიტყვა ბოლომდე არ დაამთავრა.

— კირილეს ვენაცვალე, მეც თქვენთან მოვდივარ! — წამოხტა ოქროსპენსნეიანი მოხელე.

და აენთო უცებ არვაშანგ, ერთბაშად გადმოანთხია წვეთობით დაგროვილი შხამი, მუქარით შეუძახა დარჩენილებს:

— თქვენ რაღას უცდით!.. ბარემ თქვენც წადით!

აწრიალდნენ სტუმრები, შეიქნა მიწევ-მოწევა. იატაკზე დავარდნილმა თასმა გაიწკარუნა. ღვინით სავსე ჭინჭილა ბუყბუყით დაიცალა. ნაცემი ძაღლივით წამოვარდა ზოგი და ზოგი

მოწვეული, შიშნარევი ბუზღუნით გავარდნენ კარში. ზოგს კი წელი დამძიმებოდა და პირზე სულელური ღიმილი მიჰყინოდა. თითო-ოროლა ისეთი ვაჟკაციც გაერია, ხმამაღლა წალაპარაკებასაც არ მოერიდა, ღმერთმა შეარცხვინოს, ვინც შენთან ჭიქა ღვინოს ასწევსო...

დაცარიელდა დარბაზი. გრძელ მაგიდებზე დაყრილი ნამუსრევი, მიყრილ-მოყრილი სკამები, სისხლით მოთხვრილი ჯეჯიმი, — მიტოვებულ ბრძოლის ველს დაემსგავსა არვაშანგის სასტუმრო.

— წავიდეთ! — უბრძანა თეკოს.

ქალი თითქოს სავარძელზე დაებათ, ადგილიდან ვერ იძროდა, თვალებში კი ისევ ცრემლი უბრწყინავდა.

— ნუ, თეკო, ნუ!.. — შეეცადა ამასთან მაინც ყოფილიყო ალერსიანი. — დროა ბედს შეურიგდე!

ადგომაში წაეშველა, გვერდით გაიყოლია, გალანტურად უღებდა კარებს, წინ ატარებდა. ქალი ოთახში შეიყვანა. როგორც წინასწარ ჰქონდა დათქმული, საწოლზე დასვა, თვითონ კი გასვლა დააპირა, მაგრამ მცირე ხანს შეყოვნდა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— ტირილით ვერაფერს გააწყობ, ძვირფასო! — ცდილობდა დაემშვიდებინა. — თუ ჩემი ცოლობა არ გინდოდა, ბარემ წინასწარ გეთქვა.

თეკო ჩუმად იჯდა, ცრემლს ყლაპავდა.

არვაშანგი შეჩერდა, ერთხანს ზევიდან დაჰყურებდა. მერე ხელი უიმედოდ ჩაიქნია და კარისაკენ გაემართა. სახელურს მოჰკიდა, მაგრამ ანაზდად დაბრუნდა, გვერდით მიუჯდა და ქალს საკინძე შეუხსნა...

* * *

გონებაშერყეული ძიძა თავის საკუჭნაოსაკენ წაიყვანეს მსახურებმა, საწოლზე დააწვინეს, საბანი წაახურეს და კარი მიუკეტეს. როგორც კი ფეხის ხმა მიწყდა, დედაბერი უმალ წამოფორთხდა, პერანგის ამარა უკანვე წაფარფატდა. დერეფანში მიცუხცუხებდა, მუჭისტოლა სახეზე თვალებიღა შერჩენოდა.

ძალაგამოლეული ბადუს ოთახთან შეჩერდა, მუხლებზე დაეცა, შუბლი კარს მიარტყა.

— ბადუ, ბადუია!.. ბადუ, ბადუია!..

ოთახიდან ჩქამი არ ისმოდა, ძიძა კი თავს ურახუნებდა წაბლის მაგარ კარს, გაზრდილს იხმობდა.

— ბადუია, გამიღე კარი... გამიღე კარი!..

ძაკუსძემ მოირბინა. მსახურებს დაუძახა, გიჟი ისევ გამოქცეულა და დაამწყვდიეთო. მკლავებში სტაცეს დედაბერს. უჩვეულოდ გაუძალიანდა ძიძა, უკანასკნელი ღონე შეალია ამ გაბრძოლებას.

— ბადუია, მოჰკალ არვაშანგ!.. მოჰკალ არვაშანგ!..

საკუჭნაოსაკენ გაათრიეს, მაგრამ გზა-გზა მაინც იძახდა:

— ბადუია, მოჰკალ არვაშანგ, თორემ დაგწყევლი!.. დაგწყევლი!..

L

— ჭორი, საზიზღარი ჭორი! — მიახალა გაგულისებულმა ბადუმ ხუტას და ხურჩას პირას დატოვა. სანამ სასახლეს მიაღწევდა, ათასი რამე გაიფიქრა, ეჭვი აეწეწა, რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო ერეოდა ბრაზი. კიდევ კარგი, გენერალი გზაში არ გადაყრია, თორემ უთუოდ ეცემოდა. ახლა კი იმდენი ჭკუა იხმარა, სამზარეულოდან ბიჭიკო მოიხმო, ხელში ვერცხლის მანეთიანი ჩაუდო.

— ახალს რას მეტყვი, ბიჭიკო?

— ძაკუსძეზე მეკითხები, გოლუაფირო? — მლიქვნელურად კუდი გააქიცინა ბიჭიკომ.

— ის ტყირპი მე არ მაინტერესებს. — მოიღუშა ბადუ. — ჩიჩუებთან ქორწილიაო, ქალაქში ხმა დარხეულა.

— თქვენ არაფერი იცოდით? — პირი დააღო ბიჭიკომ.

— მაშ, ვითომ მართალია ყველაფერი?

— კი, გოლუაფირო, კი... — წელში მოიკაკვა მზარეული. — დიდი ბატონი საკმაოდ ახალგაზრდაა... — ყოყმანით დაამატა, რადგან არ იცოდა ბადუს აზრი.

ღმერთო, როგორი თავლაფდასხმაა! — ბადუმ თავზე ხელი იტაცა და ბიბლიოთეკაში შევარდა. გაცხარებული ბოლთასა

სცემდა და მრავალნაირად სჯიდა.

შუა ოთახში შეჩერდა. თვითონაც ვერ გრძნობდა თავს წმინდანად და ამას უფრო გამოჰყავდა მოთმინებიდან. დიახაც, მან უღალატა ყველას და ყველაფერს. მან უღალატა არვაშანგს, როცა თეკოს დაეპატრონა, უღალატა მახუტის, უღალატა თეკოსაც... და აი სასტიკი ნაყოფი დანაშაულისა. თეკოც დაიღუპა, არვაშანგიც და მახუტიც...

უპირველესი დამნაშავე მაინც არვაშანგია, ბებერი არვაშანგი, ვინაც ყოველგვარი ადამიანური კანონი გათელა და ყველაფერი თავის ტირანულ ნებას დაუმორჩილა.

აჩქარდა გაფიცხებული ბადუ, ბიბლიოთეკიდან შლეგივით გამოვარდა, გულიანად მიახეთქა კარი, სირბილით გაიარა გრძელი დერეფანი, კაბინეტის კარის სახელურს ჩაავლო ხელი. კაბინეტიდან ხმა არ გამოდიოდა, მაგრამ ბადუ გრძნობდა, რომ გენერალი შიგ იმყოფებოდა. ხელები აუთრთოლდა. შუბლით მიეყრდნო ცივ, ტყავგადაკრულ კარს. შინაგანად განადგურებული უკან გამობრუნდა. დერეფანი ბანცალით გაიარა, თავისი ოთახისაკენ წალასლასდა.

კარი გასაღებით ჩაკეტა და ორი დღე არ გამოსულა იქიდან.

ეგდო პირაღმა თავის ფართო სარეცელზე, პერანგი და შარვალი დაჭმუჭნოდა. გაუპარსავი ლოყები მოწითალო ჯაგრით დაეფარა, თვალის უპეები ჩაუშავდა. სრულიად გამოფიტული და უღონო არაფერზე ფიქრობდა. ხანდახან უსიცოცხლო თვალებს მოავლებდა ოთახს და მაშინღა იბადებოდა სუსტი აზრი. ახსენდებოდა ბავშვობა... ერთხელ ის და მახუტი ხურჩას პირას ხაბოზე გაგზავნა ძიძამ. ვინც ოთხფოთოლა სამყურას იპოვის, ნატვრა აუსრულდებაო, დაარიგა. ხაბო სამყურას ხალიჩით იყო მოფენილი, მოყვითალო-თეთრ თავთავებს თაფლის სურნელი სდიოდა და ზედ უამრავი ფუტკარი ეხვეოდა. იწვნენ ბიჭები სამყურას ხავერდოვან მდელოზე და ეძებდნენ ოთხფოთოლა სამყურას, მაგრამ ვერსად პოულობდნენ. ბოლოს იეშმაკა ბადუმ. სამყურას ერთი ფოთოლაკიც ზედ მიადო და ვიპოვე, ვიპოვეს ძახილით ძიძისაკენ წაკუნტრუშდა. „ბედისწერას ვერ მოატყუებ!“ — უთხრა მაშინ ძიძამ ბადუს. და, აჰა, წამოეწია კიდეც ბედისწერა...

სასახლე თანდათან აივსო ხმაურით. ცხენების ჭიხვინი ისმოდა პარმაღთან, უამრავი ფეხსაცმლის პაკაპუკი დერეფანსა და მეზობელ ოთახებში. ადამიანთა შეძახილი, ხორხოცი, მოურიდებელი ყიჟინა ჩაუგუბდა ყურში. პირველად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, ყველაფერი დავიწყებოდა. როდესაც ოთახში ომახიანი „ვოისარადა“ შემოიჭრა და ყურთასმა წაუღო, მაშინღა გაახსენდა, რომ ქორწილი იყო. გაშმაგებული წამოხტა და ისევ დაჯდა. არ იცოდა რა მოემოქმედა.

მოგვიანებით არვაშანგმა დაუკაკუნა, — ახლავე გამოდიო, — მოსთხოვა. ბადუმ წაუყრუა. აწი არც ეშინოდა მისი. ეზიზღებოდა და მასთან დალაპარაკება არ სურდა. გუნებაში აგინებდა ყველა მისთვის ცნობილ ენასა და ჟარგონზე. ამითი იოხებდა გულს.

დიდხანს ისმოდა სროლა ქალაქში. მაყრების თავგამოდებად მიიჩნია ეს ხმაური.

ძიძის კივილმა თავზარი დასცა. თეკო მოკლესო, რატომღაც გაიფიქრა. კართან მიტორტმანდა. გასაღების გადასაბრუნებლად ღონე არ ეყო და იქვე ჩაჯდა. კარგად ესმოდა ძიძის მოთქმა და ვერაფერს მიმხვდარიყო.

დერეფანში მსახურებმა გაიბრაგუნეს, თან ვიღაცას მიათრევდნენ. ის ვიღაცა წუწუნებდა და უძალიანდებოდა.

ბადუ ისევ ისე, შეთესავით იჯდა. ადგომის თავი არ ჰქონდა.

მერე გარედან კარს ფხაჭუნი აუტეხეს. ძიძა უძახდა, კარი გამიღეო. ბადუმ წამოიწია, უნდოდა გაეღო, მაგრამ ვიღაცებმა ძიძა წაიყვანეს და მისი ხმა თანდათან შორდებოდა ბადუს კარებს. „მოჰკალ არვაშანგ!.. მოჰკალ არვაშანგ, თორემ დაგწყევლი!..“ — კიოდა ძიძა და ბადუს დამბლადაცემულივით წართმეოდა ხელ-ფეხი და ენა.

თანდათან დამშვიდდა, გონება დაეწმინდა. იგრძნო, რომ შეეძლო ეფიქრა ლოგიკურად, მაგრამ ისიც იგრძნო, რომ უკვე არ იყო მთლად ნორმალური.

„უნდა მოვკლა, თორემ ძიძის წყევლა წამომეწევა! — გაიფიქრა. — რევოლვერს ავიღებ ბიბლიოთეკაში... მგონი ვაზნაა ჩარჩენილი...“

სიცოცხლე დაუბრუნდა. შეძლო წამოდგომა, გავლა-გამოვლა, ჯავრით ავსება.

სარკეში საკუთარ სახეს მოკრა თვალი და ვეღარ იცნო. ბუთია თვალები გიჟივით არეოდა, სახის ჩვეული ნაკვთები თითქოს წაშლოდა.

უფრო მოაწვა სიშმაგე. უნდა ემოქმედა, თორემ ბოღმა დაახრჩობდა.

კარი გამოაღო, ფრთხილად გაიხედა. დერეფანი დაცარიელებულიყო. დარბაზიდან ხმა არ გამოდიოდა.

ბიბლიოთეკაში ფეხაკრეფით შევიდა. უჯრა გამოსწია. მტვერდაყრილი რევოლვერი იმავე ადგილას იდო. ნაზად გადაუსვა ხელისგული, მტვერი გადაწმინდა. ლულა გადასწია და ჩაიჭვრიტა. ვაზნა შიგ იდო.

ჯიბეში რევოლვერიანი ხელი დამალა. დერეფანი ცერზე გაიარა. დარბაზში შეიხედა, მერე გენერლის კაბინეტში, მერე გენერლისავე საძილე ოთახში. ვერავინ აღმოაჩინა. თეკოს კართან შედგა. არაფერი ესმოდა, მაგრამ მოეჩვენა, რომ ოთახში თეკო სლუკუნებდა. კარი ჯიქურ შეაღო და რევოლვერმომარჯვებული შიგ შევარდა.

არვაშანგის გაძვალტყავებულ, ნეკნებამოჩრილ ზურგს მოჰკრა პირველად თვალი, გულზე ზიზღი მოაწვა.

წამით მიატოვა ბებერმა ლომმა მსხვერპლი და გაშმაგებული სახე მოაბრუნა.

მზერით შეეტაკნენ ერთმანეთს გამზრდელ-გაზრდილი.

არვაშანგის თვალებში სისასტიკე ციმციმებდა. ბადუმ ვერ გაუძლო, წამწამები დახარა, არვაშანგის დანაოჭებულ კისერსა და ჭაღარა ბანჯგვლით დაფარულ მკერდს დაადგა თვალი.

— Hy! — ცივად შესძახა არვაშანგმა. — ისროლე, რას უცდი!

ბადუმ რევოლვერი ასწია და ყანყრატოს დაუმიზნა. ხელი უცახცახებდა და რევოლვერის ლულა ხტოდა.

— მე გიცდი! თუ შეგიძლია, ისროლე, თუ არა და გაეთრიე აქედან! — გაუმეორა ბოროტად არვაშანგმა. ერთ ხანს უცადა, მაგრამ ბადუს თითი გაშეშებოდა.

— ლაჩარი! — ზიზღით წარმოთქვა ბერიკაცმა. გაძვალტყავებული ზურგი შეაქცია და მის წინ სარეცელზე დაგდებულ თეკოს მიუბრუნდა.

ბადუს თვალებიდან ცრემლი წასკდა, ზლუქუნით გავარდა

თავის ოთახში, საწოლზე დაეცა და თავში მუშტი წაიშინა.

— ლაჩარი, ლაჩარი! — ყმუოდა და ხელებს იკბენდა. მერე რევოლვერი აიღო და შუბლზე მიიდო.

იდგა შუა ოთახში შუბლზე რევოლვერმიბჯენილი ბადუ და ვერ ამჩნევდა დროის მსვლელობას...

მოვიდა შუაღამე, ბაღში მიკიოტმა იკივლა...

LI

ცხენმა დაიჭიხვინა და ადგილზე დატრიალდა. ჯუნამ მათრახი მოუნაცვლა. ნაწყენმა პირუტყვმა ფლოქვები მიწას დაჰკრა, კვალი დააჩინა; ერთხელ კიდევ შესჭიხვინა, ყალყზე შედგა და ისევ ადგილზე შემობრუნდა, მხედარმა თავი ძლივს შეიკავა; ყაბალახი შეისწორა, ჩოხის ჩამოვარდნილი კალთა ხელმეორედ აიკეცა, ცხენს მუხლები შემოაჭდო. ისევ ჰკრა მათრახი, მაგრამ გაჯიუტდა პირუტყვი, ადგილიდან არ დაიძრა.

ხითხითი შემოესმა, მოიხედა. ცხენის გავაზე მუჭისტოლა ჭინკა იჯდა.

„რა გინდა?“

„მახუტისაკენ მიიჩქარი?.. იჩქარე, იჩქარე!..“

„ხომ არ იცი, სად არის?“

„ვიცი, ვიცი...“

ცხენი ისევ დატრიალდა ადგილზე, თრთოლვა უვლიდა შეშინებულს, კისერს ღრეცდა და სისხლიან თვალებს უბრიალებდა გავაზე შემოსკუპებულ ჭინკას.

„მათრახის ტარზე გადმოდი, ხომ ხედავ, ეშინია!“

ჯუნამ მათრახი განზე გასწია, ჭინკა მის ტარზე გადასკუპდა.

„ვიცი, მაგრამ არ გეტყვი!“ — ჭირვეულად დაუმატა.

„რატომ? აკი კეთილი ვარო?“

„იმიტომაც არ გეტყვი!“

ცხენი ისევ დაფრთხა, თვალებს განზე კუსავდა, მაგრამ მხედარს დაემორჩილა და ბილიკს გაუყვა.

„მით უმეტეს, რომ გვიანაა... ვერაფერს შეცვლი!“

ჯუნა შეშფოთდა, აღვირი ბოლომდე მიუშვა. შეშინებულმა ცხენმა ფრთები შეისხა ეწერში გაკვალულ ტურების ბილიკზე.

„იქროლე, იქროლე! — ყირაზე დადგა მათრახის ტარზე შესკუპებული ჭინკა. — გასწი იქით, სადაც უკანასკნელად შეხვდი... მაგრამ დამიჯერე, ტყუილად მიქრიხარ, უკვე გვიანაა!“

„ჩამომეცალე!“ — მათრახი აიქნია ჯუნამ და ჭინკა ჰაერში გაუჩინარდა.

მიქროდა ჯუნა ეკალ-ბარდებით აძონძილ ეწერზე, ჩირგვთა მწვანე გრაგნილი გარბოდა უკან.

— მიდი, ძვირფასო, მიდი! — ამხნევებდა დაშინებულ ცხენს.

იკეცებოდა ბილიკი ფლოქვებქვეშ, ითელებოდა უშნოდ გამოჩრილი ეკლიანი ბუჩქი, მზეს მიფიცხებული გველი იძურწებოდა ბარდებში; მზე ქანაობდა ცაზე და იალკიალი გაჰქონდა ცასაც.

— მიდი, ძვირფასო, მიდი!.. — ეხვეწებოდა ერთგულ პირუტყვს, კისერზე უთათუნებდა ხელს.

მიქროდა ჯუნა მახუტის საშველად და ვრცელი ეწერი კლებულობდა ფლოქვებქვეშ.

...ოდესღაც ცაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი, ჯგეთი წამოვიდა მიწაზე. ჯუნა და მახუტი გარბოდნენ წვიმის ქვეშ. გაზაფხულის წვიმა ჰბანდა ჯუნას სახეს, მკლავებს, მკერდზე მიტმასნებულ სველ კაბას... მირბოდა ჯუნა და მისი გამხდარი კანჭები კალმახებივით მიდგაფუნებდა ორღობეებიდან მოვარდნილ ღვარში.

„გავიქცეთ, ჯუნა, გავიქცეთ!“ — უძახდა მახუტი და გზას უკაფავდა თავსხმაში დაკარგულ გოგონას...

კისერი წინ გაეწვდინა ცხენს, ძარღვები ებერებოდა, ხმაურით ისრუტავდა ჰაერს...

მიქროდა ჯუნას ცხენი და მოვარდნილი ნიავი უწეწავდა ფაფარს.

ისევ მოესმა ხითხითი მხედარს, მათრახის ტარის წვერზე ჭინკა კირწიკორწით ყირაზე გადადიოდა.

„დააგვიანე, ჯუნა, უკვე დააგვიანე!“ — გაჰკიოდა და სიცილით სული უგუბდებოდა.

„მომწყდი!“ — აიქნია ჯუნამ მათრახი. მუჭისტოლა ჭინკა თამბაქოს ბოლივით გაუჩინარდა ჰაერში.

— მიდი, ძვირფასო, მიდი!.. — ჩასჩურჩულებდა ერთგულ ცხენს და ისიც თავდაუზოგავად მიგელავდა.

ქარი ზუზუნებდა ჯუნას ყურებში, ქარი ცდილობდა ყაბალახი მოეხადა, აეწეწა შავი თმა, აეფრიალებინა ტყაში მაფას თმებივით.

ქარი ეხვეოდა ურცხვად, უკოცნიდა ბაგეებს, თვალებს...

ვერცხლისფერმა ზოლმა გაიელვა წინ. ხურჩა გაშლილიყო ვრცელი და ბობოქარი. ადიდებულიყო ნაწვიმარზე, მოეგლიჯა ბორნები, დაეპყრო ნაპირები. ახლა კი ფართოდ გაშლილი მდორედ მოდუდუნებდა, ცრიატებდა წყლის მოსარკული ზედაპირი.

ჭინკა შემოახტა ცხენს გავაზე. შეწუხდა პირუტყვი, შესჭიხვინა, ყალყზე შედგა, ფეხქვეშ მოდებული თხილის ბუჩქი გადარეჯგვა.

„ახლა ხომ დაგჭირდი, ახლა ხომ დაგჭირდი!“ — ხარხარებდა ჭინკა და ვერცხლის ზოდებით ფარავდა ხურჩას ზედაპირს.

დაჰკივლა ჯუნამ ერთგულ ცხენს, თავგამოდებული გადაეშვა ხურჩაში. ნალებმა გაკვესა ვერცხლზე, ნაპერწკალი დაყარა და გაჭენდა ცხენი კაშკაშა ხიდზე...

ცხენის გავაზე შემომჯდარი ჭინკა კი ხარხარებდა, ხარხარებდა და კირწიკორწით გადადიოდა ყირაზე.

ტორტმანებდა ზოდები, ფლოქვებიდან ეცლებოდა. შიშინით ამოდიოდა ხურჩას მღვრიე წყალი, ცდილობდა ჩაენთქა თამამი მხედარი, მაგრამ ისევ ზოდებით იფარებოდა ზედაპირი და ვერცხლზე კვესავდა ნალები.

ხარხარებდა ჭინკა, მიჰკიოდა ჯუნა, კისერწაგრძელებული ცხენი არ ზოგავდა ღონეს...

ნაპერწკლებს ტოვებდა გზაზე, ნაპერწკლები ქრებოდა ტალღებში.

ხაბოზე ავარდა ცხენი და გაქრა ჭინკა, მიწყდა მისი ხარხარი... მოიხედა ჯუნამ, ცრიატი გადაჰკრავდა ვრცელ და ბობოქარ ხურჩას, დამშეული ტალღები ხარბად ლოკავდნენ ნაპირებს.

ისევ აზუზუნდა ყურში ქარი, ისევ შეებრძოლა ყაბალახს, რათა ჯუნას თმაში ჩახვეულიყო და ისევ იტაცებდა ცელქი ქარი მის კოცნას...

* * *

ღორღმიყრილ ველთან ჩამოქვეითდა. ცხენი იქვე დატოვა, თვითონ კი წელში მოიხარა; ბუჩქებსა და ქვების გროვას ეფარებოდა და ისე მიიწევდა წინ.

ანაზდად უცნაური გუგუნი ჩაესმა. გული აუტოკდა. ქვებს გაეკრა და ისე უსმენდა.

თითქოს მიწამ ენა აიდგა.

„ჯუნა, ჯუნა...“ — წაიჩურჩულა ხმამ. გაიჭახანა და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ჯუნამ კვლავ მიადო ყური ქვებს, აღარაფერი ისმოდა.

წამოხტა და თხმელნარისაკენ გაიქცა. სანამ ბუჩქებს მოეფარებოდა, მიდამო შეათვალიერა. საეჭვო არაფერი ჩანდა.

ბუჩქებსა და ბარდებში გაძვრა, დაიხარა და ბნელ ხვრელში შეჰყო თავი. ხვრელი ნელა გუგუნებდა, ვიღაცას შეეშფოთებინა მისი მდუმარება. შორეული ექოს სუსტი გამოძახილი აღწევდა ჯუნას სმენამდე.

გაბედა და შიგ შეძვრა. სიბნელეში გაჭიმული მავთული მოსინჯა, ნელა გაჰყვა. ზურგს უკან თანდათან დაპატარავდა მრგვალი, ნათელი ჭრილი, ჯუნა სრულ უკუნში შთაინთქა.

სადღაც გაიჩხაკუნა ქვამ. შეთრთოლდა მავთული ჯუნას ხელში. შეთრთოლდა ჯუნაც, ქვის სლიპ კედელს აეკრა. წინიდან ვიღაცა მოიწევდა. არაფერი ჩანდა, მაგრამ მავთული ტოკავდა და მის ტაქტზე ნიავის ნელი ტალღები სახეზე ელამუნებოდა.

ჯუნამ რევოლვერის ჩახმახი შეაყენა, ლულა სიბნელეს დაუმიზნა.

ასე იცდიდა ერთ ადგილას გახევებული, შიშისაგან გულშეკუმშული.

მალე ფეხის ხმა გაისმა, ვიღაცა კატასავით მსუბუქად და ფრთხილად მოაბიჯებდა.

— ჰეი, ვინ ხარ?! — შესძახა ჯუნამ.

წამით შეწყდა ფეხის ხმა, შეტოკდა მავთული, მერე გაისმა გაქცეულის ფეხსაცმლის ჩლახუნი.

— შეჩერდი, გესვრი! — დაჰკივლა ჯუნამ და უკან გამო-

უდგა. ბნელში ძნელი იყო სირბილი და ვერ დაეწია.

მავთულის ბოლომდე მიაღწია. წელში გასწორდა. ისევ კედელს აეკრა, რათა სიბნელიდან მოულოდნელად თავს არავინ დასხმოდა.

დარბაზში იმყოფებოდა. შუა დარბაზში ჩამორღვეული ჭერიდან სინათლის სვეტი იღვრებოდა. თანდათან შეაჩვია თვალი და ბინდში კაცი დალანდა. დარბაზის შორეულ კუთხეში კედელს აკვროდა.

— შეჩერდი! — ისევ მიაძახა ჯუნამ. მისი ხმა მრავალგზის გაიმეორა ექომ, მაგრამ ლანდი მიწამ ჩაყლაპა.

ჯუნა ფეხდაფეხ მიჰყვა.

უცებ რაღაცას წამოედო და ზედ დაეცა ადამიანის ჯერ კიდევ თბილ სხეულს...

LII

კარგა ხანს მოჰყვებოდნენ ხურჩას ნაპირს. ხაბო მთლიანად დაეფარა მწვანე სამყურას და ფეხი იფლობოდა რბილ ხალიჩაში. მდელოზე უხვად მობნეული მოყვითალო-თეთრი ყვავილები თაფლის სურნელს აფრქვევდა. მახუტის მოუნდა ბავშვივით გაწოლილიყო, ჩახუტებოდა ნაზ სამყურას, ლოყით გახახუნებოდა ნორჩ ფოთლებს, ესუნთქა თავთავების თაფლის სურნელით.

კოსტაია პორუჩიკი წელმორღვეულად მოჩლახუნებდა. შიმშილმა და გრძელმა გზამ დაღალა შტაბს-კაპიტნობის კანდიდატი. ამიტომაც აზრი თავში ძუნწად მოსდიოდა, ფიქრით ერთსა და იმავე აზრს უტრიალებდა.

— ვიცოდეთ მაინც სადა ვართ!

ხეთა კენწეროებს მიღმა კვამლი დალანდეს. მდინარეს პატარა ძელური გადაჰყურებდა. პატრონი აფხაზი აღმოჩნდა. აფხაზური არც ერთმა არ იცოდა და ვერაფერი აუხსნა ლტოლვილებს, მაგრამ მჭადის ნატეხი გაუზიარა.

დანაყრდნენ და გზა განაგრძეს. საათიც არ გასულა, მახუტიმ ერთი დაღვარჭნილი მუხა იცნო ხურჩას პირას.

— ოჰო, მგონი გადარჩა შტაბს-კაპიტანი. — გაამხნევა პორუჩიკი. — მუხა ვიცანი. ცოტა ხანიც და ჯუნას შევხვდებით!

მახუტი გამხიარულდა. კოსტამაც შვებით ამოისუნთქა, თუმცა ჯუნას ხსენებაზე მოიწყინა.

ხურჩას ზურგი შეაქციეს, გავერანებულ ეწერში გავიდნენ, ტურების დაქნილ ბილიკზე ნაშუადღევამდე მიდიოდნენ. მზე ჭიმჭიმზე დადგა. ჩრდილი არსად იყო. ლტოლვილებს თავი უხურდათ. ძონძროხი ძეძვნარი ადიოდა ერთიმეორეზე, ფოთოლშემოცლილ თხმელებს ახრჩობდა.

ბილიკი თეთრად ბრჭყვიალებდა, ნაბიჯის გადადგმისას ფქვილივით მსუბუქი მტვერი დგებოდა.

შარაზე გავიდნენ. მზეს ისიც გაეშრო, მაგრამ ადგილ-ადგილ ჯერ კიდევ დარჩენილიყო ბაყაყებით სავსე ლაყვა.

უცხო თვალისათვის ძნელად შესამჩნევ ბილიკს შეღმართზე აუყვნენ. კოსტა უხმოდ მისდევდა, თან გზა-გზა ეკალას ნორჩი ყლორტებით პირს იტენიდა.

ქვა-ღორღით მოფენილ ველზე გავიდნენ. აქა-იქ ქვებიდან უშნოდ დაღმეჭილი, ეკლიანი ძეძვით დახუნძლული თხმელა აშვერილიყო.

ქვებზე ჩამოსხდნენ.

მახუტი ჭოჭმანობდა. ვერ გადაეწყვიტა, ჩაეყვანა თუ არა საიდუმლო მიწისქვეშეთში თავისი მხსნელი.

ქვებში, ზედ მახუტის ფეხთან, ერთადერთი სამყურა ამოსულიყო, სუსტი და ნაზი.

ოთხფოთოლად მოეჩვენა... ოდესღაც ძიძამ უთხრა, ოთხფოთოლა სამყურას თუ მოძებნი, ნატვრა აგისრულდებაო...

დაიხარა და მოწყვიტა. გული დაწყდა, რადგან ესეც სამფოთოლა აღმოჩნდა.

მზემ უფრო დააცხუნა, ჩრდილი კი არსად იყო. თეთრ ქვებზე არეკლილი სხივი თვალებს ტკენდა.

— ჯუნა სადღაა? — დუმილი დაარღვია პორუჩიკმა.

— აქ! — მიწაზე ფეხი დაჰკრა მახუტიმ და იქვე ახლოს უხვად ამოყრილ თხმელის ტოტებში გაუჩინარდა.

კოსტაია პორუჩიკი ფაცხაფუცხით მიჰყვა.

მახუტიმ ბოლო ბუჩქის ტოტი გადასწია და ვიწრო ხვრელის წინ აღმოჩნდნენ.

— აქ უნდა შევძვრეთ? — მღელვარებისაგან ხმა ჩაეხრინწა კოსტას.

მახუტიმ თავი დაუქნია. ეჭვი ისევ შებრუნდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ეჭვის ჭია ჩააჩუმა და ხვრელში შეძვრა.

პორუჩიკმა შესვლისთანავე თავი ჭერს მიარტყა. მერე წელში ოთხად მოიკაკვა და ისე მიფორთხავდა, რადგან ირგვლივ ვერაფერს არჩევდა.

მახუტი კი ჩვეული სითამამით მიჰყვებოდა კედლის გასწვრივ გაჭიმულ მავთულს. მის ცნობიერებაში უკუნთან ერთად შემოდიოდა უცნაური მოჩვენებანი... ერთხელ საგვარეულო აკლდამაში ჩააგდეს. კუბოების წყება იხილა. ერთგან კუბოს სახურავი გასკდა. იქიდან ეპოლეტებიანი ჩონჩხი ამოჩლახუნდა. შეძრწუნებული ჭაბუკი კედელს მიაწყდა და გაიქცა. ჩონჩხმა ხელის მტევანი მოიმსხვრია, ზურგში ესროლა გაქცეულს...

მერე სველ, ნესტიან ჯირგინში მიძვრებოდა და მის ნაკვალევზე თანდათან სუსტდებოდა ადევნებული ჩონჩხების ჩხარაჩხური...

უცებ შიშმა შეიპყრო. თითქოს ისევ ჯირგინში მიძვრებოდა და ეპოლეტებიანი ჩონჩხი მოსდევდა ძვლების ჩხარუნით.

შემოტრიალდა, ზედ პირისახეზე შეაორთქლა აქოშინებულმა პორუჩიკმა.

— რა მოხდა? — ნერვულად იკითხა.

— რა?.. არაფერი! — დაბნეულად უპასუხა მახუტიმ. კვლავ გზა განაგრძო ნესტიან ჯირგინში და ეპოლეტებიანი ჩონჩხი კვლავ აეკიდა.

მავთული გათავდა. მახუტი წელში გასწორდა.

ჭერის ნარღვევში მქრქალი სინათლის სვეტი შემოდიოდა, ოდნავ ასუსტებდა მიწისქვეშა დარბაზში დასადგურებულ უკუნს.

მახუტი შედგა სინათლის სვეტის ქვეშ, შემობრუნდა.

— აი, აქ!

კოსტაია პორუჩიკი სიბნელიდან აღარ გამოდიოდა და მახუტი მას ვერ ხედავდა.

„არამხუტუ, არამხუტუ, ძმა ვარ შენი!“ — გაიფიქრა ანაზდად.

მიწისქვეშეთში მრავლისმეტყველი დუმილი ჩამოვარდა. სადღაც შორს წკაპანკუპი გაჰქონდა ჭერიდან ჩამონადენ წყალს.

ნელა ტოკავდა გამჭოლი ნიავი და სიბნელიდან არ გამოდიოდა გენერალ არვაშანგის ადიუტანტი.

— სად ხარ? — ხმადაბლა იკითხა მახუტიმ. იმ ადგილს დააკვირდა, საიდანაც პორუჩიკი უნდა გამოსულიყო. მრუმე სიბნელეში ყველაფერი ინთქმებოდა და მახუტის ანთებულ ცნობიერებაში ჯოჯოხეთური სახეები იხატებოდა.

„არამხუტუ, არამხუტუ, ძმა ვარ შენი!“ — სუნთქვა შეეკრა მახუტის.

— სადა ხარ? — გაიმეორა და პასუხი რომ ვერ მიიღო, უცებ ყველაფერს მიხვდა.

ოქროს გისოსებს მიაწყდა კეტსალი, ფრთები მიამტვრია თავისუფლებას მონატრებულმა.

ხელები თავზევით აღმართა მახუტიმ და მთელი ხმით საშველად უხმო:

— ჯუნა!.. ჯუნა!..

და გაცოცხლდა ერთადერთი ტყვია, რომელსაც მისთვის ეძინა.

LIII

ზათქი და გუგუნი განიბნა მიწისქვეშეთში. სადღაც გრიალით ჩამოინგრა ათასწლეული ქანები, შხუილით მოვარდა ამოძრავებული ქარი, ჩაჰბერა შორეული გადასასვლელებისა და ტალანების ორკესტრს; გაცოცხლდნენ იდუმალი სულები და აპოკალიპსური ხმებით აივსო ნოტიო ჰაერი... და ამ ჯოჯოხეთურ ხმაურში ისევ და ისევ გაისმა მიწის ჯურღმულებში მისუსტებული და სამუდამოდ ჩამარხული ხმა:

„ჯუნა!.. ჯუნა!.. ჯუნა!..“

კოსტაია პორუჩიკმა თავზე ხელები შემოიჭდო და ისე დაეშვა ბნელ კუთხეში, თითქოს კუპრით სავსე კასრში იძირებოდა. მიწისქვეშეთიდან მოვარდნილი საზარელი ხმები ლეღვერდივით სცემდა პურუჩიკს.

ასე იჯდა კარგა ხანს და თავს სამუდამოდ დამარხულად გრძნობდა. მერე, როდესაც ექო ოდნავ მიწყნარდა, გამბედაობაც თანდათან დაუბრუნდა, ხელით მოსინჯა გვირაბში გაჭიმული მავთული და გასასვლელისაკენ ფეხაკრეფით გასწია, მა-

გრამ გვიანი აღმოჩნდა.

ნათელ ჭრილს ვიღაც აეფარა.

— ჰეი, ვინა ხარ? — შესძახა ლანდმა და პორუჩიკმა ჯუნას ხმა იცნო. შეცბა გენერლის ადიუტანტი, უნდოდა ტყვიით ეპასუხა, მაგრამ რევოლვერში მეტი ვაზნა არ იყო და უვარგისი ნივთი განზე მოისროლა. გასასვლელს ზურგი შეაქცია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა უკან, დარბაზისაკენ წაჩლახუნდა.

— შეჩერდი, გესვრი!.. — მოსძახოდა ჯუნა და პორუჩიკი ცდილობდა სიბნელეში გაუჩინარებულიყო.

დარბაზს კედელ-კედელ გაჰყვა, რათა სინათლის სვეტის ქვეშ არ გაევლო და მიწაზე დაგდებული ადამიანისათვის გვერდი აექცია.

მოპირდაპირე მხარეს ხვრელს წააწყდა, შეძვრა და ნესტისაგან აშმორებულ ჯირგინში თხუნელასავით გაცოცდა.

მდევრის ნაბიჯის ხმა მიწყდა. პორუჩიკმა ფოფხვა განაგრძო. ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდა, რასაც ჰაერის მოძრაობით მიხვდა. გადაწყვიტა აქ შეეცადა, სანამ მდევარს დარაჯობა არ მობეზრდებოდა.

ჩუმად იჯდა და ყურს უგდებდა.

იდუმალი დუდუნი მოდიოდა სიღრმეებიდან. თითქოს ჩიოდნენ გარდაცვლილთა სულები და ამ ჩივილისაგან კოსტაია პორუჩიკს თმა აებურძგლა.

ჭერიდან წვეთი ჩამოწკაპუნდა. იქვე ახლოს გუბე უნდა ყოფილიყო. ხელი მოაფათურა, სველ ქვებს წააწყდა. ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ყინულივით ცივ წყალს შეეხო. ყლუპი დალია. ყინტარო იყო, შეამცივნა.

უცებ გაოგნდა. მოეჩვენა, რომ ჯირგინის ბოლო დაეკარგა. დაიხია. კედელს ზურგით მიაწყდა, მოაფათურა, მარჯვენა ნებზე ცივი ნიავი შეეხო. გაუხარდა. გვირაბი იყო. ფრთხილად შეძვრა, რათა ისევ პირველ დარბაზში გაეღწია, მაგრამ ათიოდე ნაბიჯს იქით ყრუ კედელს წააწყდა.

თავზარი დაეცა პორუჩიკს. მართლაც დაჰკარგვოდა ჯირგინის ბოლო. ისევ გუბურიან დარბაზში დაბრუნდა, კედელ-კედელ გაჰყვა და ახალ გვირაბს წააწყდა. ეს მაინც ის იქნებაო და მიჰყვა, მაგრამ ისევ ყრუ კედელს წააწყდა.

დადიოდა უკუნში ჩაფლულ მიწისქვეშა დარბაზის უსწორმასწორო კედლის გასწვრივ, ქვებზე ფეხი უცდებოდა, ტანსაცმელსა და ხორცს იგლეჯდა წვეტიან ლოდებზე, წამდაუწუმ ახალ ხვრელს პოულობდა, მაგრამ ყოველი მათგანი ყრუ კედლით მთავრდებოდა.

ნებისყოფა თანდათან ეკარგებოდა პორუჩიკს, მუხლებში ძაგძაგი უვლიდა. იჯდა უხილავი და ყინულივით ცივი გუბურის პირას და სიბნელისათვის მიეშტერებინა უსინათლო თვალები.

მიხვდა, რომ ცოცხლად ჩაიმარხა, რომ აქედან ვერასოდეს ამოვიდოდა. მთელი ეს ათასტონიანი ქანები მოირღვა, თავისი სიმძიმით დააწვა მის სუსტ მხრებს, ქვეშ მოიყოლა, გასრისა, ხერხემალი გადაუმსხვრია.

მოხდა შურისძიება და ამაში ერია რაღაც ღვთაებრივი, მიუწვდომელი ნება.

— არა, არა! — შესძახა ციებაშეყრილმა პორუჩიკმა, ფეხზე წამოხტა.

„არა, არა!“ — სიცილ-ხარხარით დაურბინა ექომ ყოველ მხრივ დატეხილ ბნელ ტალანებს, მისი სიტყვები უკანვე სახეში მიაფურთხა პორუჩიკს.

ისევ დაიწყო ხელების ფათური კედლის გასწვრივ, წვეტიანი ქვები უსერავდა ხელებს. გვირაბს რომ წააწყდებოდა, დიდ ხანს წონიდა, ეს არის თუ არაო, შესვლას ვერ ბედავდა და ხელის ფათურს განაგრძობდა. ბოლოს ერთ ტალანში შევიდა. სხვაზე მაღალჭერიანი და ფართოდ გამოჭრილი ჩანდა, წელგამართულს შეეძლო სიარული. ტალანი იგრიხებოდა თავგაჭეჭყილი გველივით და პორუჩიკიც დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ამ ბნელ გრეხილებს. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ჰაერში რჩებოდა გაწვდილი ხელი და გვერდით ტოვებდა უცნაურ ღრმულებს, რომლებიც არ იცოდა, გვირაბთა დასაწყისი იყო თუ ჩამონგრეული კედელი.

უცებ რაღაცა აციმციმდა წინ. სიხარულისაგან სული შეუგუბდა, ფეხი ააჩქარა. ხან რას წამოედებოდა, ხან რას. უზარმაზარი სიმძიმის ქვეშ ჩამოზნექილ ჭერს წამდაუწუმ ახლიდა შუბლს, მაგრამ ნერვული ცახცახით შეპყრობილი, უსიტყვო დუდუნისაგან დორბლმორეული მიიჩქაროდა თეთრი ლაქისა-

კენ და მოულოდნელად წაადგა კიდეც.

უაზროდ დააცქერდა. ადამიანის თავის ქალა ეგდო დახვავებულ ქვებს შორის. აქამდე არ სჯეროდა, რომ ასეთი სიბნელე არსებობდა ამქვეყნად. ეგონა, თვითონ ჰქონდა თვალის სინათლე წართმეული და ამიტომ ვერ ხედავდა მიწისქვეშა ტალანების კედლებსა და ჭერს. ახლა კი მის ფეხებთან ციმციმებდა ფოსფორმოდებული თავის ქალა და ირგვლივ სხვა რამე არ არსებობდა.

გაოგნებული უყურებდა კოსტა ამ ერთადერთ თეთრ საგანს და არ იცოდა სად იმყოფებოდა, რას შვრებოდა, რას გაურბოდა.

ხელში აიღო და ამ დროს ხელები უკანკალებდა. თავის ქალას ყბა ჩამოუვარდა, კვლავ ტკაცუნით გაუსწორდა. პორუჩიკმა თითები გახსნა. სასაცილო რახარუხით გაგორდა თეთრი ბურთი, რომელიც ოდესღაც თავი იყო. ისტერიულმა ხარხარმა გაუხია პირი პორუჩიკს. ხარხარმა ზრიალ-ზრიალით დაუარა მიწისქვეშა გვირაბებსა და დარბაზებს, ხარხარით უპასუხა მრავალგზის გამეორებულმა ექომ და გაცოცხლდა, დაიხლაკნა სიცილისაგან სულშეგუბებული ჯოჯოხეთი.

სული შეუგუბდა პორუჩიკსაც, წელში მოიკაკვა. ერთ ადგილას ბანცალებდა და რაღაც გიჟურ დავლურს უვლიდა. ბოლოს თავი მკერდზე ჩამოუვარდა და კუთხეში მიიკუჭა. იგი უკვე მოკვდა. გათავდა მისი კარიერის საქმე. ახლა მათხოვრობა ერჩივნა შტაბს-კაპიტნობასაც, არვაშანგის ქონებასაც, თეკოს ხელსაც. ოღონდ გვიანი იყო ყველაფერი.

მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა, თავი ასწია, უსინათლო თვალები უკუნს მიაპყრო. არ იცოდა, ტალანში იყურებოდა თუ ყრუ კედლისათვის მიებჯინა მზერა, ერთნაირი კუკუნათი ბატონობდა ყველგან.

და იხილა პორუჩიკმა კოსტა კაკუჩავამ უმშვენიერესი ქალწული. თეთრი სამოსი კოჭებს უფარავდა ასულს, მაინც ვერ მალავდა მშვენიერი სხეულის ნაკვთებს. მაღალი მკერდი უტოკავდა მოჩვენებას. ჩამოშლილი თმა მხრებზე ეღვრებოდა. თვალები უკრთოდა ორი ვარსკვლავივით.

„დედოფალო, სიცოცხლე მაჩუქე!“ — შეევედრა კოსტა, დიაცივით აქვითინებული მუხლებზე დაემხო.

ასულმა თითქოს ვერ შეამჩნია, ამაყად ჩაუარა გვერდით,

თეთრმა კაბამ გაიშრიალა პორუჩიკის ცხვირწინ, კაბის კალთა ოდნავ შეეხო კიდეც და მოჩვენებამ გზა განაგრძო.

პორუჩიკი დაოთხილი მიჰყვა კბილების კაწკაწით.

ასე მიდიოდნენ დიდხანს. წინ თეთრსამოსიანი ასული მიაბიჯებდა, უკან კი მუხლებდასისხლიანებული პორუჩიკი მიფორთხავდა და ქალწულის ნაფეხურს კოცნიდა.

შეჩერდა მშვენიერი ასული, მკაცრად დახედა ფერხთით დამხობილს.

„დედოფალო, სიცოცხლე მაჩუქე და ჩემი სული წაიღე!“ — შეჰვედრა პორუჩიკმა.

„შენ უკვე მკვდარი ხარ!“ — თქვა თეთრსამოსიანმა ასულმა, დაიხარა, პორუჩიკს სული ამოართვა და კედელზე ჩამოკიდა.

პორუჩიკის სული შავ ლაქად დააჩნდა მიწისქვეშეთის ბერბენც წყვდიადს.

თვალი დახუჭა კოსტაიამ, არ უნდოდა ეხილა საკუთარი სულის სიშავე და როცა გაახილა, არც მისი სული ჩანდა, არც თეთრსამოსიანი ასული. ათიოდე ნაბიჯზე კი მზის მეწამული სხივი ბარჩხალებდა.

შეჰბღავლა პორუჩიკმა, ძლივს მიბობღდა გასასვლელამდე და შიგ გაძვრა.

მის წინ ხურჩას ვერცხლისფერი ზოლი გაშლილიყო, ბინდი ეფინებოდა ვრცელ სანახებს...

შინაარსი

ნაწილი პირველი. განაჩენი ----------7
ნაწილი მეორე. კეტსალი----------63
ნაწილი მესამე. პირისპირ----------124
ნაწილი მეოთხე. ჭრელი დღე----------178
ნაწილი მეხუთე. სამყურას მეოთხე ფოთოლი---243